საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

კესო გეჯუა

მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2021

ნაშრომში „მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი“, ისტორიული მიმოხილვის მიხედვით, წარმოჩენილია მეგრული დიალექტის ადგილი და როლი ქართველურ ენობრივ სივრცეში; გაანალიზებულია მეგრული დიალექტის სიტყვა-ფორმები. წარმოდგენილი გამოკვლევა არის სადოქტორო დისერტაცია, რომელიც დაცულია 2020 წელს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

ნაშრომი განკუთვნილია ენათმეცნიერული, ისტორიული, ზოგადად ქართველოლოგიური კვლევებით დაინტერესებულ პირთათვის. ასევე, დახმარებას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლის სამივე საფეხურის სტუდენტებს შესაბამისი საკითხების შესწავლაში.

რედაქტორები: **†ტარიელ ფუტკარაძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
რევაზ შეროზია, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტები: **მანანა ტაბიძე,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ასმათ შონია, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

წიგნი იბეჭდება აფხაზეთის ა. რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს **„აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამით“** გათვალისწინებული გრანტის საფუძველზე.

© ჯ. გეჯუა, 2021

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2021
თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-192-3

*მადლიერების გრძნობითა და დიდი პატივისცემით მოვიგონებ ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, **პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს**, რომლის იდეითაც დავიწყეთ მუშაობა ამ თემაზე, რათა წარმოგვედგინა სარეკომენდაციო მეგრულ-ლაზური ერთეულები ქართველთა სამწიგნობრო ენის განმარტებითი ლექსიკონისათვის.*

*მადლობას ვუხდი აგრეთვე თანახელმძღვანელს, **პროფ. რევაზ შეროზიას** გაწეული დაუღალავი შრომისა და საქმიანი რჩევებისათვის, რომლის ხელშიც მიიღო ნაშრომმა მონოგრაფიის სახე.*

*მადლობა **პროფესორ მანანა ტაბიძესა** და **ასოც. პროფესორ ასმათ შონიას** ნაშრომის კვალიფიციური რეცენზირებისა და საყურადღებო თვალსაზრისების გაზიარებისათვის; ასევე კოლეგებსა და მეგობრებს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტიდან თანადგომისათვის; აფხაზეთის ა.რ. განათლებისა და კულტურის სამინისტროს, რომლის მხარდაჭერითა და დაფინანსებით გამოიცა ეს მონოგრაფია.*

სარჩევი

წინასიტყვაობა..... 11
შესავალი..... 14

I თავი

მეგრული სიტყვა-ფორმების ადგილი XX საუკუნის 50-იან წლებამდე 22

1.1. მეგრული სიტყვა-ფორმები, როგორც ქართველთა სამწიგნობრო ენის უწყვეტი ისტორიული შენაკადი (უძველესი დროიდან ვიდრე XVIII საუკუნემდე) 22
1.2. რუსული ენობრივი პოლიტიკა და ქართველ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა დამოკიდებულება მეგრული მეტყველების მიმართ XX საუკუნის 50-იან წლებამდე 36

II თავი

მეგრული სიტყვა-ფორმების ადგილი ქართველურ ლექსიკონებში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე 82

2.1. არნოლდ ჩიქობავას თვალსაზრისი მეგრული მეტყველების სტატუსის შესახებ 86
2.2. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (1950-1964) ლექსიკოგრაფიული კონცეფცია 90
2.3. დისკუსია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კონცეფციაზე კ. გამსახურდიასა და არნ. ჩიქობავას შორის 100
2.4. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქცია 107
2.5. მეგრული ლექსიკონების ენათმეცნიერული კონცეფციები 113

III თავი

მეგრული სიტყვა-ფორმების ანალიზი 123

3.1. მეგრული ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში 124
3.2. მეგრული ლექსიკა ილია ჭყონიას ლექსიკონში 133
3.3. მეგრული სიტყვა-ფორმები კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის და ნ. წულეისკირის შემოქმედებაში 141

ძირითადი დასკვნები 242
დამოწმებული ლიტერატურა 392
საძიებელი 407

Contents

Foreword **246**
Introduction **248**

Chapter I

The place of Megrelian word-forms before the 1950s **250**

1.1. Megrelian word-forms as a continuous historical tributary of the Georgian literary language (from ancient times to the XVIII century) **250**
1.2. Russian language policy and the attitude of Georgian writers, public figures and scholars towards the Megrelian speech until the 1950s **255**

Chapter II

The place of Megrelian word-forms in Kartvelian dictionaries from the 1950s until today **268**

2.1. Arnold Chikobava's view on the status of Megrelian speech **269**
2.2. Lexicographical concept of the „Explanatory Dictionary of the Georgian Language" (1950-1964) **271**
2.3. Debates on the concept of „Explanatory Dictionary of Georgian Language" Between K. Gamsakhurdia and Arn. Chikobava **272**
2.4. New edition of the „Explanatory Dictionary of the Georgian Language" **274**
2.5. Linguistic concepts of Megrelian dictionaries **276**

Chapter III

Analysis of Megrelian word-forms 280

3.1. Megrelian vocabulary in Sulkhan-Saba Orbeliani's dictionary 281
3.2. Megrelian vocabulary in Ilia Chkonia's dictionary 290
3.3. Megrelian word-forms in the works of K. Gamsakhurdia, L. Kiacheli, N. Tsuleiskiri 297

Key Findings 390
References 392
Index 407

წინასიტყვაობა

მეგრული მეტყველების, შესაბამისად, მეგრული ლექსიკის, ადგილის საკითხი ქართველურენოვან სივრცეში ძალზე აქტუალურია საენათმეცნიერო წრეებში.

უძველესი დროიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკუნის 70-იან წლებამდე, მეგრული ლექსიკა განიხილებოდა როგორც ქართული სამწიგნობრო ენის მძლავრი შენაკადი. მეფის რუსეთის მოხელეებმა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან აქტიურად დაიწყეს ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების პროცესი „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკის საფუძველზე; კერძოდ, ჩამოაყალიბეს მეგრულის დამოუკიდებელ საეკლესიო და სალიტერატურო ენად ფორმირების შორსგამიზნული და უდავოდ მავნებლური გეგმა. აღნიშნული „რუსული პროექტი“ გაგრძელდა საბჭოთა პერიოდში და გრძელდება დღესაც; კერძოდ, დღესაც არის აქტიური მცდელობა, შეიქმნას „მეგრული სალიტერატურო ენა“; შესაბამისად, აქტიურად მიმდინარეობს მეგრულის „თარგმნით“ ლექსიკონებზე მუშაობა, რათა მომზადდეს საფუძველი, რომ ამ მეტყველებას დამოუკიდებელი ენის სტატუსი მიენიჭოს.

ქართველთა დამანაწევრებელი ენობრივი პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიურად გაილაშქრეს XIX-XX საუკუნეების ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, კლასიკოსმა მწერლებმა, მეცნიერთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა. მეგრული მეტყველების ლექსიკას ისინი განიხილავდნენ როგორც ქართული სამწიგნობრო ენის გამდიდრების წყაროს. თუმცა, რუსულმა პოლიტიკამ თავისი კვალი მაინც დააჩნია ისეთ განძს, როგორიცაა 1950-1964 წლებში არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით დაბეჭდილი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული. ტრადიციულად ქართველთა სამწიგნობრო ენის (ქართველური ენის) ლექსიკონებში შეჰქონდათ ისეთი ქართველური დიალექტური ლექსიკა,

რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იყო სამწიგნობრო ენაში (მათ შორის მეგრული ლექსიკაც). ეს ტრადიცია გარკვეულწილად შენარჩუნდა ქეგლ-შიც; თუმცა, როგორც ჩანს, საბჭოთა რეპრესიული რეჟიმის პირობებში, შეუძლებელი გახდა ადეკვატურად აღნუსხულიყო ყველა ქართველური ქვესისტემის ლექსიკა; კერძოდ, დიალექტური ერთეულებიდან ქეგლ-ში შესაბამისი კვალიფიკაციით არ არის შეტანილი არც ერთი მეგრული, ლაზური ან სვანური სიტყვა (როგორც მითითებულია სხვა დიალექტებისა თუ ენების ფაქტები). არც ისეთი შემთხვევებია აღნიშნული, როცა რომელიმე ფორმა გურულთან ან იმერულთან ერთად მეგრულშიც დასტურდება. მიზეზი: საბჭოთა პერიოდში გაბატონებული იდეოლოგემის მიხედვით, მეგრულ-ლაზური და სვანური „უმწერლობო ენებად“, „ტომობრივ ენებად“ მიიჩნეოდა.

დღეს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილება მუშაობს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციაზე. ქართველური (/ქართული) ენის განმარტებითი ლექსიკონის ახლებურად გადამუშავებული კონცეფცია შემუშავდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრშიც (ცენტრს 2010-2020 წწ. ხელმძღვანელობდა პროფ. ტ. ფუტკარაძე); შესაბამისად, ვფიქრობთ, წარმოდგენილ კონტექსტში მეტად მნიშვნელოვანია მეგრული სიტყვა-ფორმების ადგილის განსაზღვრის შესახებ დეტალური და მრავალმხრივი ანალიზი.

მონოგრაფიაში მიმოხილულია მეცნიერთა თუ საზოგადო მოღვაწეთა განსხვავებული მიდგომები ქართველური ქვესისტემის ლექსიკის მიმართ. მოძიებული და გაანალიზებულია მეგრული ლექსიკური ერთეულები კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, ნ. წულეისკირის შემოქმედებიდან, ასევე ს.ს.

ორბელიანისა და ი. ჭყონიას ლექსიკონებიდან. თანამედროვე ლექსიკოგრაფიული და ლექსიკოლოგიური კვლევების გათვალისწინებით, მეგრული სიტყვა-ფორმები გაანალიზებულია 15-საუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ისტორიასთან მიმართებით.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ქართველთა დედაენის - ქართველური (ქართული) ენის - განმარტებით ლექსიკონში უნდა აისახოს ყველა ქართველური ქვესისტემის ის ლექსიკა, რომლის დამკვიდრება გაამდიდრებს ქართველთა მრავალსაუკუნოვან სამწიგნობრო ენას; კერძოდ, განხორციელებული კვლევა მნიშვნელოვანია მეგრულის, ასევე, სხვა ქართველური ქვესისტემების ლექსიკით ქართული სამწიგნობრო ენის გამდიდრებისათვის.

აუცილებელია მეგრული სიტყვა-ფორმები შევიდეს „ქართველური (ქართული) ენის განმარტებით ლექსიკონში“, რომელშიც აისახება ქართული სამწიგნობრო ენის ძირითადი ფონდი; თუ ამ ფონდში ტრადიციულად გაგრძელდება მეგრული ლექსიკის დამკვიდრდება, ამით მნიშვნელოვნად გამდიდრდება ენა.

ტრადიციულად არსებული ამ თვალსაზრისის გაგრძელებას წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი, სადაც განვავითარეთ და სპეციალური მასალის ანალიზით დავასაბუთეთ კიდეც. გამოკვლევა მიზნად ისახავს, ლექსიკოგრაფიული და ლექსიკოლოგიური ანალიზის საფუძველზე, წარმოადგინოს მეგრული ლექსიკის პერსპექტივა ისტორიული დინამიკის გათვალისწინებით.

შესავალი

ქართველურ ენას[1] უაღრესად მდიდარი და ნაირსახოვანი ლექსიკა აქვს. ყოველი ენის ლექსიკის გამდიდრების ძირითადი საშუალებებია სიტყვათწარმოება, დიალექტური მეტყველება და სესხება. ქართველური ენა ამ შესაძლებლობებს იყენებდა დასაბამიდან მოყოლებული და იყენებს დღესაც. ამის თვალსაჩინო დასტურია ჩვენი წერილობითი ძეგლები.

ქართველური ენის ლექსიკის საკითხებით დაინტერესებული იყო და არის მრავალი მკვლევარი. შეიქმნა მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელშიც განხილულია ჩვენი ენის ლექსიკასთან დაკავშირებული თეორიული და კერძო საკითხები.

თავდაპირველი ლექსიკოგრაფიული მუშაობის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ექვთიმე მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს, იოანე ზოსიმეს, გიორგი მთაწმიდელსა და სხვ., როგორც ქართველური ლექსიკის შერჩევით სამწიგნობრო ტერმინოლოგიის შემქმნელებს.

მწიგნობრობის განვითარება მოითხოვდა ლექსიკოგრაფიული მუშაობის აუცილებლობას. XVI-XVII საუკუნეებში ჩნდებიან პირველი ქართველი ლექსიკოგრაფები, რომელთა სახელებთანაა დაკავშირებული ქართული ორიგინალური ლექსიკოგრაფიის განვითარება. აღსანიშნავია ნიკიფორე ჩოლოყაშვილის, ფარსადან გორგიჯანიძის, ვახტანგ მეექვსისა

---

[1] ტერმინი ეკუთვნის პროფ. რ. შეროზიას. ის ქართველურ ენაში მოიაზრებს ქართველურ ენობრივ სისტემას, რომელიც მოიცავს ქართველთა სამწიგნობრო ენასა და ქართველურ ქვესისტემებს. პროფ. ტ. ფუტკარაძის აზრით, „ქართული ენა“ და „ქართველური ენა“ სინონიმებია.

და, რაც მთავარია, სულხან-საბა ორბელიანის უდიდესი ღვაწლი. ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა (ირბახმა) სტეფანე პაოლინთან ერთად პირველმა შეადგინა და 1629 წელს გამოსცა რომში „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. სულხან-საბა ორბელიანის უფროსი თანამედროვის, ფარსადან გორგიჯანიძის მიერ შედგენილი „ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი“ ორჯერ გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ნუსხების მიხედვით (პირველად გამოსცა მ. ჯანაშვილმა 1896 წელს, მეორედ - ვ. ფუთურიძემ 1941 წელს).

ქართულ ლექსიკოგრაფიაში საპატიო ადგილი აქვს ვახტანგ მეექვსეს. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგი სულხან-საბას მოწაფე იყო, ის მაინც საბამდელ ლექსიკოგრაფად იხსენიება, ვინაიდან ს.ს. ორბელიანის ლექსიკონს ბეჭდური სახე მხოლოდ ავტორის გარდაცვალებიდან 160 წლის შემდეგ მიეცა. ვახტანგის ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის თარგმანი“ კი, რომელზე მუშაობაც 1709 წელს დაიწყო, 1712 წელს დაიბეჭდა. ნაშრომი ლექსიკოგრაფიულად არის მიჩნეული, რადგან „თარგმანში“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარს წარმოადგენს, მოცემულია სიტყვათა განმარტებანი.

ქართულ ლექსიკოგრაფიაში კი მთელი ეპოქა შექმნა სულხან-საბა ორბელიანის პირველმა განმარტებითმა ლექსიკონმა „სიტყვის კონა“ (1658-1725). ვინაიდან ქართული ლექსიკონი „ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო“, საბამ იტვირთა მისი შედგენა. ნაშრომში შეტანილი ქართული ენის საუნჯის მასალა ამოკრებილია თავის დროისათვის ცნობილი თითქმის ყველა ძირითადი ქართული ორიგინალური თუ ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლიდან, საერო თუ სასულიერო მწერლობიდან, ცოცხალი ენობრივი სამყაროდან.

ლექსიკონის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს მისი ხელნაწერი ნუსხების სიმრავლეც. ჩვენამდე მოღწეულია ლექსიკონის 150-ზე მეტი ხელნაწერი ნუსხა, რომელთა დიდი უმეტესობა XVIII საუკუნეში ან XIX საუკუნის დასაწყისშია გადაწერილი. 1884 წელს რაფიელ ერისთავმა გამოსცა ხსენებული ლექსიკონი, მეორედ გამოქვეყნდა 1928 წელს პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, მესამე გამოცემა ს. იორდანაშვილის მიერ გამოვიდა 1949 წელს. მიუხედავად ლექსიკოგრაფიაში წინ გადადგმული ნაბიჯებისა, დღესაც აქტიური მოხმარებისაა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი და სათანადო სიმაღლეზე დგას.

საბას შემდეგ ახალი განმარტებითი ლექსიკონი შეადგინა ნიკო ჩუბინაშვილმა, 1815-1825 წლებში - „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“, - რომელიც პირველად გამოიცა 1961 წელს ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. ლექსიკონს ასაზრდოებს საბას „სიტყვის კონა“, ამაზე მიუთითებს ავტორის სიტყვებიც: „საბა-სულხან ორბელიანისაგან შეთხზული და მცირედ გამართული სისტემისაებრ მისისა“ (ჩუბინაშვილი, 1961:99). ნიკო ჩუბინაშვილმა ქართული ლექსიკოგრაფია ახალ სიმაღლეზე აიყვანა, ახალი ერთეულებით გაამდიდრა ლექსიკონი და ქართველური სიტყვების რუსული თარგმანი გააკეთა. მან ამასთან ერთად შექმნა კაპიტალური რუსულ-ქართული ლექსიკონი.

ლექსიკოგრაფიული საქმიანობა გააგრძელა დავით ჩუბინაშვილმა. იგი ავტორია რამდენიმე შრომისა, რომელთა შორის გამორჩეულია ქართულ-რუსულ-ფრანგული (1840 წ.), რუსულ-ქართული (1846 წ.) და ქართულ-რუსული („საუნჯე ქართულისა ენისა“) (1887 წ.) ლექსიკონები.

XX საუკუნის 10-იან წლებში ნ. მარი შეეცადა დიდი ქართული ლექსიკონის მომზადებას, რომლის რედაქციის

შემადგენლობაში მიწვეულები იყვნენ ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ნ. ადონცი და ვ. ბენეშევიჩი. ლექსიკონში უნდა ასახულიყო ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ძეგლების ლექსიკა ეტიმოლოგიური ცნობებით, სიტყვათა ადგილის ჩვენებით; სიტყვები ვრცელი ფრაზეოლოგიით უნდა წარმოდგენილიყო. ამის შესახებ წერდა ნ. მარი 1913 წელს გამოცემულ „ძველქართულ-რუსული ლექსიკონი მარკოზის 1-2 თავისათვის“ წინასიტყვაობაში (მარი, 1913:4), მაგრამ მიუხედავად გაწეული მუშაობისა, დასახული მიზანი ვერ განხორციელდა.

1910 წელს, ნ. მარის მიერ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაარსებული სერიის „Материалы по Яфитеческому языкознанию“ პირველ წიგნში, დაიბეჭდა ილია ჭყონიას ლექსიკონი „სიტყვის კონა“. ავტორს შეკრებილი აქვს ის მასალა, რომელიც არ გვხვდება არც საბას „ქართულ ლექსიკონსა“ და არც დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“.

მოგვიანებით, 1915 წელს, ქართული ენის ლექსიკონის შესადგენად შეიქმნა სპეციალური კომისია - ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, იუსტ. აბულაძის, ი. ყიფშიძის, ს. გორგაძის, ვ. ღამბაშიძის, ვ. ბერიძის, პ. ინგოროყვასა და ა. შანიძის შემადგენლობით. ერთობლივი მუშაობითა და თანაავტორობით 1915 წელს გამოიცა „სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად“ (14 გვერდი), რომლის მიხედვით ლექსიკონი შედგენილი იქნებოდა იმ მასალისაგან, რომელიც მოიპოვება „ყოველი დარგის ქართულ სამწერლობო ძეგლებში უძველესი დროიდან მოყოლებული XVIII ს-ის ბოლომდის და ცოცხალ ენაშიც, რამდენადაც ეს წარმოდგენილია ახალ მწერლობაში და

ჩაწერილ ზეპირსიტყვაობაში“ (კეკელიძე, 1974:164). ამ შემთხვევაშიც ლექსიკონის შედგენა-გამოცემა ვერ მოხერხდა.

მიუხედავად მეცნიერთა ძალისხმევისა, განმარტებითი ლექსიკონი არ გამოცემულა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხერხდა ჩამოყალიბებულიყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია“ (1945 წ.) და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შექმნილიყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული (1950-1964).

ამ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ძველი ტექსტების გამოცემებზე ლექსიკონითურთ. ამ საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ა. შანიძეს. მან დანერგა საქართველოში მეცნიერული სიმფონიური ლექსიკონების ტრადიცია. მეცნიერებს არაერთი ძველი ტექსტების გამოცემებისათვის დაურთავთ განმარტებითი ლექსიკონები, რომლებიც დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ქართულ ლექსიკოგრაფიაში.

მეტად საყურადღებოა პროფ. ი. იმნაიშვილის ყველაზე ვრცელი ლექსიკონი, რომელიც ოთხთავის უძველეს, ადიშისა და ჯრუჭ-პარხლის რედაქციებს დაურთო (1948-1949 წწ.), ასევე „იოვანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების“ ტექსტს (1961 წ.) და თავის „ძველი ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიას“ (I-1949, 1953; II-1963 წწ.).

1973 წელს გამოიცა ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, რომელშიც 11 800-მდე სიტყვაა შესული V-XI საუკუნეების 150-ზე მეტი ძეგლიდან.

ამასთან, აქტიურად მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს მუშაობა ქართველური დიალექტების ლექსიკის შესასწავლად. გამოიცემოდა ლექსიკონები, რომელთა ნაწილი იყო განმარტებითი, ნაწილი - თარგმნითი. ამაზე მეტყველებს მათი სახელწოდებებიც.

XIX საუკუნის დასასრულიდან გვხვდება უცხოელ მკვლევართა მიერ გამოცემული სიტყვარები, რომელიც ტექსტებს ახლავს.[2] უკვე XX საუკუნიდან აქტიურად იწყება გამოკვლევების, მონოგრაფიების, ლექსიკონების გამოცემა.

ქართველური მეტყველებების შესწავლისას, მეგრულ-ლაზურისა და სვანურის სტატუსი და ლექსიკის ადგილი ყოველთვის იწვევდა და იწვევს დავას მეცნიერთა შორის, რამაც ასახვა ჰპოვა ლექსიკონების სახელწოდებებზეც. „თარგმნითი" მეგრულ-ქართული ლექსიკონების დასახელებაში ასახულია რუსული პოლიტიკის მიზანი - მეგრული (მასთან ერთად ლაზური და სვანური) მეტყველება გამოეცხადებინა დამოუკიდებელ, უმწერლობო ენებად.

ნ. მარმა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაარსებული სერიის „Материалы по Яфитеческому языкознанию" ფარგლებში 1910 წელს გამოსცა თავისი „Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем", სადაც დიდი ადგილი უჭირავს ჭანურ-რუსულ ლექსიკონს. 1911 წელს მას მოჰყვა იოსებ ყიფშიძის „Дополнительные сведения о чанском языке". 1914 წელს ამავე სერიის მიხედვით გამოცემულ იოსებ ყიფშიძის „Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем", დართული აქვს პირველი ვრცელი მეგრული ლექსიკონი. აქ სიტყვები თარგმნილია რუსულად, ალაგ-ალაგ ქართული განმარტებაც აქვს. 1922 წელს კი ნ. მარმა სვანურ-რუსული ლექსიკონიც გამოსცა - „Извлечение из сванско-русского словаря".

ი. ყიფშიძის პირველი, ვრცელი მეგრული ლექსიკონის შემდეგ დარეჯან თვალთვაძის მიერ გამოიცა პ. ჭარაიას

---

[2] მცირე მეგრულ-რუსული სიტყვარები ახლავს ი. პეტროვის, ს. გროზდოვისა და სხვათა მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ მეგრულ ტექსტებს (1890;1893 წწ.).

„მეგრულ-ქართული ლექსიკონი“ (1997 წ.), რომელზე მუშაობაც ავტორმა 1918 წელს დაასრულა.

აკადემიკოსმა არნ. ჩიქობავამ 1938 წელს გამოსცა „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, სადაც ჭანური ლექსიკა შედარებულია მეგრულ და სამწიგნობრო ქართულ ლექსიკასთან.

1974 წელს გამოცემულ დიალექტების კომპლექსურ ლექსიკონში „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, მეგრულ-ლაზური და სვანური ვერ მოხვდა. ლექსიკონის მეორე გამოცემა გამოვიდა 1984 წელს, ერთ ტომად.

მეგრული ლექსიკის შეგროვებაზე აქტიურად მუშაობდა ისტორიკოსი გ. ელიავა, რომელმაც 1990 წელს საბოლოო სახე მისცა „მეგრულ-ქართულ ლექსიკონს“. 1997 წელს კახმეგ კუდავამ პროფ. კორნელი დანელიას რედაქციით გამოსცა ხსენებული ლექსიკონი.

ამის შემდეგაც აქტიურად გაგრძელდა მეგრული ლექსიკონების გამოცემა, რომელთა უმრავლესობა თარგმნითი ხასიათის პრინციპითაა აგებული.

2001-2002 წლებში გამოიცა ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, სამტომეული, რომელსაც 2009 წელს მეოთხე ტომად დაემატა „დამატებანი“. ავტორის განმარტებით, ნაშრომი წარმოადგენს თარგმნით ლექსიკონს.

2007 წელს მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას, ვ. ვახანიას ავტორობით შვიდ ტომად გამოიცა „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“, რომელიც შეადგენს „მეგრულ-ქართულის სალექსიკონო მასალას“ მომავალი მრავალტომეულისათვის.

2010 წელს კი გამოიცა ა. ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“, რომელიც თავისი სახელწოდებით დიალექტური ლექსიკონის შთაბეჭდილებას ტოვებს.

უკანასკნელ ხანებში აქტიურად გამოიცემა სამენოვანი და ხუთენოვანი ლექსიკონები (უცხოური ფონდების ჩართულობით), რომელთა მიზანია მეგრულ-ლაზური და სვანური მეტყველებები საერთაშორისო სივრცეში კვალიფიცირდეს, როგორც „უმცირესობების ენები“. მაგ.: 2015 წელს, სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის ფინანსური მხარდაჭერითა და პროფ. რამაზ ქურდაძის ხელმძღვანელობით გამოიცა ხუთენოვანი **„ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი“**. 2020 წლის დასაწყისში კი ინტერნეტ-პორტალ ამაზონზე გამოჩნდა **„ინგლისურ-ქართულ-მეგრული სასაუბრო“**, რომლის ავტორები არიან: გოტიე ენი, მაია კვარაცხელია, გიგა ქავთარაძე, გივი ქარჩავა და პაატა შამუგია.

ისტორიულად ნათელია ქართველური მეტყველებების ერთობლივი წვლილი სალიტერატურო ენის გამდიდრებაში, მათ შორის მეგრულ-ლაზური და სვანური ლექსიკით. ეს პროცესი უწყვეტად მიმდინარეობდა საუკუნეების მანძილზე.

I თავი

მეგრული სიტყვა-ფორმების საკითხი XX საუკუნის 50-იან წლებამდე

1.1. მეგრული სიტყვა-ფორმები, როგორც ქართველთა სამწიგნობრო ენის უწყვეტი ისტორიული შენაკადი (უძველესი დროიდან ვიდრე XVIII საუკუნემდე)

ქართველური ენის ისტორიული განვითარების პროცესი ხანგრძლივი და მრავალფეროვანია. ამ გზაზე სალიტერატურო ენა უწყვეტად მდიდრდებოდა დიალექტებით. სხვა მეტყველებებთან ერთად მეგრულ-ლაზური მასაზრდოებელი იყო ჯერ კიდევ ხანმეტი ტექსტების, პეტრიწის შრომების თუ „ვეფხისტყაოსნის“ ენისთვის. ანუ, დასავლური კილოები ოდითგანვე იყო ერთიანი ენობრივი სივრცის ნაწილი. პროფ. რ. შეროზია შენიშნავს: „ძველ ქართველურ მწერლობაში არაერთი ლექსემა დასტურდება, რომელთა „ზანურობა“ ეჭვს არ იწვევს (ბორკილი, უბადო, ჩაფულა(ნი), ოჭანს, ურჩხი)... დასავლურ-ქართველური მეტყველებები („ზანური“, „სვანური“) არასოდეს დასცილებია საერთოქართველურ ენობრივ-კულტურულ სივრცეს. რაც შეეხება პოლიტიკურ ასპექტს, „ქართლის ცხოვრება“ და მწერლობის უძველესი ნიმუშები ცალსახად მიუთითებენ აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანობაზე მაშინაც, როცა აღმოსავლეთ საქართველო სხვა ძალას ემორჩილებოდა, დასავლეთი - სხვას, - არაბების პერიოდში და მონღოლების დროსაც დასავლეთის მეფე-მთავრები ეხმარებოდნენ აღმოსავლელებს და, იმავე დროს, იყვნენ გარანტები ენისა და ერის ერთიანობისა“ (შეროზია, 2016:308) და იქვე დასძენს აკად. ქ. ლომთათიძის სიტყვებს: „საქართველოს როცა უჭირდა, შველა ყოველთვის დასავლეთ საქართველოდან მოდიოდა“-ო.

ქართველი მწიგნობრები არქაული და თანამედროვე ხალხური ენობრივი მონაცემების შეზავებით ქმნიდნენ მდიდარ ენას. საუკუნეების მანძილზე ამ პროცესში მონაწილეობას იღებდნენ დასავლეთ საქართველოს, ისტორიული ეგრისის მწიგნობრებიც: იოანე ლაზი, იოანე მინჩხი, იოანე პეტრიწი, ჭყონდიდლების თაობა...

საქართველოს ყველა კუთხის ქართველობის ჩართულობა ერთიანი სამწიგნობრო კულტურის ჩამოყალიბებაში, უძველესი წერილობითი ტექსტები თუ ქრისტიანული ძეგლების წარწერები, ცხადყოფენ ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთიანობას. ბოლო თექვსმეტი საუკუნის დოკუმენტური მონაცემების მიხედვით და ქართული კულტურის ჩამომმერწავი მწიგნობრების წარმომავლობის გათვალისწინებით, პროფ. ტ. ფუტკარაძე ასკვნის: „სამეგრელოსა თუ სვანეთის, კახეთისა თუ ქართლის შვილებს არასოდეს უცდიათ, სამწიგნობრო კულტურა შეექმნათ მშობლიური დიალექტის მიხედვით, რამდენადაც ყველამ კარგად იცოდა, რომ მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ქართული ენა წინაპრების მიერ შექმნილი საერთო დედაენა იყო. საუკუნეების მანძილზე, სხვა ქართველების მსგავსად, სამეგრელოს მოსახლეობაც ძერწავდა ქართულ სამწიგნობრო ენას; ამ ენით იღებდა განათლებას და აღასრულებდა ღვთისმსახურებას. სწორედ ამიტომაა ეს სამწიგნობრო ენა ზოგადქართული - ქართველური - სამწიგნობრო ენა“ (ფუტკარაძე, 2019:38).

იოანე პეტრიწის ენა

იოანე პეტრიწი სრულმქმნელია ქართული კულტურის იმ ისტორიული გზისა, რომელიც ქრისტიანობიდან მოდიოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში თავიდანვე გამახვილდა ყურადღება პეტრიწის მიერ მეგრული „ჟირი“-ს გამოყენებაზე, რომელსაც ს. ყაუხჩიშვილი განმარტავს,

როგორც „მეორე ხმის გამომცემი სიმი საკრავისა“ (პეტრიწი, 1940:289) – **„არამედ სამუსიკელოჲ რაჲ რამეთუ ყოვლითურთ სამოსოჲ არს ჩუენი ესე სამოყუსოჲ მორთული წმიდისა მიერ სულისა, და ესეცა სამთა მიერ ფრთონგთა, ვიტყჳ სამთა დაბამვათა, რომელთა მიერ შეინაწევრების ყოველი შეყოვლებული: მზახრ, ჳირ და ბამ, რქმულნი და რანივე მრთველობანი ძალთა და ჴმათანი. ...ვინაჲ აწ აქა სამუსოდ გასხუაებულთა ზედა იხილო მზახრსა, ჳირსა და ბამსა ერთობაჲ შეყოვლებისაჲ“** (პეტრიწი, 1937:217[1-5,11-13]). მთარგმნელს პირდაპირ აქვს შემოტანილი დიალექტური ერთეული.

პროფ. დ. მელიქიშვილი იოანე პეტრიწის ენისა და ცოცხალი მეტყველების ურთიერთობის საკითხს ორგვარად განიხილავს: 1. „ენობრივი ფაქტები, რომელიც მისი დიალექტური წრის კუთვნილება უნდა იყოს (ან ლიტერატურული სკოლისა)“ და 2. „ის ენობრივი მოვლენები, რომლებიც საერთო ენობრივი განვითარების შედეგია, მაგრამ ისევ ხალხური მეტყველებიდან, სალაპარაკო ენიდანაა შემოსული სამწერლო ენაში“ (მელიქიშვილი, 2016:588).

მკვლევარი დ. მელიქიშვილი თავის სტატიაში „დიალექტიზმების ძიების საკითხისათვის ძველი ქართული ენის ძეგლებში“, განიხილავს იმ ერთეულებს, რომლებიც ს. გორგაძისა („ერცახე“ და „გუერდი“) და ს. ყაუხჩიშვილისათვის („ესთენ“ და „ესთა“) დიალექტურ ფორმებადაა მიჩნეული. იოანე პეტრიწის „განმარტებაჲს“ 162-ე თავში პირველივე წინადადებაში - „აქა თჳთებათა დაფარულთა მათ ზესთთასა ესთა განჰყოფს“ (პეტრიწი, 1937:182[15]) - განმარტებულია: „ამ სიტყვაზე მითითებით არშიაზე სწერია: „ესთა: მეგრული სიტყუაა: ესრეთო: მეგრულად: A“ (პეტრიწი, 1937:182). დ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ „მეგრული“ აქ გულისხმობს დასავლურს საერთოდ. ეს სიტყვა დღეს **ასთე** ფორმით დასტურდება გურულსა და იმერულში. მეცნიერის დასკვნით, იქიდან გამომდინარე, რომ პეტრიწის მიერ

გამოყენებული ზმნისართები იმავე ფორმით დღეს არ დასტურდება და ამასთანავე, დღეს ზმნისართების წინამავალ ხმოვნად **ე** აღმოსავლურ კილოებს აქვთ, დასავლურს კი - **ა** (ესე/ასე, ეგრე/აგრე), **ესთა, ესთენ, ეგთა** ფორმები კერძოდ რომელი დიალექტის კუთვნილებაა ამის დაბეჯითებით თქმა არ შეიძლება (ხაზი ჩვენია - კ.გ.) (მელიქიშვილი, 2009 ბ:84).

ს. გორგაძე **გუერდ** სიტყვას განმარტავს, როგორც „შემადგენელ ნაწილს“, ვინაიდან მას მეგრულში უფრო „ნახევრის“ მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ამ სიტყვის სემანტიკამ მისი ყურადღება მეგრულისკენ მიიქცია (გორგაძე, 1914:8). **გუერდ** სიტყვის დაკავშირება მეგრულთან და ამ გზით გურულთან პროფ. დ. მელიქიშვილისთვის მიუღებელია, რადგან იგი ბერძნულში შესაბამის ადგილას ნახმარი სიტყვის პირდაპირ თარგმანად მიაჩნია, რომლის მნიშვნელობა იგივეა, რაც **გვერდი** სიტყვას აქვს ქეგლ-ში.

ვფიქრობთ, ეს საკითხი დამატებით დაკვირვებას მოითხოვს. საინტერესოა სხვა რა ფორმას იყენებს მთარგმნელი იმ შინაარსის გადმოსაცემად, რომელიც **გუერდ** სიტყვას აქვს მეგრულში, რადგან იმ კონტექსტის მიხედვით, რომელსაც იმოწმებს ს. გორგაძე („რიცხუნი მსგავს არიან ურთიერთას, რომელთანი გუჱრდნი შესაბამ იყვნენ, ვითარ ექუსი და ოცდაოთხი. რამეთუ გუჱრდ ექუსისა - ორი და სამი, არამედ ოცდაოთხისა - ოთხი და ექუსი“), სავსებით დამაჯერებელია მისი განმარტება „ნახევარი, ნაწილი“ იყოს.

ასევე საინტერესოა იოანე პეტრიწის ტექსტში დადასტურებული ერთეული: **„მედინი“ – „მეკუდოთა ესე მედინი ბუნებაჲ“** (პეტრიწი, 1937:120$_{30}$), **„ყოველი მედინთა და ხრწნადთა ბუნებაჲ“** (პეტრიწი, 1937:137$_{3}$), **„მედინისა ბუნებისა არს კაცი და, ჟამია რლუევისაა მისისა“** (პეტრიწი, 1937:222$_{11}$), რომელსაც საბა განმარტავს როგორც „მომდინარე, წარმდინარე“ (ორბელიანი, 1991-1993); ს. ყაუხჩიშვილისა და

დ. მელიქიშვილის მიხედვით, „მიმდინარე, წარმავალი, ხრწნადი“ (პეტრიწი, 1940:275; მელიქიშვილი, 2016:496).

ნათელია, მთარგმნელი მეგრ. **„დინაფა“** - „დაკარგვა, გაქრობას“ გულისხმობს. მეგრულში **„მედინი ბუნების“** კაცზე **„მადინაფუ//მადინაფჷ“** ითქმის. ტექსტში დასტურდება ანტონიმური ფორმაც: **„უდინი“** (მეგრ. **„უდინაფუ“** – „დაუკარგავი, გაუმქრალი“) – **„რამეთუ მას უდინად აქუს თჳსი თჳთებაჲ, და დამსჭუალულსა იგივეობასა ზედა“** (პეტრიწი, 1937:118$_{11-12}$) - „წარუვალი“ (პეტრიწი, 1940:299; მელიქიშვილი, 2016:530), „მოუდინებელი“ (ორბელიანი, 1991-1993).

მიუხედავად სემანტიკური ცვლილებისა, **მედინი, უდინი** ფორმებში გამოყენებული **დინ-** ძირი ვერ დასცილდება **„დინ-ების, გა-დინ-ების“ დინ-** ძირს.

იოანე პეტრიწის ენას კეთილხმოვნების მაღალ ნიმუშად თვლიდნენ და ეპითეტებით ამკობდნენ: **„ქართულისა ენისა მზე“, „მამზევებელი და მადღევებელი ენისა ჩუენისა“**. მისი სტილი ყოველთვის იქცევდა მკვლევართა დიდ ყურადღებას. ტრადიციული შეხედულებით მიჩნეულია, რომ იოანე პეტრიწის ენა ხელოვნური, რთული და გაუგებარია.

მთარგმნელს საკუთარი ენობრივი (მთარგმნელობითი) პრინციპები ნათლად და დასაბუთებულად აქვს წარმოდგენილი ნაშრომის **„პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი“** ბოლოსიტყვაობაში. მწიგნობრის განმარტებით, როცა თავიდან მოიშორა „ბნელი უმეცრებათაჲ“ და ამოვიდა „ცისკარი“ მისი გონებისა, მაშინ **„აღვიშურვე ტომისათჳს გუართა ჩემთასა მე მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეი მდაბრიონთაგან“** (პეტრიწი, 1940:220$_{24-25}$).

ამ მონაკვეთიდან ნათლად ჩანს იოანე პეტრიწის დამოკიდებულება ქართველური სიტყვის ძალისადმი. მისი მიზანია თავის ერს შეუქმნას **„გალექსებული“**, ანუ მისივე განმარტებით **„დახვეწილი ენით გამართული, შეწყობილი“**

ენა, რომელიც განსხვავებული იქნება „მდაბრიონთაგან“, ანუ ყოფითი, სალაპარაკო ენისაგან.

ამ ენის განმსაზღვრელ პირობებზე კი შენიშნავს: 1. გონებით ძნელმისაწვდომი და ფილოსოფიური წიგნების გადმოღებისას ენობრივი სიზუსტის დაცვა და სიმარტივე, სანამ ზედმეტი სიმარტივე აზრს არ ავნებს - „ძნელთა შორის გონებითა და ფილოსოფოსთასა ყოველსა სილიტონესა და თანმიყოლასა ენისაებრსა ვემხარკები დადებად ვიდრე სადამდის მეტითა სილიტონითა დაშლაჲ და ვნებაჲ გონებასა არ შეემთხუეოდის“ (პეტრიწი, 1940:222$_{28-31}$); 2. მწიგნობარი ბარბარიზმების განმგდები და შესაფერისი შესატყვისის მპოვნელი უნდა იყოს - „ანუ თუ ვინ იყო ეგეოდენ ღრამმატიკოსობასა შინა, რომელი ესე მომხუეწელ არს ენისგან ყოველსავე ბარბაროზებრობასა, და თანამბრძოლ და შემწე და გუარიან-მყოფელ ექმნების ელადელთა ჴმასა, და მოთხრობათა შეჰკრებს, ხოლო მოთხრობანი შემოკრებულნი სიბრძნე იქნებიან... ღრამატიკოსობაჲ არს გამომცდელი მოქმედთაჲ ანუ აღმწერელთაჲ, ვითარცა მრავალთა რათმე ზედა გამომთქუმელობისა, და გამოაჩინებს მოქმედებითთა სახეთა, თუ ვითარ ჯერ არს გამოთქუმა, და ენათ-მეტყუელებათა და მატიანთა მთქმელობასა გარდასცემს და მზა მეტყველებათა, ესე იგი არს სახელისაგან თარგმანებათა მოიპოებს, და შესატყჳსობათა გარდმოსცემს, და უმჯობესი არს ნაქმართა განმრჩეველობაჲ“ (პეტრიწი, 1940:223$_{21-34}$).

თუ როგორ ქმნიდა „გალექსებულ“ და „მდაბრიონთაგან მესხუე“ ენას იოანე პეტრიწი და რამდენად ბუნებრივი იყო იგი ძველი ქართულის ნორმებთან არაერთ მეცნიერს უკვლევია.

ნიკო მარი განსაკუთრებით შენიშნავდა მთარგმნელის ამოუწურავ მარაგსა და მის ძალისხმევაზე ეპოვა ქართულ ენაში საჭირო მასალა აზრის გადმოსაცემად, თუმცა,

ამასთანავე მისი ენის ხელოვნურობასაც უსვამდა ხაზს (იხ. მარი, 1909:34).

იოანე პეტრიწის შრომებზე დართულ კვლევებში პროფ. ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ფილოსოფოსის ენა ხელოვნური კი არაა, არამედ „მაშინდელი ქართული ენის ნორმებზეა აგებული“ (პეტრიწი, 1940:52). მეცნიერისათვის ასევე საგულისხმოა მთარგმნელის მიერ ისეთი ფორმების გამოყენება, რომელიც ქართულ კულტურაში დიდი ხნის დამკვიდრებული იყო: „პეტრიწი, როგორც ქართველი მოაზროვნე, ...ბევრგან ამხელს თავისი აზროვნების ქართულ ძირს. ...„ფერის“ ხმარება გვარის მაგივრად ქართულ აზროვნებას უკვე ქართული ენის წარმოშობის ძირებიდან დაეტყო და ხალხური ენის სიღრმეში იყო ჩაქსოვილი, ამიტომაც ქართველ ფილოსოფოსს ამ მხრივ ქართველი ხალხის ენობრივმა სტიქიამ იმთავითვე მისცა სააზროვნო იარაღი, რომლითაც მთელი ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობა არა მარტო გამოითქმოდა, არამედ შეითვისებოდა“ (პეტრიწი, 1937:73).

მ. გოგიბერიძე შრომების შესავალში ნათლად წარმოადგენს იმ გზებს, რომლითაც იოანე პეტრიწმა ფილოსოფიური, ცნებათა ენა შექმნა და ყურადღებას ამახვილებს, საჭიროების შემთხვევაში დიალექტური სიტყვების შემოტანაზე: „იგი იღებს ჩვეულებრივი ქართული ძირის სიტყვებს და აკეთებს აქედან ფილოსოფიური ცნების გამომხატველ ტერმინს, ანდა იხმარიებს იმდროინდელ ქართული ენის ერთ-ერთ დიალექტს, ასე აკეთებს ახალ ქართულ სიტყვას. სადაც ესეც აღარ ყოფნის, იქ იგი მიბაძავს ბერძნულს. ქართულ სიტყვებს აწყობს ბერძნული სიტყვების მიხედვით და ქართული სიტყვებიდან ჰქმნის ისეთსავე სიტყვების დიალექტიკურ თამაშს, რაც ფილოსოფიურ ბერძნულისათვის დიდი ხნიდან დადგენილი და გასაგები იყო... მისი სტილი უსათუოდ ინტელექტუალურად მომხიბლავი, ცნებებით მდიდარი და ალმასივით მაგარია“ (პეტრიწი, 1940:33).

აკად. დამანა მელიქიშვილი იოანე პეტრიწის მიერ შექმნილ ტერმინებს თანამედროვე მეცნიერული ტერმინოლოგიის გამდიდრების წყაროდ მიიჩნევს. ის სიღრმისეულად განიხილავს ფილოსოფოსის ენის თავისებურებებს და ასკვნის, რომ „იოანე პეტრიწის სიტყვაწარმოებას რეალური საფუძველი აქვს ძველ ქართულ სამწერლო ენაში. სიტყვები ქართული ენის დადგენილი ყალიბების მიხედვითაა აგებული და ყველაზე „ხელოვნურიც“ კი მათ შორის, ადვილად მოიძებნება არა მარტო ძველი ქართული ენის ძეგლებში, არამედ თანამედროვე ქართულ სასაუბრო ენაშიც“ (მელიქიშვილი, 2009 ა:27).

როგორც ვხედავთ, იოანე პეტრიწმა საკუთარი სტილის შესაქმნელად გამოიყენა ენის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობები, გააცოცხლა არქაული ფორმები და გზა გაუხსნა ცოცხალ სალაპარაკო ენაში არსებულ პერსპექტიულ ფორმებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **იოანე პეტრიწმა შექმნა ქართველური მეცნიერული, ფილოსოფიური ენა - „გალექსებული“ და „მესხუე მდაბრიონთაგან“, რომელიც ჩამოჰერწილი იყო ისევ და ისევ საერთო-სახალხო, ცოცხალი მეტყველების მასალაზე დაყრდნობით.**

„ვეფხისტყაოსნის“ ენა

XII საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის შედევრი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ნათლად წარმოგვიდგენს იმდროინდელი სალიტერატურო ენის სრულყოფილებას: „XII საუკუნის ქართული ცოცხალი მეტყველება იმდროინდელი კულტურული წრეებისა ის წყარო ჩანს, რომლის უკუფენაც სალიტერატურო ენაში ახალი ქართული სალიტერატურო ენის სათავეს გვანიშნებს“ (ჩიქობავა, 1966 ა:75).

1938 წელს აკად. არნ. ჩიქობავა სტატიაში „დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში““ სიღრმისეულად განიხილავდა რუსთაველის ენაში ფიქსირებულ, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების დამახასიათებელ მოვლენებს, ისე დასავლეთ საქართველოს დიალექტური სინამდვილისათვის ნიშანდობლივ მონაცემებს და ასკვნიდა, რომ „ავტორი წერს ლიტერატურული ენით... თავისი კუთხის მეტყველების გავლენისაგან ის თავისუფალია. თუ დიალექტიზმები მაინც მოგვეპოვება, ეს ავტორის კი არ არის, არამედ თვით იმდროინდელი სალიტერატურო ენის კუთვნილებაა“ (ჩიქობავა, 1938 ა:99).

მკვლევარი ასახელებს სპეციფიკურ სიტყვებს: **„დაგდება“** რაც ყველგან „დატოვებას“ ნიშნავს, როგორც ქართლურში; უდაოდ აღმოსავლურად მიიჩნევს „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გამოყენებულ **„დარჩომა“-ს** „დარჩენის“ ნაცვლად; დასავლური **„მოღორება“** - აღორენს, დააღორუ „ატყუებს, მოატყუა“ ერთადერთი სიტყვაა მეგრულში, **„ოღერდინამს, ოღერდინუ“** მასვე გადმოსცემს ჭანურში (ჩიქობავა, 1938 ა:86).

მეცნიერი 1966 წელს ჟურნალ „მნათობის“ №9-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „„ვეფხისტყაოსნის“ ენის ადგილისათვის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში“, ასახელებს უცხო ენიდან დამკვიდრებულ სიტყვებს, რომლებსაც შესატყვისს მეგრულში უძებნის: არაბული სიტყვა **ბატი**, რომლის ქართული შესაბამისი სახელი იყო **„ღერღედი“** (მეგრულში ზოგან შემორჩენილი „ღორღონჯ“-ის სახით); სინონიმებად ფიქსირებული ერთეულების **„ბულბული“** (სპარს.) და **„იადონი“** (ბერძნ.) ქართული სახელი უნდა ყოფილიყო **„მეფშალია“**, რომელსაც საბა განმარტავს „მცირე ბულბულით“ და სინონიმად „ყარანა“-ს უწერს; მეგრულში **„მაფშალია“** ახლაც ერთადერთი სახელია ამ მგალობელი ჩიტისა (ხაზი ჩვენია - კ.გ.)(ჩიქობავა, 1966:30).

ამავე სტატიაში განიხილავს უცხო ენიდან შეთვისებულ **ბაჟ-** ძირს ქართული **ზუერ-** ფუძის ნაცვლად: X საუკუნეში, ქადაგების დროს ბოლნელი ეპისკოპოსი იოანე სამწყსოს უხსნის, რას ნიშნავს „მეზუერე“, „საზუერე“ და სპარსული „ბაჟის“ მეშვეობით განმარტავს ქართულ სიტყვას, სახარების ტექსტს რომ შემორჩენია. „ზუერი“, „მეზუერე“, „საზუერე“ ქართული სიტყვის ძირებია (მეგრულში დღესაც ცოცხალია: ზირუნს „კრებს“, „ოგაფალიში მაზირალი“ - გადასახადის, „მისაგებლის“ ამკრები) (ხაზი ჩვენია - კ.გ.) (ჩიქობავა, 1966:28).

აკად. არნ. ჩიქობავას შეფასებით „თანამედროვეობა და ტრადიცია „ვეფხისტყაოსნის“ ენაში ისე არის შეხამებული, რომ ერთ-ერთის უგულებელყოფა რუსთაველის ენის სწორად გაგებას დააბრკოლებდა, შეუძლებელს გახდიდა რუსთაველის ენისათვის სათანადო ადგილი მიგვეჩინა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში“ (ჩიქობავა, 1966:38).

აკად. არნ. ჩიქობავას ამ ანალიზს ეყრდნობა პროფ. დ. მელიქიშვილი, როცა ასკვნის, „თანამედროვე ქართული ენის დიალექტებად დანაწილებისა და დიალექტების მიხედვით ენობრივ მოვლენათა განაწილების დღევანდელი ფარგლები არ ემთხვევა ძველი ქართული ენისას. ამიტომ თანამედროვე ვითარების მიხედვით ძველი ქართული ენის ძეგლებში დიალექტიზმების ძიება იშვიათად თუ მოგვცემს სწორ შედეგს“ (მელიქიშვილი, 2009:86).

ამას გულისხმობს პროფ. რ. შეროზია, როცა უძველეს ტექსტებში დადასტურებულ მეგრულ-ლაზური ძირ-ფუძის ერთეულებს: **მირულება, კუმინვა, მოწილვა, ღუმინვა, განლიგება, წიდა...** ძველ სამწერლო და, სავარაუდოდ, ზეპირ მეტყველებასთან მიმართებით საერთოქართველურ, არადიალექტურ სიტყვა-ფორმებად მიიჩნევს. თანამედროვე სალიტერატურო ენის პოზიციიდან, მათ არქაიზმებად

თვლის. ამ ჯგუფში არ განიხილავს ლექსემებს, რომლებიც უცვლელად მკვიდრობს ძველსა და ახალ მწერლობაში (ბორკილი, ქარიშხალი, შური, ჩინებული) (ხაზი ჩვენია - კ.გ.) (შეროზია, 2019:87-88).

მაშასადამე, უძველეს წერილობით ტექსტებში დღეს დიალექტიზმებად მიჩნეული ფორმები, სავსებით შესაძლებელია იმდროინდელი სალიტერატურო ენის კუთვნილებაც ყოფილიყო.

სულხან-საბა ორბელიანის თვალსაზრისი

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის („სიტყვის კონა“) შექმნის უმთავრესი მიზეზი, როგორც „ანდერძ-ნამაგიდან“ ჩანს, იყო ქართველური ენის გადარჩენა შერყვნისა თუ გაქრობისაგან: „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო... ვინაჲთგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თავის ნებაზედ გაერყვნათ“ (ორბელიანი, 1991:27). ლექსიკოგრაფის მიზანი იყო, ესწავლათ „ენა ქართული, შესრულებული და განვრცელებული და განრკვეული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეფისა მიერ“ (ორბელიანი, 1991:28). აქედან ჩანს, რომ სულხან-საბა ორბელიანისთვის შესაკრებ ფონდს წარმოადგენდა საერთოქართველური მასალა („შესრულებული და განვრცელებული“ ფარნავაზ მეფის დროიდან მოყოლებული - კ. გ.) როგორც წერილობითი წყაროებიდან, ისე ზეპირი გზით მოპოვებული. სწორედ ამიტომ გვხვდება მის ლექსიკონში არაერთი დიალექტური ერთეული, როგორც სამწიგნობრო ენის გამდიდრების უმთავრესი წყარო.

დიალექტური მასალის განმარტებისას გამოკვეთილად ჩანს ავტორის დამოკიდებულება სალიტერატურო ენისა და დიალექტების ლექსიკური მასალის მიმართ:

1. ე.წ. დიალექტური სიტყვა-ფორმის განმარტებისას იგი არ მიუთითებს ამ სიტყვათა სადაურობაზე; მაშინ, როცა უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებზე ყოველთვის აღნიშნავს, რომ ეს ლექსემა ქართული არაა; მაგ.: **„სხვათა ენაა“, „თათართა ენაა“, „სომხურია“, „ბერძნულია“**... მაგ.: **„ეგირი** თათრულია, ქართულად კოთხუჯი ჰქვიან“; **„აზატი** სომხურია, თავისუფალს ჰქვიან“; **„მოროს** ბერძნულ[ად] სულელს უწოდენ“...
2. დიალექტური მასალა განმარტებულია როგორც გარკვეულ სოციალურ წრეში მოხმარებული ფორმა: **„მსოფლიონი... უწოდებენ“**, ან **„გლეხურად“/„გლეხნი... უწოდებენ“;** ზოგჯერ კი კუთხეზეცაა მინიშნება, მაგ.: **„მათე** მცირე ფოსო გლეხურად“; **„ბებია** გლეხნი ყრმათ ამქმელს უწოდებენ“; **„კუდური** კუდიანი. ამას მსოფლიონი გრძნეულს უწოდებენ“; **„დასტი** ჭანნი კოკას უჭმობენ; საღვინეა დიდი“; **„კოხუჯი** (კოხუნჯი) იმერული ქალამანი“; **„ოჯიჯი** ბადე მეგრულად“; **„ჟარე** იარე მესხურად“...[3]
3. ჩვენი საკითხისათვის, მეგრულთან დაკავშირებით, საინტერესო მიმოხილვას აკეთებს მწიგნობარი **ჟღურტულის** განმარტებისას: „მეგრელთაგან მრუდი ლაპარაკი, გინა ჩხიკვთა და კაჭკაჭთაგან ლაპარაკი Z. ესე არს მეგრელთა და მისთანათა ავენოანთა ლაპარაკი, გინა ჩხიკვთა და კაჭკაჭთაგან ლაპარაკი AB. მეგრელთა და მისთანათა ავენოანთაგან ლაპარაკი Cb“... (ორბელიანი, 1991-1993).

---

[3] საკითხისათვის იხ. ლ. ბაკურაძე „სიტყვათა სტილიური თვალსაზრისით დაჯგუფების თავისებურებანი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში“, საენათმეცნიერო ძიებანი VII, 1998:150

ირკვევა, რომ სულხან-საბა ორბელიანისთვის მეგრული არის „მრუდი, ავენოანთა“, ანუ არანორმირებული, სალიტერატუროსაგან განსხვავებული მეტყველება. ამასთან მეცნიერი კ. დანელია მიუთითებს, რომ **ჟღურტულის** განმარტება „ზოგადად ამჟღავნებს ავტორის შეხედულებას მეგრულ მეტყველებაზე, როგორც ქართულთან მიმართებით ძლიერ შეცვლილ („მრუდ“) სახეობაზე (წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებელი ენის სიმრუდეზე ლაპარაკი უაზრობა იქნებოდა)“ (დანელია, 1991:615).

პროფ. თ. გვანცელაძის აზრით, „ტერმინები **„ავენოანთა ლაპარაკი“** და **„მრუდი ლაპარაკი“** არასტანდარტული მეტყველების, კუთხური საუბრის აღმნიშვნელია. **„მეგრელთა და მისთანათა ავენოანთა ლაპარაკი“ - მისთანათა** გულისხმობს, რომ მეგრელები და **ზოგი სხვა კუთხის** მცხოვრებნი სამწიგნობრო ენისაგან ან ზეპირი კოინესაგან განსხვავებული ინტონაციით მეტყველებენ (ჟღურტულებენ)“ (გვანცელაძე, 2006:71).

პროფ. რ. შეროზია მიუთითებს ლექსიკონში დადასტურებულ **ავენაობის** ანტონიმურ ცნებაზე **ენამზეობა - ენაგანათლებულობა.** თვლის, რომ **„ენაგანათლებულობა** აუცილებლად გულისხმობს სალიტერატურო ენის ცოდნას, მასზე მეტყველებას. **ენაგანათლებულთ** ერთნაირად უპირისპირდებიან როგორც „გლეხურად“, ისე „მრუდედ“ მოსაუბრენი, „ავენოანნი“, ანუ სხვადასხვა („მისთანათა“) დიალექტებზე მოლაპარაკენი... [სულხან-საბასთვის] მეგრულ-ლაზური დამოუკიდებელი, სხვა ენა რომ ყოფილიყო, ერთეულებს... დაურთავდა „სხვათა ენააო“, ან „მეგრელთა ენააო“ (შეროზია, 2007:391-392).

პროფ. ე. დადიანის მიხედვით, „სულხან-საბასთვის მეგრული და ჭანური (იმერულის, მესხურის... მსგავსად)

ქართული ენის კილოებია და არა ენები... „ავენაობა“ და „მრუდი ლაპარაკი“ სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ, დამახინჯებულ ვარიანტს, დიალექტურ მეტყველებას აღნიშნავს“ (დადიანი, 2009 ა:67-68).

XVIII საუკუნემდელი ქართველური ენობრივი სამყაროს ზუსტ შეფასებას გვაძლევს კონსტანტინე გამსახურდია:

1. იაკობ ცურტაველმა, გიორგი მერჩულემ, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა, პეტრიწონელმა და რუსთაველმა შექმნეს „მაგისტრალური ხაზი ქართული ენისა, რომელმაც აქცია ქართული ენა მწერლობისა და ფილოსოფოსების ენად; ეს იყო ასაკი სიმწიფისა, საიდანაც იწყება დიდი დიაპაზონის ქმნილებათა დაწერის შესაძლებლობა...“ (გამსახურდია, 1967:211,213);
2. „ქართული ენის სინთეტიური ერთიანობის ნაყოფია რუსთაველი. იგი ამ ეპოქაშია წარმოშობილი, როცა ქართული სიტყვა ტომობრივი დიალექტების გადაღმა იდგა, როგორც სპონტანური, უაღრესად თავისებური მოვლენა; და სიტყვა ქართული დიალექტებით გამიჯ-ნული როდი იყო, არამედ ერთობლიობის მწვერვალამდის ასული“ (გამსახურდია, 1963:318-319);
3. „მხოლოდ საბა ორბელიანმა, ამ დიდმა მამულიშვილმა და სახელმწიფო კაცმა, ჭეშმარიტად „მამამ სამშობლოისამ“, შესძლო კვლავ გაეხსნა დაშრეტამდე მიმდგარი წყაროს თვალი ქართული სიტყვისა“ (გამსახურდია, 1967:211,213).

1.2. რუსული ენობრივი პოლიტიკა და ქართველ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა დამოკიდებულება მეგრული მეტყველების მიმართ XX საუკუნის 50-იან წლებამდე

მეფის რუსეთის და შემდეგ საბჭოთა პერიოდის მესვეურთა მიდგომები ქართველური ენობრივი ერთიანობის რღვევისკენ იყო მიმართული. კერძოდ, მათ მიზნად დაისახეს „მეცნიერული“ „კვლევებით“ (კვაზიმეცნიერულად) საქართველოს კუთხური მეტყველებების დამოუკიდებელ ენებად გამოცხადება და ამ „ენებზე“ საქმისწარმოებისა თუ საეკლესიო ღვთისმსახურების დაწყება. ამისთვის რუსული ანბანის საფუძველზე, გენერალმა უსლარმა შექმნა „სვანური ანბანი“, ხოლო პეტერბურგელმა პროფესორმა ალ. გრენმა - „მეგრული ანბანი“. ამავე პერიოდში, ხონის სემინარიის მასწავლებლებმა: ივან პეტროვმა და თადა აშორდიამ, შექმნეს მეორე მეგრული ანბანი, შეადგინეს მეგრული საკითხავი ტექსტები, დაიწყეს საღვთო წიგნების მეგრულად „თარგმნა“.

ეს იყო პირველი მცდელობა მეგრული და სვანური დამწერლობების შექმნისა. ამ პროცესებს აქტიურად აღუდგნენ წინ გამორჩეული ქართველები, მათ შორის სამეგრელო-სვანეთის ქართველობა, რომელთაც, ტ. ფუტკარაძის შეფასებით, „სრულად გააცნობიერეს, რომ რუსეთის იმპერიის მოხელეები კულტურულ ისტორიას უუცხოვებდნენ და მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენის შემქმნელ საზოგადოებას დედაენად უცხადებდნენ უმწერლობო კუთხურ მეტყველებას“ (ფუტკარაძე, 2019:41).

მეცნიერთა შეფასებით, მეგრული და სვანური ანბანების საფუძვლად რუსული გრაფიკის შერჩევა აშკარად მიანიშნებდა იმპერიის მიზნებს, ჯერ შეეჩვია მეგრელები და სვანები რუსული გრაფიკისათვის, შემდეგ კი, მათი გაუქმების შედეგად, თავს მოეხვია მათთვის რუსული ენა. ამ მოსაზრების გასამყარებლად იმოწმებენ გრენის მიერ 1899

წელს შედგენილი სახელმძღვანელოს („Мингрельская азбука“) წინასიტყვაობაში დაფიქსირებულ პოზიციას: „ამ ანბანის შედგენისას მე მიზნად მქონდა, როგორმე, თუნდაც არაპირდაპირ, გამომეწვია ნაციონალური ბრძოლისათვის მეგრელები, რომელნიც ითელებიან უფრო ძლიერი ქართველი ხალხისაგან. ასეთი ბრძოლა, ჭეშმარიტად, სრულიად შეუძლებელია საკუთარი ეროვნული ანბანის უქონლად, [იმ ანბანისა], რომლითაც მეგრელი თავის აზრებს ისევე გამოხატავდა, როგორც მისი მტერი, ამ შემთხვევაში - ქართველი“ (გვანცელაძე..., 2001:104).

საღვთო წიგნების მეგრულ დიალექტზე გადაღებას 1860 წელს მოჰყვა ღვთისმსახურების მეგრულად გადაყვანის მცდელობაც, რომელიც ახალ სენაკში გამართულ სამღვდელოების ყრილობაზე შეაფასეს, როგორც მწვალებლობა, წმინდა წერილის გამასხრება და კუთხურობის გაღვივება (როგავა, 1999:13-14).

ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის საეკლესიო და საერო სკოლების ზედამხედველი, დეკანოზი ი. ვოსტორგოვი დაუპირისპირდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ალექსანდრე ოქროპირიძეს, რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით საეკლესიო-სამრევლო სკოლებში სამწიგნობრო ქართულის ნაცვლად ადგილობრივი „ენა“ უნდა ისწავლებოდესო. „მეგრულენოვანი“ სკოლების დაარსების მცდელობა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდშიც (1918-1920) იყო. ამ საკითხში აქტიურობდა ფოთსა და ზუგდიდში მოქმედი ორგანიზაცია „მაფალუ“ (ფუტკარაძე, 2019:44-46).

შდრ.: ვ. გვარამია, გ. ციციშვილის აზრით, „მაფალუს“ აქტიურობა იყო „მეცადინეობა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა მეგრული ენა და მეგრული თვითმყოფადი ყოფითი კულტურა“ (გვარამია..., 2009:101).

ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების გეგმა გააქტიურდა 1913 წელს ი. სტალინის წიგნის „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“[4] გამოცემით. კერძოდ, ი. სტალინმა **უმწერლობო ენის მქონე დაგვიანებულ ერებად თუ ხალხებად გამოაცხადა მეგრელები, აფხაზები, აჭარლები, სვანები, ლეკები და სხვ. – „კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ? ...ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ“** (სტალინი, 1951:138-142).

ამ კონცეფციის შესაბამისად, შემდგომში გამოიკვეთა ორი მიდგომა: 1. სამეგრელოში საქმისწარმოების, განათლების, პრესის ენად სამწიგნობრო ქართულის შენარჩუნება და 2. 1925 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით („მეგრული საკითხის შესახებ“) მეგრული მეტყველების დამკვიდრება[5].

პროფ. ტ. ფუტკარაძისა და მ. თედორაძის თვალსაზრისით, **„მეორე მიდგომის მომხრენი არ წარმოადგენდნენ სამეგრელოს,** მათი იდეები არ ეფუძნებოდა სამეგრელოს ქართველობის ინტერესებსა და სურვილებს. ისინი იყვნენ არა სეპარატისტები, არამედ **საბჭოთა იმპერიის ენობრივი**

---

[4] ვიმოწმებთ 1951 წლის გამოცემიდან.

[5] ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2019, გვ. 52-54; მ. თედორაძე, „ენობრივი ერთეულის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (საუკუნოვანი დისკუსია ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ)“, სადოქტორო დისერტაცია, ქუთ., 2018, გვ. 46-47.

პოლიტიკის ბრმა მიმდევრები, რომლებიც ვერ აცნობიერებდნენ, რომ ამ გზაზე დადგომით უარს ამბობდნენ მათივე წინაპრების მიერ შექმნილ მრავალსაუკუნოვან სამწიგნობრო კულტურაზე“ და მათ **სტალინელ კოლაბორაციონისტებს** უწოდებენ (თედორაძე, 2018:47; ფუტკარაძე, 2019:54).

„სტალინელი კოლაბორაციონისტები“ ორ ჯგუფს წარმოადგენდნენ: სპეციალურ ლიტერატურაში **„ჩხოუშიელი ავტონომისტების“** სახელით ცნობილი ჯგუფი (აქ ერთიანდება ბუკონია-ბესელიას ჯგუფი, გრ. ახალაიას ჯგუფი, ბეგლარ ბერიას ჯგუფი) და **ისააკ ჟვანიას** ჯგუფი. ორივე ჯგუფი ითხოვდა მეგრული მეტყველების სამწერლობო ენად გადაქცევას და მის დამკვიდრებას დაწყებითი განათლების თუ საქმისწარმოების ენად.

„ჩხოუშიელი ავტონომისტების“ აზრით, „მეგრელი ხალხი ცალკე ერია, მეგრული კი არის დამოუკიდებელი ენა... კაცობრიობის უხსოვარი დროიდან მეგრელი ხალხი ქართველი (ქართველური) ტომისაგან გამოირჩევა როგორც ჩვეულებით, ისე სალაპარაკო ენით; მეგრელი ხალხი იჩაგრება იმიტომ, რომ მეგრული ენით არ მიეწოდება კომუნიზმის იდეები და ითხოვენ ბელადების წიგნების თარგმნას მეგრულ ენაზე. ავტორები ემიჯნებიან ქართველ ერს და მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება მათ, როგორც დამოუკიდებელ ერს, ისე უნდა მოექცეს“ (თედორაძე, 2018:49; ფუტკარაძე, 2019:57-58).

ისააკ ჟვანიას ჯგუფი ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებისთანავე ითხოვდა სამეგრელოს გამოცხადებას ადმინისტრაციულ ოლქად, მეგრული სკოლების დაარსებას და მეგრული გაზეთების გამოცემას.[6]

მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოს ავტონომიური ოლქი არ შექმნილა, ლავრენტი ბერიამ საშუალება მისცა ისააკ

[6] ისააკ ჟვანიას ჯგუფის მუშაობის შესახებ ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2019, გვ. 60-70

ჟვანიას ჯგუფს გაეხსნა პირველდაწყებითი მეგრული სკოლები (1932 წ.), თუმცა მეგრული სკოლების ფუნქციონირების შესამოწმებლად, განათლების სახალხო კომისარიატის სახელით სამეგრელოში მიავლინა ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა, რომლის დასკვნის საფუძველზე 1933 წლის ბოლოს დაიხურა მეგრული სკოლებიც და მეგრული გაზეთებიც.[7] დასკვნაში მეცნიერმა დაასაბუთა, რომ „ქართული გვარტომობის მოსახლეობის მეცნიერებისა და ლიტერატურის ენა ყოველთვის იყო სამწიგნობრო ქართული ენა და ის მეგრელი და სვანი ბავშვების ნორმალური განვითარებისათვის ისეთივე ბუნებრივი და პედაგოგიურად მიზანშეწონილი იარაღია, როგორც ხევსური და გურული ბავშვებისათვის“; მეფის რუსეთისგან მეგრულზე ზრუნვა სამწიგნობრო ქართულის შევიწროების საშუალებად წარმოადგინა და მისი გამოყენება სწავლების პროცესში აუცილებლად მიიჩნია, როგორც დამხმარე საშუალებისა სამწიგნობრო ქართული მასალის შეთვისების გასაადვილებლად (თედორაძე, 2018:60).

რუსული პოლიტიკის პრინციპს უკავშირდება სამეცნიერო ველში ჩამოყალიბებული წინააღმდეგობრივი შეხედულებები ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა ალ. ცაგარელის გამოკვლევები, სადაც გარკვეული მერყეობა შეინიშნება. ერთგან ის მიუთითებს მეგრულის, ლაზურისა და სვანურის იბერიული ფუძე ენის დიალექტობაზე, და სტატუსით არ განასხვავებს ამავე ენის სხვა კილოკავებისაგან (ცაგარელი, 1873:8-9); სხვა ნაშრომებში კი მეგრულს, ლაზურს და სვანურს ენებად მოიხსენიებს

[7] ვრცლად 1925-1932 წლებში ქართველური კუთხური მეტყველების გამოყენების შესახებ იხ.: მ. თედორაძე, „ენობრივი ერთეულის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (საუკუნოვანი დისკუსია ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ)“, სადოქტორო დისერტაცია, ქუთ., 2018, გვ. 59-70. ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2019, გვ. 71-96;

(ცაგარელი, 1872:10; 1880:11). იმდროინდელ პრესაში ვრცელდებოდა ინფორმაციები ალ. ცაგარელის მიერ „მეგრული ენის გრამატიკისა“ და ლექსიკონის შექმნაზე (დროება:1878, №3; 1884, №201), რასაც „დროების“ რედაქტორის მხრიდან შეფასებებიც მოჰყვა, სტატიაში „მეგრელებისთვის ძალად მზრუნველი“ „ცრუ მეცნიერად“ მოიხსენიეს მეცნიერი (დროება:1885, №49).

თ. გვანცელაძის მოსაზრებით, **„ალ. ცაგარელს ყოველთვის სწამდა, რომ მეგრული, ჭანური და სვანური ენები კი არა, ქართული ენის დიალექტებია, მაგრამ მასზე ზეგავლენას ახდენდნენ ხელისუფლება და ცენზურა, რომლებიც, ეტყობა, მისგან მოითხოვდნენ, ენებად გამოეცხადებინა მეგრულ-ჭანურ-სვანური.** სავარაუდოა ისიც, რომ ა. ცაგარელმა 1873 წელს ისარგებლა ცენზურის მიერ ყურადღების ოდნავ მოდუნებით და დააფიქსირა თავისი ნამდვილი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ როცა ნათლად დაინახა, თუ რა დამღუპველი შედეგი შეიძლებოდა მოეტანა ქართველი ერის ერთიანობისათვის მის იმ ნაშრომებს, რომლებშიც მეგრულს, ჭანურსა და სვანურს ავტორი ენებს უწოდებდა, მან პირად ამბიციასა და სამეცნიერო ინტერესებზე მაღლა ქართველი ერის ინტერესები დააყენა და საერთოდ აიღო ხელი ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებაზე“ (გვანცელაძე, 2003:120-122).

ცნობილია ნ. მარის აზრთა სხვადასხვაობის ფაქტებიც, ის ხან ტერმინ „დიალექტს“ იყენებს, ხან „ენას“. დავიმოწმებთ ნ. მარის მოსაზრებას წერილიდან „ქართველთა ეროვნება“, რომელიც დეკანოზ ი. ვოსტორგოვის პასუხად დაიწერა: „ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში მონაწილეობას იღებდნენ: ქართლელები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ლაზ-ჭანები, და სხვანი... და ამათ საზოგადო ქართულ ლიტერატურაში ერთად შეაქვთ უფრო დიდი განძი, ვიდრე თვით ქართლელებს... საღვრთო წერილის ტექსტში ჩვენ

ვპოულობთ წმინდა ჭანურ ანუ მეგრულ, იმერხეულ და სხვა ტომთა სიტყვებს. ამ რეალურის კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით, ქართული სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგრული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდენათაც ქართლური. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა საქართველოს ტომისათვის“ (მარი, 1905:9-10). 1910 წელს კი, „ჭანური ენის გრამატიკაში“ ენაა ქართულიც, ჭანურიც, მეგრულიც და სვანურიც (მარი, 1910:22-23).

თ. გვანცელაძე ნ. მარის არათანმიმდევრულ და ტერმინოლოგიურ სიჭრელეზე შენიშნავს: „ნ. მარი არცთუ იშვიათად გამოთქვამდა ისეთ მოსაზრებებს, იყენებდა იმგვარ ტერმინებს, რომლებიც წყალს ასხამდა ჯერ ცარიზმის, შემდეგ კი კომუნისტური იმპერიის წისქვილზე და საფრთხეს უქადდა ქართველი ერის მთლიანობას“ (გვანცელაძე, 2003:124).

რუსული იდეოლოგიით ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, წინ აღუდგნენ გამორჩეული ქართველი საზოგადო მოღვაწეები: დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია და სხვ. მათ გააცნობიერეს ის საფრთხეები, რომელსაც რუსული რეჟიმი უქადდა საქართველოს. ქართველმა კლასიკოსებმა 1879 წელს **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“** შექმნით, აქტიური ბრძოლა გამოუცხადეს რუსული ენის გაბატონებას.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ უმთავრესი ღონისძიებები, სკოლების გახსნასთან ერთად, იყო სისტემატიური ხასიათის სახალხო კითხვები, როგორც ქალაქებში, ისე დაბა-სოფლებში; სისტემატიური კურსი ლექციებისა საქართველოს ისტორიიდან, ბუნების მეტყველებიდან, პოლიტიკურ ეკონომიიდან,

კულტურის ისტორიიდან; საზოგადოება ხელმძღვანელობდა წიგნების, სახელმძღვანელოების გამოცემას, ბიბლიოთეკების გახსნას...

XIX საუკუნის 80-იან წლებში სამეგრელოში შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო (ცარიზმის მოხელეები ყოველმხრივ ცდილობდნენ დაერწმუნებინათ სამეგრელოს მოსახლეობა მათ არაქართველობაში და მეგრული ენის შემოღების საჭიროებაში), საზოგადოების გამგეობამ გადაწყვიტა სამეგრელოში ქართული სკოლის გახსნა, რასაც მოსახლეობაში ქართული სულისკვეთების გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა. 1884 წელს ქუთაისის საანწაურო სკოლის ერთი მოსამზადებელი განყოფილების გადმოტანას სოფელ ძველ სენაკში (სენაკის მაზრა), მოჰყვა გაფართოება და იქცა სრულ მოსამზადებელ სასწავლებლად, რომლისთვისაც 1885 წელს აშენდა სკოლის ახალი შენობა[8], ადგილი კი, უსასყიდლოდ დაუთმო სამეგრელოს თავადმა ნიკოლოზ დავითის ძე დადიანმა. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ აკაკი წერეთელს სთხოვა მონაწილეობა მიეღო სკოლის ახალი შენობის საზეიმო კურთხევაში და სიტყვა წარმოეთქვა, რაც დიდმა პოეტმა კმაყოფილებით იკისრა (გაგუა, 1979:21-22).

ძველი სენაკის სკოლაში სწავლა-განათლება მყარ ეროვნულ საწყისებზე იყო აგებული. ამას მშვიდად ვერ უყურებდნენ მთავრობის განათლების მოხელენი. ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა ფ. ლევიტსკიმ, ძველი სენაკის საანწაურო სკოლას გაუგზავნა წერილი, რომლის მიხედვითაც სკოლაში სწავლა მეგრულად უნდა ყოფილიყო, ხოლო „ქართული ენა“ მეორე წლის დასაწყისიდან ესწავლებინათ. ამ წერილს პროტესტით შეხვდნენ სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, მთელი სოფლის

---

[8] აკ. წერეთელს ძველ სენაკში სკოლის გახსნის იდეა ჯერ კიდევ 1873 წელს ჰქონდა წამოყენებული.

მოსახლეობა. სკოლის ინსპექტორმა სამსონ ყიფიანმა ლევიტსკის გაუგზავნა საპასუხო წერილი, სადაც ასაბუთებდა ქართულ ენაზე სწავლების აუცილებლობას. ს. ყიფიანმა ამ მიმოწერის შინაარსი გააცნო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობას, რომელმაც ეს საკითხი სპეციალურად განიხილა 1886 წლის 14 ნოემბერს (ოქმი №8). საზოგადოების თავმჯდომარეს, ილია ჭავჭავაძეს ოქმში თავისი ხელით ჩაუწერია: „გამგეობამ განიხილა რა მიწერ-მოწერა სენაკის სკოლის ინსპექტორისა, დაინახა, რომ ინსპექტორის პასუხი დაფუძნებულია კანონით მონიჭებულ უფლებაზედ და თვით სკოლა, ვითარცა განყოფილება ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლისა არსებობს და მოქმედებს ამ კანონიერ უფლების მიხედვითა, ამიტომაც გამგეობამ დაადგინა: მიეწეროს ინსპექტორს ამ კანონიერ საფუძვლიდან არ გადავიდეს, ყოველივე შემდეგი მიწერ-მოწერა დირექტორის მიმართ ამ კანონიერ საფუძველზედ დაამყაროს და როცა დირექცია საჭიროდ დაინახავს პირდაპირ გამგეობას გამოელაპარაკოს ამ საგანზედ, მაშინ თვითონ გამგეობა ვალდებული იქნება წარუდგინოს დირექციას თავისი კანონიერი საბუთები“.

1887 წელს ლევიტსკი უგზავნის ს. ყიფიანს ა. გრენის მიერ შედგენილ მეგრულ ანბანს და ავალებს გაეცნოს მას. ეს წერილი განიხილა საზოგადოების გამგეობამ და ილ. ჭავჭავაძემ გამგეობის დადგენილება ასე ჩაწერა ოქმში: „მიღებულ იქნან სკოლაში მხოლოდ ის მეგრელი ყმაწვილები, რომელთაც ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვა იციან; შეუძლიათ აგრეთვე მიიღონ ისინიც, რომელთაც ქართული ენა არ იციან, თუ დედ-მამა ამ ყმაწვილებისა თანახმა იქნებიან, რომ სწავლება სკოლაში ქართულ ენაზე დააწყებინონ“.

ამ წერილთან დაკავშირებით სამსონ ყიფიანმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვა, მაგრამ ძველი სენაკის მოსახლეობამ თავად მხეიძის პირით გამგეობის წინაშე აღძრა

შუამდგომლობა, რომ ეს თხოვნა არ დაეკმაყოფილებინათ. პირადად ილია ჭავჭავაძის თხოვნით ს. ყიფიანი ძველ სენაკში დარჩა. მხეიძის განცხადებას ილ. ჭავჭავაძემ შემდეგი მინაწერი გაუკეთა: „რადგან ბ-ნ ყიფიანმა პატივი დასდო გამგეობის თხოვნას და სკოლაში თავის თანამდებობაზე დარჩენას დასთანხმდა, მიეწეროს ბ-ნ მხეიძეს, რომ მისი სურვილი შესრულებულია“ (გაგუა, 1979:21-24).

ეს ფაქტი მიგვითითებს, რაოდენ მოხერხებულად და ფრთხილად მოქმედებდნენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელმძღვანელობა და წევრები, რათა საბოლოოდ სასურველი შედეგისთვის მიეღწიათ.

ფართოდ განვიხილოთ ქართველ კლასიკოსთა ენობრივი შეხედულებები:

დიმიტრი ყიფიანის თვალსაზრისი

ქართველი საზოგადო მოღვაწე, დიმიტრი ყიფიანი თავის დამოკიდებულებას ქართველური ენისადმი, როგორც ქართველი ერის ნაციონალური თვითმყოფადობის უმთავრესი საშუალებისადმი, გამოხატავს, როცა ერთგან წერს: „უსათუოდ გადაგვარდება, ღმერთიც ხელს აიღებს და საკაცობრიო ცხოვრების ასპარეზიდან პირწმინდად აღიგვება ხალხი, რომელიც თავისის ენისათვის არასა ჰზრუნავს“ (ყიფიანი, 2014:372).

დ. ყიფიანმა 1865 წელს გაზეთ „кавказ“-ის 83-ე ნომერში, თავისი წერილით **„ისევ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ 194-ე ნომერში გამოქვეყნებული მოწინავე სტატიის გამო“**, როგორც თვითონ აცხადებს, „დარღვეული ჭეშმარიტების აღდგენას“ მიჰყო ხელი. პუბლიცისტი ამჟღავნებს თავის მკაფიო აზრს მეგრულთან დაკავშირებით: სამურზაყანოელები მეგრელები

არიან, მათი სამწერლო ენა ქართულია, საერთო-სახალხო და საშინაო ენა კი - მეგრული, - „რას წარმოადგენს მეგრული ენა? ესაა მეტ-ნაკლებად თავისთავადი patois (ფრანგ. ლინგვისტური ტერმინი, რომელიც ნიშნავს დიალექტს, კილოს/კილოკავს, სპეციფიკურ ადგილობრივ (პერიფერიულ) მეტყველებას), მეტ-ნაკლებად დაშორებული პერიფერიული კილო ქართული ენისა. ამ ენაში, ისევე როგორც სამურზაყანოულში, თითქმის ყველა ფუძე, ძირითადი გრამატიკული ფორმები, ბრუნება, უღლება ქართულია. 1850-იან წლებში იქ იყო მცდელობები, ღვთისმსახურება მეგრულ ენაზე შემოეღოთ, მაგრამ ყველა ეს განზრახულება ჩაშალა ენის პროფანაციის საფრთხით გამოწვეულმა შიშმა, რადგანაც თხუთმეტ საუკუნეზე მეტია მართლმადიდებლური ღვთისმსახურება იქ ქართულ ენაზე სრულდება; იმ ენაზე, რომელიც ზოგმა კარგად იცის, ზოგს კი კარგად ესმის“ (ყიფიანი, 2017:44).

მაშასადამე, დ. ყიფიანი მეგრელებისთვის, როგორც ნებისმიერი ქართველისთვის სამწიგნობრო ქართულ ენაზე სწავლებას სავსებით ბუნებრივ და გასაგებ საქმედ თვლიდა.

1880 წელს დ. ყიფიანმა კვლავ გაილაშქრა ენის დასაცავად და „დროების“ 262-ე ნომრის წერილში ქართველური ენა წარმოადგინა, როგორც დიდი ტრადიციებისა და კულტურის მქონე ფენომენი, ხაზი გაუსვა მის ისტორიულ ფუნქციას, რის შემდეგაც რიტორიკული მიმართვა გაუგზავნა მავანთ: „ჩინგის-ხანმა, ლანგ თემურმა, შაჰ აბასმა, ნადირშამ ვერ შემუსრა ჩვენი ხალხოსნობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ?!“ (ყიფიანი, 2017:75).

1881 წელს დ. ყიფიანმა ფაქტების გადამოწმებით ამხილა იანოვსკის ბნელი და მავნე აზრები ახალგაზრდა თაობის წინააღმდეგ და გაკიცხა მისი დამცველების პირფერობა: „ხალხის ენის ხელყოფა ამ ხალხის არსებობისათვის აუცილებელი წმიდათა წმიდის ხელყოფაა. ქართველები ამისგან დაზღვეულნი უნდა ვიყოთ. ამასთან, არც ის

დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი დამორჩილება ვერავინ შეძლო...“ (ყიფიანი, 2017:89,92). წერილის დასასრულს წარმოადგინა ქართული სალიტერატურო ენის მრავალფეროვნება და მოქნილობა, სრულყოფილი ანბანი და „უჩვეულო სიცოცხლისუნარიანობაზე“ გაამახვილა ყურადღება.

დ. ყიფიანმა დააყენა საკითხი სალიტერატურო ენის ხალხურ ენასთან დაკავშირებისა და მძიმე ფორმებისაგან ლიტერატურული ენის გაწმენდის თაობაზე. მისთვის სამწერლო ენის ერთადერთი საიმედო საფუძველი ხალხის ყოველდღიური სასაუბრო ენაა, რომლისგან გათიშვა მწიგნობრულ ენას მკვდარ ენად გადაქცევის საფრთხეს უქმნის. ამას გულისხმობს გრამატიკოსი, როცა 1882 წელს თავისი „ახალი ქართული გრამმატიკის“ შესავალში წერს: „...ენამაც უნდა იმდინარეოს; რაც ახალი სწავლისა ან ახალი აზრისათვის საჭირო ლექსი იქნება, ან შეხამება სიტყვებისა, უნდა შეითვისოს ენამ, როგორც მდინარე წყალი პატარ-პატარა წყაროებს ითვისებს; ყოველი - საუბრის დამაშვენებელი სიტყვათ წყობილობა, ფორმა, ყოველი აზრის მოხდენილი გამოხატვა, სახე, მოყვანილობა - დიაღ უნდა მიიღებოდეს; მაგრამ სიფრთხილით, წინმხედველობით, გარჩევით, რომ სიგონჯე და უმსგავსოება არა შემოგვეპაროს რა“ (ყიფიანი, 2014:586-588).

უცხო სიტყვების შემოღებამდე ენის სრული სალარო რომ უნდა იყოს გამოყენებული, ამაზე მიუთითებს მისი შემდეგი სიტყვები: „რაც შინ დასაქადებელი გვეგულება რამე ან დედმამისაგან ნაღვაწი და შემუშავებული, რა კაცობა და რა ერის შვილობა იქნება, რომ სხვების მიბაძვით ავითვალწუნოთ, აქაო და „ელუსამეთს თურმე უკეთა ჰფერვენ სახნის-საკვეთსაო!““ (ყიფიანი, 2014:588).

ენის სიწმინდის დაცვაზე ამახვილებს ყურადღებას პუბლიცისტი 1883 წელს თავის სტატიაში „ბატონ გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორს!“, რომელიც მისი ნაშრომის („ახალი

ქართული გრამმატიკა“) კრიტიკის საპასუხოდ დაიწერა: **„მშობლიური ენა ყოველი ხალხის წმიდათაწმიდაა და მის ხელყოფას, გარდა შეურაცხადობისა, შეუძლებელია რაიმე გამართლება მოეძებნოს... პიროვნების სიცოცხლის ხელყოფა სისხლის სამართლის კანონებით ისჯება, ხოლო ხალხის სიცოცხლის ხელყოფა (რაც გინდათ თქვით და, ენის მოსპობა ხალხის ამოგდებას ნიშნავს) არ შეიძლება გამართლებულ იქნეს სასჯელთა დებულებებში არსებული ხარვეზებით“** (ყიფიანი, 2014:827).

დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობა განხილული აქვს პროფ. ტ. ფუტკარაძეს თავის სტატიაში „დიმიტრი ყიფიანი და ქართული ენა“. ენათმეცნიერის მოსაზრებით, გადასასინჯია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული და წმინდანის ოფიციალურ ბიოგრაფიაში მყარად დამკვიდრებული თვალსაზრისი, მისი გადასახლებისა და მკვლელობის მიზეზთან დაკავშირებით. მისი დასკვნით: „რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლა და დაქირავებულ მკვლელებს - თედორე შულგინსა და გრიგოლ სტრეპეტოვს - მოაკვლევინა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნის, ზოგადად, ქართული ენისა და სხვა ქართული ეროვნული ფასეულობების დაცვის გამო“ (ფუტკარაძე, 2014 ა:162).

იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი

იაკობ გოგებაშვილი მუდამ იდგა დედა ენის სადარაჯოზე, რომელსაც **„ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯი ეროვნებისა“** უწოდა. მისთვის დედა ენა არის „ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან

და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“ (გოგებაშვილი, 1954 ა:208).

იაკობ გოგებაშვილმა წერილით **„დაბალი ღობე ერთა შორის“ (1894)** უპასუხა რუსულ პოლიტიკას ქართველური მეტყველებები ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულებად: „სად თქმულა და გაგონილა, რომ უბრძანონ მთელს მხარესა, კარგა ბლომა ნაწილს ქვეყნისასა: აღარ გაიხსენო შენი ნათესაური დამოკიდებულება დედა-ქვეყანასთანა, ილაპარაკე მხოლოდ შენ შინაურ კილოზედ, ზურგი შეაქციე შენს მთავარ დედა-ენასა და დაივიწყე იგი, გადააგდე იქით **მშობლიური ანბანი, შენი მონაწილეობით მოგონილი, უარჰყავ სამშობლო ლიტერატურა, რომლის სალაროში არც ერთს ძმაზედ შენ ნაკლები არ შეგიტანია,** გააუქმე შენი საღმრთო მეტყველება, რომელთანაც შეხორცებულია შენი სარწმუნოება, **დაივიწყე შენი ათასის წლის ისტორიული არსებობა და გადაიქეც ველურ ხალხად, რომელმაც ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოსო“** (გოგებაშვილი,1954 ა:332).

წერილით **„ენა და კილო“ (1903)** მწერალი გამოეხმაურა სკოლებში მეგრულად სწავლების საკითხს: „ყოველს ერს აქვს **მთავარი ენა,** რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მის **დედა-ენად,** და **თემური კილოები** (наречия), რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ. ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია **დედა-ენაზედ** და ადგილობრივს **კილოებს** ხმარობენ ასახსნელად და განსამარტებლად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით. ამ სახით ეფინება მთელს ხალხში **დედა-ენის** სრული ცოდნა... ასეთი წესია ევროპაში, ამერიკაში და ყველა კულტურულს ქვეყნებში...

ასეთი გონივრული წესი იყო ჩვენს საქართველოშიაც მას უკან, რაც ქრისტიანობა მიიღო ჩვენმა ერმა... ვინ მოიფიქრებდა, თუ ამ გონივრულს წესს, მოწინააღმდეგენი გამო-

უჩნდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში... მაგრამ მხოლოდ ჩვენში, სხვაგან არსად... არ აღმოჩენილა იმისთანა ჭკუა-მოკლე და უკუღმართი ადამიანი, რომელსაც ეთქვას, სკოლებში სწავლება **თემურ კილოებზე** უნდა იყოს და არა **დედა-ენაზეო.**

ჩვენში - კი აღმოჩნდნენ იმისთანა ჭკუით გლახანი, რომელთაც გაჰბედეს და წარმოსთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან **დედა-ენა** უნდა იქნას გამორიცხული, რადგან აქ ხალხი **ადგილობრივს კილოებს** ხმარობსო" (გოგებაშვილი,1954 ბ:477-479).

წერილის დასასრულს აანალიზებს ამ „უკუღმართი აზრის" შედეგს: „დაჭკნობა და გახმობა აუცილებელი შედეგია მათის მოწყვეტისა საერთო ნიადაგიდან... ნაწილი ერისა, რომელიც მოშორდა საერთო ეროვნულს ნიადაგსა, სწრაფად მიდის უკან-უკან, სუსტდება, ველურდება და ხდება მსხვერპლი გამხრწნელი პროცესისა... განცალკევება ჰღუპავს ეროვნულს ხესაც და მისგან მოშორებულს ტოტებსაც... ამიტომ ჩვენ ყველამ წმინდა მოვალეობად უნდა დავისახოთ მტკიცედ დაცვა და აღორძინება ქართულის დედა-ენისა სამეგრელოსა და სვანეთის ეკლესიასა და სკოლაში, ისეთივე მტკიცე დაცვა, როგორც მტკიცედ იცავდნენ ამერნი, იმერნი - მეგრელნი და სვანნი - ამ ეროვნულ საუნჯეს მრავალ საუკუნის განმავლობაში" (გოგებაშვილი,1954 ბ:479-480).

მეგრულისათვის ანბანის შექმნის საკითხს ვრცლად შეეხო იაკობ გოგებაშვილი სტატიებში **„მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის" (1903)[9], „სამეგრელოს საერო სკოლები" (1903), და „ანტიპედაგოგიური ჯიუტობა „კოლხიდის" პედაგოგისა" (1911):**

---

[9] წერილი 1903 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა ჯერ „Петербургские ведомости"-ში, შემდეგ ცალკე წიგნაკად გამოიცა პეტერბურგში „Варианели"-ს ფსევდონიმით.

ავტორი ისტორიულად განიხილავს ქართული ენის როლს, როგორც სარწმუნოებრივი ღვთისმსახურების, სასკოლო, სალიტერატურო და სასამართლო-ადმინისტრაციულ ენას. სტატიაში მეგრელები მოხსენიებულია როგორც **ტომი, ერთ-ერთი ქართველი ტომი;** კონტექსტი ნათლად გვიჩვენებს, რომ ის არ გულისხმობს ცალკე, სხვა რომელიმე უცხო ხალხს, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი ენა. ის იყენებს ტერმინს **„პროვინციული კილო“:** „საკუთარი გულისწადილის გამო **მეგრელებმა, ყველა ქართველ ტომთან ერთად,** იმთავითვე აღიარეს ქართული ანბანი თავის საკუთარ ანბანად, და თავის სალიტერატურო ენად მიიჩნიეს ქართული ენა, **პროვინციულ კილოს** კი მხოლოდ შიანურობაში ხმარობდნენ. ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურით მეგრელები ისე ამაყობდნენ, როგორც თავისი ეროვნული საუნჯით და რუსთაველი და მისი მემკვიდრეები საკუთარ ეროვნულ გენიოსებად მიაჩნდათ. მათ არასოდეს აზრად არ მოსვლიათ ცალკე ანბანის შეთხზვა, ცალკე სალიტერატურო ენისა და განსაკუთრებული ლიტერატურის შექმნა... წინააღმდეგ შემთხვევაში, მეგრელებს ადვილად შეეძლოთ ლიტერატურულად განცალკევებულიყვნენ, რადგან მათი სამშობლო ძალიან ხშირად სარგებლობდა პოლიტიკური დამოუკიდებლობით და საკუთარ ბედს თვითონვე განაგებდა. მეტიც, ასე თუ ისე განათლებული მეგრელები ყოველთვის შესანიშნავად ჰფლობდნენ ქართულ სალიტერატურო ენას, ამ მხრივ ხშირად კიდევაც სჯობნიდნენ სხვა ქართველ ტომთა წარმომადგენლებს და უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქართული პოეზიის, მხატვრული პროზისა და მეცნიერების გამდიდრებაში. ასე, რომ საბოლოო ჯამში, მათ ქართული ლიტერატურის საუნჯეს შეჰმატეს არა ნაკლები გონებრივი კაპიტალი, ვიდრე ცალკე აღებულმა რომელიმე სხვა ქართველმა ტომმა... თუ რაოდენ აუცილებელ შინაგან მოთხოვნილებას შეადგენდა ქართული ენა მეგრელ-

თა ტომისათვის, ჩანს იქიდან, რომ სამეგრელოს მიტროპოლიტთა, ეპისკოპოსთა და თვით მფლობელ მთავართა მიერ გაცემული სიგელები ქართულ ენაზე იწერებოდა და მთელი საქმის წარმოება როგორც ადმინისტრაციულ დარგში, ისე სასამართლოებში იმავე ენაზე მიმდინარეობდა. თვით საშინაო აქტები, კერძო მიწერ-მოწერა და სავაჭრო წიგნები არასოდეს არ იცნობდა და არ იცნობს სხვა ენასა და სხვა ანბანს, გარდა ქართულისა. ერთი სიტყვით, მეგრელთა ტომი ქართულ ენას ყოველთვის თვლიდა თავის ძირითად **მშობლიურ ენად (დედა-ენად),** ხოლო თავის ადგილობრივ დიალექტს უცქეროდა როგორც **მშობლიურ კილოს"** (გოგებაშვილი, 1954 გ:437-439).

მწერლის აზრით, „მეგრელების არაქართველებად გამოცხადება, რომელთაც არ აქვთ არც ანბანი, არც დამწერლობა, არც ლიტერატურა, ნიშნავს მათ წაერთვათ მთელი სახელოვანი წარსული, მთელი ისტორიული მონაპოვარი და გამოცხადდნენ გონებრივ ღატაკებად. ასე მოქცევა ნიშნავს ერთმანეთს დააშოროს ის, რაც ღმერთს, ბუნებას და ათასწლოვან ისტორიას შეუერთებია" (გოგებაშვილი, 1954 გ:439).

სტატიაში **„აფხაზეთის შესახებ" (1907)** ზღვარია გავლებული აფხაზურსა და მეგრულს შორის: „აფხაზური ენა ქართული ენის კილო არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა... იშვიათად შემხვედრია სოფლელი აფხაზი, რომელსაც ქართული ლაპარაკი ესმოდა. იმავე დროს მე არ მინახავს არც ერთი მეგრელი, რომელსაც ეგევე ენა არ ესმოდა. აი რა განსხვავებაა აფხაზთა და მეგრელთა ქართულიზმებს შორის. ამ განსხვავების შედეგი იყო, რომ მაშინ, **როცა მეგრელები ყველა საუკუნეში საქმიან მონაწილეობას ღებულობდნენ ქართული სასულიერო და საერთო ლიტერატურის გამდიდრებაში თავისი ნიჭიერ ნაწარმოებებით,** აფხა-

ზებისათვის ასეთი მონაწილეობა სრულიად უცხო იყო...“ (გოგებაშვილი, 1955:200).

ი. გოგებაშვილის მოსაზრებით, 1902 წელს გერცენშტეინის გამოცემული კალენდარი, ქართველი ერის ერთობას და მთლიანობას ძირფესვიანად არღვევს: „ქართველი ერის შტოები ცალკე ხეებად გარდაუქცევია, თემები - ცალკე ხალხებად და ერთი ეროვნული სხეული თორმეტ-ცამეტ სხეულად მოუჩვენებია. ქართველები ამდენნი არიან, მეგრელები ამდენნი, იმერლები ამდენნიო, ფშაველები ამდენნი, თუშები ამდენნი, ხევსურები ამდენნიო. უყურეთ, რამდენი ნაცია აღმოუჩენია ქართველებში!“ (საქ. კალ., 1904:246)[10].

ი. გოგებაშვილი თავის პუბლიცისტურ წერილებში მეგრელებს არ მოიხსენიებს როგორც ერს, რომელთაც აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი ენა. ის იყენებს ტერმინებს **კილო, კილოკავი, დიალექტი. „ენის“** გამოყენებისას მეგრულთან მიმართებით, გულისხმობს „სასაუბრო ენას“, სხვანაირად ვერ გავიგებთ მაგალითად, როცა ერთ წინადადებაში მეგრულზე ენასაც ხმარობს და კილოსაც: „ოცის წლის წინად სასულიერო მთავრობამ მოინდომა **მეგრულს ენაზედ** წირვა-ლოცვის შემოღება და კიდეც გადაათარგმნინა ოქროპირის წირვა ამ ენაზედ, მაგრამ ყველა წოდებამ სამეგრელოში ერთხმად უარჰყვეს ცვლილება და არ დასთანხმდა ეკლესიაში **მეგრული კილოს** ხმარებას ქართული ენის მაგივრად“.

გ. გოგოლაშვილი ამ ციტატის დამოწმებისას მიუთითებს, რომ „როცა საუბრობს მეგრულზე, ენად მოიხსენიებს; როცა ქართული ენის გვერდით სჭირდება მეგრულის დასახელება, ზოგჯერ კილოს უწოდებს (ამით ქართულს მეგრულზე მაღლა აყენებს); მაგრამ არასოდეს კილოს (დიალექტს) არ უწოდებს კახურს, იმერულს: რომ არ მოხდეს სვანურის (მეგრულის, ჭანურის) და იმერულის (კახურის, თუშურის...) ერთი დონის

[10] ამ თემას ეხება მწერალი „სახალხო გაზეთის“ 1911 წლის №267 წერილში „უცნაური სტატისტიკა“, იხ. გოგებაშვილი, 1955:377-380.

ენობრივ ერთეულებად გააზრება... მეგრული ენა (ჩვეულებრივ ხმარებული ტერმინი) და მეგრული კილო (იშვიათად ხმარებული ტერმინი) „ბუნების კარში“ სინონიმებია“ (გოგოლაშვილი, 2008:24). მეცნიერის აზრით, ი. გოგებაშვილი პოლიტიკიდან გამომდინარე იკავებდა თავს მეგრულისა და სვანურისათვის ეწოდებინა „ენა“. სამაგიეროდ, დიდ კლასიკოსს „ბუნების კარში“ უკვე აღარ ჰქონდა ეს პოლიტიკური პრობლემა, ამიტომ მეგრულს და სვანურს „შესაბამისი“ ტერმინებით მოიხსენიებსო (გოგოლაშვილი, 2008:21-22).

ამასთან დაკავშირებით, სამართლიანად მიუთითებს ლ. ხაჭაპურიძე, რომ „„დედა ენის“ ავტორისათვის პოლიტიზებულობის დაბრალება უხერხულია, რადგან ი. გოგებაშვილი ტერმინ „ენასაც“ იყენებს (ოღონდ კილოს გაგებით!)“ (ხაჭაპურიძე, 2009:114).

როგორც ვნახეთ, არის შემთხვევები როცა იყენებს **ჭომს**, მაგრამ მას **„თემის“** გაგება აქვს. ეს ნათლად ჩანს კონტექსტიდან და ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ იმავე ტერმინს იყენებს საქართველოს სხვა კუთხის წარმომადგენელთათვის (**„ყველა ქართველ ჭომთან“, „სხვა ქართველ ჭომთა“...**). ამას მოწმობს ზემოთ ხსენებული 1902 წლის სტატიაც გერცენშტეინის კალენდართან დაკავშირებით.

ი. გოგებაშვილის თვალსაზრისს მეგრულთან მიმართებით შევაჯამებთ მისივე სიტყვებით: „ყველაზე უზადო სალიტერატურო ქართულ ენას მეგრელთა ნაწარმოებებში შევხვდებით და ყველაზე უზადო ცოცხალ სასაუბრო ქართულსაც მეგრელ ორატორთაგან მოისმენთ“ (გოგებაშვილი, 1954 ბ:440); „მართლაც რას წარმოადგენს **მეგრელთა ტიპი**, თუ არა ქართველს? რას წარმოადგენს **მეგრული ენა (ენა - „სასაუბრო ენა“ - კ.გ.)**, თუ არა ოდნავ შეცვლილ ქართულს. ძირი და ცხრა მეათედი მეგრული ენისა სულ ქართულია. პროვანსული ენა ბევრად უფრო დაშორებულია ფრანგულისაგან, ვიდრე მეგრული ქართულისაგან“ (ივერია, 1904, №107).

აკაკი წერეთლის თვალსაზრისი

საინტერესოა აკაკი წერეთლის შეხედულება ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ. მისთვის საქართველო არის „ჩანგური, რომლის სიმებსაც შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლაზისტანი და სხვ... საინტერესოა აკაკი წერეთლის შეხედულება ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ. მისთვის საქართველო არის „ჩანგური, რომლის სიმებსაც შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, აჭარა, ლაზისტანი და სხვ... თვითეულს ამათგანს თავის საკუთარი ხმა აქვს, მაგრამ კერძოთ თავისთავად არც ერთსა არა აქვს ძალა, თუ ერთმანეთს არ შეუთანხმდნენ, და შეთანხმებით კი გაკეთილ-ხმოვანდებიან“ (წერეთელი,1960ა: 356-357); „ჩვენი საქართველო სხვა რომელიმე ქვეყანასავით ერთ-პირად გაშლილი არ არის. ის არის სხვა-და-სხვა კუთხეებისაგან შეხამებულ-შეფერადებული. თვითეულ იმ კუთხეთაგანს თავისი საკუთარი ფერხორცი აქვს. მათი ხალხი, თუმცა ტომით და ენით ერთნი არიან, მაგრამ **კილო** კი თავ-თავისი საკუთარი აქვსთ“ (წერეთელი,1960 ა:438).

აკაკი წერეთლის მიდგომა მეგრული მეტყველებისადმი ერთგვარად წააგავს სულხან-საბას მიდგომას, როცა აცხადებს, რომ **„მეგრული კილო ჩამორჩენილი ქართულია“**, მაგრამ ამასთან მეგრულს **„ნამდვილ ქართული სიტყვების სალარო“** უწოდა- „თუ არა მზაკვარება და უგუნურება, გონიერება და სიმართლე იმას ვერ იტყვის, რომ მეგრელები ქართველები არ იყონ და მეგრული ძირითადი ქართული!.. თუ ვიტყვით, რომ მეგრელებს შინაურობაში (განსაკუთრებით, დაბალი წოდების ხალხს) **მეგრულ კილოზე** ლაპარაკი უფრო ეხერხებათო, ამითი რა დაშავდება? სამწერლო და **სადარბაისლო ქართული** იმათ ჩვენზე ნაკლებ არ იციან?! მართალია, **მეგრული**

კილო ჩამორჩენილი ქართულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამაგიეროდ იგივე **მეგრული დღეს სალაროა ნამდვილ ქართული სიტყვების.** აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს... და **მეგრულ ენაში კი შენახულან მარგალიტებად ეს ძველი სიტყვები... ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერლებ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი.**

ეს რომ ასეა, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ერთმა უბრალო ახირებულობამ იძულებული გვყო დღეს, რომ „მეგრელობაზე" ვისაუბროთ. ტყვილა კი არ არის ნათქვამი: „თავდაპირველად მუნი ერთმა თაგვმა გააჩინაო". ამ რამოდენიმე წლის წინეთ, ერთმა ვიღაც წინდაუხედავმა კაცმა აიხირა, რომ ჩვენ, მეგრელები, ქართველები არა ვართ და ჩვენი ენაც სულ სხვა ენაც არისო. ეს არ მოეწონათ მეგრელებს!.. იტკიცეს, ვინ ამბობს, რომ ჩვენ ქართველები არა ვართო! მეგრელები რომ ვართ, ეს მართალია და ნურც მოგვიშალოს ღმერთმა ჩვენი მეგრელობა, ისე როგორც გურულს გურულობა, ქართლელს ქართლელობა, კახელს კახელობა, რაჭველს რაჭველობა და სხვანიო!... მაგრამ იმავე დროს ნუთუ საერთოდ ქართველები არა ვართო? და როდის აგვიღია ხელი იმ დედაენაზედ, რომლითაც ღმერთს ვადიდებდით მრავალ საუკუნეების განმავლობაში და სამშობლოს ვემსახურებოდითო!" (წერეთელი, 1961:427-429).

ა. წერეთლისათვის მეგრელი ისეთივე ქართველია, როგორც საქართველოს სხვა კუთხის წარმომადგენელი. მან ეს სამეგრელოში, სათავადაზნაურო სკოლის კურთხევის დროს მიმართვისას ხმამაღლა კიდევ ერთხელ გააჟღერა: „საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, ძმები ვართ; სამის

ძლიერის, უხრწნელის კავშირით საუკუნოდ შეხორცებული: საერთო ისტორიით, ქრისტეს სარწმუნოებით და ერთის დედა ქართული ენით... აქ ამ სკოლაში მიხვდება იმერელი, რომ ის, კერძოდ, თუმცა იმერელია, მაგრამ საზოგადოდ კი იგივე ქართველია; აქ გაიგებს მეგრელი, რომ ის კერძოთ მეგრელია, თავის საკუთარი ფერის მექონი, მაგრამ საზოგადოდ კი, ძირეულად, იგივე ქართველია და თვისის კერძო მეგრელობით მხოლოდ აფერადებს ქართველობას" (წერეთელი, 1960 ბ:275).

მიუხედავად იმისა, რომ წერილში ნათლად არის დასაბუთებული ქართველთა ენობრივი და ეროვნული ერთიანობა, ენათმეცნიერი გ. გოგოლაშვილი აღნიშნავს: „აკაკი მეგრულს ზოგან ენას ეძახის, ზოგან - კილოს, ამან არ უნდა დაგვაბნიოს; ეს ტერმინოლოგიური სიჭრელეა და ვერც მოვთხოვთ აკაკის მეცნიერული ტერმინოლოგიის სიზუსტეს... იქ, სადაც მწერალი **მეგრულ კილოს** ამბობს, **მეგრულ ენას** გულისხმობს და ეს სადაოც არაა" (გოგოლაშვილი, 2007:110-111).

ვფიქრობთ, კილოში ენის შინაარსიის გაგება შეუძლებელია, იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი უფრო მეტი პოლისემანტურობით ხასიათდება და თავის თავში სხვა დანარჩენთან ერთად გულისხმობს **„სასაუბრო ენასაც"**, კილო კი შედარებით ვიწრო გაგების ტერმინია და შეუძლებელია მან მასზე უფრო ფართო ცნების მნიშვნელობა გამოხატოს.

ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დაშლაზე აკაკი წერეთელი მტკიცედ შენიშნავდა: „ამ გვარის ტყუილებითა და უკადრისობით ლამის სხვა-და-სხვა კუთხის ქართველობა ერთმანეთს გადაჰკიდონ და საშვილიშვილო მტერობა ჩამოაგდონ!.. საჭიროა ყურადღების მიქცევა... იმას ნურავინ იტყვის, რომ წვრილმანი რამეა და აღარ ღირს გამოკიდებაო. **ეს ის ეკალია, რომელიც ეშმაკის ხელით ითესება და შემდეგში გვიჩხვლეტს და დაგვაწყლულებს!"** (წერეთელი, 1961:430).

აკაკი წერეთლის მიერ გამოყენებულ ტერმინებს სიღრმისეულად განიხილავენ მეცნიერები თ. გვანცელაძე და ტ. ფუტკარაძე, რომელთა დასკვნით, მწერლისთვის მეგრული ისეთივე ქართულია, როგორც სხვა ქართველური კილოები, რომლებიც ეროვნული ენის გამამდიდრებელ წყაროებს წარმოადგენენ (ხაზი ჩვენია - კ.გ.) (გვანცელაძე, 2006:114; ფუტკარაძე, 2015:356).

ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი

ილია ჭავჭავაძეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ენა ეთნო-კულტურული ისტორიის ამსახველი ფენომენია: „ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზე უფრო შემძლებელია და ყველაზე სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის, რადგანაც უფროს - ერთს შემთხვევაში ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას... ცხოვრება ერის გადაშლილია, გამომზევებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოველის მისის თავგადასავლისა და ყოფა-ცხოვრების ცვალებადობისა“ (ჭავჭავაძე, 1987:23).

თავის ერთ-ერთ პირველ წერილში **„ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კოზლოვიდგან შეშლილის თარგმანზედა“** ილია წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამასაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ - კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრება, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“ (ჭავჭავაძე, 2012:25).

იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართველი ერის ინტერესების დასაცავად თანამოაზრეებთან ერთად იბრძოდა

ილია ჭავჭავაძე. პროფ. ტ. ფუტკარაძის თვალსაზრისით, მან „დროულად გააცნობიერა იმპერიის მიზანი, ენობრივ-ეთნიკურად დაეწაფებინათ ქართველი ერი; მან ასე შეაფასა ეს მოვლენა: **„რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული - ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა“** (ფუტკარაძე..., 2012:215).

წერილში **„ზოგიერთი რამ“** ილია ნათლად ასახავს, როგორ შეიძლება ენობრივმა დაქუცმაცებამ ეროვნულ დაქუცმაცებამდე მიგვიყვანოს: „ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენის გონებიდამ ამოიშალა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძოობითი სახელიღა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში, თუ ლხინში, ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია... იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი - ეს ცალ-ცალკედ მითვისებული, კერძოობითაც მიღებული, განმაყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია“ (ჭავჭავაძე, 2012:48-49).

წმ. ილია მართალმა მშობლიური ენის უფლებების აღდგენისათვის ბრძოლაში წინა პლანზე წამოსწია ეროვნული მეცნიერული ენისა და ლიტერატურის სისტემატიზაციის საკითხი. პროფ. ტ. ფუტკარაძემ და ი. ვაშაკიძემ ყურადღება გაამახვილეს ილიას დამოკიდებულებაზე ქართული ენის ლექსიკისადმი, როგორც ტერმინოლოგიის ძირითადი ბაზისადმი ტერმინთშემოქმედების პროცესში (ფუტკარაძე..., 2012:220-221).

ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისი

ვაჟა-ფშაველამ თავისი პოზიცია მეგრული მეტყველების მიმართ გამოავლინა ჯერ კიდევ მაშინ, როცა 1902 წელს რუსულ ენობრივ დივერსიას კონკრეტული ლექსით გამოეხმაურა. მან ხაზი გაუსვა ქართველთა ერთიანობას და მეგრული და სვანური ანბანის შექმნა **„ქართველთა გადამტერებად“** მიიჩნია:

„... გადაამტერებს ერთმანეთს
ქართლსა, იმერეთს, კახეთსა,
საკუთარს ანბანს შეუდგენს
სამეგრელოს და სვანეთსა...“

ვაჟა-ფშაველას ენობრივი კონცეფცია ქართველური ენობრივი სამყაროს მიმართ, მისი შემოქმედებიდანაც ნათელია.

ვაჟა-ფშაველა სალიტერატურო ენის წყაროდ ძველ მწიგნობრულ ენასა და ამ ენის თავისებურებების შემნახველ ხალხურ კილოს მიიჩნევს. **„მცირე შენიშვნა** (პასუხად ბ-ნ პ. მირიანაშვილისა)“ და **„ენა (მცირე შენიშვნა)“** ის სტატიებია, სადაც ეს ნათლადაა წარმოდგენილი:

„ახლანდელი ლიტერატურული ენა ახალია და სიახლის გამო ბევრს ფორმებს, ბევრს სიტყვებს მოკლებული არის. ყველა ეს ფორმები და სიტყვები ხალხშია დამარხული, ხალხი, ერი დედაა ენისა, იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს. ყოველი ეთნოგრაფი და საერო მწერალი მოვალეა ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა, ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულს ენას, თუ იგი სიტყვა და ფორმა შეეფერება ენის ხასიათს, იმის ბუნებას... ენას ფესვები წარსულს დროში აქვს გადგმული, - რაც ხასიათი და ბუნება ისტორიულად მიჰნიჭებია ენას, იგი უნდა შეჰრჩეს სიკვდილამდე. მართალია, ენა თანდათან წარმატებაში შედის, წინ მიდის, მაგრამ ისე კი არა, რომ ბუნებასა და ხასიათს იცვლიდეს. თუ ეს მოხდა, მაშინ ენა კვდება“ (ვაჟა-ფშაველა, 1979:567-568).

„არა მგონია შეედრებოდეს ერთი საგანი მეორეს ისე, როგორც მდინარე და ენა... დიაღ, მოდის ენაც მდინარესავით, მაგრამ თუ სათავეში, ე. ი. იქ, საიდანაც იბადება, არ დაშრა, ქვეით, ბოლოდგან მისი დაშრეტა ყოვლად შეუძლებელია და ძალაც მისი სწორედ რომ სათავეშია, გამომდინარეობს ულეველად, უკლებლად... სათავე ენისა, ვგონებ, ყველამ კარგად იცის, სად არის, ან რა არის... ეს სათავე ენისა გახლავთ ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შემონახულა შეუბღალავად, უმწიკვლოდ ქართული ენა“ (ვაჟა-ფშაველა, 2011:205).

ტ. ფუტკარაძე სტატიაში „ვაჟა-ფშაველა ქართული სამწიგნობრო ენის, ანბანისა და ქართველური დიალექტური ლექსიკის შესახებ“, ვაჟას ენობრივ კონცეფციას ორი ძირითადი მიმართულებით განიხილავს: 1. ენა და იდენტობა; 2. სტანდარტული ენა და დიალექტები - „ვაჟას შემოქმედებაში გატარებულია აზრი, რომ ეროვნული ენისა/ქართველთა საერთო ენისა/ და დიალექტის/სათემო კილოს, ხალხის სასაუბრო ენის/ მიმართება ისეთივე უნდა იყოს, როგორც მდინარისა და მისი შენაკადისა: „არა მგონია, შეედრებოდეს ერთი საგანი მეორეს ისე, როგორც მდინარეთა ენა. ვინც ცალკეულ შენაკადებს დამოუკიდებელ მდინარეებად გამოაცხადებს, ის ცუდ სამსახურს გაუწევს ნამდვილ მდინარესაც და თვით ნაკადულებსაც...“ (ფუტკარაძე, 2011:43-49).

ლექსიკას, რომლითაც ვაჟამ გაამდიდრა სალიტერატურო ენა, კ. გამსახურდიამ **„მზითევი“** უწოდა და მისი მეტყველების საერთო ფონად ძველქართული დასახა: „ისეთი მზითევი, როგორიც ფშავიდან გამოჰყვა ვაჟას, არც ერთ ქართველ მწერალს არ შემოჰყოლია თავის კუთხიდან, ეს „მზითევი“ დიდად წაადგა მეცხრამეტე საუკუნის ენას“ (გამსახურდია, 1967:214).

ნიკოლოზ დადიანის თვალსაზრისი

სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე **ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი** ხაზს უსვამდა ქართველური ენის ერთიანობას, მეგრულს კი ამ ერთიანობის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა. ის **„მეგრელის“** და **„მეგრელი ნ.დ.“-ს** ფსევდონიმით ბეჭდავდა წერილებს ჯერ გაზეთ „დროებაში“, შემდეგ „ივერიაში“.

„დროებაში“ 1885 წელს გამოქვეყნებულ წერილში **„კიდევ მეგრული ენის თაობაზე“**, მსჯელობს: „მეგრული ენა რომ ქართული ენის ღვიძლი შვილია, ამაში შემოიტანს ეჭვს მხოლოდ ის, ვისაც მეგრული ისე გაეგება, როგორც ბ. რადეს ხევსურული. მეგრელები და ჭანელები ღვიძლი, ნამდვილი შვილნი არიან ქართველის ერისა. მაშასადამე, შეიძლება რომ შვილმა მამის ენა არ იცოდეს? რომელ ფილოსოფოსს მოუვიდა თავში მეგრულისა და ქართულის ერთმანეთისგან დაშორება? **ჩვენ მეგრელები ნამდვილი შვილნი ვართ ქართველის ერისა და ჩვენი დედა-ენა ქართულია. სამეგრელოს ცხოვრება, გონებრივი განვითარება ქართულს ენაზე და მის მწერლობაზე იყო დამყარებული და ეხლაც არის. მეგრულს ენას თავისი არც ანბანი აქვს და რასაკვირველია, არც ლიტერატურა. იმას არც სხვა ენის ანბანი მიუდგება გარდა ქართულისა...“** (დროება, 1885, №53:1).

ნ. დადიანი ისტორიულ ეროვნულ ერთიანობას უსვამს ხაზს: **„მეგრელი, იმერელი, გურული, კახელი, ხევსური, ქობულეთელი თუ აჭარელი - ყველანი ერთსა და იმავე ქართველ ერს შეადგენენ,** მათი შემაერთებელი კავშირი არათუ მარტო ქართული ენაა, არამედ მთელი ცხრამეტი საუკუნის ისტორია, ჩვეულებანი, ხასიათი და სხვა. მართალია, უკუღმართ დროთა ბრუნვას პოლიტიკურად ხანდახან ერთმანეთს დავუშორებივართ, მაგრამ ეს ამბავი ყოველ ქვეყანაში მომხდარა... **ჩვენ ყველანი ერთ ერს შევადგენთ, ერთი ენა გვაქვს, ერთი და იგივე ცხოვრების საგანი, ერთი და**

იგივე დანიშნულება. როგორც ხევსური, ისე მეგრელი ამაყობს საკუთარი წამებით საქართველოს ისტორიისა. დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, რუსთაველი, ანტონ ჭყონდიდელი წმინდა სახელებია როგორც გურულისა, ისე მეგრელისათვის, კახელისათვის და სხვა“ (დროება,1885, №53:2).

მეგრელი ნ.დ.-ს ფსევდონიმით გაზ. „ივერიის“ 1887 წლის №39-ში გამოქვეყნებულ წერილში **„კაი ხუმრობაა!”**, გაკრიტიკებულია მეგრულისთვის დამწერლობის შექმნის მცდელობა: „ვინ არ იცის და რომელმა გაგებიანმა ქართველმა, რომ ეგრისელი ანუ მეგრელი ქართველები ოთხი საუკუნე მეტი ცალკე სამთავროდ ჩამოცილებული იყვნენ ძმათა და თვისთაგან, თავისთვის ცალკე განეგებოდნენ და განებჭობოდნენ; მაგრამ იმ **შინა განხეთქის უდროვო დროსაც არავის გულშიდაც არ გაუვლია ეს მწვალებლური ფიქრი, რომ ჩვენებურს „ჟღურტულს“ ენობა ვუბოძოთ, ანბანი გამოვუხატოთ და მწერლობა დავულოცოთო.** არავის უბრალო ბაასიც არ შეუბღალავს ამ გვარის განდგომილების წარმოთქმითაც; **ისე როგორც დასაბამითგანვე ყოფილა, საღვთო რჯულიც და საერო წესიც სრულდებოდა წმინდა ქართულს ენაზე და ვერც ერთი კუთხე საქართველოსი ვერ დაიჩემებს, იმოდენად განვითარებული სამოქალაქო, საბჭო სიტყვიერება ჰქონდეს, როგორც ეგრისის ქართველებს, მეგრელებს ჰქონდა... ამიტომ რომ არც ერთსა და არც მეორეს არ ჰსცოდნია, რომ მეგრული ქართული, იმერული ქართული, გურული ქართული, რაჭული ქართული, მთიული ქართული და სხვა ყველა ქართულია!...“** (ივერია, 1887, №39:2).

საინტერესოა დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფის, გ. ტატიშვილის მოგონება:

როცა ნიკო დადიანი კოტე ყიფიანს სტუმრობდა ქუთაისში, მღვდელ ვოსტორგოვს მისთვის პოლიციის მოხელის ხელით გაუგზავნია წერილი, სადაც სამეგრელოს მთავრის მემკვიდრეს სთხოვდა დაედასტურებინა: „მეგრელები ცალკე

ეროვნებაა, ქართველ ერთან საერთო არა აქვთ რა, მეგრელებს აქვთ თავიანთი ენა, დამწერლობა, ლიტერატურა და ისტორია". ნიკო დადიანს კოტესთვის გადაუცია წერილი: „ნახე ხულიგანი რას მიბედავსო". კ. ყიფიანს უთქვამს: „ეს წერილი მამაჩემს ჩავარდნოდა ხელში, ვიცი, რასაც იზამდა და შენც გმართებს, დიდი ყურადღება მიაქციო ამისთანა გარეწრის საქციელსო". ნ. დადიანს მკაცრად უპასუხია მღვდლისთვის: „მღვდელო, თქვენმა ხულიგნურმა წერილმა დიდად გამაკვირვა, რომ ღვთისმსახური, რომელიც მოვალეა, პატივი სცეს ხალხის ისტორიას, ეცნობოდეს მას და ახარებდეს მისი ძმური ერთობა, სულ სხვა გზას დასდგომია. თქვენ გიკისრიათ როლი იუდასი და ცდილობთ, გაყაროთ ძმები და მტრად გახადოთ ერთმანეთისა. სამეგრელო, ქართლი, კახეთი, მესხეთი, გურია, იმერეთი და სხვ. ეს გეოგრაფიული სახელებია, სადაც ცხოვრობენ ქართველები, რომელთაც აქვთ საზოგადო ენა და დამწერლობა, თავისი ლიტერატურით, ხოლო თქვენ თვითნებურად გინდათ, ყოველივე ეს ასიმილაციისათვის გამოიყენოთ..." (ყიფიანი, 2014:427).

ასევე, საინტერესოა ვ. მაჩაბელის მიერ 19 წლის შემდეგ გამოქვეყნებული წერილი, რომელიც 1885 წელს ნ. დადიანისაგან მიიღო. წერილში თავადი ეწინააღმდეგებოდა იმ მეცნიერებს, რომლებიც მეგრულს ცალკე ენად განიხილავდნენ და საკუთარ პოზიციას მტკიცედ ამჟღავნებდა: „მე წავიკითხე ის სტატიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მეგრული ენის შუა და ქართველთ ენის შუა სიმზგავსეც არ არისო... ის გარეშე ქვეყნის ფილოლოგები, რომელნიც სწერენ მეგრულს და ქართულს ენებზედ, არიან სრულიად დაბნეულნი... ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ხალხს აქვს თავისი საკუთარი აზრი და რწმუნება, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ და ახლა ვერა კაცი ვერ დაგვაჯერებს იმას, რაც ნამდვილი არ არის ჩვენთვის და რაც ავნებს ჩვენს წინ წაწევას... ამას გარდა, ხალხის ისტორია და სურვილი უნდა შეიტყოს კაცმა და

შემდეგ ილაპარაკოს. მე მენგრელიას, იმერეთს და გურიას უყურებ როგორც საქართველოს პროვინციებს. **ჩვენს შუა განსხვავება არ არის და არც უნდა იყოს. ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოვკვდები...**" (ივერია, 1904, №241:2).

კონსტანტინე გამსახურდიას თვალსაზრისი

კონსტანტინე გამსახურდია ნათლად ხედავდა, რომ ქართველური ენის ზრდას, მასში არსებულ დუღილს და ენერგიულად წინ გაქანებულ სტიქიას, როგორც „გაურანდავ ჟვერს", ყალიბში მოქცევა სჭირდებოდა. აქედან გამომდინარე წარმოადგინა **„იდეალური ლიტერატურული ქართულის"** ჩამოყალიბების გზა ისტორიული მეთოდის გათვალისწინებით:

„ქართული ენა არც ამერლებს შეუქმნია და არც იმერლებს. ცალ-ცალკე არც ერთსა და არც მეორეს. არც თუ მარტოოდენ ქართლის მეტროპოლიას შეუქმნია იგი. **ქართული ენა შექმნილია ყველა ქართულ დიალექტზე მეტყველ ქართულ ტომებისა და მათ ნაშიერების მიერ. ყოველი დიდი ოსტატი ქართული ენისა უწინარეს ყოვლისა თავის კუთხეში დაგროვილი სიტყვის მარაგით ამდიდრებდა და ამკობდა ქართულ მეტყველებას...** თანამედროვე ოსტატები ქართული სიტყვისა ერთგულად მისდევენ კვალდაკვალ ქართული სიტყვის გამმართველების ამგვარ ტრადიციას... ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური ბუნების სიდარბაისლე, ხოლო აკაკიმ იმერულის სილბო. **XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშავურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული"** (გამსახურდია, 1967:206-207).

„მე პირადად, როგორც მწერალი, მუდამ მოწადინებული ვარ გავდევნო ქართული ენიდან ის ზედმეტი ბალასტი, რომელიც საუკუნეების გავლენით ჩალექილა ქართულ ენაში.

პარალელურად, ჩემის აზრით, უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების ლექსიკის საშუალებით. უნდა შემოუშვათ ქართულ ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტიკის სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურულ კილოდან. ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას...“ (გამსახურდია, 1963:628).

წერილში **„როგორ ვწერ?“**, კ. გამსახურდია აღნიშნავს: „...მთელი ჩემი ენერგია ძველი და ხალხური ქართულის შესწავლისაკენ მივმართე. ცხადია, რომ არც ერთ დიდოსტატს ენისას ჩვეულებრივი მოქალაქისა და თუნდაც, ლიტერატორის ლექსიკა, არც უკვე ცნობილი სიტყვების მარაგი არ ეყოფა. ამ შეგნებამ ძველქართულსა და ხალხურ ზეპირ-სიტყვაობაში გადამაგდო. ამის შემდეგ საჭიროდ დავინახე ქართული ენის ალოგიური ბუნებიდანაც ამეღო ხარკი“ (გამსახურდია, 1963:522).

მწერალი არქაული თუ დიალექტური ფორმებით სალიტერატურო ენის გამდიდრების აუცილებლობაზე მიანიშნებს აგრეთვე, როცა აღნიშნავს: „მე არა მაქვს არც ერთი სიტყვა რომანში ნახმარი, რომელიც ათასგზის არ ამეწონოს და ყოველი სიტყვა მე მიხმარია ჩემი და ჩვენი ეპოქის სულის ერთ-ერთ ნაწილაკის გამოსახატავად... დაუსაბუთებელი ბრალი დამდო ზოგიერთმა არქაიზმში. მე ზუსტად აღნუსხული მაქვს ყოველი სიტყვა ოდესმე ჩემს მიერ აღდგენილი, ან ძველი ქართულიდან ნასესხები, ან ქართულ დიალექტებიდან ახლად შემოტანილი ლიტერატურაში... ცხადია, შვიდას სამოც გვერდიან ეპოპეიის მანძილზე მე არ მეყოფოდა ის ხუთიოდე ათასი ძირეული სიტყვა, რომელსაც აბრუნებდა მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზია“ (გამსახურდია, 1965:388).

აქამდე უხმარი სიტყვების გამოყენებას საპატიო საქმედ მიიჩნევდა კლასიკოსი, როცა ლიტერატურულ ენაში მათი ბადალი არ იძებნება: „დაუშრეტელი რეზერვუარი ჩვენი

ენისა ეს გახლავთ ძველქართული და ჩვენი ტომების მრავალ-კილოვანი დიალექტები... [ენაკავები] იძლევიან მდიდარ ლექსიკურ მასალას... დიალექტები უნდა გამოვიყენოთ დედა-ქართულის სიტყვიერი მარაგის გასამდიდრებლად“ (გამსახურდია, 1967:217). „ჩვენი მრავალტომიანი და მრავალ-დიალექტიანი ერის ყველა კუთხიდან მოტანილი სიტყვა უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ენის გასამდიდრებლად, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა ამ სიტყვას შესაბამისი ბადალი არ მოეპოვება ახალ ქართულში. არც სინონიმური სიტყვების შემოტანაა საუგო. ასეთი სიტყვა წარამარა სჭირდება პოეტს, მით უმეტეს რომანისტს, რამდენადაც ფრაზის გრძელი პერიოდის მობრუნებისას ერთი და იგივე სიტყვის განმეორება ენის სიღატაკის მომასწავებელია. არა მგონია რაიმე დამეშავებინოს, როცა „მთვარის მოტაცებაში“ ვიხმარე **სვანური სიტყვა „ფოთრი“**, რამდენადაც ჯიხვის პატარას, შვლის ნუკრისაგან გასარჩევად ფოთრი მოუხდება ორი სიტყვის - ჯიხვის ნუკრის ნაცვლად“ (გამსახურდია, 1965:449).

კ. გამსახურდია თავის გამოსვლებში დიდ ყურადღებას უთმობდა მწერალთა ლექსიკას. მაგ. ყურადღებას ამახვილებს სიმონ ჩიქოვანის „პროვინციალიზმზე“: „ამხანაგ სიმონს აქვს მრავალი სიტყვები, რომლებიც გურიაში, სამეგრელოში იხმარება და ლიტერატურაში უეჭველად უნდა შემოვიდეს. ჩვენ არ გვმართებს პროვინციალიზმით გატაცება, მაგრამ ისეთი თავისებური სიტყვები, რომლებიც ზოგიერთ პრო-ვინციას აქვს შერჩენილი, უნდა შემოვიდეს“ (გამსახურდია, 1965:361). კლასიკოსი რამდენიმე ერთეულს უწონებს ს. ჩიქოვანს: **„ჭორთი“** - თხმელის მცირე ხე, **„პეტელი“** - სამეგრე-ლოში თხის კიკინის, ხავილის აღმნიშვნელი, ძალიან მოსწონს **„წყარსინჯი“** - კოლხეთის ჭაობის სტუმარი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში არ უნახავს; არ იზიარებს **„ფოკი“** სიტყვის შემოტანას, რაც **„ობს“** ნიშნავს. აქვე იმოწმებს კოლხეთის დაბლობში მის მიერ დადასტურებულ სიტყვას

„ხაია“ – „ჭაობის ბალახი არის, არა ის, რომელიც პრასას წააგავს და ოდნავ ფოთლიანია, არამედ ოდნავ წვრილია და პატარა ბუსუსები აქვს. მე ვკითხე ერთ მოხუცებულ მონადირეს, ამას „ხაია“ ჰქვიაო. იძულებული ვარ, ეს სიტყვა შემოვიტანო ლიტერატურაში“ (გამსახურდია, 1965:361).

მწერალი აღნიშნავს მეტად საჭირო სიტყვის შემოღებაზე - **„ტოილო“**, რომელიც საბელს ნიშნავს და რომლითაც საბალახოზე დააბამენ ხოლმე ცხენს. პროფ. რ. შეროზია ამაზე შენიშნავს: „ძნელია საუბარი იმაზე, **„ტოილო“**-ს უკავშირებდა თუ არა მწერალი მეგრულსა და ლაზურში დადასტურებულ იმავე ძირის ზმნურ ფორმას **„ქიგიოტოულე“** (დააბი!). ამის შესახებ იგი არაფერს ამბობს, მაგრამ სავარაუდოა, რომ მისთვის მარტვილური ვარიანტი სიტყვისა ცნობილი იყო“ (შეროზია, 2008:375).

პუბლიცისტურ ნაშრომებში არაერთგან ვხვდებით დიალექტებიდან თუ ძველ-ქართულიდან შევსებული სიტყვების ჩამონათვალს უცხო სიტყვათა შესატყვისად, მაგ.: „ინტრიგის“ შესატყვისი - **„ხვანჯი“** (საბასგან ვისესხე)... რუსული სიტყვა „პლანიროვატ“ – **„ირაო“** (ეს სიტყვა ხევსურული დიალექტიდან ვისესხე, იგივე იხმარება გურულსა და მეგრულში)... რუსული „კლეტჩატის“ შესატყვისად რაჭულიდან ვისესხე - **„კუბოკრული“**, რილო-ჭრელო (ე.ი. შეჭაღრებული ტალები დათოვლილი მთებისა)... ქართულში არ გვქონდა ფრიად საჭირო სიტყვა რუსული „კანტ“-ის მაგიერ - გურულიდან ვისესხე **„ძგიდე“**; უცხოური „ჰიპნოტიზირების“ შესატყვისად იგივე გურული **„მონუსხვა“**... უცხო ლექსემათა შესატყვისად განახლებული: **„მკოდოვანი“**, **„გლუ“**, **„გარღვეული“**, **„მეინახე“**, **„ურწყული“**... ფრიად საჭირო გურული სიტყვა **„ჭვინტი“** - წვეტი ფეხსაცმლისა, გინდა გემის ცხვირი; რაჭულიდან შემოვიღე **„შრამელი“**, ქართლურიდან **„შინაბერა“**, **„საჭრეთელი“** (გამსახურდია, 1967:220-221); დიალექტური ლექსიკის გამოყენებაზე მიუთითებს, რომ „ზოგი კალმო-

სანი არ იცნობს არც თავისი კუთხის, არც საქართველოს სხვა კუთხეების დიალექტებს და ყოველი სიტყვა, რომელიც მის ცნობიერების გარეშეა, „არქაიზმი“ ჰგონია-ო“ (გამსახურდია, 1967:219).

მაშასადამე, კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივი სამყარო მოიცავს ერთიან ენობრივ საგანძურს, ძველი მწერლობის ენიდან თუ დიალექტებში დაუნჯებული მასალიდან.

პროფ. რ. შეროზიას შეფასებით, კ. გამსახურდია „ერთერთი ის გამორჩეული ქართველი მწერალია, რომელმაც ქართველური ენობრივი სისტემის სიღრმეში ჩახედვა მეტნაკლებად მოახერხა და ენის შესაძლებლობათა გამოყენებით ქართველური სალიტერატურო ენის ისტორიაში თავისი სტილური ვარიანტი შექმნა“ (შეროზია, 2008:375). პროფ. ტ. ფუტკარაძის მიხედვით, ის იყო ვინც „წინ აღუდგა იმპერიის მიერ დამკვიდრებულ ე. წ. ქართველთა ოთხი ენის დივერსიულ თეორიას და ქართული სამწიგნობრო ენის ქმნადობის ძველქართული ტრადიციის გათვალისწინებით დღეისათვის აქტუალური თეორიული პოსტულატი ჩამოაყალიბა“ (ფუტკარაძე, 2014 ბ:360).

წარმოდგენილი პუბლიცისტური წერილების მიმოხილვიდან, ნათლად ჩანს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა კონცეფცია - საერთო ენობრივ-ეთნიკური იდენტობა ქართველი ერისა, რომელიც საუკუნეებს ითვლის.

მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მხარდამხარ ქართველური ენის სიწმინდის დასაცავად იბრძოდნენ ქართველი მეცნიერებიც. წარმოვადგენთ ს. ხუნდაძისა და პ. ჭარაიას თვალსაზრისებს მეგრულის ადგილზე ქართველურ ენობრივ სივრცეში:

სილოვან ხუნდაძე ერთ-ერთი გამორჩეული მეცნიერია, რომელმაც დაგვიტოვა მდიდარი ენათმეცნიერული მემკვიდრეობა. მან ქართველური დიალექტებისადმი საკუთარი დამოკიდებულება ნათლად წარმოადგინა, როცა „ქართული გრამატიკის“ სასკოლო სახელმძღვანელოში (მეორე და შემდგომ გამოცემებში) დანართის სახით შეიტანა **„ქართული ენის კილოკავების - მეგრულისა და სვანურის გრამატიკული ფორმები“.** დანართის შესავალ ნაწილში წერს: **„ქართული ენის კილოკავებია - სვანური, მეგრული, ლაზური,** ინგილოური, ფშაური, თუშური, ხევსურული და სხვ. საქართველოს ყოველის განსაკუთრებული კუთხის ენას თავისი განსხვავებული გამოთქმა და ფორმები აქვს, მაგრამ ყველა კუთხეს ერთმანეთის საუბარი კარგათ ესმის. მხოლოდ სვანური და მეგრული ენა (და ამ უკანასკნელის მახლობელი დიალექტი ლაზური) დედა-ქართულისაგან განსაკუთრებით განსხვავებულ სახეს წარმოადგენს“ (ხუნდაძე, 1917:201).

ამ საკითხს ი. ყიფშიძე შეეხო თავის ნაშრომში **„მეგრული ენის გრამატიკა“** და აღნიშნა, რომ ამგვარი შეხედულება უსაფუძვლოა და დიდი ხანია მეცნიერებისაგან უარყოფილია (ყიფშიძე, 1914:27).

ს. ხუნდაძემ სახელმძღვანელოს მეხუთე გამოცემის დანართში შემდეგნაირად უპასუხა ამ შენიშვნას: **„მე ვამბობ, რომ მეგრული და სვანური ენები ქართული ენის შტოებია-მეთქი,** და ის განსხვავებული ფორმები და სიტყვები, რომლითაც ეს კილოკავები დედა-ქართულისაგან გაირჩევა, იმით აიხსნება, რომ უხსოვარ დროს, როცა ქართველი ტომების საერთო ენა ჯერ კიდევ განვითარებული არ ყოფილა, რამდენიმე ოჯახი საერთო ფუძეს მოშორებია და განსხვავებულ პირობებში დაუწყია ცხოვრება და ამიტომაც

განსხვავებული ფორმები და ტერმინოლოგია შეუქმნიათ-მეთქი... მე ვფიქრობ, რომ მეცნიერება აქ არაფერ შუაშია: ჩემი აზრი მხოლოდ ჰიპოთეზაა, მოსაზრება და ლოგიკურიც, საფუძვლიანი და ამის წინააღმდეგი მეცნიერებას არაფერი დაუმტკიცებია. ბ-ნ ყიფშიძეს ალბათ გონია, რომ მეცნიერება და ჭეშმარიტება მხოლოდ იმის პირით ღაღადებს, ვინაც მას, ბ-ნ ყიფშიძეს, ესიმპატიება!..“ (ხუნდაძე, 1917:3-4).

1919 წელს, სასკოლო სახელმძღვანელოების შერჩევისას, სპეციალურმა კომისიამ განიხილია ს. ხუნდაძის „ქართული გრამატიკა“. აკ. შანიძის რეცენზიის საფუძველზე კომისიამ „დროებით ნებადართულად“ აღიარა ნაშრომი[11]. რეცენზიისას მეცნიერის შენიშვნები ეხებოდა როგორც წმინდა გრამატიკულ საკითხებს, ასევე მეგრულ-სვანური მონაცემების შეტანას სახელმძღვანელოში. ს. ხუნდაძემ ვრცლად უპასუხა ყველა შენიშვნას, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო საქმის“ №706, 707, 709 ნომრებში.

საპასუხო წერილში ჩანს ს. ხუნდაძის მყარი პოზიცია ენობრივი ერთიანობის საკითხში. ა. შანიძე წინააღმდეგი იყო „ქართულ გრამატიკაში“ მეგრულისა და სვანურის მონაცემთა შეტანისა[12] - „მეგრულისა და სვანურის გრამატიკული ფორმები“ უნდა გამოტოვებულ იქნეს სრულებით, რადგანაც, ჯერ ერთი, ქართულ აღწერილობით გრამატიკაში, როგორიცაა ბ. სილოვანის გრამატიკა, სრულიად უადგილოა მეგრულ-სვანურიდან შესადარებლად მოყვანილი ფორმები. თუ ავტორს სახეში ჰქონდა დაეწერა შედარებითი გრამატიკა, მაშინ სხვა გეგმა უნდა აერჩია“ (სახალხო საქმე, 1919, №709:2).

---

[11] კომისიის თავმჯდომარე თავად აკაკი შანიძე იყო.

[12] ა. შანიძისათვის სახელმძღვანელოში ძველი ქართულის ფორმების შეტანაც მიუღებელი იყო.

შენიშვნას სილოვან ხუნდაძე ვრცლად პასუხობს: „ბტ. შანიძემ უნდა იცოდეს, რომ ქართული ენის ფორმების შესწავლის დროს მათი შედარება მონათესავე კილოკავების ფორმებთან ინტერესს აორკეცებს. გარდა ამისა, საჭიროა ჩვენმა მოზარდმა თაობამ იცოდეს მთავარი საფუძვლები იმისა, **რომ მეგრული და სვანური შტოებია ქართული ენისა და არა განსხვავებული ენები, როგორც ამას ამბობდნენ და დღესაც ამბობენ მტერნი და ორგულნი ჩვენი ქვეყნისა**... მე რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი მომყავს დედაქართულისა და მისი კილოების ნათესაური კავშირისა“ (სახ. საქმე, 1919, №709:2)[13].

პროფ. ე. დადიანისა და პროფ. ტ. ფუტკარაძის სტატიაში „სილოვან ხუნდაძის „ქართულ გრამატიკაში“ შეტანილი მეგრულ-სვანური მასალის შესახებ“, გაანალიზებულია სახელმძღვანელოს დანართში განხილული გრამატიკული საკითხები და ს. ხუნდაძის პასუხები რეცენზიაზე. განხილული მასალიდან მეცნიერები ხაზს უსვამენ ს. ხუნდაძის განსწავლულობას და პიროვნულ თვისებებს: „კარგად ჩანს, ერთი მხრივ, როგორც გრამატიკოსის განსწავლულობა და საკითხებისადმი განსხვავებული მიდგომა, მეორე მხრივ, იკვეთება მისი პიროვნული თვისებებიც: პრინციპულობა, შეუპოვრობა, პირდაპირობა... ს. ხუნდაძემ თავისი შრომებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული გრამატიკული აზრის განვითარებაში. ის ცნობილია როგორც ქართული ენის სიწმინდის დამცველი, ქართული ენის მოამაგე“ (დადიანი..., 2016:91).

---

[13] დამოწმებულ ლიტერატურაში, „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“ (ს. ხუნდაძე, 1927 წ.), დამატების სახით წარმოდგენილია კრიტიკული გარჩევა, რეცენზიის საპასუხო წერილის გამოქვეყნებამდე არსებული მიმოწერა აკ. შანიძესა და ს. ხუნდაძეს შორის.

მეგრული ლექსიკის ადგილი პეტრე ჭარაიას მიხედვით

პეტრე ჭარაიამ არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ქართული სამწიგნობრო ენის განვითარებისა და მისი დიალექტური მრავალფეროვნების საკითხს. ის აქტიურად მონაწილეობდა დისკუსიებში ენობრივ საკითხებზე; გამორჩეულად აღიარებულია ნაშრომები **„მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“**[14] და **„ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა“**[15].

როგორც სათაურიდანაც ჩანს, პ. ჭარაია მეგრულის ადგილზე ქართველურ სივრცეში კონკრეტულად და ვრცლად საუბრობს ნაშრომში **„მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“.**

მეგრულ-ლაზურისა და სვანურის სტატუსზე ხაზგასმით მიუთითებს, როცა განიხილავს ივერიულ ჯგუფს: „„ივერიული ჯგუფი“ კავკასიის ენებისა, შეიცავს ენებს ზოგადის ქართული გვარისას, რომელიც შესდგება შემდეგის დიალექტებისაგან: 1. საკუთრივ ქართულისა, 2. მეგრულისა, 3. ლაზურისა, 4. სვანურისაგან. ყველა ამ ენებს, ან უკეთა ვსთქვათ, დიალექტებს ერთსა და იმავე ძირ-ენისას აქვსთ ძლიერ ახლო და მჭიდრო ნათესაობა ურთიერთ შორის. მხოლოდ სვანური ცოტათი უფრო განირჩევა სხვებისაგან; მაგრამ ისიც ისე არა, რომ მისი ნათესაობა ქართულ გვარ ენებთან, როგორც სიტყვებისა და სიტყვის ფესვების, ისე გრამატიკულ ფორმების მიხედვითა არა თუ ენის მეცნიერთათვის, არამედ ყველა დამკვირვებელ ქართველთათვისაც აშკარა არ იყოს. რაც შეეხება **მეგრულსა, ეს ღვიძლი**

---

[14] დაიბეჭდა „მოამბე“-ში 1895 წელს, №10, 1896 წელს №1, 2 და 1897 წელს №3, 4 ნომრებში. ორივე ნაშრომს ვიმოწმებთ 1997 წელს გამოცემული წიგნიდან „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“.

[15] დაიბეჭდა „მოამბე“-ში, 1895 წელს, №9.

ძმაა ქართულის ენისა, რომელსაც იგი არა „ძლიერ წააგავს“, არამედ რომელთან თითქმის „იგივეობს“, თუ ქართულის ქვეშ ვიგულისხმებთ არა იმერულს, ქართლურს, გურულს, რაჭულს, მთიულს და სხვ. ცალ-ცალკე, არამედ - სრულიად საერთო ქართულს ძველის მწიგნობრულითურთ აღებულსა“ (ჭარაია, 1997:204).

შესიტყვებას **„ქართულის გვარი ენები“** პროფ. თ. გვანცელაძე განმარტავს: „ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ავტორი თანამედროვე ლინგვისტიკის პოზიციაზე დგას და გენეალოგურ კლასიფიკაციას გვაწვდის. „ტერმინოლოგიური“ შესიტყვება „ქართული გვარის ენების“, „ქართული გვარის კილოები ძალზე გავრცელებული იყო XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე და ნიშნავდა არა ქართველურ „ენებს“, არამედ ქართული (ქართველური) ენის კუთხურ ვარიანტებს“ (გვანცელაძე, 2006:73).

პ. ჭარაია მეგრულისა და ქართულის მჭიდრო კავშირზე მიუთითებს, როცა ლექსიკურ მასალაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი სიტყვებით ლექსიკა წარმოაჩენს, რომ „ეს ორი დიალექტი (კილო), ქართული და მეგრული, ახლო დგანან ერთმანეთთან, ანუ, სხვა სიტყვებითა, შეიძლება განსაჯოს ხარისხი მეგრულის ენის ნათესაობრივის დამოკიდებულებისა ქართულთან“ (ჭარაია, 1997:205).

საინტერესოა პ. ჭარაიას დაკვირვება და მსჯელობა ისეთ განსხვავებულ სიტყვებზე, რომლებიც ფორმით სრულიად არ ჰგვანან ერთმანეთს - „ასეთი სიტყვები, პროვინციალიზმებად წოდებულნი, დიალექტურად არიან გაჩენილნი. როცა ძირეულ პირვანდელს ივერიულს ენაზე მოლაპარაკე ერი დაიყო ცალ-ცალკე თემად და ასე თუ ისე განცალკევებულ ცხოვრებას მიეცა, თვითეული თემი, განსხვავებულ (ერთიმეორისაგან) სულიერ და გარეგან გარემოებაში ჩაყე-

ნებული, შეიქმნიდა ან შემოიღებდა, უეჭველად, შემდეგში თანდათან შეხვედრილ ცნებათა გამოსახატავად ცოტად თუ ბევრად განსხვავებულ სიტყვებსაც (ანუ სიტყვის ფორმებსა). ...ამიტომ, საზოგადოდ, იმ მეგრულ სიტყვებს, რომელთაც პირველ შეხედვით არა რა მსგავსება და ნათესაობა არა აქვსთ თანაბრის მნიშვნელობის მექონე ქართულ სიტყვებთან, ძლიერ ფრთხილად უნდა მოეპყრას მკვლევარი. ამისთანა სიტყვებს პირი, რომელიც ღრმად ჩაუფიქრებლად და „ზედაპირულად“ უყურებს ენასა და ენის ცხოვრების კანონებს, არაიშვიათად შეცდომაში შეჰყავს: იმას ჰგონია, თითქოს ასეთი სიტყვები მეგრულს რადიკალურად არჩევდეს ქართულისაგან, ნამდვილად კი ამგვარი სიტყვები კიდევ უფრო ჰმოწმობენ ხშირად მეგრულისა და ქართულის ნათესაობასა და ძმობას. ქართული ენის სხვადასხვა ცოცხალ კილოებს (დიალექტებს) თუ დავაკვირდებით, ნათლად დავინახავთ, რომ იგი სიტყვები ღვიძლი ქართული სიტყვები ყოფილან“ (ჭარაია, 1997:256-257)[16].

ავტორი ნაშრომის ბოლოს, გაანალიზებული მასალის მიხედვით ასკვნის, რომ „მეგრული ლექსიკონი შედგება **„სრულიად პირწმინდად ქართული“** სიტყვებისაგან, ოდნავ (ფონეტიკურად) განსხვავებული და ცოტათი უფრო დაშორებული სიტყვებისაგან. მეგრული სიტყვა, რომელიც ერთი შეხედვით სრულიად არ ჰგავს ქართულს, აიხსნება

---

[16] **შენიშვნა:** მაგალითისთვის მოჰყავს მეგრ. **კორინება** („მონდომება, მოწადინება, მოსურვება, ნდომვა“) ფორმა, რომელიც რაჭულ კილოშია იმავე ფორმითა და მნიშვნელობით **„არ ოკორინა“** - არ ინდომა, არ ისურვა. მეგრ. **ფუნს** „დუღს“, ძირები ერთმანეთს არ ჰგვანან და არც დამტკიცდება მათი ნათესაობა ფონეტიკურ კანონთა ძალით, მაგრამ იგივე ვაჟა-ფშაველა გვეუბნება „სისხლი **გვიფუის** ძარღვებში“...

სხვადასხვა კუთხის ცოცხალი კილოთი, ან ძველი ქართულით“ (ჭარაია, 1997:264).

საინტერესოა პ. ჭარაიას მინიშნება გაგებინებასთან დაკავშირებით: „მეგრელები რამე საიდუმლოს გამოსათქმელად ორ-სამ წინადადებას ვერ ვამბობთ მეგრულად გადაბმით ქართულის მცოდნე პირის წინაშე, რადგან ვიცით, რომ ჩვენი კილო ჩვენვე გაგვცემს“ (ჭარაია, 1997:265)[17].

პ. ჭარაია სალიტერატურო ენის შექმნაში მთელი ქართველი ერის მონაწილეობაზე მიუთითებს წერილში **„ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა“.** ძველი მწიგნობრული ენის მასალას ძვირფას საუნჯედ მიიჩნევს და უცხო სიტყვების გამოყენების ნაცვლად მათ აღდგენაზე მიანიშნებს: „ძველს მწერლობაში შენახულია დიდძალი ლექსიკური მასალა, რომელისგან ბევრი შემდეგში დავიწყებას მისცემია, გადაკარგულა. ამ გადავიწყებულ ან გადაკარგულ სიტყვების ალაგზე ან სრული სიცარიელეა დღეს, ან უცხო ენათაგან ნასესხ სიტყვებს დაუჭერია იმათი ალაგები. ზოგ ასეთ შემთხვევაში **შეგვიძლია მივმართოთ ძველ მწერლობას და იქიდან ამოღებული სიტყვები ვიხმაროთ მწერლობაში“** (ჭარაია, 1997:190).

აქვე, დიალექტური ელემენტებით სალიტერატურო ენის გამდიდრება ენის სიცოცხლის ნიშნად მიაჩნია: **„სხვა-და-სხვაფეროვნება ჩვენის ლიტერატურის ენისა კიდევ იქიდან წარმოსდგება, რომ იწყება მწერლობაში ხალხური (დიალექტური) ელემენტის შემოტანა, ამაში ცუდი ნიშანი არა არის რა.**

---

[17] თანამედროვე მეცნიერული მიდგომებით გაგებინება არ არის ლინგვისტური კრიტერიუმი, რომლითაც განისაზღვრება ენისა თუ კილოს სტატუსი. ის უფრო ექსტრალინგვისტურ კრიტერიუმადაა მიჩნეული (ვრცლად იხ. თ. გვანცელაძის, ტ. ფუტკარაძის, მ. ლაბაძის, მ. თედორაძის ნაშრომები).

ყოველ ლიტერატურულ ენას ცოცხალ სახალხო დიალექტებში უნდა ჰქონდეს ფესვები გამჯდარი, „იმებით“, როგორც ზღვა მასში ჩამავალი მდინარეებითა, უნდა იკვებებოდეს იგი. **როცა ლიტერატურული ენა განზე გაუდგება სახალხო კილოებს, უკადრისობას გაუწევს იმათა, გასწყვეტს იმათთან მტკიცე და განუწყვეტელ კავშირსა, მაშინ თვით მისი აღსასრულის დღეც მოახლოებულია“** (ჭარაია, 1997:190).

მკვლევარს ძალიან ბუნებრივად მიაჩნია მწერლის მიერ დიალექტური ერთეულის გამოყენება: **„როცა სალიტერატურო ენას, როგორც დაგუბებულ წყალს, ერთფეროება დაეტყობა, აკლია რამე მარჯვე და მოხდენილი სიტყვა, მაშინ, შესაძლოა, ერთი სიტყვა შემოვიდეს იმ ცოცხალი კილოდან, რომელშიაც იგი მოიპოვება და სამუდამოდ მოქალაქეობის უფლება მიიღოს სამწერლო ენაზე.** და ასეთ შემთხვევაში კი არ უნდა ვუსაყვედუროთ და ვუკიჟინოთ, პირიქით, მადლიერნიც უნდა ვიყოთ იმ მწერლისა, რომელმაც იხმარა და შემოიღო ასეთი საჭირო სიტყვა“ (ჭარაია, 1997:194).

მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია კილოების როლი სალიტერატურო ენის განვითარებაში: „თითოეულ მათგანს ბევრი ისეთი რამ შეუძლია შესძინოს სალიტერატურო ენას, რასაც მეორე კილო ვერ მისცემს. ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ სალიტერატურო ენაზე ჯერ ისეთი ფორმები და სიტყვები უნდა იხმარებოდეს, რომლებიც საჭირონი არიან, რომლებიც შეგხვდებათ ყველგან საქართველოში ან მომეტებულ სივრცეზე მაინც“ (ჭარაია, 1997:194).

რაც შეეხება კონკრეტულად მეგრულის სტატუსს, სტატიაში პ. ჭარაია მიუთითებს: „ქართულის მონათესავე - მოძმე დიალექტები - მეგრული, ლაზური და სვანურიც რომ არ ვახსენოთ, აი საკუთრივ ქართულსაც რამდენი სხვა-დასხვა კილო ლაპარაკისა შეუქმნია: ფშავ-ხევსურული, მთი-

ულური, ქართლ-კახური, ზემო და ქვემო იმერული, რაჭული, გურული, და სხვ. **...ქართული სალიტერატურო ენა უნდა იღებდეს წმინდა ქართულ ელემენტებს ყველა ამ წყაროებიდან და შეითვისხორცებდეს, რათა თვითონაც მათთან შეთვისხორცებული იყოს“** (ჭარაია, 1997:191).

დიალექტების სამწიგნობრო ენად ჩამოყალიბების მცდელობებზე კი შენიშნავს: „თუ ასეთ მრავალრიცხოვან ერს, როგორც გერმანელები არიან, რომლებიც ამასთანავე სდგანან განათლების სათავეში, ერთი საყოველთაო სალიტერატურო ენა საჭიროდ უცვნიათ, **ჩვენ რაღანი ვართ, რომ თითოეული კილო სალიტერატურო ენად გავიხადოთ“** (ჭარაია, 1997:203).

ქართველი მეცნიერები ძალიან სიღრმისეულად განიხილავდნენ და სწორად აფასებდნენ მეგრულისა და სამწიგნობრო ენის ურთიერთმიმართების საკითხს: პ. ჭარაიამ დიალექტები შეაფასა როგორც სალიტერატურო ენის მაცოცხლებელი ძალა და ერთ-ერთ მათგანად წარმოადგინა მეგრული. ს. ხუნდაძემ საჭიროდ მიიჩნია თვით სასკოლო სახელმძღვანელოში შეეტანა მეგრული და სვანური მასალა, რათა ახალგაზრდებს გაეაზრებინათ ამ მეტყველებების საუკუნეობრივი კავშირი სამწიგნობრო ენასთან, რომ ისინი განშტოებებია და არა დამოუკიდებელი ენები. ეს სავსებით მართებული მიდგომაა საკითხისადმი, რისი გათვალისწინებაც თანამედროვე სიტუაციაში ორმაგ აუცილებლობას წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, მეფის რუსეთის და შემდეგ საბჭოთა პერიოდის მესვეურთა მიდგომები ქართველური ენობრივი ერთიანობის რღვევისკენ იყო მიმართული. კერძოდ, მათ მიზნად დაისახეს „მეცნიერული“ „კვლევებით“ (კვაზიმეცნი-

ერულად) საქართველოს კუთხური მეტყველებების დამოუკიდებელ ენებად გამოცხადება და ამ „ენებზე“ საქმისწარმოებისა თუ საეკლესიო ღვთისმსახურების დაწყება. XX საუკუნეში ეს ფსევდომეცნიერული იდეოლოგემა ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში და დღესაც აქტიურად გამოიყენება საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომში.

ვფიქრობთ, ამ კვალს მიჰყვება დღეს საქართველოს გარეთ თუ საქართველოში არსებული ზოგი ჯგუფის „მუშაობა“. მაგალითად, 2019 წლის 24 თებერვალს სამეგრელოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნის მიზნით ზუგდიდში აქცია გაიმართა, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო იური ღვინჯილია. აქციის ერთ-ერთი მონაწილე, გაერთიანება „აიას“ თავმჯდომარე ედემ იზორია „მეგრული ენის“ გადარჩენის გზას ბაღებსა და სკოლებში მეგრულად სწავლებაში ხედავს (ლაივპრეს; ქრონიკა +, 2019).

გაზეთ „ილორის“ ფურცლებზე აქციას გამოეხმაურა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია და დაგმო სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის საკითხი (ილორი, 2019, №447:1), თუმცა გაზეთის იმავე ნომერში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარისადმი მიმართვის წერილში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებში არანაკლები ინიციატივები წარმოადგინა. კერძოდ, ზ. კვარაცხელია ითხოვს პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც მეგრულის (ასევე ლაზურის, სვანურის) დაცვა-განვითარების უზრუნველსაყოფად შეიმუშავებს ყოვლისმომცველ და კომპლექსურ პროგრამას. ამ კომისიის დამტკიცების შემთხვევაში ის კომისიას განსა-

ხილველად შესთავაზებს შემდეგ საკითხებს: 1. დაწყებით კლასებში აუცილებლად მეგრულად სწავლება; 2. „მეგრულ ენაზე“ ბეჭდვითი გამოცემების აუცილებლობა; 3. „მეგრულ ენაზე“ ტელერადიომაუწყებლობის ფუნქციონირება; 4. „მეგრულ ენაზე“ მოსაუბრე ადამიანებს მიეცეთ შესაძლებლობა სახელმწიფო ენასთან პარალელურად მინიმუმ საკუთარი რეგიონის ტერიტორიაზე გამოიყენონ „ნანაშ ნინა“ (ილორი, 2019, №447:4).

პარალელურად, არაერთი ჯგუფი არსებობს სოციალურ ქსელში, რომელიც „მეგრული ენის“ დაცვა-გადარჩენას ემსახურება[18]. ერთ-ერთი მათგანია ე.წ. ორენოვანი სახელწოდების „მარგალური (ონჯუაში) ოგურაფუ/THE (EVENING) SCHOOL OF MEGRELIAN LANGUAGE. ამ ჯგუფის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი ავრცელებს ინფორმაციას მის მიერ გაწეულ „მთარგმნელობით“ საქმიანობაზე, რომლის მიხედვით 2015-2019 წლებში მან „თარგმნა“ 16-მდე ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა მეგრულად. მათ შორის „ბიბლია“ და „საბავშვო ბიბლია“, გამოსცა მეგრულ-ქართული სასაუბრო.

ამ ჯგუფში განთავსდა გიგა ქავთარაძის „ნათანგა“ (ნათარგმნი) კ. გამსახურდიას ლექსი „ზღვისფერი გაქვს თვალები...“. გამოხმაურების მიხედვით, იმდენად კარგად ჟღერს ეს ვარიანტი, რომ ჯობდა კ. გამსახურდიასაც მეგრულად დაეწერა, ამ შემთხვევაში „საამაყოდ საფრიალო“ იქნებოდა. გაგრძელდა კლასიკოსი მწერლის მეგრულისადმი დამოკიდებულების განხილვა და გამოითქვა რამდენიმე

[18] სოციალური ქსელების გამოყენება საკუთარი მოსაზრების დასაფიქსირებლად ძალიან ხელსაყრელია თანამედროვე სიტუაციაში. ამასთან, ის იარაღია რომლითაც სწრაფ რეჟიმში აზრის ფართო გავრცელება ხდება.

მოსაზრება, მათ შორის ის, რომ მწერალს „არ ეჯერა მეგრულის შესაძლებლობების როგორც გრანელს, ჩიქოვანს, ქიაჩელს“.

> ***შენიშვნა:*** *კ. გამსახურდიამ თავის შემოქმედებაში გზა გაუხსნა მეგრული მეტყველების შესაძლებლობებს და ამით გაამდიდრა სალიტერატურო ენა (ვრც. იხ. გვ. 65).*

მსგავს დამოკიდებულებას ასე ეხმაურება პროფ. რ. შეროზია ტ. ფუტკარაძის წიგნის („ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“) რეცენზიაში: „კუთხური „პატრიოტიზმის“ სენით შეპყრობილები ალბათ ვერ აცნობიერებენ, რომ, ერთი მხრივ, შეურაცხყოფას აყენებენ ტერენტი გრანელს, როცა მეგრულად „თარგმნილ“ მის ლექსებს კრებულად ბეჭდავენ და ზედ აწერენ „დაბრუნება მშობლიურ ენაზე“. მეორე მხრივ კი, ამ გზით არღვევენ ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკურ მთლიანობას, რაც რუსი დამპყრობლების მიზანიცაა და, ამავე დროს, საქართველოს დამღუპველიც“ (ფუტკარაძე, 2019:316).

II თავი

მეგრული სიტყვა-ფორმების ადგილი ქართველურ ლექსიკონებში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე

მეგრული მეტყველების ადგილი ქართველურენოვან სივრცეში კიდევ ერთხელ განისაზღვრა, როცა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ პრესაში გამოიკვეთა მოთხოვნა, რომ შექმნილიყო ახალი განმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც აისახებოდა ქართველური ლექსიკა ყველა დიალექტიდან და ასე გამდიდრდებოდა სამწიგნობრო ენის ფონდი.

1895 წელს მ. ჯანაშვილმა წერილით **„ქართველები და ქართული ენა“** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიმართა განახლებული განმარტებითი ლექსიკონის შექმნის აუცილებლობაზე და წარმოადგინა თავისი შეხედულებები მასალის შეგროვებასთან დაკავშირებით: **„ჩვენში დაშთენილია მრავალი კუთხე, საცა ამირანისებურად და ხელუხლებლად მაგრობს აუარებელი სიმდიდრე ჩვენის ენისა, აუარებელი საუნჯე, შეძენილი ჩვენთა ღვაწლით შემოსილ მამა-პაპათა მიერ. ამგვარი კუთხეებია ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, წებელდა, აფხაზეთი, აჭარა, ლაზისტანი, სამცხე, ქიზიყი და კაკ-ელისენჭარი** (იგულისხმება ზაქათალას მაზრა - კ.გ.) და არა თუ ამ კუთხეებში, არამედ თვით საკუთარს კახეთსა, ქართლსა და იმერეთშიაც კაცი მონახავს მრავალს სიტყვა-ფრაზას, რომელიც ადგილობრივ იხმარება და საერთოდ-კი აღარაა. საჭიროა ეს აუარებელი მასალა შევკრიბოთ, შევისწავლოთ, აღვნუსხოთ... **მით უფრო საჭიროა განბნეულ სიტყვათა შემოკრება, რომ დღეს მეტად განმრავლდა რიცხვი განდეგილთა და გარეწართა. ეს წინდაუხედავნი, იპოვნიან-რა თავის კუნჭულში ასიოდ ადგილობრივ სიტყვას, რომელიც საერთო ლექსიკონში არ არის, ყვირიან: „არიქათ! აი სად**

ყოფილა ახალი ენაო! ჩვენ თურმე სხვა ენა გვქონიაო“ და სხვ.“ (ივერია, 1895, №206:1-2).

1897 წელს გაბრიელ ბარნაბიშვილმა წერილით მიმართა გაზეთ „ივერიის“ რედაქციას, სადაც ატყობინებდა თავის განზრახვას, ხელმეორედ გამოეცა დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი და დასძენდა, რომ **„ლექსიკონიდან განდევნილ იქნება ყველა დაძველებული სიტყვები და მათ ადგილად იხმარება სიტყვები ახლად ხმარებულნი.** შრომას უკვე შევუდეგ და ამიტომ ვთხოვ ყველა იმათ, რომელთაც განიზრახეს ამავე ლექსიკონის გამოცემა, ნუღარ შესწუხდებიან ან და მე დამითმონ...“ (ივერია, 1897, №118:2).

გ. ბარნაბიშვილის ამ წერილს, განდეგილის ფსევდონიმით, გამოეხმაურა გაზეთის ერთ-ერთი თანამშრომელიც - **„მცირე შენიშვნა (ლექსიკონის გამოცემის შესახებ)“**. ავტორი შენიშნავს, რომ ძველი სიტყვები „სამარისკენ არ უნდა მოვისტუმროთ“; ამასთან ყურადღებას ამახვილებს დასავლურქართულზე: **„დასავლეთმა საქართველომ იქნება დაამახინჯა ქართული ენა, მაგრამ ძირი, საძირკველი ამ დამახინჯებულის ქართულისა ისევ ქართულია.** აღმოსავლეთ საქართველომ კი ბევრი სხვა სიტყვები შეისისხლხორცა... ჩვენ ნება არა გვაქვს, რომ მამა-პაპათაგან გადმონაცემ საუნჯის კარის გასაღები მომავალ თაობას არ გადავსცეთ. თუ ჩვენის თავის სიკეთე გვინდა, პირიქით, **საჭიროა რაც შეიძლება მეტი ძველი სიტყვები იყოს ლექსიკონში შეტანილი და ამასთანავე ახალსაც შესაფერი ადგილი მიეცეს.** ერთი მეორეს არას დაუშლის და დიდად საჭიროც არის...“ (ივერია, 1897, №124:2).

წერილით **„ქართულის ლექსიკონის შედგენის გამო“** თავისი შეხედულება ლექსიკოგრაფიულ სამუშაოზე წარმოადგინა თ. სახოკიამ - „კარგის ლექსიკონის შედგენისათვის საჭიროა: ძველის ხელთ ნაწერების გადაკითხვა, ჩვენს დაბა-სოფლებში მოგზაურობა, რომ ამ სიარულის დროს გაგონილი სიტყვები ჩაიწეროს. საჭიროა შემდგენელმა ყოველგან აგენ-

ტები იყოლიოს, რომელნიც ჩაუწერენ ახალს სიტყვებს, სახელებს, ტერმინებს...“ (ცნობის ფურცელი, 1897, №223)[19].

საინტერესოა, თ. სახოკიასა და „ფერეიდანელი ქართველის“ პოლემიკა პრესის ფურცლებზე[20], სადაც თ. სახოკია რუსული სიტყვების შესატყვისად ძველ თუ დიალექტურ (მეგრულ) ლექსიკას წარმოადგენს; მაგ.:

Усердный-ს განმარტავს როგორც **„წადიერი“**; ამასთან მიუთითებს, რომ სამოციქულოს ტექსტში არის ნახმარი: „უმეტესად ვისწრაფეთ პირისა თქუჱნისა ხილვად მრავლითა წადიერებითა“ (პირველი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ, თავი II, მუხლი 17); აქ სიტყვა წადიერება ნიშნავს განსაკუთრებულს სურვილს, გინა წადილს;

Секретъ-ის ასახსნელად გურიაში გავრცელებულ **„სადუმარი, საჩუმათო“** ფორმებს წარმოადგენს;

რუსული **носки**-სთვის იყენებს **„ფეხთათმანი“** შესატყვისს, „მთელი სამეგრელო ამ სიტყვას ეძახის“;

Блокъ-ს სამეგრელოში გავრცელებული **„ღირღატით“** ხსნის;

Пальто-ს სამეგრელო-სამურზაყანოში ნახმარ **„გვაბანაკს“** უძებნის შესატყვისად: „გვაბანაკს აქ ეძახიან ნაბდისგან პალტოსებურად შეკერილს სამოსელს. განსხვავება მხოლოდ

---

[19] 1897 წლის „ცნობის ფურცელის“ 226-ე ნომერში, თ. სახოკიას წერილს გამოეხმაურა მ. ჯანაშვილი, რომელმაც თანაგრძნობა გამოუცხადა მეცნიერის აზრს და თან დაურთო ორი წლის წინ „ივერიაში“ დაბეჭდილი, ზემოთხსენებული წერილი.

[20] „ივერიის“ 1897 წლის 212-ე, 213-ე ნომრებში, სტატიის „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (თ. სახოკია, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1897)“ ავტორი („ფერეიდანელი ქართველი“) რუსული სიტყვების თარგმანს უწუნებს ავტორს. საპასუხოდ მეცნიერმა ამ რეცენზიის რეცენზია „რუსულ-ქართული ლექსიკონის შესახებ (პასუხად „ფერეიდნელ ქართველს“) გამოაქვეყნა „ცნობის ფურცლის“ გვერდებზე (1897, №388, 389, 390, 391).

საქონლის ნაქსოვის ფორმაშია, შინაარსი და დანიშნულება - კი გვაბანაკისა და ევროპიულ პალტოსა ერთი და იგივე გახლავსთ“ (ცნობის ფურცელი, 1897, №391:4).

ა. ხახანაშვილი „მოამბეში“ (№10) დაბეჭდილ თ. სახოკიას მიერ შეგროვილ მეგრულ ანდაზებს ასე გამოეხმაურა: „თვით ქართულის სალიტერატურო ენისთვის სასარგებლო იქნება დავუკვირდეთ ჩვენი ტომის ხალხთა კილოებს და შევავსოთ ლექსიკური ნაკლი, ანუ ავაფერადოთ იგი... აი ამიტომ **საჭიროა მიეცეს მეგრულს ენას ქართულს მწერლობაში შესაფერი ადგილი** და გავრცელდეს მისი ცოდნა მკითხველს საზოგადოებაში“ (ივერია, 1897, №227:3). კონტექსტის მიხედვით, ამ შემთხვევაშიც (აკაკი წერეთლის ტექსტის მსგავსად) ტერმინი „ენა“ გამოყენებულია მეტყველების სემანტიკით. წერილის პათოსია, რომ მეგრული ლექსიკით გამდიდრდეს ქართული სალიტერატურო ენა.

1901 წელს ლექსიკონის გამოცემის საკითხს გამოეხმაურა პ. ჭარაია და სამუშაო გეგმა დასახა, რომელიც დიალექტური სიტყვების შეგროვებას გულისხმობდა. ამისთვის საჭიროდ მიიჩნია კომისიის შექმნა, რომელიც დაიყოფოდა სექციებად და თითოეული მოიძიებდა კონკრეტული კილოს მასალას - **„თქმა არ უნდა, ეს საქმე დიდ შრომასა და ხარჯს მოითხოვს, მაგრამ მის მიერ მოტანილი ნაყოფიც დიდი იქნება: ჯერ ერთი, დაკარგვას გადარჩება ბევრი მეცნიერებისათვის საჭირო სიტყვები, ქართული ენაც შეივსება ბევრი ისეთი სიტყვებით, რომელთ სამაგიერონი ახლა უცხოთაგან უნდა ვისესხოთ; ქართული სიტყვების პირვანდელ ფორმათა (ფესვთა) აღდგენაც უფრო ადვილი შეიქნება**“ (კვალი, 1901, №28:666).

1904 წელს, ივერიამ გამოაქვეყნა ინფორმაცია ამა წლის 4 აგვისტოს გამართულ კრებაზე, სადაც შეიქმნა კომისია გრ. დიასამიძის, გრ. ყიფშიძის და დ. კარიჭაშვილის წევრობით. მოწოდების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც უნდა მოეგროვებინათ ისეთი ქართული სიტყვები, რომლებიც

ლექსიკონში არ იყო და ხალხში კი ბლომად მოიპოვებოდა, კრებამ კომისიას დაავალა დახმარებისათვის მიემართა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ ქართული სიტყვიერების მოყვარულთათვის (ივერია, 1904:№184:2).

ამის შემდეგ ჟურნალ-გაზეთებში პერიოდულად იბეჭდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩაწერილი მასალები - **„ქართული ენის საუნჯის მასალად“.** მიუხედავად ამ სამუშაოებისა, მხოლოდ XX საუკუნის 50-60-იან წლებში მოხერხდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან მომუშავე ჯგუფის მიერ (ხელმძღვანელი არნ. ჩიქობავა) გამოცემულიყო **„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“.**

ქართველთა სამწიგნობრო ენის საბაზო ლექსიკონში - „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ - მეგრული ლექსიკის ადგილის შესახებ მსჯელობამდე საჭიროდ ვთვლით, გავიხსენოთ მთავარი რედაქტორის, არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი მეგრული მეტყველების სტატუსის მიმართ.

2.1. არნოლდ ჩიქობავას თვალსაზრისი მეგრული მეტყველების სტატუსის შესახებ

1933 წელს გაკეთებული დასკვნის შემდეგ, რომლის საფუძველზეც შეწყდა სამეგრელოს სკოლებში მეგრულად სწავლება[21], არნ. ჩიქობავამ უფრო განავრცო თავისი თვალსაზრისი და, სტალინის შეხედულების საწინააღმდეგოდ, მეგრელების, ლაზების, სვანების ისტორიულ სამწიგნობრო ენად სამართლიანად გამოაცხადა ქართული სამწიგნობრო

[21] საკითხისათვის ვრცლად იხ. მ. თედორაძის დისერტაცია „ენობრივი ერთეულის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (საუკუნოვანი დისკუსია ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ)“, 2018; ტ. ფუტკარაძის „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“, 2019.

ენა. პარალელურად, სამეცნიერო ნაშრომებში მეგრული მეტყველება მან ჩათვალა უმწერლობო ზანური ენის ერთ-ერთ დიალექტად. წარმოვადგენთ არნ. ჩიქობავას მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმულ თვალსაზრისებს:

არნ. ჩიქობავა, 1936 წელი: „ჭანური და მეგრული ორივე კილოა ერთი ენისა, რომელიც ქართველურ ენათა ჯგუფის მესამე წევრს წარმოადგენს; ცალკე ენებად ჭანურსა და მეგრულს ისევე ვერ მივიჩნევთ, როგორც ხევსურულსა და გურულს; ეს უკანასკნელნი, როგორც ცნობილია, ქართული ენის კილოებს წარმოადგენენ; ფონეტიკურად, მორფოლოგიურად და სინტაქსურად, ლექსიკითაც კი, ჭანური და მეგრული, როგორც ქვევით დავინახავთ, უფრო ახლოს დგას ერთმანეთთან, ვინემ გურული და ხევსურული; ხევსურული და გურული კილოებია ქართული ენისა; ჭანურიცა და მეგრულიც კილოებია, ოღონდ ქართული ენისა კი არა, არამედ ცალკე ენისა, რომელიც ქართულთან გაცილებით უფრო ახლოსა დგას, ვინემ სვანური. **ამ ენას პ ი რ ო ბ ი თ ზანურს ვუწოდებთ“** (ჩიქობავა, 1936:25).

არნ. ჩიქობავა, 1938 წელი: „ზანური ქართულის დიფერენციაციის (ზუსტად რომ ვთქვათ, იმ ენის დიფერენციაციისა, რომლის გაგრძელება ისტორიულად ცნობილ ქართულშია მოცემული) პროცესში წარმოიშვა ისევე, როგორც ჭანური და მეგრული ზანურის წიაღში განვითარდა, ოღონდ ზანური დაშორდა ქართულს ენის დონემდე, ჭანური და მეგრული კი ერთმანეთთან ორი კილოს მიმართებაში იმყოფება. ამიტომაა, რომ, რაც უფრო ახლოს ვეცნობით ჭანურის მასალას, მის ისტორიულ წარსულს, მით უფრო მეტი სიახლოვე მჟღავნდება ჭანურსა და მეგრულს შორის და მით უფრო გასაგები ხდება ზანურის (ჭანურისა და მეგრულის) ისტორიული ურთიერთობა ქართულთან. ეს სრულებით არ გამორიცხავს იმას, რომ ჭანურში და კიდევ უფრო მეგრულში აღმოჩნდეს ქართულიდან შეთვისებული მნიშვნელოვანი

მასალა. ეს ბუნებრივი შედეგია ჭანურისა და, განსაკუთრებით, მეგრულის ქართულთან დაახლოებისა. ეს დაახლოება მეორეული პროცესია; იგი თანდათანობით უფრო ინტენსიური ხდება“ (ჩიქობავა, 1938:422).

არნ. ჩიქობავა, 1948 წელი: „ზანური ენის (მეგრულ-ჭანურის) ამოსავალია უკვე ჩამოყალიბებული მეტყველება იბერიული წყების ერთ-ერთი დიალექტისა, რომელიც დალექილია ძველი ქართული სამწერლო ენის შედგენილობაში... ძველი ქართული სამწერლო ენის შედგენილობის სირთულე, რასაც ბუნებრივად ექცეოდა ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ვ. თოფურია), ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გამოვლენილი; საამისოდ საჭიროა ძველი ქართული სამწერლო ენის ჩვენებათა დეტალური ანალიზი - მორფოლოგია-სინტაქსისა, ლექსიკისა და ფონეტიკის მხრივ - თანამედროვე ქართული დიალექტებისა და ზანურ-სვანურის მონაცემთა სრულად გამოყენებით“ (ჩიქობავა, 1948:272-273).

არნ. ჩიქობავა, 1952 წელი: „ქართული სალიტერატურო ენა ყველა ქართველი ტომის მწიგნობრობის ენა იყო ისტორიულად და არის ამჟამადაც, ქართლელი და აჭარელი, კახელი და იმერელი, თუში და მეგრელი, ხევსური და აფხაზი, ფშაველი და სვანი, ინგილო და ლაზი... ამ ენაზე სწავლობს სკოლაში, ამ ენას იყენებს კულტურული წინსვლის იარაღად. ასეა ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს; ასე იყო ეს მრავალი საუკუნის მანძილზე: არც აფხაზებს, არც სვანებს, არც მეგრელებსა და არც ჭანებს (ლაზებს), სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ. მეფის მთავრობის ცდა (მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე წლებში) მეგრულად შემოეღო სწავლა სამეგრელოს სკოლებში და მით ქართული ენა სამეგრელოს სკოლებიდან განედევნა, მარცხით დამთავრდა: თუ **დედაენას** ასწავლიდნენ ქართველ ბავშვს სკოლაში, **ეს ენა ქართული იყო ყველა ქართველი ტომისათვის...** ტომობრივი ენების

ნიმუშად ჩვენი სინამდვილიდან შეიძლება დავასახელოთ ქართველ ტომთა ენები: სვანური, ზანური (მეგრულ-ჭანური)... ტომობრივი ენებია, აგრეთვე დაღესტნის ენები: აღულური, წახურული, რუთულური, ანდიური, დიდოური... (ჩიქობავა, 1952:363,101).

არნ. ჩიქობავა, 1958 წელი: **„ქართული სალიტერატურო ენა შექმნილია მთელი ქართველი ხალხის მიერ, იგი კუთვნილებაა მთელი ქართველობისა, - იქნება ეს ქართველი** - ხევსური თუ სვანი, კახელი თუ მეგრელი, ქართლელი თუ აჭარელი... თვით დაქუცმაცებულ ფეოდალურ საქართველოშიც კი სხვა სამწერლო ენა არა ჰქონიათ არც მეგრელებსა და არც სვანებს. ქართული სალიტერატურო ენა ერთადერთი **ეროვნული ენაა** მთელი ქართველობისათვის; ასე იყო წარსულში და მით უფრო ასეა ახლა, როცა საბჭოთა საქართველოში სოციალისტურ ქართველ ერში შედუღაბებულია როგორც ქართველობის განუყრელი ორგანული ნაწილი, მეგრელი, ჭანი და სვანი ისევე, როგორც ქართლელი, კახელი, აჭარელი, თუში... **დიდმა ქართველმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა დედაენა უწოდა იმ წიგნს, რომელსაც ყოველი კუთხის ქართველი ბავშვი, სვანი ისევე, როგორც ფშაველი, მეგრელი ისევე, როგორც აჭარელი, ქართლელი და კახელი... იღებს პირველად ხელში, რომ ერთიან ნაციონალურ ქართულ ენას დაეუფლოს,** დაეუფლოს იმ ენას, რომლითაც ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ შექმნეს ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუშები, იმ ენას, რომელიც განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა საბჭოთა დროის სახელოვანი ქართველი პროზაიკოსებისა და პოეტების შემოქმედების წყალობით" (ჩიქობავა, 1958:19).

არნ. ჩიქობავა, 1969 წელი: „კუთხური კილოკავების მთელი წყება გვაქვს, სალიტერატურო ქართული ენა კი ერთია ყველა კილოკავზე მოუბართათვის, ერთობლივ ყველა კუთხის ქართველთათვის. ქართლელი იქნება იგი, აჭარელი, ფშაველი თუ სვანი, ხევსური თუ მეგრელი. ეს ერთი სალიტე-

რატურო ქართული ენა ქართველობის **ეროვნული ენაა,** სკოლისა და სასამართლოს ენა, თეატრისა და რადიოგადაცემათა ენა, იგი საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო ენას წარმოადგენს“ (ჩიქობავა, 1969:20).

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ენათმეცნიერი ტერმინ „ტომობრივ ენას“ იყენებს, მეგრულსა და სვანურს ქართველური დიალექტების რიგებში ასახელებს. თუმცა, ჩვენთვის მაინც მიუღებელია მსგავსი ტერმინის გამოყენება, მით უფრო დღევანდელ ვითარებაში, როცა მეცნიერს არანაირ კომპრომისზე წასვლა არ უნდა უწევდეს. მეგრულ-ლაზურ-სვანურის ქართველურ ენობრივ სივრცეში განხილვის მყარ საფუძველს კი სამწიგნობრო ისტორია იძლევა, რომელიც სულ მცირე თექვსმეტ საუკუნეს ითვლის.

2.2. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (1950-1964) ლექსიკოგრაფიული კონცეფცია

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემის ორგანიზება დაეკისრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. შეიქმნა ორი ორგანო: 1945 წლის ივლისში „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია“, რომელმაც შეიმუშავა „თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები“ და 1949 წლის ოქტომბერში „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქცია“. ორივე ორგანოს ხელმძღვანელობდა აკად. არნ. ჩიქობავა.

1915 წელს ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, იუსტ. აბულაძის, ი. ყიფშიძის, ს. გორგაძის, ვ. ღამბაშიძის, ვ. ბერიძის, პ. ინგოროყვასა და ა. შანიძის ერთობლივი მუშაობით შემუშავებული იყო სახელმძღვანელო, რომლის მიხედვით, ლექსიკონში უნდა შესულიყო ყველა არსებული წერილობითი ძეგლების (უძველესი დროიდან მოყოლე-

ბული) და მოპოვებული ზეპირსიტყვიერი მასალა. ლექსიკონი მიზნად ისახავდა სიტყვების მნიშვნელობის განმარტებას ისტორიული თანდათანობით, ენის სინტაქსური მხარის წარმოდგენას და სიტყვების მორფოლოგიური ფორმების აღნიშვნასაც (კეკელიძე, 1974:163-164).

განსხვავებით ამ სახელმძღვანელოსა, არნ. ჩიქობავამ 1945 წელს ჩამოაყალიბა განმარტებით ლექსიკონში სიტყვათა შეტანისა და განმარტების ლაკონური და ზუსტი პრინციპები, რომელიც სრულად წარმოადგენდა ენის საუნჯესა და თავისებურებებს.

განვიხილოთ ლექსიკონის შედგენის არნ. ჩიქობავასეული პრინციპები[22]:

ლექსიკონში შევიდა:

- **ყველა სიტყვა, რაც კი არის დამკვიდრებული ამჟამად ქართულ სამწერლო ენაში,** ე. ი. არა მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ მეცნიერებაშიც, ტექნიკაშიც, პრესაშიც, - ერთი სიტყვით, წიგნის მეტყველებაში;
- საკუთრივ ქართული ლექსიკის გარდა, **უცხოური წარმოშობის ფართოდ გავრცელებული სიტყვები;**
- **დარგობრივი ტერმინი,** რომელიც ყოველდღიურ სიტყვახმარებაში გვხვდება;
- **დიალექტური (ე. წ. კუთხური) ლექსიკა:** „ლიტერატურაში ხმარებული ამით ჯერ კიდევ არაა ლიტერატურული, და პირიქით, ლიტერატურაში უხმარი კიდევ არ ნიშნავს „არალიტერატურულს“... შესაძლოა ესა თუ ის კუთხური სიტყვა შემთხვევით არ იყოს ნახმარი წიგნის მეტყველებაში, მაგრამ მარტო ამის მიხედვით საკითხი ვერ გადაწყდება: ისეთი კუთხური სიტყვები, როგორიცაა რაჭ. „საგომელა“, ფშაური „ბოჟირი“, „საკოტარი“, წიგნის მეტყველებაში არა

[22] ვხელმძღვანელობთ 1945 წელს გამოცემული არნ. ჩიქობავას „თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპებით“;

ჩანს, მაგრამ სავსებით გამოსადეგია სალიტერატურო ქართულის ლექსიკისათვის. მით უფრო ეს ითქმის საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონში შესული ისეთი სიტყვების შესახებ, როგორიცაა „ლელმა“, „მზვარე“, „თქორი“, „დელგმა“..., მათი უხმარებლობა ლიტერატურაში შეიძლება სრულიად შემთხვევითი იყოს. ასეთი სიტყვები, თუ მათ ლექსიკონში შევიტანთ, წაადგება სალიტერატურო ქართულს, - დააკლდება თუ დავუკარგავთ. კუთხური ლექსიკის გამოყენება შერჩევით არა თუ შესაძლებელია, არამედ საჭირო და მიზანშეწონილიც. დიალექტები სალიტერატურო ენის მასაზრდოებელი მთავარი წყაროა ლექსიკის მხრივ (ამას ვერ ვიტყვით მორფოლოგია-სინტაქსის შესახებ)“ (ჩიქობავა, 1945:3-4);

- **ნორმატიული ფორმები:** „დიალექტი ბევრია, სამწერლო ენა ერთი უნდა იყოს. როგორც ყოველი სამწერლო ენა, ქართულიც ნორმატიულ თვალსაზრისს გულისხმობს. ამიტომაც ლექსიკონში სიტყვები შევა იმ სახით, რაც მიჩნეულია მართებულად ლიტერატურულს მეტყველებაში“;

სალექსიკონო ერთეულად მიიჩნევა:

- როგორც **პირველსახე, ისე ნაწარმოები სიტყვები** (კაცი-კაცობა-უკაცობა-საკაცე...). სახელის სალექსიკონო ფორმაა სახელობითი ბრუნვის ფორმა;
- **ზმნა მესამე პირის ფორმით აწმყოში (ანდა მყოფადში):** „ქართული ზმნის თავისებურებასთან შეფარდებით კანონზომიერია ზმნა წარმოდგენილი იყოს არა მასდარით (ზოგ ზმნას მასდარი არ ეწარმოება: შესცინის, მისტირის...), არამედ პირიანი ფორმით, სახელდობრ, მესამე პირის ფორმით. ეს მესამე პირი აწმყოსია (ხოლო თუ ზმნას აწმყო არა აქვს - მყოფადისა იქნება)“;
- **მიმღეობა:** მიმღეობის ყველა ის ერთეული, რაც კი აქტუალურია, როგორც მსაზღვრელი ანდა როგორც გასუბსტანტივებული სახელი;

• ფორმანტი და საწარმოებელი ელემენტი, ნაწილაკი.

სიტყვათა განმარტებისათვის სახელმძღვანელო ნიმუშად დაისახა საბას ლექსიკონი (მოკლე, სხარტული განმარტება); სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრას მოსდევს საილუსტრაციო გამოთქმა; უცხო სიტყვას წარმოშობა მიეთითება. თუ მნიშვნელობა ცვლილია, პირველწყაროს მნიშვნელობა ეჩვენება.

არნ. ჩიქობავას მიერ შემუშავებული „ძირითადი პრინციპები“ განხილული და დადასტურებული იყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: საქართველოს მეცნ. აკად. ნ. წევრი პროფესორი გ. ახვლედიანი, საქართველოს მეცნ. აკად. წ.-კორ. პროფესორი ვ. ბერიძე, კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი არნ. ჩიქობავა, საქართველოს მეცნ. აკად. ნ. წევრი პროფესორი გ. წერეთელი, აკად. ს. ჯანაშია; მოწვეული სპეციალისტები: ს. იორდანაშვილი, სტ. მენთეშაშვილი, ბ. ფოჩხუა.

ამრიგად, ამ პრინციპების მიხედვით, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში უნდა შესულიყო დიალექტური ერთეულები, თუნდაც ჯერ კიდევ გამოუყენებელი მწერლობაში.

განმარტებითი ლექსიკონის სამუშაო აპარატს 1945 წლიდან წარმოადგენდა ენის ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილება, რომლის ხელმძღვანელი გახდა პროფ. არნ. ჩიქობავა შემდეგი შემადგენლობით: უფრ. მეცნ. თანამშრომლები: რუს. გაგუა, სიმ. ვაჩნაძე, სოლ. იორდანაშვილი, სტეფ. მენთეშაშვილი, ევგ. ჯეირანიშვილი; უმც. მეცნ. თანამშრომლები: ნად. საბაშვილი, ნინო საყვარელიძე და ბაბო ივანეს ასული წერეთელი. მუშაობის დაწყებისას ლექსიკონის კომისიის განკარგულებაში იყო სიტყვანი, რომელიც შეადგინა ლექსიკოლოგიის განყოფილებამ წინა წლებში

(1936-1941 წწ.), როცა განყოფილებას პროფ. ვ. თოფურია ხელმძღვანელობდა.

1946 წლიდან განმარტებული მასალის განსახილველად მუშაობა დაიწყო ოთხმა კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პროფ. გ. წერეთელი, პროფ. ვუკ. ბერიძე, დოც. სიმ. ვაჩნაძე და დოც. სოლ. იორდანაშვილი. 1947 წელს დაემატა კომისია გ. ახვლედიანის თავმჯდომარეობით, 1948 წლიდან კი ახალი კომისია დოც. ქ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით.

სიტყვანის განხილვისათვის კომისია სხვადასხვა დროს იწვევდა პოეტებს, მწერლებს, ისტორიკოსებს, ბოტანიკოსებს (მაგ. იოსებ გრიშაშვილი, ილია ზურაბიშვილი, დავით კასრაძე, გერონტი ქიქოძე, თამარ ლომოური, ალექსანდრე მაყაშვილი, თედო სახოკია...).

ლექსიკონი დაემყარა 1945 წელს დადგენილ პრინციპებს და პირველი ტომი დაიბეჭდა 1950 წელს.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულს წინ უსწრებს 1948 წლის საცდელი მონაკვეთის გამოცემა, რომელიც შეიცავს 1324 სიტყვას პირველ რვა ასოზე (ა,ბ,გ,დ,ე,ვ,ზ,თ). ბ,ვ,ზ, და თ ასოებზე სიტყვები თანმიმდევრობითაა მოცემული, ა,გ,დ,ე ასოებზე - სხვა და სხვა მთლიანი ნაწყვეტი (ქეგლი, 1948:1-212).

ჩვენთვის საინტერესო კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში ხაზგასმულია, რომ „ნაშრომი წარმოადგენს ახალი სალიტერატურო ქართული ენის ლექსიკონს და აქ არ შემოდის ძველი ქართულის ლექსიკა. განხილულია „ლიტერატურული“ და „დიალექტური“ ლექსიკა. აღნიშნულია, რომ „დიალექტიზმები ბრუნება-უღვლილებაში, სინტაქსში, ორთოგრაფიაში უკუსაგდებია, აქ ეს ორი ცნება მკვეთრად იმიჯნება (მაგ. „მოიტანა“ ლიტერატურულია, მაგრამ „მეიტანა, მაიტანა“ არა). ბრუნება-უღვლილების ინვენტარი განსაზ-

ღვრულია და ცნობილი: ისეთ თავსართს თუ ბოლოსართს ვერ ვიპოვით, რომ წიგნის მეტყველებაში არ იყოს დადასტურებული. როცა დიალექტური ამ სფეროში შემოდის, მან ლიტერატურულის ადგილი უნდა დაიკავოს, აქ დიალექტური უპირისპირდება ლიტერატურულს. ლექსიკაში სხვაგვარი მდგომარეობაა. სალიტერატურო ენა ვერ ამოწურავს სიტყვათა მარაგს: მრავალია ისეთი სიტყვა, რომელიც არ დასჭირვებია მწერალს და ამიტომ არ ჩანს წიგნის მეტყველებაში, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იხმარს და სიტყვა ლიტერატურის ფაქტი გახდება. „საჭიროების შემთხვევაშიო“ რომ ვთქვით, ვგულისხმობთ, რომ საამისო შინაარსის გადმოსაცემად სხვა სიტყვა სამწერლობო ენაში არ გაგვაჩნია. დიალექტიდან შემოსული ახალი სიტყვა თავისუფალ ადგილს იკავებს და სალიტერატურო ენას ამდიდრებს“ (ქეგლი, 1950:009).

საინტერესოა მითითებული ციტატის სქოლიოში დამატებითი შენიშვნა: „როცა ლიტერატურაში უკვე იხმარება შესაბამისი სიტყვა, ახალი, დიალექტური სიტყვა უადგილოა; მაგალ., „ჯაგრცხილა“ გვაქვს, დიალექტური „კვინცხა“ მეტია“.

იქვე გაანალიზებულია საბას ლექსიკონში დადასტურებული ერთეულები, რომლებიც წიგნის მეტყველებაში შეიძლება არ აღმოჩნდეს, მაგრამ ხალხში ცოცხლობს. ასეთი სიტყვები სამწერლო ლექსიკის რეზერვადაა მიჩნეული. მაგალითებად მოყვანილია **ზრობის, თხის, ნავის** ბუდეში შეტანილი ერთეულები: „ზრობას ბუდეში გვაქვს: ხარი, ფური, ხბო, ბარაკეული, დეკეული, ბოჩოლა, მოცედი, მოზვერი, ბოიკი, კურო, აზავერი... თხა-სთან: ვაცი, ნეზვი, თიკანი, ბატკი, წალი, ბოტი, ვაციკი... ნავ-თან: ნუშა, ვარცლი, კოპანო, კარაპა, კარჭაპა, ხუმალდი, კარაპითა, ონჩხომელი, ოლეჭკანდერი, კატარღა... ნავის ბუდეში მხოლოდ ხომალდია ცნობილი; სხვები - არა. მაგრამ **ვარცლა ნავი** ცოცხალი ჩანს გურიაში (**„ვარცხლა ნავის“** სახით), **ნუშა** იგივეა, რაც მეგ-

რული ნიში („ნავი“), ოლეჭკანდერიც დასტურდება მეგრულს მეტყველებაში (ონჩხომელიც მეგრული ჩანს: „სათევზაოს“ ნიშნავს)“ (ქეგლი, 1950:009).

რედაქტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სალიტერატურო ენა დიალექტებით საზრდოობს: „განსაკუთრებით ეს ლექსიკას ეხება. დიალექტებთან კავშირი რომ გაწყდეს, სალიტერატურო ენა მკვდარი, ხელოვნური ენა გამოვა. მაგრამ დიალექტიზმების შეუზღუდველი შემოჭრა სალიტერატურო ენას მთლიან სახეს დაუკარგავდა. დიალექტები ბევრია, სალიტერატურო ენა - ერთი. სალიტერატურო ენას საკუთარი სახე და გზა აქვს. რაც დიალექტებიდან მომდინარეობს, ამ გზას უნდა შეეფარდოს, შეეგუოს, შეესისხლხორცოს“ (ქეგლი, 1950:010).

ისეთი ერთეულების შეტანის მიზანი კი, რომელთა ადგილი დიალექტურ ლექსიკონებშია, ისაა, რომ გასაგები გახადოს იმ ლიტერატურული ნაწარმოების ტექსტი, სადაც ასეთი სიტყვა დასტურდება (მაგ. „აგი“, „ბაბუდა“, ოჯო...).

განმარტებაში კვალიფიკაცია სხვა შემთხვევებთან ერთად მიუთითებს სიტყვის კუთხურობაზეც - „კუთხურ სიტყვასთან აღნიშნულია ის კუთხე, სადაც სიტყვა დადასტურებულია. ეს არ ნიშნავს, რომ ეგევე სიტყვა სხვა კუთხეში არა გვხვდება (დიალექტების სიტყვა არაა ჯერ მთლიანად გამოვლენილი)“ (ქეგლი, 1950:089).

ლექსიკონის რეცენზიაში ჰ. ფოგტი დიალექტიზმების შეტანაზე შენიშნავს: „რედაქტორები იძულებული იყვნენ გარკვეული არჩევანი გაეკეთებინათ, რაც უეჭველია, ადვილი არ იქნებოდა, თუ სურდათ თავიდან აეცილებინათ - შეძლებისამებრ - თვითნებური გადაწყვეტილებანი. ეს პრობლემები ყველა თანამედროვე სალიტერატურო ენის ლექსიკონის რედაქტორთა წინაშე დგას, მაგრამ განსაკუთრებით ძნელი გადასაწყვეტია ქართულის შემთხვევაში.... დიალექტები და ადგილობრივი თქმები ყოველთვის რჩება დიდ რეზერვად, რომელსაც შეუზღუდავად იყენებენ ავტორები. ისიც უნდა

გავიხსენოთ, რომ სოფლის ცხოვრება დიდ როლს ასრულებს ლიტერატურაში, დიალექტიზმების თავისუფალი ხმარებაა, რომ ქმნის ადგილობრივ კოლორიტს. რედაქტორებმა თავი მოუყარეს დიალექტური წარმოშობის ბევრ სიტყვას, რაც სრულყოფილად არის დაზუსტებული, მითითება კუთხ. ძალიან ხშირია და ყოველთვის საგანგებოდაა მითითებული ის კუთხე, სადაც სათანადო სიტყვა იხმარება. გამოგიტყდებით... ვერ ვხედავ, რომ რედაქტორებს ეცადათ მოეცათ ზუსტი განსაზღვრა იმ პრინციპებისა, რომელთაც ისინი მიჰყვებოდნენ თავიანთი არჩევანის დროს“ (ფოგტი, 1970:361).

ზოგადი შეფასება ლექსიკონისა კი რეცენზენტისგან ასეთია: „სრულყოფილი ლექსიკონი საზოგადოდ არ არსებობს და ეს ლექსიკონი უეჭველად კვლავ გამოიცემა გადასინჯული და შესწორებული. ამ სახითაც, როგორიც ის დღეს არის, იგი დაიჭერს ფრიად მნიშვნელოვან ადგილს ჩვენი დროის ერთენოვან ლექსიკონებს შორის, ეს არის ძეგლი, აღმართული ენისა და მისი ძველი, ათასხუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად და საამაყოა მათთვის, ვინც ჩაიფიქრა ეს სასიქადულო საქმე და ვინც განახორციელა იგი“ (ფოგტი, 1970:364).

რ. ლაფონი შენიშნავს: „იმისათვის, რომ ამ დიდი კოლექტიური ნაშრომის ნამდვილი ღირებულება შევაფასოთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ის შედგენილია ქართველთათვის, იმ „მომხმარებელთათვის“, რომლებიც იცნობენ და იყენებენ თანამედროვე სალიტერატურო ენას... [რედაქტორებს და კომისიის წევრებს] არ შეეძლოთ შეეტანათ ყველა სიტყვა და ყველა ფორმა ზმნისა მე-3 პირის ფორმით ყველა დიალექტიდან, არც ყველა ის სიტყვა, რომლებსაც ძველი ავტორები იყენებენ, ან რომლებიც საბა-სულხანის ლექსიკონშია... ქართველებს თავისი ენის ნამდვილი კულტი აქვთ...“(ლაფონი, 1970:367,369).

ვფიქრობთ, დასკვნების გამოტანამდე ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ ფაქტებზე:

კვალიფიკაციისას სათანადო კუთხურობის მისათითებლად ლექსიკონში გამოიყენება ყველა ქართველური დიალექტი, გარდა მეგრულ-ლაზურისა და სვანურისა. ისინი არ გამოიყენება არც იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ფორმა გურულთან ან იმერულთან ერთად მეგრულ-ლაზურშიც (სვანურშიც) დასტურდება.

არის შემთხვევები, როცა მეგრული წარმოშობის სიტყვა მითითების გარეშეა განმარტებული, ანუ სალიტერატურო ენის ფაქტადაა მიჩნეული.

მეგრულ-ლაზურის (სვანური) საკვალიფიკაციოდ გამოყენების შემთხვევაში რედაქტორს ის სტატუსით უნდა გაეთანაბრებინა **იმერულისა და გურულისათვის, ან სპარსულისა და არაბულისათვის**. არნ. ჩიქობავას გადაწყვეტილებით ის არც ენის რანგში გადის და არც დიალექტის.

გვაქვს ერთეული „გამონაკლისი“ შემთხვევა და დაკვირვებაც: საცდელი მონაკვეთის შემოკლებათა განმარტებაში მეგრული არაა შესული, თვითონ ლექსიკონში კი ფიქსირდება ერთადერთი შემთხვევა სადაც განმარტებისას მითითებაა მეგრულზე:

ბაია[1] (ბაიასაი) კუთხ. **(მგრ.)** ბალახი, დანაკვთული ფოთლებითა და ყვითელი ყვავილებით (მეტწილად ტენიან ადგილებში იზრდება) (ქეგლი, 1948).

ამას გარდა, საკმაოდ არის მეგრული ნიმუშები შეტანილი, რომლებიც მიჩნეულია მხოლოდ გურულისა და იმერულის კუთვნილებად. მაგ.: **ბაბუდა, ბანდალი, ბანდალა** (განსხვავებული მნიშვნელობით), **ბანდღი, ბანძღი, გაგანია, ებორკება.**

რვატომეულის შემოკლებათა სიაში მეგრული და ჭანური ნახსენებია, თუმცა სალექსიკონო ერთეულის განმარტებაში

კვალიფიკაციის წარმოდგენისას არაა გამოყენებული[23]. მიუხედავად ამისა, საინტერესოა წინასიტყვაობაში გაკეთებული განმარტება: „საილუსტრაციო გამოთქმები ხშირ შემთხვევაში ცვლის არსებულ შეხედულებას სიტყვის გავრცელების არეზე. მაგ. „ბაღანა იმერული და გურული კილოების კუთვნილებადაა მიჩნეული, ე. ი. კუთხურ სიტყვად. დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ ეს სიტყვა ნახმარი აქვთ ეგ. ნინოშვილს, ნ. ლორთქიფანიძეს, უიარაღოს (კონდრ. თათარაშვილს, რომელიც სამეგრელოდან იყო); ამათ გარდა: რაფ. ერისთავს, ვაჟას, სოფრ. მგალობლიშვილს...“ (ქეგლი, 1950:086). ე. ი. **ბაღანას** სხვა დანარჩენთან ერთად მეგრულის კუთვნილებადაც მიიჩნევს. ამ რანგში გავა ისეთი შემთხვევები, როცა მეგრული გახმოვანების სიტყვა-ფორმები კვალიფიკაციის გარეშეა შესული, მაგრამ განმარტება მიგვითითებს მის მეგრულ წარმომავლობაზე; მაგ. **კუჩხაბედნიერი** - „ფეხბედნიერი“ მეგრული საქორწინო სიმღერა; **ღართი** - 3. სამეგრელოში ჩოხა და ა. შ.

იქიდან გამომდინარე, რომ ლექსიკონში მეგრული ლექსიკის სრული იგნორირება არ ხდება, წარმოდგენილი დაკვირვებები შეიძლება გარკვეულ ხერხად ჩავთვალოთ რედაქტორის მხრიდან, რომ საერთოდ ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო ეს ერთეულები. შესაძლებელია ვიფიქროთ, საწყის ეტაპზე გათვალისწინებული ყოფილიყო მეგრულლაზური ერთეულების კვალიფიცირება წესის მიხედვით, მაგრამ გასაგები მიზეზებისდა გამო (საბჭოთა იდეოლოგიების, ქართველური ენების ცნებათა გაბატონების გამო) ამოსაღები გახდა. სავარაუდოდ ლექსიკაც გაიცხრილა.

---

[23] გამონაკლისის სახით გვხვდება **ბაბა** ერთეულის შემთხვევა, რომლის განმარტებისას გურულთან და იმერულთან ერთად, მეგრულიცაა ნახსენები; ასე: **ბაბა, ბაბა-ი კუთხ. (გურ., იმერ., მეგრ.)** მამა (შვილი იტყვის თავის მამაზე ან თავის მამისადმი მიმართვისას). თუმცა მხოლოდ ამ ერთ გამონაკლისს ვერ დავეყრდნობით, მით უფრო **ბაბა** ქართველური წარმოშობის სიტყვაა არაა.

2.3. დისკუსია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კონცეფციაზე კ. გამსახურდიასა და არნ. ჩიქობავას შორის

კონსტანტინე გამსახურდიას ყურადღების მიღმა არ რჩებოდა საენათმეცნიერო ლიტერატურის გამოსვლა, მით უფრო ლექსიკოლოგიური ხასიათისა. საყურადღებოა მისი კრიტიკული წერილები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემებზე.

მან ამ საკითხს ორი წერილი მიუძღვნა: 1951 წლის წერილი **„ლექსიკოლოგიური შენიშვნები“** და 1956 წლის **„ქართული ენის მეურნეობისათვის“.**

პირველ წერილში **„ლექსიკოლოგიური შენიშვნები“** მწერალი საკუთარ ენობრივ კონცეფციებს[24] კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს და ლექსიკოგრაფიულ საკითხებზე მსჯელობს. კერძოდ:

მწერალი მიიჩნევს, რომ „ლექსიკონის შემდგენლებს მასალის კლასიფიცირებისას სახელმძღვანელოდ უნდა ჰქონდეთ დასახული ის პრინციპები, რომელნიც საფუძვლად დაუდო თავის დიდ შრომას, ჩვენი ლექსიკოგრაფიის სახელოვანმა წინაპარმა საბა ორბელიანმა. ...საბამ შეძლო თავის ლექსიკონში ქართული ენის უმთავრესი სიტყვიერი მარაგის კონცენტრირება. ამ შრომაში ათვისებულია არა მარტო ისტორიულად აპრობირებული და დადგენილი თავანკარა სიტყვიერი მარაგი, თვით ქართული ენის სხვადასხვა დიალექტიკებიდან შემოსული სიტყვები და გამოთქმანი. ქალაქების მოსახლეობის მიერ შექმნილი ბაზრული ჟარგონიც“ (გამსახურდია, 1965:254).

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ენობრივ გამოწვევებს, საფრთხეებს და მისი დიალექტური ლექსიკით გამდიდრების მნიშვნელობას. იქიდან გამომდინარე, რომ ენა არ სჯერდება ისტორიული არსებობის მანძილზე დაგროვილ

[24] კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივი კონცეფცია იხ. გვ. 65

ოქროს ფონდს, ითვისებს მონათესავე ენებისა და ენაკავების წიაღიდან შემოსულ ახალ მარაგს. ამდენად, კონსტანტინე გამსახურდია მიიჩნევს, რომ **„ქართულ ენაში თამამად შემოვუშვათ ქართული დიალექტებისა და ენაკავების წიაღიდან ისეთი სიტყვები და გამოთქმანი, რომელნიც ქართულ მეტყველებას შეავსებენ და გაამდიდრებენ.** ასეთი კურსი უნდა ჰქონდეს აღებული არამარტო ქართულ მწერლობას, ქართულ ლექსიკოგრაფიასაც“ (გამსახურდია, 1965:255).

მწერალი თვლის, რომ ყოველ მიზეზგარეშე უნდა გაეწიოს ანგარიში და ლექსიკონის გვერდებზე უთუოდ უნდა აისახოს უახლესი მწერლობის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმები, კომპოზიტები და ხალხურიდან შემოტანილი სიტყვები - „ლექსიკოგრაფი მუდამ იმის ცდაში უნდა იყოს, თავის ნაშრომში ანემიური როდი გახადოს ესა თუ ის ენა, არამედ მოჭარბებულად, სრულად უნდა აღინუსხოს როგორც ძველი მარაგის, ისე ყოველივე სიახლეთა უმცირესი ნიუანსებიც“ (გამსახურდია, 1965:256).

მეორე ნაშრომში - 1956 წლის **„ქართული ენის მეურნეობისათვის“,** რომელიც დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“ (№25,28) (ამ დროს გამოცემულია ლექსიკონის მხოლოდ ოთხი ტომი) - კონსტანტინე გამსახურდია უფრო დეტალურ შენიშვნებზე მიუთითებს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ და აცხადებს: „ენა ერისა და მისი კულტურის წმიდათა წმიდაა. იგი არავის ამბიციების საგანი არ უნდა გახდეს, ამიტომაც ნურას უკაცრავად, თუ ამ საკითხების გამო დავის დროს არავის ავტორიტეტს არ მოვერიდოთ“ (გამსახურდია, 1963:585).

აქედანაც ნათლად ჩანს მწერლის დამოკიდებულება იმ დიდი ეროვნული საქმის მიმართ, რასაც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა გულისხმობს. როგორც თვითონ აღნიშნავს, მას არაერთი ათეული წლის მანძილზე ჰქონია პოლემიკა ენათმეცნიერებთან სალიტერატურო ენის

ნორმების კანონზომიერებებთან დაკავშირებით და გულისტკივილით აცხადებს, რომ „ნორმირება ლიტერატურული ენისა კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ არა ისე, როგორც ამას მოითხოვდა მდიდარი და მრავალნაცადი ქართული ენა და მისი დიდი ტრადიციები“ (გამსახურდია, 1963:585).

დიდ და საშვილიშვილო საქმედ მიაჩნია მწერალს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა, რომელსაც „მეთაურობენ ჩვენი სახელოვანი, ღვაწლმოსილი ენათმეცნიერები“. თუმცა აღნიშნავს, რომ „არასოდეს არსად გაკეთებულა რომელიმე დიდი საქმე ისე, რომ მას მცირეოდენი ნაკლი არ გააჩნდეს. ჩვენი შენიშვნების მიზანია, არა ვინმესთვის ხელის შეშლა და გუნების გაფუჭება, არამედ პირუთვნელად აღნუსხვა ზოგზოგი დეფექტისა, რათა შემდგომში მუშაობისას ეს ყოველივე გაითვალისწინონ ამ გამოცემის ხელმძღვანელებმა“ (გამსახურდია, 1963:588-589). კერძოდ:

კ. გამსახურდია მიუთითებს ლექსიკონის მეტისმეტ განვრცობაზე, ჭარბ ილუსტრაციებზე. მოსწონს, რომ ოთხივე ტომში უხვადაა ციტირებული შოთას, საბას, გურამიშვილის, ილიას, ვაჟას, აკაკის და ზოგიერთი თანამედროვე მწერლის შემოქმედებიდან ამოკრეფილი სიტყვიერი საუნჯე. თუმცა, თვლის, რომ ამ მასალის გვერდით მოყვანილია „უნიჭო მწერლების, ხანაც ნიჭიერთა უგერგილო, უილაჯო თქმები, არაფრის მთქმელი ფრაზები, რომელთაც არც ლიტერატურული იერი გადაჰკრავთ, არც ხალხური და საერთოდ სავსებით უადგილოდ არიან ჩაჩხირულნი ჩვენი კლასსიკოსების ნაწერებიდან ამოღებულ ციტატებს შორის“ (გამსახურდია, 1963:589-591).

განმარტებითი ლექსიკონის პირველი ტომის 009 გვერდზე მთავარი რედაქციის წინადადებაზე, „...ამრიგად, ლიტერატურაში უხმარი მხოლოდ ამის გამო არალიტერატურულად არ მიიჩნევა. პირუკუ: ლიტერატურაში რაც გვხვდება,

ყველაფერი ლიტერატურული არაა“ - კონსტანტინე გამსახურდია შენიშნავს: „ამ აბზაცის პირველი ნახევარი სადავოა, თუ სიტყვა ჯერაც არ ხმარებულა ლიტერატურაში, იგი ლიტერატურულად ვერ ჩაითვლება. მიუხედავად ამისა, ყოველ სიტყვას, ხალხის მეტყველების ფონდიდან ნასესხებს, სრული უფლება აქვს ლიტერატურაში და ლექსიკონებში შემოსვლისა, უკეთუ იგი რომელიმე ცნების ნაცვანსს გამოხატავს, თუნდაც არსებული სიტყვის სინონიმად გამოდგება. სინონიმები მხოლოდ ამდიდრებენ ენებს. მეორე დებულება, ამავე აბზაცში წამოყენებული, უცილოდ სწორია და ეს დებულება კონსეკვენტურად რომ გაეტარებინათ ლექსიკონის შემდგენლებს, ზემოთმოყვანილ „ილლუსტრაციებს“ არ დაუთმობდნენ ადგილს“ (გამსახურდია, 1963:592).

ამ წერილის მთავარ სათქმელსა და კონსტანტინე გამსახურდიას ენობრივ კონცეფციას კიდევ უფრო ამყარებს მისი შენიშვნა: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რედაქციას უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცია ხალხური მეტყველებისათვის. ეს მომენტი მთლად იგნორირებული არაა განმარტებით ლექსიკონში, მაგრამ სასურველი იქნებოდა ქართული დიალექტებიდან, თვით ჭანურ-მეგრულ-სვანურიდანაც უფრო ჭარბად შემოეშვათ სიტყვიერი მასალა. ქართული ენის სხვადასხვა განშტოებანი, ე. ი. მისი დიალექტები ულევი და ჯერაც ალუნუსხველი მასალაა როგორც მწერლისათვის, ისე ენათმეცნიერისათვის... არც ქართულ მწერლობას, არც ჩვენს ლინგვისტებს ჯერჯერობით აღნუსხული არა აქვთ სიტყვის ულევი საუნჯენი, რომელთაც შეიცავენ ქართლ-კახური, ფშაური, ხევსურული, გუდამაყრული და მოხევური დიალექტები; უძველესი, მაგრამ ლიტერატურაში ჯერაც უხმარი ქართული სიტყვები მოიპოვებიან გურიაში, ზემო და ქვემო იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოსა და სვანეთში“ (გამსახურდია, 1963:592).

წერილში ლექსიკონის მეორე უმთავრეს ნაკლად მიჩნეულია ის, რომ მასში „ძველქართულის ეტიმოლოგიური ფონდი“ არაა წარმოდგენილი - „თუ მწერალი ხელს წამოავლებს უძველესს სიტყვას და ახალ ჟღერადობას მიანიჭებს მას, იგი კვლავ გაცოცხლდება და განახლდება. სიტყვა ოქროსა ჰგავს ერთ რამეში, მას სიძველის ჟანგი არასდროს მოედება, ოღონდ ხელმარჯვე მომხმარებელი თუ გამოუჩნდა“. კონსტანტინე გამსახურდია ეხმიანება ლექსიკონის რედაქციის წინადადებას 008 გვერდზე - „წინამდებარე ლექსიკონი სალიტერატურო ენის ლექსიკონია, მასთან - ახალი სალიტერატურო ქართულისა (ძველი ქართულის ლექსიკა აქ არ შემოდის)“. ტერმინები „ძველი“ და „ახალი“, რომელიც დღესაც აქტიურად გამოიყენება საენათმეცნიერო წრეებში, არც კონსტანტინე გამსახურდიასთვის იყო მისაღები: „ისეთი დიდი ისტორიის მქონე ენისათვის, როგორიცაა ქართული, „ძველი და ახალი“ პირობითი ცნებაც რომ არ იყოს, ძნელად გასამიჯნავია რომელია „ძველი“ და რომელი „ახალი“. ავიღოთ თუნდაც „კაცი“, „ასული“, „წული“, „პაპა“, „მამა“, „მიწა“, „ცა“, „წყალი“, „სული“, „ღმერთი“, „ხე“, „ღვინო“, „მახვილი“, „ქვა“. მობრძანდით და დაათარიღეთ რა ხნისაა ეს სიტყვები?“ (გამსახურდია, 1963:593).

კრიტიკის ავტორი აღნიშნავს, რომ „მიუხედავად აღნუსხული დეფექტებისა, ქართული განმარტებითი ლექსიკონის ოთხი ტომის გამოქვეყნება დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენი რესპუბლიკის კულტურის ისტორიაში. ჩვენი სურვილია შემდეგსა და შემდეგ ტომებს უფრო მეტის გულისყურით მოეკიდონ ამ საშვილიშვილო საქმის თავკაცები“ (გამსახურდია, 1963:596).

კონსტანტინე გამსახურდიას ძირითადი აქცენტები, რომელიც კონკრეტულად ლექსიკოგრაფიულ შენიშვნებს მოიცავს, გულისხმობს: 1. ე. წ. „ძველი ქართული“ ლექსიკური მასალის აღუნუსხველობას ლექსიკონში (როგორც განმარტე-

ბულია, ნაშრომი „ახალი სალიტერატურო ენის“ ლექსიკონია); 2. დიალექტებში დაუნჯებული ლექსიკური მარაგის სამზეოზე გამოტანას.

განმარტებითი ლექსიკონის შემდეგ ტომებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ გამოცემა გაგრძელდა იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც საწყის ეტაპზევე შეიმუშავა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კომისიამ.

აკად. არნ. ჩიქობავამ „ლიტერატურული გაზეთის“ 229-ე ნომერში (1956 წ.) წერილით **„ობიექტური საზომისათვის სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა დადგენისას“**[25] უპასუხა კონსტანტინე გამსახურდიას.

ზემოთ წარმოდგენილ შენიშვნაზე, ილუსტრაციებთან დაკავშირებით, რედაქტორი მიუთითებს, რომ იდეალური იქნებოდა ყველა სიტყვისთვის ანდაზები და აფორიზმები დართულიყო საილუსტრაციოდ, მაგრამ ამდენი არც ერთ ენაში არ მოიპოვება. ამიტომ მოყვანილია უბრალო, ამ ენისთვის ჩვეულებრივი და არა უჩვეულო, სტილიზებული გამოთქმები. რაც შეეხება რაოდენობას, დოკუმენტაცია უფრო მეტი უნდა გვქონოდაო - „ჩვენ ამით არ გვინდა ვთქვათ, თითქოს უკეთესი საილუსტრაციო გამოთქმების შერჩევა სასურველი (და საჭირო) არ იყოს. ყოველგვარ შენიშვნას, რაც ამ მხრივ დაგვეხმარება, მადლობით მივიღებთ. განმარტებით ლექსიკონში მთავარია, როგორ არის სიტყვა განმარტებული, რამდენად სწორი და სრულია განმარტება. ამ მხრივ შენიშვნები პატივცემულ მწერალს არ მოუცია (შეეძლო კი მოეცა)“ (ჩიქობავა, 1956:303-305).

ზემოთ წარმოდგენილი მესამე შენიშვნისადმი ასეთი პასუხით შემოიფარგლა მეცნიერი: „...სამართლიანი შენიშვნა გახლავთ. ჩვენის მხრით დავსძენთ: შეუსწავლელია რაჭული,

---

[25] წერილები მოიცავს შენიშვნა-პასუხებს გრამატიკულ საკითხებზეც. ვიმოწმებთ არნ. ჩიქობავას შრომების V ტომიდან, 2011.

იმერული, გურული და აჭარული. ვერ ვიტყვით მუშაობა არ წარმოებდეს, მაგრამ არც ერთი ქართული დიალექტის ლექსიკა სათანადოდ შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის... არც ერთი ქართველი მწერლის - თვით რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას - ლექსიკონი არ მოგვეპოვება. ასეთ პირობებში, ცხადია, რა სიძნელეებიც ჩნდება განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელთა წინაშე. პატივცემული კ. გამსახურდიას შენიშვნები ამ სიძნელეებს ანგარიშს უწევს და მე, როგორც ლექსიკონის რედაქტორს, მადლობის მეტი არა მეთქმის რა ამისათვის (ჩიქობავა, 1956:302).

ძველი ქართულის ეტიმოლოგიური ფონდის აღუნუსხველობაზე, აკად. არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ ეს ლექსიკონი ახალი ქართულისაა. ძველი ქართულის ფონდიდან შესულია ყველა ის სიტყვა, რომელიც დღესაც იხმარება იგივე, თუ შეცვლილი მნიშვნელობით (ჩიქობავა, 1956:305).

ნათელია აკად. არნ. ჩიქობავას დამოკიდებულება კ. გამსახურდიას შენიშვნებისადმი. საყურადღებოა, რომ სხვა საკითხებზე ამომწურავი პასუხის გაცემის ფონზე, **არნ. ჩიქობავა უპასუხოდ ტოვებს ლექსიკონის მეგრულ-ლაზურ-სვანური ერთეულებით გამდიდრების შენიშვნას. ვფიქრობთ, ეს შეგნებული ნაბიჯი იყო მეცნიერისგან; ფაქტია, მას არ უარუყვია კ. გამსახურდიას თვალსაზრისი თუ მოთხოვნა.**

მთლიანობაში არნ. ჩიქობავამ შეძლო, წინააღმდეგობა გაეწია საბჭოთა რეჟიმისათვის და დაიცვა ქართული სალიტერატურო ენის, როგორც „ყოველთა ქართველთა“ სამწიგნობრო ენის სტატუსი; ასევე, **მოახერხა ისიც, რომ კვალიფიკაციის გარეშე, მაგრამ მაინც მეგრული ლექსიკა შეიტანა „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.**

2.4. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქცია

ახალი ათასწლეულის დასაწყისიდან დაიწყო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალი სარედაქციო სამუშაოები, რომელიც, როგორც პროფ. ა. არაბული განმარტავს „ემყარება და იცავს იმავე პრინციპებს, რაც განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქტორის მიერ იქნა შემუშავებული“ (ქეგლი, 2008:12).

პროფ. ა. არაბული რვატომეულის, როგორც საერთო ეროვნული ლექსიკონის მნიშვნელობის ხაზგასასმელად გამოყოფს ორ ურთიერთშემავსებელ ასპექტს: „ეს არის ქართული სალიტერატურო ენის განმარტებითი ლექსიკონი და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია მისი ნორმატიულობა, კანონიკურობა; მეორე მხრივ ანგარიშგასაწევია ფართო ასპარეზის მიცემა იმ კილოური, დარგობრივი ლექსიკისათვის, რომელიც, საზოგადოდ, სალიტერატურო ენის ძირითადი ლექსიკური მარაგის სარეზერვო ფონდად არის ნაგულისხმევი. „სარეზერვო ფონდის“ ცნება არსებითად გულისხმობს ახლებურ პოლიტიკას ლექსიკის სფეროში, ვინაიდან ამგვარი ცნება გრამატიკული შინაარსით არსებითად მიუღებელია“ (არაბული, 2015:400).

მეცნიერის თვალსაზრისით, ქეგლ-ის ნიშანი [კუთხ.] სტილისტიკური კვალიფიკაციის შემცველი არ არის, რადგან ეს სახელდება აქვს მწერლობის ძეგლებში ჯერ დაუდასტურებელ ლექსიკასაც და ამასთანავე, მიიჩნევს, რომ „სტილისტიკურ შინაარსს ალბათ უკეთ გამოხატავდა ნიშან-ტერმინი [დიალ.] (დიალექტური)“ (არაბული, 2015:14). იქვე სქოლიოში კი განმარტავს, რომ წმინდა სტილისტიკური კვალიფიკაცია [დიალექტიზმი], ბუნებრივია, ლექსიკონში მწერლობის ძეგლებში დაუდასტურებელი მასალის ასახვას გამორიცხავდა.

როგორც ახალი რედაქციის მთავარი რედაქტორი, პროფ. ავთანდილ არაბული მიუთითებს, ის ცვლილებები, რაც შეეხო არსებულსა თუ ახალ სალექსიკონო მასალას, ამ პრინციპებიდან გამომდინარეობს და მათი უფრო ადეკვატური და თანამიმდევრული დაცვის მიზანს ემსახურება (ქეგლი, 2008:12).

რაც შეეხება დიალექტურ ლექსიკას, პროფ. ა. არაბული თავის სტატიაში **„დიალექტური ლექსიკის ადგილისათვის განმარტებით ლექსიკონში“**, ლექსიკური ფუძეების შემდეგ დაჯგუფებაზე მიუთითებს: ა) იზოლირებული (ერთ კილოში დადასტურებული), ბ) ლოკალური (ერთ რეგიონულ ჯგუფში გავრცელებული), გ) ფართო (ლოკალური საზღვრებიდან გასული), დ) საერთო-ქართული (კილოთა უმეტესობაში აღნუსხული). ამის საფუძველზე კი, წარმოადგინა შემდეგი პირობითი (საჩვენებელი) კრიტერიუმები:

- განმარტებით ლექსიკონში უნდა აისახოს ყველა ის ფუძე, რომელსაც დამოუკიდებელი (ან დამატებითი) მნიშვნელობა აქვს, არის ქართული წარმომავლობის (ან მისი არაქართულობა არ მტკიცდება), ან ენის ბუნებრივი სიტყვაწარმოებითი საშუალებებით შექმნილი ერთეული;
- ზუსტი სინონიმები შეიძლება შევიდეს ძალზე მკაცრი შერჩევით;
- ლექსიკური ერთეულის შეტანისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს ომონიმიის შექმნის, ან სხვაგვარი გაუგებრობის საფრთხე;
- კუთხურად შეიძლება მივიჩნიოთ ფუძე, რომელიც იზოლირებული ან ლოკალური გავრცელებისაა;
- საერთოქართულად შეიძლება მივიჩნიოთ ფუძე, რომლის გავრცელებაც ლოკალურ ფარგლებს სცილდება, ანდა, იზოლირებულობისა თუ ლოკალურობის შემთხვევაში, ისტორიულ ქართულში ჰპოვებს გამოძახილს;

- დიალექტიზმად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი ლოკალური გავრცელების ფუძე, რომელიც, ამის გამო, კერძო მწერლის (მწერლების) ენაში გამოვლინდება (იგულისხმება მწერლისეული მეტყველება. პერსონაჟის მეტყველებაში გამოვლენილი კუთხური სიტყვა დიალექტური ერთეულის ილუსტრაციად უნდა ჩაითვალოს);
- სათანადო კვალიფიკაცია მხოლოდ კუთხურ (კუთხ.) ერთეულებსა და დიალექტიზმებს (დიალ.) უნდა მიეცეს. დამატებით შესაძლებელია რამდენიმე სტილისტიკური მინიშნების დაცვაც (ირონ., ექსპრ., საუბრ...)“ (არაბული, 2000:19).

ამის გათვალისწინებით, ახალი რედაქციის წინათქმაში წარმოდგენილია ლექსიკონის ნორმატიულობის თვალსაზრისით გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი, რომელიც დიალექტურ მასალას და მათ კვალიფიკაციას შეეხება:

„ამოღებულ იქნა ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის აშკარად დიალექტური წარმომავლობის ფონეტიკური ვარიანტები;

იმ შემთხვევაში, როდესაც ამ რიგის მაგალითებს უდასტურდება რამდენიმე ილუსტრაცია სიტყვაკაზმულ მწერლობაში, ისინი სათანადო ადგილას წარმოდგენილია, მაგრამ მათ ახლავს შესაბამისი მითითება მართებულ ფორმაზე (მაგ.: ბღარტი იგივეა, რაც მართებული ბარტყი...).

იმ შემთხვევაში, თუკი ამა თუ იმ დიალექტიდან ლექსიკონში შემოტანილმა რომელიმე ლექსიკურმა ერთეულმა უკვე პოვა გავრცელება სალიტერატურო ენაში, მას მოეხსნა მითითება [კუთხ.], ან - კონკრეტულ დიალექტზე მინიშნება;

იმ ლექსიკურ ერთეულს, რომლის პერიფერიულობა (არა - საყოველთაო გავრცელება) ხელშესახებია, მაგრამ, იმავე დროს, დადასტურდა, რომ ის გამოყენებული ყოფილა არა მხოლოდ ერთ (ქეგლ-ში მითითებულ) კილოში, არამედ - რამდენიმე მათგანში, მოეხსნა კონკრეტულ დიალექტზე მითითება და დარჩა მხოლოდ შემოკლება [კუთხ.].

ქეგლ-ის ახალ რედაქციაში ძირითადად შენარჩუნებულ იქნა ერთი რიგის სპეციფიკური ლექსიკა, რომელიც საკმაოდ უხვად არის შემოტანილი ლექსიკონში სულხან-საბა ორბელიანის, ნ. და დ. ჩუბინაშვილებისა თუ დიალექტური ლექსიკონებიდან და რომელიც ძირითადად დარგობრივი ხასიათისაა; შესაბამისად, ასეთი დამოკიდებულება ზუსტად შეესატყვისება ქეგლ-ის რედაქტორისეულ დეფინიციას დიალექტური ლექსიკისა, როგორც სალიტერატურო ენის „სარეზერვო ფონდისა“. ამავე დროს, ამ რიგის ლექსიკას გარკვეულ შემთხვევებში საკვალიფიკაციო მითითება [კუთხ.] (პლუს - შესაბამისი დიალექტი) შეეცვალა კვალიფიკაციით „დარგობრივი“ [დარგ.]“ (ქეგლი, 2008:14-15).

ერთ-ერთი ხელშესახები განსხვავება ძველისაგან ახალ რედაქციაში მნიშვნელობათა უფრო მეტად გამომიჯვნაა: კერძოდ, არაერთ ერთეულს დაემატა ახალი მნიშვნელობა, ქვემნიშვნელობათა უმეტესობა, რომელიც პარალელური ხაზებით იყო გამოყოფილი, ცალკე ნომრით არის წარმოდგენილი. ასევე აქტუალური გახდა ნიშანი „ბარბარიზმი“ [ბარბ.] და „კალკი“ [კალკ.]. სამედიცინო, იურიდიული, პოლიტიკური, ელექტროტექნიკური ტერმინები, რომელიც საერთოსახალხო ენის განუყოფელ ნაწილად იქცა, ამიტომ მათი რაოდენობაც გაიზარდა ახალ გამოცემაში. მათ მოეხსნა ვიწრო დარგობრივი კვალიფიკაცია და გარკვეულ შემთხვევებში რჩება უფრო ზოგადი „სპეციალური“ [სპეც.] კვალიფიკაცია (ჩიქობავა, 2008:12-16).

ლექსიკონის ახალი რედაქციის მოცულობით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა რომ ლექსიკური ფონდი საკმაოდ გაზრდილია. ჩვენი ინტერესის სფეროს რაც წარმოადგენს ამასთან დაკავშირებით, შესამჩნევია, რომ ახალ რედაქციაში ფიქსირებულია ლექსიკური ერთეულები მეგრული და სვანური კვალიფიკაციით. თუმცა აქაც გვაქვს შეკითხვები, მაგალითად:

იმერულის კუთვნილებადაა მიჩნეული **ბანდალი** (კუთხ. (იმერ.) უილაჯოდ სიარული, ღონემიხდილის სიარული - ლასლასი, ბარბაცი), როგორც ბველ რედაქციაში, მაშინ როცა ეს ერთეული მეგრულის კუთვნილებაცაა. **ბანდალა** (შინაური ცხოველის დაავადება) კი, რომელიც ბანდალ-ს უკავშირდება, ყოველგვარი კვალიფიკაციის გარეშეა შესული ორივე რედაქციაში (ანალიზისათვის იხ. ქვემოთ).

გაბორებული ერთეულის განმარტებისას მინიშნებაა კუთხურ, მეგრულ წარმომავლობაზე, მაგრამ **ბორო**-სთან არა (ანალიზისათვის იხ. ქვემოთ).

გებჟალია ერთეულთან მეგრულ წარმომავლობაზე მითითების გარეშე მინიშნებაა დარგობრივზე. მართალია სპეციფიკური ლექსიკაა, მაგრამ ვფიქრობთ, მსგავს შემთხვევებშიც დასაშვებია კუთხურობაზე მინიშნება. ამასთან განმარტება არასრულია - „ახალი სულგუნი პიტნითა და მარილით შეკმაზული“, უნდა იყოს „პიტნით გადაზელილი ჭყინტი ყველი მაწონში ან რძეში“.

გაიპეტელებს ფორმასთან არაა მითითება კუთხურობაზე. შესაბამის ტომში **პეტელი** სიტყვა უნდა შევიდეს მეგრული კვალიფიკაციით (ანალიზისათვის იხ. ქვემოთ).

იმის მიხედვით, რომ ლექსიკონის ახალი რედაქციის სამი ტომი უკვე გამოცემულია, საკმაოდ შეინიშნება ისეთი ერთეულები, რომლებიც ისევ გურულ ან იმერულ ფორმადაა მიჩნეული. რვატომეულის ეს ხარვეზი აქ უნდა გამოსწორებულიყო. ამასთან, სალექსიკონო ერთეულად არ უნდა იყოს წარმოდგენილი ისეთი სიტყვები, რომლებიც ფონეტიკურ ვარიაციებს, „არამართებულ“ ფორმებს წარმოადგენენ. კერძოდ, ცალკე სალექსიკონო ერთეულად არ უნდა შედიოდეს: **გადემალება** (გადაემალება), **გადეხურება** (გადაეხურება), **გადიბერტყავს** (გადაიბერტყავს), **გადიბირებს** (გადაიბირებს), **გადუდგება** (გადაუდგება) და ა. შ. (ორივე რედაქციაში გვხვდება ეს შემთხვევები). მათი განმარტებაც მიგვითითებს,

რომ არამართებული ფორმებია - „იგივეა, რაც უფრო მართებული გადაემალება, ან გადაეხურება...“

მიგვაჩნია, რომ იქ, სადაც ფორმობრივად და გახმოვანებით აშკარაა მასალის მეგრული წარმომავლობა, აუცილებელია მისი კვალიფიცირება, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ეს სიტყვა სალიტერატურო ენაში ადრევე იყოს დამკვიდრებული (მაგ. **ოჩოკოჩი, ჯარგვალი, თუთარჩელა, მაფშალია, ვაშინერს, ოდაბადე**...).

საკუთარ ხედვას წარმოადგენს პროფ. ტ. ფუტკარაძე, როცა განიხილავს ისეთი განახლებადი ელექტრონული ლექსიკონის შექმნის საკითხს - **„ქართული ენის ახალი განმარტებითი ლექსიკონის“** სახით - რომელშიც, სამწიგნობრო ენის ფაქტების გარდა, შევა გამოქვეყნებული დიალექტური (მეგრული, ლაზური, სვანური, ხევსურული, თუშური, ფშავური, იმერული, ინგილოური, კახური, მესხური, აჭარული, ტაოური, რაჭული, ჯავახური...) ლექსიკონების რჩეული მასალა და სოციალურ ქსელებში გამოვლენილი ახალი სიტყვა-ფორმებიც.

ზანურ-სვანური ლექსიკის ადგილის განსაზღვრისათვის პროფ. ტ. ფუტკარაძე შენიშნავს: „ქართველთა სამწიგნობრო ენის საბაზო ახალ განმარტებით ლექსიკონში უნდა შევიდეს როგორც არქაული თუ თანამედროვე წერილობითი ლიტერატურული ძეგლების მონაცემები, ასევე, ყველა ქართველური დიალექტის ის ლექსიკა, რომელიც გაამდიდრებს **ქართველთა სამწიგნობრო ენის ლექსიკურ ბაზას;** პირველ რიგში, აუცილებელია, ქართული სამწიგნობრო ენისაკენ გზა გაეხსნას ზანურ-სვანურ სიტყვა-ფორმებს. ასეთ შემთხვევაში გაგრძელდება და გაფართოვდება ის კალაპოტი, რომელსაც ქმნიდნენ ქართველი მწიგნობრები უძველესი პერიოდიდან მოყოლებული ვიდრე კონსტანტინე გამსახურდიამდე“ (ფუტკარაძე, 2018:63).

2.5. მეგრული ლექსიკონების ენათმეცნიერული კონცეფციები

განმარტებითი ლექსიკონი გულისხმობს ერთენოვან ლექსიკონს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სალიტერატურო ენისა, ასევე დიალექტური. ორი, სამი და ხუთენოვანი ლექსიკონები თარგმნითი ხასიათისაა. მეგრული ლექსიკონებიც ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: დიალექტური ლექსიკონები და ორ-(და მეტ)-ენოვანი ლექსიკონები.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაარსებული სერიის „Материалы по Яфитеческому языкознанию" ფარგლებში გამოცემული ლექსიკონები თარგმნით ლექსიკონებს წარმოადგენენ. 1910 წელს გამოიცა **ნიკო მარის „Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем"**, სადაც დიდი ადგილი უჭირავს ჭანურ-რუსულ ლექსიკონს. 1914 წელს ამავე სერიის მიხედვით გამოცემულ იოსებ ყიფშიძის ნაშრომს **„Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем"**, დართული აქვს პირველი ვრცელი მეგრული ლექსიკონი, რომელიც ძირითადად ემსახურება აქვე მოცემულ ტექსტებში გამოყენებული ლექსიკური თუ ეთნოლოგიური მასალის ახსნას. სიტყვები თარგმნილია რუსულად, ალაგ-ალაგ ქართული განმარტებაც აქვს და მათ გვერდით მოცემულია გრამატიკულად ღირებული ფორმებიც. კ. დანელიას შეფასებით, ლექსიკონი „თარგმნითი ხასიათისაა, მაგრამ რამდენადმე ეტიმოლოგიური და ენციკლოპედიური ლექსიკონის ნიშნებსაც ატარებს, რაც ზრდის მის საცნობარო და მეცნიერულ ღირებულებას" (დანელია, 1991).

მეგრული ლექსიკონის შედგენაზე წლების განმავლობაში მუშაობდა პ. ჭარაია, რომელსაც საბოლოო სახე 1918 წელს მისცა.

საბოლოო ვარიანტის გადაცემამდე ავტორი, ნაწილ-ნაწილ წარუდგენდა ნაშრომს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას განსახილველად.

1910 წელს ნ. მარს გადაეცა პირველი ნაწილი შესამოწმებლად. არქივში დაცულია ნ. მარის რეცენზია, რომელიც ა. ღლონტმა უცვლელად დაბეჭდა „მნათობში“ 1964 წელს.

რეცენზიაში ნ. მარი მეგრულს უმწერლობო ენად მოიხსენიებს და შესავალ ნაწილში შენიშნავს: „იმდენად თვალუწვდომია ჩვენი მონათესავო ენების კილოკავების სივრცე და სიღრმე, და თან მათზე აჩქარებულ ზრუნვას გვაიძულებს ის გარემოება, რომ იგინი, განსაკუთრებით ასეთი ენები, როგორც სვანური, მეგრული და ჭანური, დღითიდღე ქრებიან და გვეკარგება მომავალი მეცნიერებისათვის უძვირფასესი განძი... ისეთი შრომის ხელყოფა, როგორიც დაუწყია პ. გ. ჭარაიას, დიაღ დიდის პატივისცემითა და ფიანდაზით მისაგებელია... ახალი შრომა „ქართულისა და მეგრულის შედარებითი ლექსიკონი“, ნაწილი პირველი..., ნათლად მოწმობს მისი ღვიძლი ენის ღრმა პრაქტიკულ ცოდნას და თან გულწრფელ მეცნიერულ მიდრეკილებას და თვალსამჩნევ შრომისმოყვარეობას“ (მნათობი, 1964, №12:135-136).

რეცენზიაში წარმოდგენილია ორი შენიშვნა: პირველი გულისხმობს დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონიდან ერთეულების ანბან-ანბან გადმოტანას, რომლის დროსაც ისეთი მასალაც გადმოყვა, რომელთა შემოტანაც რეცენზენტს უსაფუძვლოდ მიაჩნია. ამასთან, ყურადღებას ამახვილებს მასალის ნაკლულევანებაზე, რომელსაც მეგრულის უმწერლობო ენის სტატუსით ხსნის: „სრულებით არ არის აღნიშნული, რომ ქართულს ზოგ თავსართ „ა“ ზმნაში მეგრულად უდრის ნამდვილი თობალ-კაინური (ივერიულ-ჭანური) ექვივალენტი, ესე იგი ბგერა „ო“-ნი. საქმისადმი ამ შემცდარი დამართების მოყენებული ვნება ნამეტანი ზვიადდება იმიტომ, რომ ქართული ენა ლიტერატურის მექონია და მწიგნობრივი, ქართული სასაუბროც მწერლობის უმეშვეო გავლენის ქვეშ ხელოვნებით შემუშავებულია და დაწინა-

ურებული, და თვით დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი განსაკუთრებით მწერლობით ენაზე არის მიჩენილი (ხალხური ცოცხალი სიტყვები და თქმანი ასობითა და ათასობით აკლია), **მეგრული ენა კი უმწერლობო ენა არის, მრავალ საუკუნეთ განმავლობაში იგი მხოლოდ ბუნებრივად ზრდილა და ერთი კუთხის მხოლოდღა სახალხო ენაა"** (მნათობი, 1964, №12:136-137).

მეორე შენიშვნის მიხედვით, „სიტყვების მკონავს" უნდა ჰქონდეს ქართული ენის ისტორიული ცოდნა და შეთვისებული ჰქონდეს „რეალურ ფუძეზე აშენებული გრამატიკა, უნდა შეესწავლოს ქართულ ბგერათცვლილების კანონთაგან უმთავრესნი მაინც. ამ მოთხოვნილებათ წარმოდგენილი ლექსიკონის მთხზველი ვერ აკმაყოფილებს. ჩვენი მოთხოვნილება უმართებულო სიმკაცრეთ ვერ ჩაგვეთვლება, განსაკუთრებით, როცა ავტორს თავისი ნაშრომისათვის სათაურშივე სახელად უწოდებია „შედარებითი ლექსიკონი"" (მნათობი, 1964, №12:137).

ნ. მარი მიუთითებს ლექსიკოგრაფიულ წუნზეც: „პ. ჭარაია არ ნიშნავს აუცილებლად ერთი და იმავე მეგრული სიტყვის სხვადასხვა ადგილობრივ სახეს, ხოლო როდესაც მოჰყავს ორი თუ რამოდენიმე სახე, არ გვაუწყებს, თუ რომელ ადგილს ან კუთხეს ეკუთვნის ან უნდა ეკუთვნოდეს თვითეული მათგანი" (მნათობი, 1964, №12:137).

რეცენზიას დართულ შენიშვნებში ალ. ღლონტი ხაზს უსვამს, რომ რეცენზია დაწერილია ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ, რომელიც ინახებოდა საქართველოს სსრ ცენტრარქივში (საქ. №2048, ფურც. 13-15) და მნათობში ის უცვლელად იბეჭდება. ლექსიკონის შეფასებისთვის კი აღნიშნავს, რომ „ლექსიკონს ერთვის ვრცელი შესავალი, რომელშიც დადგენილია ქართულ-მეგრულის ძირითადი ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური შესატყვისობანი. მოპოვებული და გაანალიზებულია ძვირფასი მასალა. გასწო-

რებულია სამეცნიერო ლიტერატურაში გაპარული ფაქტობრივი შეცდომები და ცალკე, საერთო ენობრივ პროცესზეც წარმოდგენილია უეჭველად ანგარიშგასაწევი დასკვნები. **ამ ნაშრომს ალ. ცაგარელის, ნ. მარისა და ი. ყიფშიძის გამოკვლევების შემდეგ, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეცნიერებისათვის“** (მნათობი, 1964, №12:138).

როგორც ალ. ღლონტი თავის შენიშვნაში აღნიშნავს, „შედარებითი ლექსიკონის“ უკანასკნელი ვარიანტი, გვიჩვენებს რომ ავტორს შეძლებისდაგვარად გაუთვალისწინებია ნ. მარის შენიშვნები და მნიშვნელოვნად გადაუმუშავებია თავისი ნაშრომი.

ალ. ღლონტი „მნათობის“ დასახელებულ წერილში ლექსიკონს საინტერესოდ და ორიგინალურად თვლის, რადგან შეიცავს ორ - ქართულ-მეგრულსა (გვ. 1-477) და მეგრულ-ქართულ (გვ. 1-232) - ნაწილს. აქვე აზუსტებს ნ. მარის რეცენზიის სათაურს - „ქართულისა და მეგრულის შედარებითი ლექსიკონი, ნაწილი პირველი, ბ-ნ პ. გ. ჭარაიას თხზულება“ (მნათობი, 1964, №12:139-140).

მძიმედ დასნეულებულმა პ. ჭარაიამ ნაშრომი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა 1918 წელს, რომელიც ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ფონდი: A – 1716). ლექსიკონის გამოცემა მხოლოდ 1997 წელს მოხერხდა. კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა დარეჯან თვალთვაძემ, რედაქტორობა გასწია ზურაბ სარჯველაძემ. ნაშრომის გარეკანი დასათაურებულია როგორც „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, რომელიც ორენოვანი ლექსიკონის შთაბეჭდილებას ტოვებს. გამომცემლისა და რედაქტორის წინასიტყვაობის შემდეგ წიგნში დატანებულია მეორე სათაური „მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (მასალები იაფეტურ ენების მკვლევართათვის)“.

თ. გვანცელაძე ლექსიკონის დასახელებასთან დაკავშირებით შენიშნავს: „საგანგებო შემოწმებამ აჩვენა, რომ იგი თვით ავტორის მიერ არ არის დასათაურებული და თავფურცელს სხვისი ხელით აქვს გაკეთებული სათაური „მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (მასალები იაფეტურ ენების მკვლევართათვის)“ (გვანცელაძე, 2006:75).

ვფიქრობთ, 1910 წელს ნ. მარის მიერ შემოწმებული ვარიანტი უნდა ეყრდნობოდეს (ან წარმოადგენდეს) ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში დაცულ შავ (არასრულ) ხელნაწერს (ზსიემ 25073, ლიტ. 1673). მართალია, ნ. მარი რეცენზიაში წერს, რომ ავტორს თვითონ უწოდებია ნაშრომისთვის „შედარებითი ლექსიკონი“, მაგრამ აღნიშნულ ხელნაწერ ვარიანტში არ არის ნაშრომი დასათაურებული, არც წინასიტყვაობაში ახსენებს ავტორი ლექსიკონის სახელწოდებას (ეს ხელნაწერის ბოლო ვარიანტის წინასიტყვაობაშიც ასეა). იმას, რომ ავტორი თავიდანვე არ ადგენდა თარგმნით ლექსიკონს და არც რეცენზიის მერე შეუცვლია პოზიცია, ამტკიცებს კიდევ ერთი ფაქტი: ხელნაწერის შავი ვარიანტის 8-ე ფურცელზე (წიგნში გვ. 29, სადაც დაბეჭდილია 1918 წლით დათარიღებული ვარიანტი) წერს: „ლექსიკონში ხანდისხან ჩვენ შეძლებისამებრ ვარკვევთ ეტიმოლოგიას ქართულ-მეგრული სიტყვებისას, ზოგან მარტო ერთმანეთს ვადარებთ (сопоставляем) სიტყვებს, სხვაგან კი ქართული სიტყვის მნიშვნელობას უბრალოდ **განვმარტავთ** მეგრულად, ან მეგრულისას ქართულად“ - თარგმნით ლექსიკონზე მუშაობის შემთხვევაში, ის ამ წინადადებაში **განმარტების** ნაცვლად აუცილებლად **თარგმნას** გამოიყენებდა.

ამ დასკვნამდე მივყავართ როგორც ხელნაწერებზე გამოთქმულ მოსაზრებებს, ასევე პ. ჭარაიას მიერ დეკლარირებულ (გამოქვეყნებულ) კონცეფციას, რომელიც ნათლად აქვს წარმოდგენილი წერილში **„მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“**, სადაც მეგრული განიხილება ქართული (ქართველური) ენის ნაწი-

ლად, შესაბამისად, მეგრული ლექსიკა - ქართული (ქართველური) ენის ლექსიკონის ნაწილად (იხ. გვ. 73); გამომდინარე აქედან, მოულოდნელია, რომ მისი ლექსიკონი გავიაზროთ, როგორც ორენოვანი თარგმნითი ლექსიკონი.

მაშინ, როცა პ. ჭარაია ზემოხსენებულ ლექსიკონზე აქტიურად მუშაობდა, პარალელურად მოამზადა და 1910 წელს ქუთაისში დაიბეჭდა **„დედა ენის ზოგიერთ სიტყვათა განმარტება“**. ლექსიკონი გულისხმობს დედა-ენაში (1908 წლის გამოცემის მიხედვით) ნახმარი იმ სიტყვების განმარტებას, რომლებიც „ყველა კუთხის ქართველებისათვის ერთნაირად გასაგებნი არ არიან“. სიტყვები განმარტებულია მეგრულადაც და სალიტერატურო ენაზეც. მსგავსი ტიპის ლექსიკონის გამოცემა, რა თქმა უნდა გარკვეულ კითხვებს ბადებს, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. ავტორი წინასიტყვაობაში განმარტავს რამ გამოიწვია ლექსიკონის შექმნის აუცილებლობა: „სამეგრელოს და სამურზაყანოს იმ სოფლის მასწავლებლებს, რომლებსაც განათლება მიუღიათ ისეთ სასწავლებელში, სადაც ქართულს არ ასწავლიდნენ, საკმაოდ უჭირთ დედა-ენის ლექსიკური მასალის რიგიანი ახსნა-განმარტება სკოლებში“ (ჭარაია, 1910:1).

ლექსიკონის გამოცემიდან 60 წლის შემდეგ რ. შამელაშვილმა გაზეთ „ქუთაისის“ ფურცლებზე ეს „თავისებური“ ნაშრომი შეაფასა როგორც ისტორიული ღირებულების მქონე, რომელმაც თავის დროზე გარკვეული სამსახური გასწია. კერძოდ, ლექსიკონში განიმარტა ისეთი სიტყვები, რომლებიც მართლაც საჭიროებდნენ გაშინაარსებას, ამის მაგალითად მოხმობილია „სერი“, რომელიც მეგრულში ნიშნავს „ღამეს“- „მართალია ძველ ქართულში სერი ნამდვილად დაღამებას, ვახშმობას ნიშნავდა, მაგრამ იმდროინდელ რუსულ სკოლაში აღზრდილ და ქართულის ცოდნაში გაუწვრთნელ მეგრელ თუ აფხაზ მასწავლებელს ამდენი ცოდნა სად ჰქონდა („სერზე

მიდის სამი მგელი“ სამეგრელოს სკოლებში იხსნებოდა როგორც „ღამე მიდის სამი მგელი“)“ (ქუთაისი, 1971:3).

1997 წელს კახმეგ კუდავამ პროფ. კორნელი დანელიას რედაქციით გამოსცა გ. ელიავას **„მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები)“**. გამოცემას წინ უძღოდა შემდგენლის, ასევე რედაქტორისა და სხვა თანამდგომთა დიდძალი მუშაობა. 1984 წელს მასალები პირველად წარედგინა განსახილველად თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრას. კათედრის გამგის ა. შანიძის დავალებით ავტორს დაევალა ნაშრომის საფუძვლიანი გადამუშავება. ერთი წლის შემდეგ გ. ელიავას კვლავ მიეწოდა ვრცელი ინსტრუქცია ლექსიკონის გასამართავად. გათვალისწინებული რჩევით ნაშრომი გამოსაცემად მომზადდა 1990 წელს. რედაქტორის შეფასებით, მკაცრი აკადემიური მოთხოვნების წაყენების შემთხვევაში ლექსიკონს ნაკლი აღმოაჩნდება, მაგრამ შეუმჩნევლს არ ტოვებს იმ ფაქტს, რომ შემდგენელი ისტორიკოსია და არა ლინგვისტ-ლექსიკოგრაფი, რომელმაც მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ ბევრი ისეთი ლექსიკური ერთეული წარმოაჩინა, რომელიც ბეჭდურ ნაშრომებში არ ყოფილა რეალიზებული (ელიავა, 1997:7-8). ნაშრომი თავისი სახელწოდებით ორენოვან ლექსიკონს წარმოადგენს.

ო. ქაჯაიამ მეგრული ლექსიკონის შედგენისას იხელმძღვანელა პრინციპით, რომელიც ა. შანიძემ ურჩია - მოეძიებინა ლექსიკა, რომელიც არ მოიპოვება ი. ყიფშიძის ლექსიკონში (ქაჯაია, 2001:15). მომზადდა **„მეგრულ-ქართული ლექსიკონის“** სამი ტომი, რომელიც 2001-2002 წლებში გამოიცა. რედაქტორ ზ. სარჯველაძის შეფასებით, ლექსიკონი ქართველოლოგიური მეცნიერების საგანძურში საპატიო ადგილს დაიკავებს (ქაჯაია, 2001:14). 2009 წელს მეოთხე ტომად დაემატა „დამატებანი“.

ო. ქაჯაიას მიერ მეგრული ერთ-ერთ დამოუკიდებელ უმწერლობო ქართველურ ენადაა მიჩნეული. ამდენად, ავტორის განმარტებით, ნაშრომი წარმოადგენს თარგმნით ლექსიკონს, რადგან მეგრული სიტყვა თარგმნილია ქართუ-

ლად; დიალექტურიცაა, რადგან მასში წარმოდგენილია მეგრულის ორივე დიალექტის მასალა (ქაჯაია, 2001:17).

მ. ლომიას შეფასებით, „საშურია უმწერლობო ენის ლექსიკური ფონდის აღწერა და შენარჩუნება, რომელიც, საზოგადოდ, წლების საქმეა, ხანგრძლივ და დაუზარელ მუშაობას ითხოვს. ამგვარი მონდომებით შეიქმნა [ო. ქაჯაიას] მეგრულ-ქართული ლექსიკონის ოთხტომეული“ (ლომია, 2014:108).

პროფ. ტ. ფუტკარაძემ და პროფ. ე. დადიანმა ნაშრომი შეაფასეს როგორც „მეგრულ კილოში გამოყენებული სიტყვების ყველაზე სრულყოფილი ლექსიკონი“, თუმცა მიაჩნიათ, რომ უფრო მართებული და ისტორიული მიმართების ამსახველი იქნებოდა, ლექსიკონს დარქმეოდა „მეგრული ლექსიკონი“, როცა ავტორს და სარედაქციო საბჭოს ჰქონდა კარგი მაგალითი ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის ავტორობით გამოცემული „სვანური ლექსიკონის“ სახით (ფუტკარაძე..., 2003:60).

2007 წელს მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას, ვ. ვახანიას ავტორობით შვიდ ტომად გამოიცა **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**, რომელიც წარმოადგენს „მეგრული ენის“ სიტყვათწარმომავლობით ლექსიკონს, იგივე, „მეგრულის ზმნურ ფუძეთა, სახელთა და სხვა მეტყველების ნაწილთა ლექსიკონს“. ნაშრომი ამავე დროს შეადგენს თარგმნითი, „მეგრულ-ქართულის სალექსიკონო მასალას“ მომავალი მრავალტომეულისათვის.

ერთენოვანი განმარტებითი ლექსიკონის შთაბეჭდილებას ქმნის თავისი სახელწოდებით ა. ქობალიას **მეგრული ლექსიკონი.** თუმცა ავტორი წინასიტყვაობაში ნაშრომს მოიხსენიებს როგორც უმწერლობო ენის ლექსიკონს: „შრომას ლექსიკოგრაფისა, ვისაც უმწერლობო ენის ლექსიკონის შედგენისთვის მიუყვია ხელი, ერთიორად ართულებს სიტყვის მოუხელთებლობა, მისი სასიცოცხლო გარემოს თავისებურება გამო: ფოლკლორი და ცოცხალი მეტყველება, ბუნებრივია, ისე ვერ იცავს სიტყვას, როგორც წერილობითი ძეგლი, ამასთან შესაძლოა ლექსიკონში ვერ მოხვდეს ხშირად

მხოლოდ თითო-ოროლა სოფლის მკვიდრთა ლექსიკაში შემორჩენილი ძირძველი სიტყვა“ (ქობალია, 2010:5).

ქართველური ენათმეცნიერებისათვის მნიშვნელოვან შენაძენად მიიჩნევს ნაშრომს რ. გერსამია: „მეგრული არასამწერლობო ენაა და ზეპირმეტყველებაში არსებული ლექსიკა ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა, ქრება, იკარგება, ამიტომ ლექსიკურ მონაცემთა აღნუსხვა და ფიქსირება მეტად საშური საქმეა“ (გერსამია, 2013:88-89).

საყურადღებოა, 2015 წელს სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით გამოცემული ე.წ. ხუთენოვანი **„ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი“**, რომლის შედგენის იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელია პროფესორი რამაზ ქურდაძე. ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობდნენ: დ. შონია, ლ. თანდილავა, ლ. ნიჟარაძე, ინგლისური ვერსია მოამზადა თ. გელაშვილმა.

როგორც პროფ. რ. ქურდაძე აღნიშნავს, „ქართველური ლექსიკა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, ასახავს როგორც საერთოქართველურ მონაცემებს, ასევე ნასესხებ ლექსიკას. ორივე ფენა წარმოდგენილია ხუთენოვან - **ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისურ ლექსიკონში“** (ქურდაძე, 2015:53).

ის, რომ ქართველური მეტყველებები გათანაბრებულია დამოუკიდებელ ენასთან, ლექსიკონის სპეციფიკურობად და სიახლედაა კვალიფიცირებული: „ლექსიკონში თარგმანის პრინციპით გაერთიანებულია ქართველური ენების ლექსიკა; ამგვარი მიდგომა აადვილებს, ერთი მხრივ, ამ ენათა გენეტიკური ერთიანობის აღქმას, ხოლო, მეორე მხრივ, სინქრონულ დონეზე ენის განვითარებისა თუ ენაში მიმდინარე ტენდენციების დინამიკური პროცესების წარმოჩენას. რაც ვლინდება როგორც ძირეულ, ასევე ნასესხებ ლექსიკაში. ხუთენოვან ლექსიკონში ქართველურ ენათა ლექსიკა განმარტებულია ინგლისურ ენაზე, რაც უცხოეთში ქართული

ენის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს სხვა უმწერლობო ქართველურ ენებთან ერთად“ (ქურდაძე, 2015:49).

ლექსიკონის შესავლის მიხედვით ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური სამხრეთკავკასიური მონათესავე ენებია. ამგვარი ლექსიკონის შედგენა კი, „კიდევ ერთი საინტერესო გზაა უმწერლობო ქართველური ენების ლექსიკის არა მარტო შესწავლის, არამედ მოხმარების გააქტიურებისთვისაც, რაც გარკვეულ შემთხვევებში თავიდან აგვაცილებს ამა თუ იმ ძირძველი ქართველური ლექსემის დავიწყებასა და გაუჩინარებას“ (ქურდაძე..., 2015:6).

მსგავსი იდეოლოგიითა შექმნილი 2020 წლის დასაწყისში ინტერნეტ-პორტალ ამაზონზე განთავსებული **„ინგლისურ-ქართულ-მეგრული სასაუბრო/ინგლისურ-ქორთულ-მარგალურ საჩიარო“**, რომლის ავტორები არიან: გოტიე ენი, მაია კვარაცხელია, გიგა ქავთარაძე, გივი ქარჩავა და პაატა შამუგია. როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში, აქაც მეგრული დამოუკიდებელ ენადაა კვალიფიცირებული. ამასთან შესავალ ნაწილში მეგრელები ცალკე ეთნოსადაა მიჩნეული, ციტატა: „The megrelian is mainly spoken in North-Ouest of Georgia, in Samegrelo, by the largest ethnic group (after Georgians): The Megrelians (also known as Mingrelians)“ – „მეგრული ძირითადად გავრცელებულია საქართველოს ჩრდილო-დასავლეთში, სამეგრელოში, [მასზე მეტყველებს] ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნოსი (ქართველების შემდეგ) - მეგრელები (ცნობილნი ასევე, როგორც მინგრელები)“ (ენი..., 2020:8).

როგორც ვხედავთ, ტენდენცია მეგრული (ლაზურთან და სვანურთან ერთად) გამოცხადდეს დამოუკიდებელ ენად და მეგრელები ცალკე ეთნოსად, დღესაც გრძელდება. ამ სამუშაოებში აქტიურად არის ჩართული ზოგი უცხოური ფონდიც.

აქვე დავძენთ, რომ საუკუნეების მანძილზე მეგრული (ლაზურ-სვანურთან ერთად) სამწიგნობრო ენის გამდიდრების წყაროს წარმოადგენდა და სწორედ ამან გადაარჩინა გაქრობას.

III თავი

მეგრული სიტყვა-ფორმების ანალიზი

მეგრული მეტყველების ბევრი ლექსიკა უკვე დამკვიდრებულია სალიტერატურო ენაში და ლექსიკონებშიც ფიქსირებულია, ზოგიც ზეპირ მეტყველებაში გამოიყენება და სალექსიკონო ველშია მოსაქცევი.

პროფ. ე. დადიანმა სტატიაში **„დიალექტური ლექსიკა - ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების წყარო“** განიხილა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ არ დასტურდება და სარეკომენდაციოდ არის წარმოდგენილი: **სამოხიო** „უბანი, რეგიონი, მრევლი; ურთიერთშემწე ადამიანების, ოჯახების ერთობლიობა“; **ლაკადა** „მთიანი მხარე“; **ჭურია** „თვალი; თვალსაწიერი, ძალიან შორი ადგილი“; **ოდაბადე** „სამშობლო, დაბადების ადგილი“; **ნორტყი** „ეკალ-ბარდებით შემორტყმული ცოცხალი ღობე“; **ჯოლა** „სათრეველა; სათრევი მსხვილი ჯაჭვი“; **კაზილა** „ყველის ერთ-ერთი სახეობა“; **ელარჯი** „ყველშერეული ღომი“; **ჭვიშტარი** „ყველისგულიანი მჭადი“; **მახა, მახარია** „საალერსო მიმართვა; გამხარებელი, მახარობელი“ (დადიანი, 2007:242-252).

ჩვენი მხრივ, განვიხილავთ ს.ს. ორბელიანისა და ი. ჭყონიას ლექსიკონებში ასახულ მეგრულ მასალას. ასევე, წარმოვადგენთ იმ მეგრული სიტყვა-ფორმების ანალიზს, რომელიც გვხვდება კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, ნ. წულეისკირის შემოქმედებაში. კერძოდ: **კონსტანტინე გამსახურდიას** - „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „ვაზის ყვავილობა“, ნოველები; **ლეო ქიაჩელის** - „სისხლი“, „გვადი ბიგვა“, „ტარიელ გოლუა“, „თავადის ქალი მაია“, „ჰაკი აძბა“, „დახურული წარმოდგენა“, „ალმასგირ კიბულანი“;

ნოდარ წულეისკირის - „თუთარჩელა“, „ზესნახესა და ბუძგურიას სიყვარულის ისტორია“, „სისატურა“, „დავით აღმაშენებლის ქვა“, „აბრაგიას სიკვდილი“, „ლობიოჭამიების სასიძო“, „შეჩვევა“, „ციცერონა“, „წვეულება“, „ბარკალაი დე ტოლის სიზმრები“ - შემოქმედებიდან მოძიებულ მეგრულ ლექსიკას.

3.1. მეგრული ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში

„სიტყვის კონაში“ ფიქსირებული მეგრულ-ლაზური ერთეულების გამოვლენაზე დღემდე არაერთ მეცნიერს აქვს ნამუშევარი. მეგრულ-ლაზური წარმომავლობისად მიჩნეულია შემდეგი ფორმები:

სეროგა, ორჭოფი, იჩქითი, ძილის-შინა, შუმი (ყიფშიძე, 1914);
ჟირი, ჯირი, ჩუდკეცი (ჯავახიშვილი, 1937);
ჩათრი, ჩეჩო, ზიზინი, ლეკვერთხი, ჯაგარი (ალავიძე, 1959);
ბადიში, ბოგა, ბოგირი, ბორკილი, გიდელი, ირეჩი, კაკაჩი, კერშილობა, კვარაკუნჩხა, მარყუჟი, ოდრიკალი, ოდოში, ოლაჭანდერი, ო(ნ)ჩხომელი, ოშმე, ორშომო, ოჯიჯი, ფუცხვი, ჩაფულა, ჯაგი, ჯარგუალი, ჯაშკუტა, ჯაჭვი, ჯირკი, ჯიხური (დანელია, 1991);
ბაღანა, ბიჩვერი, დიხაშხო, მოღორება, ნუსადია, ოჩხოლი, ოჯინჯახი, რაგადობა, რეგუა, ფოფინება (ბოლქვაძე, 2005);
გერში, გეჩა, გიდელი, დიხაშხო, კვანწია, კვეკვერიში, კურკანტელი, მეცარი, ონჩხომელი (შეროზია, 2007); ბორკილი, მზოპავი, კოლომანი, მწიკული, განლიგება, ჭაკუნტელი, ჩაჭჯ, ჩაფულა//ჩაფლა, ლაგვანი, სერი (შეროზია, 2015);
ბონდი, კაზალა, ორკიოლი, ნაცხენტალი, ყვიჟილი, ნუსადია/მუსადია (დადიანი, 2009ა).

ლექსიკონის დამუშავებისას, გამოვლინდა მეგრული წარმომავლობის სხვა სიტყვა-ფორმებიც:

განლიგება

განლიგება (+ 6, 40 ბარუქ ZA) გაშტერებით უკმოობა ZAB. ლექსიკონში ვხვდებით ამ ერთეულის ძირეულ ფორმასაც **ლიგ-**ი „შტერის“ განმარტებით (ორბელიანი, 1991-1993).

აღსანიშნავია, რომ საბასთან ფიქსირებულ ფორმებში დასტურდება **ლიგ-** ძირი; მეგრულ ლექსიკონებსა და ქეგლ-ში შეტანილ ერთეულებში თავს იჩენს ვ: **მეგრ.: ლიგვა** 1. ბლაგვი, 2. მოდებილო, ყეყეჩი; **ლიგვალი** - მოსულელო; უნიათო; მოდებილო; **ლიგვინი** - გამოშტერებული ყურება (**ილიგვინანს, ოლიგვინანს,** „გამოშტერებული იყურება“) (ქაჯაია, 2001-2002). ქეგლ-ში მეგრულისგან განსხვავებული მნიშვნელობითაა დაფიქსირებული **გალიგვდება** „გაიყინება, დაზრება, გაითოშება; **გალიგვება** სახელი ამ ზმნათა მოქმედებისა; **გალიგვებული** გაყინული, გათოშილი, დამზრალი“, რომლებზეც მითითებულია რომ კუთხური ფორმებია (ქეგლი). **გალიგვება** ფორმა დასტურდება გურულსა და ლეჩხუმურში „გაყინვა, ძალზე გაცივება“ (ღლონტი, 1984). როგორც ვხედავთ, მეგრულის სემანტიკასთან მათი დაკავშირება სირთულეს არ წარმოადგენს, გათოშილი, დამზრალი ადამიანის გამოხედვა იგულისხმება.

ასევე საყურადღებოა, რომ მეგრულ მეტყველებაში ამავე ძირს **ა** გახმოვანებითაც იყენებენ, რომელიც პიროვნულ მახასიათებელს გამოხატავს და სიარულისა და მეტყველების მანერას ახასიათებს: **ლაგვ-ა, ლაგვა** „ზარმაცი, უგერგილო, უმაქნისი, უნიათო, უქნარა; მოჩურჩუტო (ქაჯაია, 2001-2002); **ლაგვალი** „უშნო, უგერგილო ლაპარაკი; (ქაჯაია, 2001-2002), უნიათო სიარული, ჩლუნგი კაცის ლაპარაკი, ბოდიალი“ (ქობალია, 2010).

საინტერესოა **ლაგვას** პარალელურად დადასტურებული **ლოგო** ფორმა „შტერი“.

ასევე ამავე ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული მტკნარი, უმარილო, უგემური საჭმლის აღმნიშვნელი სიტყვა **ლიგე** (ჭარაია, 1997), სხვაგან ვხვდებით **ლაგე** ფორმითაც (ქაჯაია, 2001-2002), ანუ **ვ**-ს გარეშე და **ა** გახმოვანებით.

პროფ. მ. ჩუხუას აზრით, საკვლევია **ვ**-ს არსებობის საკითხი ზანურში; შენიშნავს: „თუ ფონეტიკური დანართია, ქართულშიც რატომ ვლინდება?“ ს.-ქართვ. ძირად აღადგენს ***ლიგ(უ)**- „შტერი, გაშტერება“ ძირს > **ქართ. ლიგ-ი, ლიგვ-|| ლიგ-** : **ზან. ლიგვ-ალ-ი, ლიგვ-/ლაგვ-** (ჩუხუა, 2000-2003:141). ამასთან შევნიშნავთ, რომ დღესაც გამოიყენება **ლიგუ** ფორმა, ხოლო **ლიგვალი** სიტყვის გამოთქმისას, გაბმულ მეტყველებაში ისმის **უ** (**ლიგუალი**). რაც შეეხება **ვ**-ს საკითხს, ის წარმოადგენს ს.-ქართვ. აღდგენილი **უ-ს** დავიწროებულ ვარიანტს. სალიტერატუროში კი იმიტომ გვხვდება, რომ თვითონ ფორმა დასავლურ ქართველურიდან, მეგრულიდან არის დამკვიდრებული მასში.

გურიობა

„სიტყვის კონაში“ გარდა **გული**სა და მისგან ნაწარმოები სხვა არაერთი ლექსიკური ერთეულისა (გულანი, გულითადი, გულისობა, იგულვა, ორგული, უგულისყურო...), ვხვდებით მეგრულ ფორმასაც **გურიობა.**

სულხან-საბა შენიშნავს ხოლმე, რომ გარჩევა და დაზუსტება სჭირდება ზოგ განმარტებას. მაგ.: **გურიობა** (გვრიობა D)(13, 20 იგავ.) მიდევნება არევით, თუ მიდევნება ოგურთა ZA. კიდევ გასინჯე, გარჩევა უნდა არეულობაა თუ მიდევნება (+ სიბრძ. 4, 12; იგავ. 13 20 Cb). იქვე მიგვითითებს ნ. აგურიობდა. აგურიობდა (32,13 რიცხ.) Ab. სქოლიოში მიუთითებს: წყაროშია „აგურიობნა“-ო (ორბელიანი, 1991-1993).

სულხან-საბასეული **გურიობა** ფორმობრივ-სემანტიკურად იგივეა, რაც მეგრ. **გურიობა/გურობა/გურება** „გულისობა, დიდგულობა; გულფიცხობა; გულობა“ (ქობალია, 2010). ო. ქაჯაიას თავის „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ **გურება** განმარტებული აქვს, როგორც „გულობა, გულით ნდომება“ და მაგალითიც მოჰყავს: გური იშენი გურენც - გული მაინც გულობს (ქაჯაია, 2001-2002). ამ კონტექსტის მიხედვით მისი განმარტება შეესაბამება შინაარსს, თუმცა ამ ერთეულის მნიშვნელობა გულისხმობს უთანხმოებას და გულმოსულობას, უგულობას.

აკად. არნ. ჩიქობავამ გამოყო **გ-** ძირი და ფუძის მაწარმოებელი აფიქსები: „ქართ. **-ულ**, მეგრ.-ჭან. **-ურ-**; სვანურში **-უ-** დაშლილია **-უი-**დ და გვხვდება **ლ-**ს მოკვეცითაც და **ლ-**იანადაც **(გ-უი//გ-უილ-დ)**“ (ჩიქობავა, 1938:82). ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, კი საერთოქართველური ფუძე ენის დონეზე აღდგენილია ***გულ-** არქეტიპი, რომელსაც მეგრულ-ლაზურში კანონზომიერად შეესატყვისება **გურ-**, სვანურში კი **გუ-**ი (ფენრიხ..., 2000:155-156).

საინტერესოა, რომ **გულ-:გურ-** ძირებისაგან მრავალი ფუძეა ნაწარმოები სალიტერატურო ენასა და მეგრულში, რაც გულის სემანტიკას უკავშირდება. მეგრულ-ლაზურში ამავე ძირისგანაა ნაწარმოები სწავლასთან დაკავშირებული ფორმები: **გურ-აფ-ა** „სწავლა“, **ო-გურ-აფ-უ** „სასწავლებელი“, **მ-ა-გურ-აფ-უ** „მსწავლელი; მასწავლებელი“.

ვფიქრობთ, **გურიობა** „სიტყვის კონაში“ უშუალოდ მეგრულ-ლაზურიდან მოხვდა. განხილული ფორმა არ დასტურდება ქეგლ-ში.

საინტერესო ჩანს ლექსიკონში შესული ერთეული **დაჩინჩება** სავაჭროზე(დ) შესიტყვა ZABC (ორბელიანი, 1991-1993).

ძირეული ფორმა **ჩინჩ-** მეგრული წარმოშობისაა; ლექსიკონებში შესულია როგორც სახელური, ისე მისგან ნაწარმოები ზმნური ფორმები: **ჩინჩოლუა - крошить**; ср. ფუჩხოლუა (ყიფშიძე, 1914); ფშვენა, ფშვნეტა, ფშხვნა (ჭარაია, 1997); **ჩინჩი** - წვრილი; წვრილმანი, ჩია-ჩია (ქობალია, 2010). ლექსიკონებში ფორმები **ნ**-ს გარეშეც გვხვდება: **ჩიჩოლუა** დაფშვნა, დამარცვლა; დაფშვნეტა, დაკაკვლა (სიმინდისა); **ჩიჩოლირი** დაფშვნილი, დამარცვლული, დაკაკლული (ქობალია, 2010).

არნ. ჩიქობავას ეტიმოლოგიის მიხედვით, მეგრ. **ჩიჩ-ოლ** უნდა უკავშირდებოდეს **სალიტ. ქურჩ-** (ნა-ქურჩ-ალ-ი) ძირს, ისევე როგორც **ჭან. ქურჩ-ოლ** „სიმინდის დაფშვნა“: „სიმინდის ფშვნისათვის, რომ ქართულშიც უნდა გვქონოდა ამავე ძირის (ქურჩ-) ზმნა, ჩანს სიტყვიდან: „ნა-ქურჩ-ალ-ი“ - სიმინდის ტაროს შიგნითა ნაწილი, რაზედაც მარცვლებია... მეგრული **ჩიჩ-ოლ-** იმავე **ქურჩ-** ძირს უნდა შეიცავდეს: **ქუჩ-** >**ქიჩ-** >**ჩიჩ-**... **უ>ი** მეგრულისთვის ბუნებრივია; **ქ>ჩ** შეიძლება ასიმილაციის ნიადაგზე წარმომდგარიყოს... რაც შეეხება **რ**-ს (ქურჩ-) უფრო საფიქრებელია ჭანურსა და ქართულში ის განვითარებული იყოს, ვინემ მეგრულს დაჰკარგვოდეს... ამის სასარგებლოდ ისიც ლაპარაკობს, რომ ქართულში უ-**რ**-აეო ვარიანტიც მოგვეპოვება (ნა-ქუჩ-ალ-ი) (ჩიქობავა, 1938:333).

ამ შემთხვევაში მეგრულში (ჩიჩ-<ქუჩ-) **ნ**-ს განვითარებაზე საუბარიც ბუნებრივი იქნება (ჩინჩ-).

მ. ჩუხუა საანალიზო ერთეულს სულ სხვა ფორმას უპირისპირებს და ფუძე ენის დონეზე აღადგენს *ცაც- არქეტიპს:

„ს. ქართვ. *ცაც- „მტვრევა, დაშლა, დანამცეცება“>ქართ. ‘ცეც’-, ნა-მ-ცეც-ი : ზან. ჩინჩ-||ჩგნჩ-<*ჩოჩ-:სვან. ჩჩ-||ჩუნჩ-<*ჩაჩ-. ქართულში დამოუკიდებელი **ცეც-** ზმნური ძირი ვერ გამოვავლინეთ. ისტორიულად მის არსებობაზე მიუთითებს

ნაზმნარი სახელი ნა-მ-ცეც-ი. ფუძის გახმოვანება აქ მეორეულია- *ცაც- > ცეც- (შდრ. ჭარ- > || ჭერ-) - ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში: ზანური ე/ი საწყის სახეობად ო-ს ვარაუდობს (ქართ. ა (>ე) : ზან. ო), ხოლო სვანური უ (ჩუნჩ-) ასიმილირებული ა>/ე არის - ჩანჩ-ურ->*ჩუნჩ-ურ. ინლაუტური ნ ფონეტიკური ჩანართია ზანურსა და სვანურში. ქართველურ ფუძეთა სემანტიკური ჩვენება იგივეობრივია“ (ჩუხუა, 2000:331).

როგორც აღინიშნა, ნაზმნარი სახელები ნა-ჭურჩ-ალ-ი და ნა-მ-ცეც-ი მიუთითებს სალიტერატურო ქართულში ამავე ძირის ზმნების არსებობაზე, რომელთა გამოვლენაც ვერ მოხერხდა. ვფიქრობთ, საბას ლექსიკონში სწორედ ამ მნიშვნელობის გამოსახატავად ზეპირი მეტყველებიდან შევიდა დაჩინჩება (ჩინჩება), თუმცა აბსოლუტურად სხვა სემანტიკით.

ქეგლ-შიც შესულია ჩინჩი[1], როგორც ჯანჯლობა (ვაჭრობაში), ღიჯინი და ჩინჩი[2] იგივე, რაც ჩრჩილი. მისი მეგრული მნიშვნელობა ნახსენები არ არის.

კოლომანი

კოლომანი - მწარე დიდად Z. ნ. მწარე (ორბელიანი, 1991).

კოლომანი მეგრული გახმოვანების ფორმაა. როგორც პროფ. რ. შეროზია მიიჩნევს, კოლომანი შესულია ძველ ქართულშივე, რაც ლექსიკოგრაფის მიერ ძველი ტექსტების დამოწმებიდანაც ჩანს: კოლომანი - „ესაიას თავიდან“ და შემორჩენილი აქვს მეგრულს კოლო-ს ფორმით (შეროზია, 2015:194). ლექსიკონებში ასეა განმარტებული: კოლო - горький – „კოლო-ჭურა“ кубышка (горькая тыква მწარე კვახი); კოლინჯი (< კოლო+ჯინჯი корень) горький корень, кирказонъ (ძირმწარე); კოლომანი весьма горький (ყიფშიძე, 1914); მწარე (მაგ. ქინაქინა), ხოლო პიმპილის სიმწარეს მეგრულად ჰქვია ნწარე, შდ. ლექს., კოლომანი დიდად მწარე (ჭარაია, 1997).

გვხვდება მისგან ნაწარმოები ვაზის ჯიშის სახელები: კოლოში, კოლოშინა, კოლოშონა, კოლოშური. კოლომია – ხეა ერთნაირი; (ქაჯაია, 2001-2002).

კოლო//კოლომანი მეგრულ-ლაზურის გარდა სხვა დიალექტებში არ დასტურდება. მეგრულ მეტყველებაში გამოიყენება **კოლო** ფორმით, მისგან ნაწარმოებია ზმნური ფორმა გი-**კოლ**-უ-ან-ს. მეგრულში გარჩეულია **კოლო** და **მწარე**: კოლო - სპეციფიკური, არასასიამოვნო გემო, ურწყავი კიტრი კოლოა; მეგრულში **მწარეა** წიწაკა.

ქეგლ-ში შესულია **კოლომანი** სულხან-საბასეული განმარტებით.

ნარინ

ნარინ (+ქართლის ცხ. Z) მეფის პირი ZAa (ორბელიანი, 1991).

ვფიქრობთ, როგორც ეტიმოლოგიურ ლექსიკონებშია მითითებული, ამოსავალია ს.-ქართვ. **რ**- ძირი, რომელიც სალიტერატურო ენაში შემორჩენილია **ვ-ა-რ, ხ-ა-რ, ა-რ-ი-ს** და **გან-რ-ინ-ებ-ა** ფორმებში.

არნ. ჩიქობავა ამ ძირის ანალიზს იწყებს **ა-რ-ი-ს** „ყოფნა“ ზმნით და იქვე შენიშნავს, რომ **არი-||ორე-** ფუძეთა ძირი **რ**- უნდა იყოსო. ამ ძირისაგან ნაწარმოებად მიიჩნევს მეგრულ და ჭანურ **რინ**- ფუძეს. ჭანური: დორინუ - მოგება (შობა, დაბადება - კ.გ.); მეგრულში რინა, რინი - ყოფნა; სხვადასხვა პრევერბებით: გე-რინა - დგომა, მო-რინა - მხარის დაჭერა, გიმა-რინა - მაღალ რამეზე ყოფნა... და სხვა (ჩიქობავა, 1938:301-302).

დამაფიქრებელია, რომ ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ცალ-ცალკე ვხვდებით ს.-ქართვ. **რ**- არქეტიპის აღდგენას **ვ-ა-რ, ა-რ-ს** შესაბამისად მეგრ. **ვ-ო-რ-ე-ქ** „ვარ“, **ვ-ო-რ-დ-ი** „ვიყავი“, **რ-ე** „არის“, **რ-ინ-ა/რ-ინ-ი** „ყოფნა“; **მ-ა-რ-ენჯ-ი** „მყოფი“, **ო-რ-ენჯ-ი** „მომავალი“ (უნდა იყოს „სამყოფელი“-კ. გ.) და **გან-რ-ომ-ა, გან-რ-ინ-ებ-ა** ფორმებისთვის. ამასთან, **გან-რ-ომ-ა, გან-რ-ინ-ებ-ა, გან-ე-რ-ა** ფორ-

მებთან მეგრულში იმავე ძირისად ასახელებს **ვ-ო-რ-ინ-უნ-ან-ქ** „ვიფარებ“ (უნდა იყოს ვაყენებ, ვაბინავებ - კ. გ.), **დგ-ვ-ო-რ-ინ-ე** „შევიფარე“ (უნდა იყოს დავაყენე, დავაბინავე - კ. გ.) (ფენრიხ..., 2000:374-375).

ვფიქრობთ, წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულებისთვის ერთი ქუდის ქვეშ შეიძლებოდა ს.-ქართვ. **რ-** არქეტიპის გამოვლენა, რომლისგანაც ნაწარმოებია როგორც **რ-ე** „არის“, **რ-ინ-ა** „ყოფნა“..., ასევე ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო **გე-რ-ინ-ა** (გე-რ-ე დგას) „დგომა“, **ნა-რ-ინ-ი** „ნამყოფი“, **გ-ნა-რ-ინ-ი** „ნადგომი“ ერთეულები.

აქედან ვასკვნით, რომ **ნარინ**-ში იგივე სემანტიკაა შენარჩუნებული რაც მეგრულში - **ნამყოფი,** ამ კონკრეტულ შემთხვევაში **მეფის კარზე მდგომი//ნამყოფი** იგულისხმება.

საყუდელი

საყუდელი (4,7 იერემ.) სამყოფი ZA (ორბელიანი, 1991).

ამ ფორმაში ნათელია **ყუდ-ე>ცუდ-ე** „სახლი“ ძირის მეგრული წარმომავლობა. სალიტერატურო ქართულში იმავე ძირისაგანაა ნაწარმოები **მყუდრო, მყუდროება, საყუდარი, დაყუდება, საყდარი** ერთეულები. თუმცა გასათვალისწინებელია ზოგი მათგანის სემანტიკური ცვლილებებიც:

საყუდელი სულხან-საბა ორბელიანთან ისევეა განმარტებული, როგორც ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში (აბულაძე, 1973), მაგრამ **საყდარი** ძველ ქართულში დასაჯდომს, ტახტს ნიშნავდა, დღეს კი ეკლესიას, ტაძარს ნიშნავს. **დაყუდება** დაცხრომა, დამშვიდება, დადუმება, მონაზვნობას აღნიშნავდა, დღეს მისი ეს მნიშვნელობა მხოლოდ ეკლესიურ ტერმინად, ბერად შედგომის, განდეგილობის აღმნიშვნელად შემორჩა, სხვა მხრივ კი, რამეზე დაყენების, დაყრდნობის; ფეხზე გაჩერების, დგომის სემანტიკა შეიძინა. **მყუდრო/ყუდრო, მყუდროება/ყუდროება**

სიტყვებმა დღემდე შეინარჩუნა სემანტიკა „წყნარი, მშვიდი“, „სიწყნარე, სიმშვიდე“.

სალიტ. ყუდ- ძირის მეგრ. შესატყვისად გამოვლენილია **ცუდ-** და სვანური **ყუ̈ედ-** ძირები. საერთოქართველურ არქეტიპად კი აღდგენილია **ყუ̈ედ-** ძირი (სვანური მასალის მიხედვით ხერხდება ადრეული საფეხურისთვის ე ძირეული ხმოვნის აღდგენა) (ფენრიხ..., 2000:535-536).

სხვა ქართველურ დიალექტებში გვხვდება **ყუდ** ძირისგან ნაწარმოები შემდეგი ფორმები: **აჭარ. ყუდარი** - მყუდრო, ჩრდილი ადგილი, სადაც წვიმა არ ჩამოდის; **შეყუდრებული** - წვიმას შეფარებული. **გურ. ყუდრება, შეყუდრება, გადაყუდრება** - წვიმის დროს თავის შეფარება. მოხეურსა და ფშაურში გამოიყენება **ყუდელა** - მოხეტიალე; **ყუდიერა** - ადამიანი, რომელიც სულ დგას და ელოდება (ღლონტი, 1984).

ფელიკი

ლექსიკონში ორჯერ ვხვდებით **ფელიკი** ერთეულს: 1. **ფელიკი** (+36, 9 გამოსლ. ZAB) კარვის ზღუდე ZABCq. ფელიკად ითქმის სიდიდისაგან, რომელი არა იზიდებოდეს, და მოკვეთილად ანუ შეიკრვოდეს, ანუ შეიმზადებოდეს ნაკვეთისაგანი ერთი ანუ ორი (+ და Ca) ათი და ვიდრე მრავალამდე. ზღუდენი კარავთანი, გინა მისთანანი, რაიც რავე იყოს Cab. 2. **ფელიკი** შაშხის ნაკვეთს უწოდენ გლეხნი ZA. შაშხის ნაკვეთს ფელიკად უწოდენ გლეხნი B. ღორის ჩამონასხეპი, გინა თევზისა Cb (ორბელიანი, 1991-1993).

ქეგლ-ში შეტანილია **ფელიკი** 1. „ხერხემალზე სიგრძივ გაკვეთილი საკლავის (ფეშხვის) თხელ ფერდზე გადანაჭერის ერთ-ერთი ნაწილი - საკლავის მეოთხედი; 2. კუთხ. რაჭ. დაკლული ღორის ნახევარი, სიგრძისად გაჭრილი; **დააფელიკებს** „ფელიკებად დაჭრის, ოთხად გაჭრის (დაკლულ ცხვარს, გოჭს...)“; **დაფელიკება** „ფელიკებად დაჭრა“ ფორმები. სალიტერატურო ქართულში ზმნური ფორმა არ იძებნება.

ფელეკი//ფელიკი განაპობს, ჩამონაჭერს, ჩამონათალს გულისხმობს. ეს ერთეული ფორმობრივ-სემანტიკურად მეგრულია. დასტურდება ზმნური ფორმაც **ფელეკ-ან-ს** (და არა **ფელიკ-ან-ს**) ხლეჩს, აპობს, შუაზე ჭრის (ქაჯაია, 2001-2002). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამოსავალი იყოს ე-ნიანი ფორმა **ფელეკ-**.

ფელიკი დასტურდება გურულ, რაჭულ და ქიზიყურ დიალექტებშიც როგორც „დიდი ნაჭერი ხორცისა“, ხევსურულში კი - **ფელკი** ფორმით „გამოწელილი საკლავის ნახევარი; გამოწელილ საკლავს რომ ხერხემლის გაყოლებაზე ორად გაჭრიან, ამ ერთ ნახევარს ფელკს ეძახიან“ (ღლონტი, 1984). ს. ჟღენტს გახლეჩის, გაპობის შესატყვისი **გა-ფელეკება** გურულში ზანიზმად მიაჩნია (ჟღენტი, 1940:228).

3.2. მეგრული ლექსიკა ილია ჭყონიას ლექსიკონში

ილია ჭყონიას თვალსაზრისი მეგრული მეტყველების მიმართ ჩანს მის ლექსიკონში „სიტყვის-კონა“, სადაც შესულია მეგრული ლექსიკა. მართალია ერთეულ შემთხვევებში, მაგრამ მაინც ავლენს ამ მეტყველებისადმი ისეთივე დამოკიდებულებას, როგორც გურულის, ან იმერულისადმი. ეს ჩანს იქიდან, როცა ლექსიკური ერთეულის კვალიფიკაციისას გურულის გვერდით მეგრულსაც ასახელებს.

ილია ჭყონიას **„სიტყვის-კონა“** „Материалы по Яфитеческому языкознанию“ სერიის ფარგლებში 1910 წელს გამოიცა. ლექსიკონში შესულია ისეთი სიტყვები, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში არ დასტურდება.

დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ბევრი ფორმა შესულია მეგრული მეტყველებიდანაც:

აგვართა

აგვართა ერთ-ერთი იმ ერთეულთაგანია, რომელსაც მეგრული კვალიფიკაცია ახლავს გურულთან ერთად - „მწყემსის და მონადირის საყარაულო ქოხი“ (ჭყონია, 1910). მეგრულ მეტყველებაში პარალელურად დასტურდება **აგვართა//არგვათა** ფორმები (რ-ს გადასმით). ი. ყიფშიძე **არგვათას** განმარტავს როგორც ხროვას. ცალკე სალექსიკონო ერთეულად აქვს **აგვარა,** რომელსაც აფხაზურ აბოჯრა სიტყვას უკავშირებს და განმარტავს როგორც პირუტყვის სადგომს (ყიფშიძე, 1914). პ. ჭარაია ეტიმოლოგიურად **აგვართა, არგვათა-ს** (ორინჯი) („მრავალი საქონელი ერთად (რომელსაც აყენებდნენ ღობე-გარშემოვლებულ ალაგას), რაგვი ანუ ღობე“) აფხაზურ აგუარა-ს უკავშირებს - „სიტყვა აგვართა, ანუ რ-ს გადასმით არგვათა წარმომდგარია აფხაზური სიტყვისაგან აგუარა, რომელიც მეგრულში ახლაც ნიშნავს საქონლის ჩასამწყვდევ ალაგს (ჭარაია, 1997).

აქენთელება

აქენთელება „მეტისმეტი დაღლა და ქშინვა, **აქენთელებული,** ერთობ დაღალული და მქშინავი“ (ჭყონია, 1910).

სიტყვა ფორმობრივ-სემანტიკურად იგივეა რაც მეგრული **ქეთელი** „ქოშინი, ენაგადმოგდებული სირბილი“. ერთეულის მეგრულ წარმომავლობაზე მიანიშნებს მეტყველებაში მყარად არსებული ზმნური ფორმა **ქეთელანს.**

ბიგა

ბიგა მიჩნეულია ფშაური დიალექტის კუთვნილებად, მაშინ როცა ის დღესაც თავისუფლად გამოიყენება მეგრულ მეტყველებაში. ი. ჭყონიას განმარტებით **ბიგა** არის ხის ნაჭერი, რამესთვის გასამაგრებლად შეყენებული (ჭყონია, 1910).

ი. ყიფშიძისა და პ. ჭარაიას განმარტებით **ბიგა** არის ჯოხი, კეტი. ბიგა ქიგიბუ, ბიგა ქიმიოგგ - ჯოხი დაარტყა (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997).

ბიგა დასტურდება იმერულში „ორკაპა ჯოხი, რამეს საყრდენი ჯოხი, ბოძი ან მისთანა“, აჭარულსა და იმერხეულში „თივის, ძნის ასაღები ორთითა ან სამთითა ხისგან გაკეთებული: ბიგას ვეტყვი ამასა, ამით ავწევთ ქერსა, პურსა, თივასა“ (ფუტკარაძე, 1993). ნ. ახვლედიანი **ბიგას** ზანიზმად მიიჩნევს სამხრეთ დიალექტებში (ახვლედიანი, 2004:27).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულში შესულია ჩვეულებრივ, **ბიგა** რისამე გასამაგრებლად შეყენებული კეტი ან ძელი, ბოძი (ქეგლი).

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონებში **ბიგას** განმარტებისთვის გამოყენებულია ზოგადი მნიშვნელობის ჯოხი, არადა მეგრულ მეტყველებაში **ბიგა** გულისხმობს კონკრეტულად **ხელჯოხს**.

გაბჟინება

გურულ ფორმადაა მიჩნეული **გაბჟინება** „გაყინვა კაცისა სიცივისაგან“ (ჭყონია, 1910). ნათელია, სიტყვის ძირი უკავშირდება მეგრ. **ბჟა**-ს („მზე“): **ბჟინაფა//ბჟალაფა** „გამზეურება“. ამ ფუძისაა **გობჟინაფილი** („გამზეურებული; გადატ. საქვეყნოდ გამოტანილი, გამოაშკარავებული“), **გაბჟინაფალი** („გასამზეურებელი; გადატ. საქვეყნოდ გამოსატანი, გამოსააშკარავებელი“). ჩვეულებრივ, **ბჟა** („მზე“) სითბოსთან ასოცირდება, ამდენად, ი. ჭყონიასეული განმარტება „კაცის გაყინვა“ ეჭვს იწვევს.

გაჭყაჟირება

ასევე გურულადაა ფიქსირებული **გაჭყაჟირება** „ერთი მწუხარების, ანუ სამგლოვიაროსი სხვა ახალი მწუხარებისა ანუ სამგლოვიაროსაგან განელება“ (ჭყონია, 1910). წარმოდგენილი ერთეული კომპოზიტური წარმოებისაა: გა-**ჭყა+ჟირ**-ებ-ა. პირველი კომპონენტი, მწუხარებისა და სამგლოვიარო კონტექსტიდან გამომდინარე, სავარაუდოა მეგრ. **ჭყალა** („წყევლა“) ფუძეს უკავშირდებოდეს. სიტყვის მეორე წევრი მეგრ. **ჟირი** (ორი), კონკრეტულ შემთხვევაში გაორმაგებას უნდა გულისხმობდეს. ი. ჭყონიას განმარტება საპირისპირო სემანტიკას („განელება - შეცვლა-დავიწყება“) გულისხმობს.

ერთეული ხელოვნური ფორმა ჩანს. დასახელებულ ლექსიკონში ილუსტრაცია არ ახლავს განმარტებას. ამდენად კონტექსტის გაგებაც გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენი აზრით, სავარაუდოდ შეიძლება მწუხარების გაორმაგებას გულისხმობდეს.

გუძუნძღო

ლექსიკონში **გუძუნძღო** ახსნილია როგორც ფრინველის მკერდი. მეგრულ მეტყველებაში ფრინველის ნეკნებიან ნაწილს, ხერხემალს **გოძღო//გოძღოძღო** აღნიშნავს (ქობალია, 2010), გამოიყენება **გოძონძღო** ფორმაც. უ ხმოვნიანი **გუძუძღო** ვარიანტი გურულში შეიძლება ე.წ. ზანიზმად მივიჩნიოთ.

დოჩხაური

დოჩხაური (გურ.) კარგად დანთებული ძლიერი ცეცხლი (ჭყონია, 1910). სიტყვის ძირი მეგრულ **დაჩხირ** („ცეცხლს“) ფუძეს რომ უკავშირდება ამაზე ავტორიც მიანიშნებს, როცა უთითებს ნ. მეგრ. **დაჩხირი.**

ზაპუნი

ზაპუნი, ზაპა-ზუპი (იმერ.) ცემა რამე რბილ საგანზე (ჭყონია, 1910). დასახელებული ძირი მეგრულ მეტყველებაში ძირითადად გამოყენებულია **ე** გახმოვანებით **ზეპ-**, ხოლო ლაზურში **ა** გახმოვანებით **ზაპ-**. ამასთან დაკავშირებით ეტიმოლოგიურ ლექსიკონში შენიშნულია, რომ „ქართ. **ზეპ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრულ-ლაზური **ზაპ-**. უთუოდ გასათვალისწინებელია ძირის ბგერწერითი ხასიათი (ამით არის შეპირობებული ქართულში **ზაპ-** ვარიანტის არსებობა: **ზაპ-უნ-ი** „დარტყმა"). მეგრული **ზეპ-უ-ა** ქართულიდან არის შეთვისებული") (ფენრიხი..., 2000:211).

როგორც პროფ. რ. შეროზია შენიშნავს, ლექსიკონის ავტორები არ იზიარებენ ს. ჟღენტის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც **ზეპ-ვ-ა** გურულში ზანიზმია, რაც რთული სამტკიცებელი არ არის. ენათმეცნიერის მსჯელობით, მეგრულ მეტყველებაში **ზეპ-** ძირი ინტენსიურად მონაწილეობს ზმნური (**ზეპუნს** „ცემს, არტყამს"), მასდარული (**ზეპუა**) და მიმღეობური (**ოზეპალი** საცემი: **გოზეპილი** ნაცემი) ფუძეების შენებაში. ამასთან, **გოზეპილი** ფორმას მეორეული მნიშვნელობაც აქვს შეძენილი - **გოზეპილი** (როცა ხეს ბევრი ასხია); **ქიდიზეპუ** (დახვავდა ყველაფერი). **ა**-ხმოვნიანი ვარიანტი (ზაპ-) ლაზურშია დადასტურებული (შეროზია, 2013 ა:359).

კარკალი

კარკალი (გურ.) ქათმის ხმაურობა კვერცხის დების დროს ან შემდეგაც (ჭყონია, 1910).

ეს სიტყვა-ფორმა მეგრული მეტყველებისთვისაც არ არის უცხო, ის დღესაც თავისუფლად გამოიყენება. ხმაბაძვითი სიტყვა რედუპლიკაციის ნიმუშია, სადაც სონორი გადადის სხვა თანხმოვანში, როგორც ქურქული, კარკაცი შემთხვევებში.

მარულა

ლექსიკონში ფიქსირდება **მარულა** ფორმა „დოღი, ცხენოსანთ შეჯიბრება ცხენების გაჭენებით“ (ანალიზ. იხ. გვ. 189).

ნაჭა

ნაჭა ლექსიკურ ერთეულს ი. ჭყონია გურულ-იმერულად მიიჩნევს - „შუა ცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი, საკიდელი“ (ანალიზისათვის იხ. გვ. 156).

ნერჩი

ნერჩი-ს განმარტებისას ავტორი მიუთითებს მის გურულობაზე, „ახალდაბადებული ბავშვის დასალოცავად ლხინის გამართვა დედამანიის და დამხმარეთა თანადასწრებით“ (ჭყონია, 1910). ერთეული მეგრულში აქტიური გამოყენებისაა (ანალიზისათვის იხ. გვ. 158).

პეტელი

პეტელი თხის ძახილი (ჭყონია, 1910). მის მეგრულ წარმომავლობაზე მიუთითებს აქტიური ზმნური ფორმა **პეტელანს** (ანალიზისათვის იხ. გვ. 195).

ჟვერი

ჟვერი (გურ., ქვ. იმერ.) ცუდი ბალახი, ერთგან სქლათ ამოსული, ხოლო ზემო იმერულში და საბას და ჩუბინაშვილის ლექსიკონებში **ჟვერს** ფოთლიან შტოს ეძახიან (ჭყონია, 1910). ეს ის ერთ-ერთი შემთხვევაა, როცა ავტორი მნიშვნელობას აზუსტებს დასახელებული ლექსიკონებისგან განსხვავებით (ანალიზისათვის იხ. გვ. 196).

როკაპი

როკაპი - დასავლეთ საქართველოში **როკაპს** მდედრობითი სქესის კუდიანების უფროსს უწოდებენ. ქვემო იმერლები და ოდიშელები როკაპის ბინად ტაბაკელას მთას თვლიან (ცხენისწყლის მარჯვნით, ხონის პირდაპირ) (ჭყონია, 1910) (ანალიზისათვის იხ. გვ. 198).

საინი

საინი (გურ., იმერ., **მეგრ.**) თეფში (ჭყონია, 1910). ერთეულს ვიმოწმებთ იმდენად, რამდენადაც ავტორი გურულისა და იმერულის გვერდით ასახელებს მეგრულს. **საინის** მეგრ. **სენ-ი** ფორმასთან დაკავშირება დამატებით ეტიმოლოგიურ კვლევას საჭიროებს.

ფელიკი

ფელიკი (რაჭ.) დაკლული ღორის ნახევარი, სიგრძისად გაჭრილი (ჭყონია, 1910) (ანალიზისათვის იხ. გვ. 132).

ფინჩხა

ფინჩხა (გურ. იმერ.) გამომცხვარ პურეულის ან ღომის ნაფშვენი ფხვნილი, ნამცეცი. ზოგან **„ფუნჩხას“** ხმარობენ (ჭყონია, 1910). მეგრულში ხშირი გამოყენებისაა **ფუჩხა//ფუნჩხა** ფორმა. (ძირთა კავშირისათვის იხ. ფუჩხოლია სიტყვის ანალიზი გვ. 234).

ძღაბი

ლექსიკონში ერთეული **ძღაბი** „პატარა გოგო“, იმერულ-გურული გავრცელებისადაა მიჩნეული (ჭყონია, 1910), რომელიც ზანიზმად შეიძლება მივიჩნიოთ (ანალიზ. იხ. გვ. 237).

ხერკალი

ხერკალი ის გამონაკლისი შემთხვევაა, რომელსაც ლექსიკონში მეგრული კვალიფიკაცია აქვს - „არტაშანი“ (ჭყონია, 1910). იგივე ფუძე **ა** და **ე** გახმოვანებით გვხვდება მეგრულ ლექსიკონებშიც: **ხარკალი** („არტაშანი“) (ქაჯაია, 2001-2002), **ხარკალი, ხერკალი** („არტაშანი“) (ქობალია, 2010).

ვფიქრობთ, სემანტიკის დადგენისას გასათვალისწინებელია მეგრულში გამოყენებული განსხვავებული მნიშვნელობის ამავე ძირის **ხერკე** ფორმა, რომელიც საწყაო, ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელს აღნიშნავს.

ჯანჯუხი

ჯანჯუხი (გურ., იმერ., მეგრ.) ჩურჩხელა (ჭყონია, 1910). მართებულია მინიშნება სიტყვის მეგრულობაზე, თუმცა ეს ფორმა მეგრულ კილოში გამოყენებულია **ა** დაბოლოებით - **ჯანჯუხა** (ჭარაია, 1997; ქაჯაია, 2001-2002).

ჩანს, ლექსიკონში მეგრული კვალიფიკაციით ოთხი ერთეული - **აგვართა, საინი, ხერკალი** და **ჯანჯუხი** - დასტურდება მაშინ, როცა საკმაოდაა ისეთი სიტყვა-ფორმები, რომლებიც სხვა დიალექტებთან ერთად მეგრულ მეტყველებაშიც ფიქსირდება. მეგრულად კვალიფიკაცია არ ხდება ისეთ ერთეულებთანაც კი, რომლის ძირი აშკარა მეგრულია; მაგ. **გაბჟინება, გაჭყაჟირება, დოჩხაური, პეტელი, ძღაბი**...

3.3. მეგრული სიტყვა-ფორმები კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის და ნ. წულეისკირის შემოქმედებაში

წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები დაჯგუფებულია ქეგლ-ში ფიქსირების მიხედვით:

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ იმერულ, გურულ... ლექსიკად კვალიფიცირებული მეგრული ფორმები[26]

ბანდალი

„კარი სასწრაფოდ მოიხურა, ქურდულად მიმოიხედა და აჩქარებისაგან შებანდალებული ნაბიჯით ფარდულიდან ეზოში გაეშურა“ (ქიაჩელი, 1985:366).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, **ბანდალი** კუთხური (იმერ.) ფორმაა - „უილაჯოდ სიარული, ღონემიხდილის სიარული, ლასლასი, ბარბაცი“ (ქეგლი).

ბანცალი, ქანაობა სიარულის დროს - ამ მნიშვნელობით გვხვდება ის მეგრულ-ლაზურსა და გურულში (ჭარაია, 1997; თანდილავა, 2013; ღლონტი, 1984).

არნ. ჩიქობავა „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“ სულხან-საბასეული განმარტების **ბანდალ-ი** („აქა-იქ მივლა-მოვლა“) ფორმას ადარებს ჭანურ და მეგრულ **ბანდალ** ფუძეს („ბანდალი, ძუნძული“), რომელიც „ჭანურში (სარფულში) ძუნძულს აღნიშნავს, მეგრულში კი კბილზე ითქმის „ბანდალებსო“: „კიბირი იბანდალუ(ნ)“ – „კბილი იძვრის“ (ჩიქობავა, 1938:251).

ბანდალ-ისგანაა ნაწარმოები მეგრულ მეტყველებაში სიარულის აღმნიშვნელი არაერთი სიტყვა: **მი-ბანდალგ** („მი-ბანდალებს“), **გილე-ბანდალგ** („დაბანდალებს“), **ეკა-ბანდალგ**

---

[26] ჩვეულებრივ ვგულისხმობთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულს, თუ ახალ რედაქციაზე გვაქვს საუბარი, ვაკონკრეტებთ.

(„ბანდალით მიყვება“), **მა-ბანდალ-უ-აფ-უ** („მაბანდალებს“). ამავე ძირისაგანაა ნაწარმოები პირთა მეტსახელი **ბანდალ-ა**. რქოსანი ცხოველის (აგრეთვე ცხენის) დაავადებასაც, სავარაუდოდ, სწორედ იმიტომ ჰქვია **ბანდალა**, რომ ამ დროს პირუტყვი ბარბაცით დადის და წონასწორობას ვერ იცავს.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მაგალითიდან და ლექსიკონების განმარტებებიდან ჩანს, რომ მეგრულში **ბანდალი** მხოლოდ კბილზე არ ითქმის, ძირითადად ის სიარულის ფორმაზე მიუთითებს, როგორც გურულში, ლაზურში და სალიტერატურო ქართულში.

ბანდალი გარდა დასახელებული დიალექტებისა, გვხვდება ქართლურში (ბეროზაშვილი..., 1981) და „ჩვენებურების“ მეტყველებაში (ფუტკარაძე,1993).

ბანძღი

„რომ დროზე მიესწრო ჩაბანძღულ საქმისთვის, არც ცხენს ზოგავდა და არც თავს“ (ქიაჩელი, 1996:215).

ქეგლ-ში დასტურდება ძირეული ფორმა **ბანძღი**-ც (დავიდარაბა) და **ჩაბანძღული-ც** (აწეწილ-დაწეწილი, დახლართული, გართულებული (საქმე)) (ქეგლი). ორივე მათგანი კუთხურ, იმერულ ფორმადაა მიჩნეული.

ი. ყიფშიძე განიხილავს **ბანძღ-** (дурное прикл.) და მისგან ნაწარმოებ ფუძეებს **ბანძღირი, ბანძღილი, აკო-ბანძღილი** - აკო-ბანძღილი თუმა „აწეწილი თმა“(ყიფშიძე, 1914);

ბანძღი - (იმერ.) ხიფათი, უბედურება „ღმერთი არ გაწყრეს და რამე ბანძღი არ მოგვედვეს (ღლონტი, 1984).

„ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ **ბანძღ-** ძირი დაკავშირებულია სამწიგნობრო ენის **ბეზღ-** ძირთან:

„ქართული **ბეზღ-** (ბეზღ-ება-ა) ძირის შესატყვისი შეიძლება იყოს მეგრული **ბანძღ-** (ბანძღ-ი ვეტახა „არ იდავო“). მეგრულში მომხდარია **ზ>ძ** პროცესი; **ნ** განვითარდა **ძ**-ს წინ“ (ფენრიხი..., 2000:101-102).

ბანძღი მეგრულში არეულობას, შფოთს ნიშნავს, რომელიც სემანტიკურად დაშორებულია ეტიმოლოგიურად დაკავშირებულ სალიტ. **ბეზღ-** ძირისგან. ამ უკანასკნელს მეგრულში გამოხატავს **ჩიულ- ჩიულენს, უჩიულ** (დასმენა, დაბეზღება) ფორმა, რომელიც სალიტ. **ჩივ-ილ** ფუძეს უკავშირდება. მეგრულ მეტყველებაში აქტიურად გამოყენებული ზმნური ფორმა **ბანძღუნს,** ასევე შფოთისთავისა და შარიანი ადამიანისთვის **ბანძღ-იან-ი,** მიგვანიშნებს მის მეგრულ წარმომავლობაზე, რომელიც შესაძლებელია იმერულშიც ფიქსირდებოდეს.

ბორო

„ანდრი გაბორებული მიაჩერდა მამას“ (წულეისკირი, 1977:39).

ქეგლ-ის რვატომეულში **ბორო** ორგვარი მნიშვნელობით გვხვდება: **ბორო**[1] კუთხ. (რაჭ.) „დიდი მთა; მიყრუებული ადგილი მთაში“; **ბორო**[2] კუთხ. (გურ.) ერთგვარი ზნე (ქეგლი). ამ უკანასკნელისგანაა ნაწარმოები **ბოროიანი** კუთხ. (გურ.) კაცი, რომელიც ერთ აზრსა ან საქმეზე ვერ გაჩერებულა და ხშირად მოულოდნელად და უმიზეზოდ იცვლის ხოლმე გუნებას (ქეგლი).

სულხან-საბა **ბორ-** ძირზე მიგვითითებს **განბორება, განბორკება** ერთეულებზე, რომლებიც კეთრის სნეულებას აღნიშნავენ.

ძველი ქართული ენის ლექსიკონში დასტურდება **ბორება, განბორება** „კეთრის სნეულება, კეთრი“ დამოწმებით: „განბორებისა სამობაჲ აქუნდა“ (აბულაძე, 1973).

მეგრულ მეტყველებაში **ბორო** ძირითადად სულელი, შტერი, ბრიყვი, ჭკუათხელით განიმარტება (ჭარაია, 1997; ქაჯაია, 2001-2002).

საყურადღებოა, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაში უცვლელადაა გადატანილი რვატომეულის **ბორო**[1]-ს განმარტება. დამატებულია ამ ძირი-

საგან ნაწარმოები ის ფორმა, რომელიც ჩვენ საილუსტრაციო მასალაშია გამოყენებული, ამასთან მასზე მითითებაა კუთხურ წარმომავლობაზე: **გაბორებული** კუთხ. (მეგრ.) გაშტერებული, დაბნეული (ქეგლი). **ბოროიანი** ახალ რედაქციაში არაა.

ვფიქრობთ, როგორც **გაბორებულის** შემთხვევაში, **ბოროსაც** უნდა დაემატოს შესაბამისი მნიშვნელობა მეგრულზე მინიშნებით.

ბოყვი

„წინ, ცალკე, ზემო ბოყვთან, ჯიხვის ტყავის „ქვირქზე" თასმით გადაკიდებული ერთლულიანი ფილთა გზინავდა" (ქიაჩელი, 1985:280).

„სასიმინდეს გვერდით მართლაც დიდრონი აკაციები ეყარა, ორკეშში დავჭერი მე თვითონ, საბოყვე მასალაა" (წულეისკირი, 1977:331).

ქეგლ-ში საანალიზო ერთეული ხუთჯერ არის შეტანილი, შესაბამისი ნუმერაციით, ჩვენთვის საინტერესოა ოთხი მათგანი: **ბოყვი**[1] – 1. იგივეა რაც ბოკვი. 2. ხის ქერქის ჭურჭელი (პატარა კალათივით). **ბოყვი**[2] - კუთხ. (იმერ. გურ.) ჩარჩო, რომელშიაც [კედლის] ფიცრებია ჩასმული. **ბოყვი**[3] - კუთხ. (იმერ.) კრამიტის ყალიბი, კეთდება ხისაგან. **ბოყვი**[5] – 1. იხ. ბაყვი; 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი - გულბოყვი (ქეგლი). ამ უკანასკნელ შემთხვევაში, **ბაყვი** შესულია საბასეული განმარტებით „მუხლს ზეითი".

თვითონ **ბოყვი** საბასთან გვხვდება შემდეგი სახით: **ბოყჳ*** (ნუსხებშია „ბოყვი") - წაკულაკი დაგრძელებული, წამხდარი; **ბოყჳ** (ბოყვი) - ხის ქერქის ჭურჭელი, გინა წაკლაკი წამჴდარი (ორბელიანი, 1991-1993).

მეგრული დიალექტური ლექსიკონების მიხედვით, **ბოყვი** არის ჩარჩო, რომელშიც კედლის ფიცრებია ჩასმული

(ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997).[27] აქვე დაგვჭირდება პ. ჭარაიას ლექსიკონში დადასტურებული **ა** გახმოვანებიანი ფორმის განმარტება: **ბაყვი** „აშავერი, მუხლის ზევით“ (ჭარაია, 1997), რადგან ეტიმოლოგიურად ეს ორი ფორმა ერთმანეთთანაა შეპირისპირებული.

კ. დანელიას თვალსაზრისით, სალიტ. **ა** გახმოვანების **ბაყვ-ი**-ს ფარდია მეგრული **ბოყვ-ი**. მსგავსი „კოლხური“ ფორმების არსებობას იმერულში (ასევე სხვა დასავლურ კილოებში) სესხებად აფასებს და იქვე განმარტავს, რომ ზოგი საერთო მასალა შეიძლება იყოს (დანელია, 1991:604).

ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მეგრ. **ბოყვ-** ძირის სალიტ. შესატყვისად დადასტურებულია **ბაყვ-** (*ბაყუ) ძირი (ა:ო ბგერათშესატყვისობის მიხედვით) („ბარძაყის შიგნითა ნაწილი; თეძოს ძვალი“) (ფენრიხ..., 2000:99).

პროფ. მ. ჩუხუაც სალიტ. **ბაყვ** - (*ბაყუ) ძირს უპირისპირებს მეგრ. **ბოყვ-** ფუძეს:

„ქართ. ბაყვ-ი „მუხლს ზეითი (საბა)“, **მო-ბაყუ-ა** „მოკეცით (ბაყვის გაშლით) ჯდომა (საბა)“, ხევს. **ბაყვ-ი** „ადგილი, სადაც ბარკალი ეკვრის მუცელს“. **ზან. ბოყვ-ი** „საჯდომი ძვალი“. ზანურის დიალექტებში **ბოყვ**-დაკარგულია; **ო** გახმოვანება იმერული **ბოყვ-** ფუძისა მის ზანურ საწყისზე მიუთითებს - ქართ. **ა** : ზან. **ო** - **ბაყვ-** : **ბოყვ-**“ (ჩუხუა, 2000:240).

სალიტ. **ა**: მეგრ. **ო** შესატყვისობისთვის **ბაყვ**:**ბოყვ** ერთმანეთს ვერ შეუპირისპირდება, რადგან როგორც სალიტერატურო ენაში, ისე მეგრულში ერთდროულად თანაარსებობს **ბაყვი** „მუხლს ზეითი“, ბარძაყი და **ბოყვი** „ხის ქერქის ჭურჭელი“, ჩარჩო, რომელშიაც კედლის ფიცრებია ჩასმული.

---

[27] მეგრულ დიალექტურ ლექსიკონებს როცა ვამბობთ, ვგულისხმობთ პ. ჭარაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონს, ი. ყიფშიძის მეგრულ-რუსულ ლექსიკონს, ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონსა და ა. ქობალიას მეგრულ ლექსიკონს.

ამდენად, ვფიქრობთ მათი შეპირისპირება არცაა საჭირო, რადგან საერთოქართველურ დონეზე არსებული ფორმებია შემონახული სალიტერატურო ენასა და დიალექტებში.

დაკვანწილი

„ეს იშვიათი მეოჯახე ქალი, დაკვანწილ-დალაგებული სახლ-კარის პატრონი, ისე იყო არეულ-დარეული, გეგონებოდათ გუშინდელი პატარძალიაო“ (წულეისკირი, 1977:379).

განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში დასტურდება ფორმები: **კვანწია** 1. კუთხ. (ქართ., იმერ.) კოხტად ჩაცმადახურვის, კოხტაობის მოყვარული, ცოტა პრანჭია (შდრ. კვანწვა). 2. კუთხ. (გურ.) მოხდენილი, ტანადი და ქცვიტი (ახალგაზრდა ქალი). **კვანწვა** (ზმნა კვანწავს) ქალების ცეკვაში (ხელების, ტანის) მოხდენილი მოძრაობა (საბა) // კუთხ. (ქართლ., იმერ.) ხელების ლამაზი შეთამაშება ცეკვის დროს; კეკლუცობა, კოხტაობა (ქეგლი).

მეგრულში **კვანწ-** დაკავშირებულია **დოკვანწილი** („ყველაფერი კოხტად და ლამაზად დალაგებული“), **კვანწუა** („ლამაზად, კოხტად გაკეთება საქმისა (დალაგება-მილაგება, ჩამოკიდება); კოხტაობა, კოპწიაობა; გოგმანით სიარული. რწევა“) ფორმებთან (ქაჯაია, 2001-2002). ამ ძირისგანაა ნაწარმოები **ი-კვანწ-უ** „კოპწიაობს; ირწევა“, **გილა-კვანწ-ინ-ი, გილა-კვანწ-აფ-ი** „რხევა-რხევით, ნარნარად, კოპწიად სიარული“; **ო-კვანწ-ა-ია** „საქანელა“, **ოკვანწაია ხიდე** „საცალფეხო, დაწნული, მოქანავე ხიდი“.

შდრ. გურულში **კვანწია** „მოხდენილი, ტანადი და ცქვიტი ახალგაზრდა ქალის“ აღმნიშვნელია; ლეჩხუმურში **კვანწალიე** ლამაზი, ლოყებწითელი; იმერული **კვანწალი, აკვანწალება** უბრალო რამეზე გულის მოსვლა (ღლონტი, 1984).

ერქვანი

„არც ერთი რეჟიმის დროს ხელი არ შეუვლია თოხისა და ერქვანისათვის“ (გამსახურდია, 1992:176).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ **ერქვანი** მიჩნეულია კუთხურ ერთეულად, კერძოდ, თუშურ, იმერულ და გურულად: „1. ძვ. მიწის სახვნელი იარაღი - გუთანი. 2. კუთხ. (თუშ. იმერ. გურ.) გუთნის სახელურის, რომელზედაც გუთნისდედას ხელი უკიდია და მისი საშუალებით მართავს გუთანს - მაჭი“ (ქეგლი).

საინტერესოა სულხან-საბასეული განმარტება, სადაც გუთნის სახესხვაობებსაც წარმოადგენს: **ერქუანი** (ერქვანი CabDE) არს, რომელსა სომეხნი გუთანს უწოდენ, საჴნეველსა ჴნულთასა. ორის ჴარისასა ეწოდების ოქოქა და აჩაჩა, ყევრის ჴარმრავალსა ბმულსა - ერქვანი. და ყოველთავე სახელი ერქვანი არს ზოგად (5, 18 ესაია) გუთანი. რომელთა უღელი ჴარნი აბიან საჴვნელთა, ეწოდებიან ოქოქა; რომელთა ყევარი ჴარნი აბიან, ეწოდებიან არონა; რომელთა ოთხნი და ხუთნი უღელნი - ეწოდებიან ჯილღა, ხოლო ყოველთავე სახელი ერქვანი არს და უმეტეს მისი, რომელთა ჴარნი მრავალნი ებნეს. გუთანი (ორბელიანი, 1991-1993).

მეგრულ დიალექტურ ლექსიკონებში **ერქვანი** განმარტებულია როგორც კავის სახელურის. პ. ჭარაია მის იმერულ მნიშვნელობაზე მიუთითებს - ერქვანი (იმერ. მნიშვნ.) (ჭარაია, 1997);

შდრ. ერქვანი თუშურში, რაჭულსა და ლეჩხუმურში დასტურდება იმავე მნიშვნელობით - გუთნის სახელურის, ხელმოსაკიდი, მაჭი (ღლონტი, 1984).

დასახელებულ მეტყველებებთან ერთად, როგორც ვხედავთ, **ერქვანი** დასტურდება მეგრულშიც. აქედან გამომდინარე, თუშურ, იმერულ, გურულთან ერთად მეგრულის მითითებაც შესაძლებელია, თუ მხოლოდ კუთხ. კვალიფიკაციით არ შემოვიფარგლებით.

თემშარა

„ალბანო-რომის თემშარაზე დარგული ალვის ხეებიც მე მაგონებენ ჩვენი სოფლის ალვისა ხეებს“ (გამსახურდია, 1961:782).

„ამ თემშარაზე რომ გამოსულხარ და თავს აჭერინებ, გამზრდელ მამიდას რას ეუბნები?“ (ქიაჩელი, 1985:21).

ქეგლ-ში იმერული მეტყველების კუთვნილებადაა მიჩნეული **თემშარა** – კუთხ. (იმერ.) სოფლის შარაგზა (ქეგლი).

ერთეული კომპოზიტური წარმოებისაა: **თემი+შარა.** ამ ეტაპზე ჩვენთვის მეტად საინტერესოა მეორე კომპონენტი **შარა,** რომელიც ცალკეც გვხვდება სამწიგნობრო ენაში. ამ შემთხვევაში ის სალიტერატურო ერთეულად განიხილება და ლექსიკონში როგორც გზატკეცილის სინონიმი ისეა განმარტებული: **შარა** - იგივეა რაც გზატკეცილი (ქეგლი).

საბას ლექსიკონში **შარა** განმარტებულია, როგორც ბრტყელი გზა და მიგვითითებს გზა სიტყვაზე, რომლის ბუდეშიც განიხილავს ფორმებს: **გზა** - გზა არს ზომიერი კაცთა სავალი, ხოლო **შარა** - ვრცელი, და **ბილიკი** - ვიწრო, **ქაშანი** - შამბნართა ანუ თოვლთა ზედა გატკეცილი სავალი და **წავარნა** - კლდეთა ზედ(ა) ვიწრო რამე ნადირთა წარსავალი (ორბელიანი, 1991-1993).

მეგრულ ლექსიკონებში **შარა** იგივე გზაა. ი. ყიფშიძის ლექსიკონში **შარა-ს** განმარტებისას ვხვდებით მისგან ნაწარმოებ ფუძეებსაც: **თემი-შარა** დიდი, მთავარი გზა; **შარა-ორთუ, ორთუ-შარა** გზაჯვარედინი; **მე-შარე, მო-შარე** მოგზაური (უფრო ზუსტად - მგზავრი - კ.გ); **ნა-შარა, ნა-შარუ** ძველი (ყოფილი) გზა (ასევე, **ნაშარუ/ნაშარგ** გულისხმობს ნამგზავრსაც - კ.გ.) (ყიფშიძე, 1914).

შარა - გზა დასტურდება ლაზურ მეტყველებაშიც (თანდილავა, 2013).

მეგრულ მეტყველებაში **შარა** ფორმისგან ნაწარმოები ერთეულებია: **მე-შარე, ნა-შარუ, შარა-აკართუ//შარა-ეკართუ, ორთუ-შარა, შარა-კარი, შარა-პიჯი, შარა-ერთელი...** რომლებიც სალიტერატუროს **მგზავრი, ნამგზავრი, გზაგასაყარი, გზაკარი, გზისპირი, გზააბნეული...** ფორმების ექვივალენ-ტია. როგორც ვხედავთ, შარა-ს სალიტერატურო ენაში გზა ძირი შეესატყვისება; თვითონ შარას კი ვხვდებით **შარაგზა, თემშარა** კომპოზიტების პირველ და მეორე კომპონენტად და **შარა-შარა** რედუპლიკაციის შემთხვევაში.

შარა-სგან ნაწარმოები ფორმები მეგრულში უხვად დასტურდება, ამ ძირს არ იყენებს სალიტერატურო ენა. აქედან გამომდინარე, დღევანდელი ვითარებიდან **შარა** შეიძლება მივიჩნიოთ დიალექტურ ერთეულად.

რაც შეეხება **თემშარას,** ის იმერულის გარდა, თავისუფლად შეიძლება სხვა დიალექტებშიც შეგვხვდეს.

იალონი

„საღამოს ელბის ნაპირას მოსეირნეს თვალმოუხუჭველად მეხატებოდა შავი ზღვის რივიერას ნელტფილი საღამოები, ჟრუნი იალონების ნისლის, მერდინების ფრიალი“ (გამსახურდია, 1992:47).

ქეგლ-ის მიხედვით **იალონი** გურული და იმერული ფორმაა, რაც **ალიონს** ნიშნავს (ქეგლი).

იალონი მეგრული გახმოვანების სიტყვაა, რომლის პარალელურად დასტურდება **ალეწი//ალონი** ფორმები. მეგრულ ლექსიკონებში განმარტებულია, როგორ ალიონი.

ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, **იალონი** ფონეტიკურად ოდნავ ცვლილი დიალექტური ფორმაა და შესაძლებელია განმარტებით ლექსიკონში არც შესულიყო, მაგრამ ვინაიდან ფიქსირდება, მას მეგრულიც უნდა მიეთითოს.

კალანდა

„კალანდის ღამეს ჩიჩილაკიანი მორდუ წინ გაგვიძღვებოდა“ (გამსახურდია, 1961:659).

„ტატუს... არც საკალანდო ღორი ჰყავდა“ (წულეისკირი, 1977:379).

მწერლისეული განმარტების მიხედვით, **კალანდა** „ახალი წელი“, გურული და მეგრული გავრცელების სიტყვაა.

ლექსემის განმარტება ლექსიკონში ასეთია: **კალანდა** – (ლათ. ჩალენდაე თვის პირველი დღეები) კუთხ. (გურ.) ახალი წელი. (ქეგლი).

საბას მიხედვით **კალანდობა** – ახალი წელიწადია (თვის თავი მარტისა და სხვაცა, ახალ წელიწადი). **კალანდრა** – წლის შესატყობი; წლის შეტყობა (ორბელიანი, 1991).

მეგრულ ლექსიკონებშიც **კალანდა** ახალი წლით განიმარტება (ყიფშიძე, 1914).

როგორც კ. გამსახურდია მიუთითებს სიტყვის მეგრულობაზე გურულთან ერთად რომანის ბოლოს დართულ ლექსიკონში, ასევე უნდა იყოს განმარტებით ლექსიკონშიც. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ როცა გურულ-მეგრულობაზე ვსაუბრობთ, აქ იგულისხმება ამ დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიცია ამ კუთხეებში. სხვაგვარად, სიტყვის ლათინურ წარმომავლობაზე მინიშნება ქეგლ-შიც დასტურდება.

კარკაცი

„ზოგჯერ ადამიანივით ჩაიკარკაცებდა კიდევაც, თითქოს კერიის სიღრმიდან თვითონ ნერჩის გახარება ამოაქვს და მთელს ქვეყანას უნდა მოსდვასო“ (ქიაჩელი, 1985:524).

ქეგლ-ის მიხედვით **კარკაცი** გურულ-იმერული სიტყვაა და იგივეა, რაც კასკასი (ქეგლი). უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსიკური ერთეული მეგრულისთვისაც აქტიური გამოყე-

ნებისაა. მეგრულ ლექსიკონებში ის განმარტებულია - კის-კისი, ხმამაღალი, გადაჭარბებული სიცილი (ჭარაია, 1997; ქაჯაია, 2001-2002).

ს. ჟღენტი **კარკაც**-ს ფონეტიკური განვითარების გზით **კასკასი**-საგან მიღებულად მიიჩნევს: „**რ ს**-ს ფონეტიკური მონაცვლეა (შდრ. ძვ. ქართ. სძალი - რძალი). **ც** კი შედეგია მეორე **ს**-ს გააფრიკატებისა (შდრ. ქართ. მსხალი და ჭან. მცხული). **კარკაც** ფუძეა გამოყენებული სვანურ **ლი-კგრკჳც**-ში, რაც ნიშნავს კაკანს: სვან. **კარკჳც** - კაკანებს. ამავე რიგის მონაცემად მიიჩნევს სვან. **კორკოც** ფორმას „მყივანა ხველა"" (ჟღენტი, 1940:226). მეცნიერი გურულში **კარკაცი**-ს გამოყენებას (**კარკაცოფს** „კასკასობს") ზანიზმად განიხილავს.

პროფ. რ. შეროზია **ა** და **ო** ხმოვნიან ვარიანტთა რიგებში (ტახ:ტოხ, ბანდღ:ბონდღ) განიხილავს **კარკაც** („ძლიერი სიცილი") და **კორკოც** („ყივანახველა") ფორმებს, რომლებიც აქტიური ფორმებია მეგრულში (შეროზია, 2013 ა:359).

კარჭალია

„მდელოზე დავარდნილ კარჭალიას მთვარის ერთი სხივი დაეცა და ისე გაბრწყინდა, როგორც თვალი პატიოსანი" (წულეისკირი, 1977:188).

ქეგლ-ში დადასტურებული **კაჭალ-ი** კუთხ. (გურ., იმერ., რაჭ.) წენგოშემოცლილი, დაკროლილი კაკალი;//კაჭალი მანეთი (მანეთიანი) კუთხ. (იმერ. რაჭ.) „ახალმოჭრილი მანეთიანი", ფორმობრივ სემანტიკურად იგივეა რაც მეგრული **კაჭალია** (ნები გინა ფარა) წენგო შემოცლილი ნიგოზი, ან ახლად მოჭრილი მანეთიანი (ჭარაია, 1997).

სიტყვის მეგრულ წარმომავლობაზე მიუთითებს ზმნური ფორმა **კაჭალუა** „(ნებიში) კაჭლვა, გაკაჭვლა, დალენჯოვება კაკლვა, კაჭრვა" (ჭარაია, 1997). მეგრ. **კაჭ-ალ-ან-ს** სალიტ. **კაჭ-ლ-ავ-ს** ზმნის შესატყვისია.

ამ ძირისგან ნაწარმოები ფორმებია: **კაჭ-ალ-ერ-ი** (წენგოგაცლილი), **ენა-კაჭ-ალ-არ-ი** (რაშიც იყრება წენგოგაცლილი თხილი, კაკალი), **ო-კაჭ-ალ-არ-ი** (ხელსაწყო რითაც (რაშიც) ეცლება წენგო), **ნა-კაჭ-ალ-ა** (წენგოგანაცლევი).

კაჭა

„თქვენში რა ჰქვიან ისეთ კაცს, რომელსაც სიარულის დროს ფეხი-ფეხზე ედება... იმ კაცს, ცხენივით რომ იათახს იკრავს?... -ჩვენში ამისთანა კაცს „**კაჭა**“ ჰქვიან ...- „**კაჭა**“ იმტომ ჰქვიან ალბათ, რომ როცა ძვალი ძვალს მოხვდება, ხმას გამოსცემს ხოლმე: კაჭ... კაჭ... კაჭ... გესმის?“ (ქიაჩელი, 1985:185).

კაჭა - 1. კანჭი. 2. კუთხ. (ქვ. იმერ.) ფეხმრუდე (საქონელი) (ქეგლი).

კაჭა მეგრულ ლექსიკონებში თითქმის ერთნაირადაა განმარტებული - მრუდე ფეხებიანი, ფეხმრუდე; დაბრეცილ კანჭებიანი (ადამიანი) (ჭარაია, 1997; ქაჯაია, 2001-2002). ამ მნიშვნელობასთან ერთად, ა. ქობალიას მეგრულ ლექსიკონში მას აქვს „კაკლის წენგო, თხილის ბუდე, ნაქურჩალი“ გაგებაც (ქობალია, 2010). სავარაუდოა, ავტორი **კაჭ-ალ-, კაჭ-ალ-ი-ა** („წენგოგაცლილი, ბუდიდან ამოვარდნილი“) ფორმასთან დაკავშირებას ცდილობდა, მაგრამ, ვფიქრობთ, მათ შორის სემანტიკური კავშირის დაძებნა რთული იქნება.

კინჩხი

„კისერი და კინჩხი მოუტეხა თბილისელ პროფესორებს“ (წულეისკირი, 1987:18).

ქეგლი იმერულში გამოყენებული შესიტყვების მიხედვით ხსნის ერთეულს **კინჩხი - კინჩხი უტეხია** კუთხ. (იმერ.) კისერი უტეხია (ქეგლი).

კისერი და **კინჩხის** პარალელურად მწერალი იყენებს **კისერი და კინწი**: „კისერი და კინწი უტეხია ყველა მუქთახორას“ (წულეისკირი, 1977:85).

საბასეული განმარტებითაა შესული განმარტებით ლექსიკონში: **კინწი** კისერი (ქეგლი).

საყურადღებოა, რომ მეგრულ მეტყველებაში **კინჩხი** აღნიშნავს კეფას, კისრის უკანა ნაწილს (ქაჯაია, 2001-2002), თუმცა ამასთან ლექსიკონებში გვხვდება ზოგადი მნიშვნელობა კისერიც. **კინჩხ-ი** სემანტიკურად დაუკავშირდება **კინწ-ი** ფორმას.

შდრ. კინჩხი (გურ. ზ. აჭარ.) კისერი. **კინწი** (ლეჩხ.) მტევნის ნაწილია; მთავარი ღეროს ძირი, რითაც მტევანი მიბმულია ვაზს: მტევანი მიბმულია კინწით (ამ მნიშვნელობის დაკავშირება არ უნდა გაჭირდეს). **კინწაი** (მესხ.) კისერმოგრეხილი ადამიანი, მახინჯი. დამამცირებელი მეტსახელია (ღლონტი, 1984).

კოპიტი

„კოპიტის მეჩხერი ტყეც გავიარე“ (გამსახურდია, 1992:185).

„[ტყეში] კოპიტი და რცხილა სჭარბობდა“ (ქიაჩელი, 1985:401).

კოპიტი კუთხ. (იმერ.გურ.) იგივეა, რაც იფანი (ქეგლ). ამგვარი განმარტება მართებულია ერთეულისა მით უფრო, თუ დავეყრდნობით ალ. მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსიკონს, სადაც იფნის იმერულ-გურულ სახელწოდებად **კოპიტია** მითითებული, მეგრულად კი - **ლაჯი//ლანჯი** (მაყაშვილი, 1991).

მეგრულ ლექსიკონებში **ლანჯთან** (განმარტებით იფანი, კოპიტი) ერთად ცალკე ერთეულად **კოპიტიც** დასტურდება: **კოპიტი** (ლანჯი) კოპიტი (ხე) (ჭარაია, 1997); ა. ქობალიას ლექსიკონში დამატებით ცულის, საჩორკნის მნიშვნელობაც აქვს (ქობალია, 2010).

საინტერესოა, რომ მეგრულ მეტყველებაში დასტურდება ზმნური ფორმა **კოპიტ-ან-ს** თლის, ჩორკნის, ზერელედ აკე-

თებს. ამასთან, ლექსიკონებში ვხვდებით ამავე ძირისგან ნაწარმოებ სამუშაო იარაღის და სამზარეულოს ჭურჭლის სახელწოდებებს: **კოპიტი** ერთგვარი ცულიცაა, საჩორკნი; **კოპიტა ბურჭული** საჩორკნი წალდი, უფრო სოლს მიაგავს (ქობალია, 2010). **კოპიტ-ა, კოპიტ-ე** - იგივეა, რაც კობიტა, - ხის ჯამი (ქაჯაია, 2001-2002); ა. ქობალია განმარტებისას აკონკრეტებს, რომ **კოპიტ-ა** სამაწვნე ხის ჯამია, ხის შავად გამოჭრილი, გამოჩორკნილი, გამოკოპიტებული ჭურჭელი (ქობალია, 2010). საფიქრებელია, რომ ეს ჯამი სწორედ კოპიტის ხისგან იყოს დამზადებული და სახელიც აქედან დაერქვა - **კოპიტ-ა**.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ **ლანჯი** ფორმასთან ერთად, მეგრულისათვის არც **კოპიტია** უცხო. დღევანდელ მეგრულ მეტყველებაში მცენარის აღმნიშვნელად **ლანჯი** ხშირი გამოყენების ფორმაა, მაგრამ **კოპიტ-ან-ს** ზმნაც აქტიურად იხმარება.

შესაბამისად, შესაძლებელია, **კოპიტი** მეგრულის ისეთივე კუთვნილებად ჩავთვალოთ, როგორც იმერულ-გურულის.

ლაფარო

„ლაფაროში ლეკვები წკმუტუნებენ“ (გამსახურდია, 1990:95).

„გვადი ჯარგვალთან მივიდა და ლაფარეში დადგა“ (ქიაჩელი, 1985:440).

„ბუძგურია ლაფაროში აიტუზა და ელოდება“ (წულეისკირი, 1987:13).

ქეგლ-ში ამ ერთეულს ვხვდებით **-ე, -ა, -ო** დაბოლოებიანი სახით ერთ ბუდეში, რომლებიც იმერულ და გურულ ფორმებადაა წარმოდგენილი: **ლაფარე, ლაფარო, ლაფარა**[2] კუთხ. (იმერ. გურ.) შენობის ირგვლივ ადგილი, რომელსაც სახურავის გამოშვერილი ნაწილი ფარავს (ქეგლი).

საანალიზო ერთეული მეგრულ ლექსიკონებში დასტურდება იმავე ფორმებითა (ე, ა, ო დაბოლოებებით) და მნიშვნე-

ლობით, როგორც ქეგლ-შია განმარტებული. საყურადღებოა მეგრულ მეტყველებაში ამავე ძირით ნაწარმოები **ო-ფარ-ე** „ზურგი“ ფორმა.

საინტერესოა საანალიზო სიტყვის წარმოებისთვის გამოყენებული **ლა-** პრეფიქსი (დანიშნულებას გამოხატავს და მნიშვნელობით იგივეა, რაც **სა-** თავსართი; მაგ. ლა-რთხ-ი (=სა-რთხ-ი), ლა-რტყ-ი (=სა-რტყ-ი), ლა-ფარ-ო//ლა-ფარ-ე (=სა-ფარ-ი)...) **-ე, -ო** სუფიქსებთან კომბინაციით, რომლებიც აწარმოებენ დანიშნულების სახელებს, **-ა** სუფიქსთან ერთად კი გამოხატავს ნიშანთვისებას (მაგ. სა-ქან-ელ-ა) (ჯორბენაძე..., 1988:268,14). ამაზე ამახვილებს ყურადღებას ვ. თოფურიაც: **ლა-ფარ-ო/ე** აშკარაა წარმოქმნილია **ფარ-ვა-**საგან **ლა-ე/ო** აფიქსებით (თოფურია, 1979:93).

ამასთან, მეგრულში პარალელურად დასტურდება ორმაგი პრეფიქსაციის ნიმუშებიც: **ლა-** პრეფიქსთან ერთად **ა-, ო-** დანიშნულების მაწარმოებელი თავსართით - **ა-ლა-ფარ-ე//ა-ლა-ფარ-ა, ო-ლა-ფარ-ე** - ლაფარე, ლაფარო, სახლის გვერდზე გადმოხურული კედლების სიმშრალისათვის (ლაფარე) (ჭარაია, 1997);

როგორც აღინიშნა, სიტყვის ძირი **ფარ-** უკავშირდება ფარვა, დაფარვას, რომელიც საზიარო ფუძეა და ერთნაირად გამოიყენება მეგრულშიც და სალიტერატურო ენაშიც. ამასთან, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული „კანონზომიერი **ა:ო** ბგერათშესატყვისობის“ დაცვის მიხედვით, მეგრულში დასტურდება **ფორ-** ძირისაგან ნაწარმოები **ფორ-უ-ა** „დაფარვა“, **ო-ფორ-ალ-ი** „დასაფარი, დასახური“, **ო-ფორ-აფ-ალ-ი** „საფარი, მოსაფარებელი“... ფორმები.

პროფ. რ. შეროზია ვარაუდობს, რომ „...**ფორ>ფარ** ცვლილებას ზანურში სემანტიკური მიზეზი უდევს საფუძვლად“ (შეროზია, 2010:175).

ასევე, წარმოდგენილი მასალა დამატებით არგუმენტად გამოდგება პროფ. რ. შეროზიას მოსაზრებისათვის, რომლის

მიხედვით „ქართულსა“ და „ზანურს“ შორის ა=ო ბგერათშეთანხმების სამტკიცებლად ვერ გამოდგება ისეთი ფორმები, რომლებიც ერთსა და იმავე მეტყველებაში ორივე გახმოვანებით (ა,ო) გვხვდება (მეგრულში: **ბონდღ:ეკი-ბანდღ; ბოჯგ:ბარჯგ; ეშა-ტოხ-უნს:ეშა-ტახ-უნს, კარკაც:კორკოც...**) (ხაზი ჩვენია-კ.გ.)(შეროზია, 2013 ა:358-359).

შდრ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონის მიხედვით დასტურდება, **იმერ. ლაფარე** სახლის გვერდზე გადმოხურული კედლის სიმშრალის დასაცავად; **გურ. ლეჩხ. ლაფარო** მანძილი საწვეთელსა და კედელს შორის, ყურე (ღლონტი,1984).

ნაჭა

„ჯაჭვის „ნაჭაზე“ თუჯის ქვაბში საჩქაროთ ფქვილის ღომი გააკეთა ოტიამ“ (გამსახურდია, 1961:906).

„მაღლიდან ჩამოშვებულ ნაჭაზე ქვაბი ეკიდა დამზადებულ ღომით სავსე“ (ქიაჩელი, 1996:232).

„ნაჭის თავთან შესაბოლად და გასახმობად გარდიგარდმო დაჰკიდა კაზილა“ (წულეისკირი, 1977:182).

ქეგლ-ში ქვემო იმერულის ფორმადაა მიჩნეული **ნაჭა** – კუთხ. (ქვ. იმერ.) შუა ცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი – საკიდელი (ქეგლი).

ნაჭას და **ლანჭა//ლარჭას** პარალელურ გამოყენებაზე მიგვანიშნებს მეგრულ ლექსიკონებში აღნიშნული მითითება იხ. **ლანჭა,** რომელიც განმარტებულია როგორც ქვაბისა და სხვ. ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი (ჭარაია, 1997); ქვაბის საკიდარი ჯაჭვი, რომელიც თავხედან ეშვება კერიაზე (ქობალია, 2010).

შდრ. ა. ღლონტი **ნაჭას** განსხვავებულ სემანტიკებზე მიუთითებს სხვადასხვა დიალექტებში: **ნაჭა**[1] (იმერ., გურ., ლეჩხ.) შუა ცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი, საკიდელი; ჯაჭვი, საქვაბე. **ნაჭა**[2] (გურ., აჭარ.) ნაჭი, წენგო. **ნაჭა**[3] (ქვ.

იმერ.) ლაფანი, ლაფნის ხე. **ნაჭა**[4] – (ქვ. იმერ.) პურის გალეწვის შემდეგ დარჩენილი ნამჯა (ღლონტი, 1984). ქვ. იმერულისგან განსხვავებით, ლაფნის ხის მეგრული შესატ-ყვისია **ლეფონი, ლეფანი, ლიფონი** (მაყაშვილი, 1991).

ს.ს. ორბელიანის ლექსიკონში ქვაბის საკიდის მნიშვნელობით ვხვდებით **კაჩალო, კაჩო** ფორმას, რომელიც დიალექტურ ლექსიკონებსა და ქეგლ-შიც დასტურდება:

საბა: **კაჩალო, კაჩო** – კაპიანი ხე ჴორცთ დასაკიდებელი. ჴორცის საკიდარი კაპიანი. შდრ. კრჩხა. კრჩხა - კაჩალოსავით კაპედი ხე დასაკიდრად რისამ (ორბელიანი, 1991).

კაჩო - იგივეა, რაც კაჩხა. კაჩხა - კაპებიანი საკიდარი, - კაჩო (ქეგლი).

მეგრულ ლექსიკონებშიც გვხვდება **კაჩა** - კაჩო, კაჩალო, ქვაბის ჩამოსაკიდებელი ხისგან გაკეთებული (ჭარაია, 1997); **კაჩა** - ხის როკი, ორკაპი, სამკაპი, საკიდარი, ხის ასაწევ-დასაწევი მოწყობილობა ცეცხლზე ქვაბის დასაკიდებლად; წვივი, კანჭი, წვივ-ბარკალი (ქობალია, 2010). **კაჩა** დასტურდება ლაზურ ლექსიკონშიც - კაკვი, მოკაკული ჯოხი (თანდილავა, 2013).

ამავე ძირის ფორმებია სხვა დიალექტებშიც (რაჭ., იმერ., ქართლ., ქიზიყ., ფშ.), რომლებიც, ზოგადად, ხისგან გაკეთებული ჩამოსაკიდებლის მნიშვნელობით დასტურდება: **კაჩა**[2] – (რაჭ., იმერ.) კაჩხა, ოჯინჯალა, რომელზედაც ნაჭა (საქვაბე ჯაჭვი) ჰკიდია; შუა ცეცხლზე დირედან ჩამოშვებული ხე, საქვაბე. **კაჩო** - (ქართლ., ქიზიყ.) ბოძში შერჭმული პალო ჩამოსაკიდებლად; კაჩხა, კედელზე, ან ბოძზე მიჭედილი პალო რისამე დასაკიდებლად. **კაჩხა** - (ფშ., ქართლ.) კავი; კაპებიანი ბოძი ხარიხის გასადებად ან რისამე ჩამოსაკიდებლად; კედელზე მიჭედილი რქა ან ჩხიანი (კაპებიანი) ტოტი ტანისამოსისა თუ ნივთის ჩამოსაკიდებლად (ღლონტი,1984).

საინტერესოა, იმერულში **კაჩა** არის ხის კავი, რომელზედაც ნაჭა, საქვაბე ჯაჭვი ჰკიდია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ხე ლაფანი იყო, რომელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმერულში **ნაჭა** ჰქვია.

ლანჭა//ლარჭა ფორმასთან ერთად, **ნაჭა** მეგრულშიც დასტურდება.

ნერჩი

„ზოგჯერ ადამიანივით ჩაიკარკაცებდა კიდევაც, თითქოს კერიის სიღრმიდან თვითონ ნერჩის გახარება ამოაქვს და მთელს ქვეყანას უნდა მოსდვასო“ (ქიაჩელი, 1985:524).

„გრძელ თალარსაც ჭიშკრიდან ოდის კიბემდე ბეტონის ნერჩი ეგო ქვეშ“ (წულეისკირი, 1987:356).

მეგრულ ლექსიკონებში **ნერჩის** განსაზღვრებაა ძირი, ფუძე, საფუძველი; სახლის დასადგამი ადგილი, სადაც ოჯახი უნდა გამრავლდეს, აშენდეს (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997). ამას უკავშირდება სამეგრელოში არსებული წეს-ჩვეულება **ნერჩიში ოხვამერი** „ფუძის სალოცავი“, რომელიც სრულდებოდა დიდმარხვის დაწყებამდე 25 დღით ადრე, ოთხშაბათს და ამიტომ ამ ლოცვას ეწოდებოდა ოჯუმაშხური (ჯუმაშხა – ოთხშაბათი), **ნერჩიში ხვამა** „ფუძის ლოცვა“ - ახალდაბადებული ბავშვის დასალოცად ლხინის გამართვა დედამანიისა და მის დამხმარეთა თანდასწრებით. ასევე შესიტყვებები: **ნერჩიში მარდი** „ფუძის მადლი“, **ნერჩე გოჭყორელი** „ფუძეგამწყრალი“.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში გვაქვს შემდეგი განსაზღვრებები: **ნერჩი**[1] 1. კუთხ. (ქვ. იმერ. აჭარ.) რაიმე ჯურჭლის ძირი, ფსკერი (გარედან). 2. კუთხ. (შ.-იმერ.) ჭერი. 3. კუთხ. (ლეჩხ.) „ხის ნედლი შტოებით მოფენილი საბძლის ჭერი, რომ მის ქვეშ საკვები არ წახდეს“; **ნერჩი**[2] – კუთხ. (გურ.) ეთნ. „ახალდაბადებული ბავშვის დასალოცავად ლხინის

გამართვა“ - ძეობა (ქეგლი). საბასთან უფრო ზოგად განმარტებას ვხვდებით: **ნერჩი-** ქვედა კერძო; ფსკერს ქვეშეთი (ორბელიანი, 1991-1993).

ნერჩი სხვა დასავლურ კილოებშიც, გურულში, იმერულში, ლეჩხუმურში, აჭარულში, იმავე მნიშვნელობით აქტიური გამოყენებისაა (ღლონტი, 1984).

ნ ხმოვნითურთ (ამ შემთხვევაში ა და ე - კ.გ.) თავსართად მიაჩნია ვ. თოფურიას **ნარჩა-**ს (ლა-ნჩ-ა:ნა-რჩ-ა) შემთხვევაში და აღნიშნავს, რომ მეგრ. **ნა-რჩ-ა-**ს საერთო ძირი **რჩ-** უნდა ჰქონდეს **ნე-რჩ-თან** და **სა-რჩ-ულ-თან** (თოფურია, 1979:92).

ვ. თოფურიას მოსაზრებას თუ მივყვებით, **რჩ-** ძირი მეგრულ-ლაზურში გამოყენებულია **დო-რჩ-აფ-ა, დო-რჩ-აფ-უ** „საწოლის გაშლა“ (**ორჩანს, დორჩაფს** „საწოლს შლის“), **დო-რჩ-ელ-ი** (სვან. **ლი-რშ-ი, ლა-რში**) ფორმებშიც, რომელიც ეტიმოლოგიურად დაუკავშირდება სალიტ. **რეც-ვა, სა-რეც-ელ-ი** ფუძეს (თოფურია, 1979:88).

მ. სუხიშვილი ძვ. ქართული **რჩუნვას** (დადება, დაფარვა, დაკრვა...) ფორმასა და მნიშვნელობას უსადაგებს **სარჩულ-** ლექსიკურ ერთეულს. ანალიზისას იმოწმებს რა ვ. თოფურიას თვალსაზრისს **ნერჩ-ი სა-რჩ-ულ-ი** ლექსემათა დაკავშირებისა, თვლის: „თუ **ნე-რჩ** და **სა-რჩ-ულ** ლექსიკურ ერთეულებს ერთმანეთთან დავაკავშირებთ, მაშინ გამოირიცხება **ნერჩ** სიტყვის მიმართება მეგრ. **რჩ-აფ-ა-სთან**, რომელიც ქართ. **რეც-** ფორმის შესატყვისია და სათანადო ექვივალენტი მოეპოვება სვანურშიც (**ლი-გრშე** „დაგება“, გაშლა ლოგინისა). შესაბამისად, **ნერჩი** სიტყვა მეგრულში ქართულიდან ნასესხებად ჩაითვლება. ...თუ **ნერჩი** მეგრულის **რჩაფას**, ქართ. **რეცვას** დაუკავშირდება, მაშინ ის დიალექტში ზანიზმად უნდა ჩაითვალოს და მისი დაკავშირება ქართ. **სარჩულთან** გამოირიცხება“ (სუხიშვილი, 1991:59-60).

ვფიქრობთ, რომ მეგრ.-ლაზ. **რჩ-** ძირიანი **სარჩული, სარჩელი** (ლაზ. **მერჩალე/მერჩაფულე**) ფორმები მეგრულ-ლაზურიდან დამკვიდრდა სალიტერატურო ენაში. **ნერჩი**-ც „ქართულიდან ნასესხობა“ კი არ იქნება, არამედ პირიქით, მეგრულიდან დამკვიდრდა სამწიგნობრო ენაში.

ლაფშა

„იგი საოცრად აღტკინებული შეჰსცქეროდა ლომისფერ ლაფშას“ (გამსახურდია, 1961:930).

„ალექსამაც ოთხნაღებ დასძრა თავისი ლურჯა ლაფშები“ (ქიაჩელი, 1985:194).

ლაფშა კუთხურ, კერძოდ იმერულ-გურულ სიტყვადაა მიჩნეული, მაშინ როცა მეგრულშიც დასტურდება იმავე მნიშვნელობით - დაკოდილი ცხენი (ქეგლი; ქაჯაია, 2001-2002).

სამეცნიერო ლიტერატურაში **ლაფშა** დაკავშირებულია **ლაშ-** ძირთან. **ლაში** „პირის ქვედა ბაგე“ - ასე განმარტავს საბა, როცა **ბაგე**-ს ხსნის: „ბაგენი არიან კაცთა პირთა ორნივე ლაშნი“ (ორბელიანი, 1991-1994). **ლაშ-ი** ზოგიერთი ცხოველის (ცხენის, მგლის, ძაღლის... ტუჩი. გადატ. დიდი და უშნო ტუჩი ადამიანისა“ (ქეგლი).

არნ. ჩიქობავასთვის მეგრ. **ლეჩქ-ი** და ჭან. **ლეშქ-ი** იგივე ფუძეა რაც **ლაში**. მეგრულში **ვ** ბგერის არსებობის გამო სალიტ. ქართულშიც აღადგენს: **ლა-შ-ი<ლა-შვ-ი** (ჩიქობავა, 2008:69).

მეგრულ-ლაზურსა და გურულში **ტუჩის** მნიშვნელობით გვხვდება **ლაფშ-ი, ლაფშამი**- ტუჩიანი (ყიფშიძე, 1914); **ლაფშა** - სქელტუჩა (თანდილავა, 2013); **ლაფში** - დიდრონი ბაგეები (ჟღენტი, 1936:231).

სამეგრელოში შემონახულია ცხენის გახედნის დროს ტუჩის გალახვის წესი: „სამი წლის რომ შეიქმნებოდა, დავიჭერდით კვიცს და გავხედნიდით, დავადგამდით უნაგირს.

ექვსი თვის შემდეგ, როცა უნაგირით კარგად დაიწყებდა სიარულს, ჩვენ მას გავულახავდით ტუჩს. გალახვას ვეტყვით, ტუჩს რომ თითქმის მათრახის ტარით დავუჩეჩქვავდით, შემდეგ კვიცს გავუშვებდით და მივცემდით თავისუფლებას, უნაგირს არ დავადგამდით და თავისუფლად იყო ექვსი თვის განმავლობაში, სანამ ტუჩები და წარბები არ მოურჩებოდა. შემდეგ დავიჭერდით და დავუწყებდით ხედნას, როგორც თავისუფალ, თავარ ცხენს“ (ჯავახიშვილი, 1986:186). ამაზე მიუთითებს, რომ **ლაფშად** იწოდება ცხენი ორი ან სამი წლიდან, თუ ის დაკოდილი და გახედნილია.

ლაფშა სხვა ენებშიც არის გავრცელებული, სადაც შუალედურ გზას თურქულენოვანი სამყარო წარმოადგენს. ნ. ბაღათურია სტატიაში „ლაფშას ეტიმოლოგიისათვის“ ვრცლად მსჯელობას სხვადასხვა ენებში ამ ერთეულის ვარიანტებსა და გავრცელებულობაზე, რის შემდეგაც ასკვნის, რომ „ქართ. ლაფშა თურქული ენის ჩუვაშური შტოს საშუალებით გავრცელდა სხვა ენებში“ (ვრცლად იხ. ბაღათურია, 1996:30).

ქურქული

„უცნობი დედაბერი ქურქულობდა და ჭირისუფალივით თავს დასტრიალებდა“ (ქიაჩელი, 1996:344).

„ქურქულებდა, უკვე აღარ ყვიროდა“ (წულეისკირი, 1987:54).

ქეგლ-ის აღწერის მიხედვით, **ქურქული** გურული ფორმაა „ნაძალადევი კვნესა ავადმყოფისებურად, კრუსუნი“ (ქეგლი). ამ მნიშვნელობის მატარებელია **ქურქული** მეგრულშიც „კვნესა, წუხილი“ (ქაჯაია, 2001-2002).

ქურქული, წარმოების მიხედვით, **კარკაცი** ტიპის ხმაბაძვითთა რიგში გადის, რომლის ერთ-ერთი რედუპლიკანტის ძირეული სონორი გადადის სხვა თანხმოვანში: ქურ-ქულ-ი.

ღართი

„ჩემისთანა ცხენი და ანანგირი, ჩემისთანა ღართი და კაბა, ნაბადი და ქამარ-სატევარი შამუგიას კი არა, ბატონიშვილს ბევრს ენატრებოდა“ (გამსახურდია, 1992:198).

ქეგლი: **ღართი** 1. საწვიმარი ნაბადი (საბა); „ღართი არის წამოსასხამი ნაბადი მწყემსისათვის“; 2. კუთხ. (გურ.) შინ მოქსოვილი საჩოხე; 3. სამეგრელოში - ჩოხა.

ღართი ჩოხა; ღართი (ჭარაია, 1997); ჩოხა, ღართს ქსოვდნენ მატყლისაგან (ქაჯაია, 2001-2002).

ღართი მეგრული გახმოვანების სიტყვაა. ქეგლ-ში მითითებულია, რომ სამეგრელოში ჩოხას ნიშნავს, მაგრამ ვფიქრობთ კვალიფიკაციის წესი ამ შემთხვევაშიც უნდა დაიცვას, როგორც ეს გურულის მითითებისასაა.

ღვინჯა

„კოსტა ბიძიას სახლის უკან უშველებელი ღვინჯა მსხალი ედგა“ (წულეისკირი, 1977:82).

ქეგლ-ში **ღვინჯა** იმერულ სიტყვადაა მიჩნეული, რომელიც ძალიან მწიფე ხილს ნიშნავს (ქეგლი), მაშინ როცა, ამავე მნიშვნელობით **ღვინჯა, ღვინჯე** მეგრული მეტყველების კუთვნილებაცაა (ჭარაია, 1997); მსხლის ჯიშიცაა (ქობალია, 2010). **ღვინჯ-** ძირისაგან ნაწარმოებ ზმნას გადატანითი მნიშვნელობა აქვს მეგრულში: **ა-ღვინჯ-ენ-ს** „აბრაზებს, აღიზიანებს“; **ი-ღვინჯ-ებ-უ** „სიმწიფისაგან შავდება, გადატ. ბრაზდება“.

გ. როგავას მოსაზრებით, **ღვინჯა** გაადიექტივებული სახელია, მისი ამოსავალი მნიშვნელობა იყო ღვიძლი. ერთიანი წარმომავლობის ფუძე **სალიტ. ღვიძლ-** (აგრეთვე **სვანური ყვიჟე**) და **ზანური ღვინჯა** (შავ-ყვითლად დამწიფებული ხილი, არსებითად მსხალი) სემანტიკურად ფერხორცის მიხედვით არის დაკავშირებული. ამ მოსაზრების გასავითა-

რებლად იმოწმებს იმერულის საილუსტრაციო მასალას: „სხალი რო დაყლურჭდება (ე. ი. ძლიერ დამწიფდება) ღვირ-ძლივით გახთება“. ავტორი **ღვინჯას** იმერულში ზანიზმად მიიჩნევს.

ერთმანეთს ადარებს სახელურ ფუძეთა ზმნურ ვარი-ანტებსაც: **მეგრ. აღვინჯენს** აღიზიანებს, აბრაზებს და **სალიტ. აღვიძებს** ე.ი. აღიზიანებს, დამშვიდებული მდგომარეობიდან გამოჰყავს. შესატყვის ვარიანტთა სუფიქსაციის ამოსავალი სახეობის დასადგენად, გ. როგავას **სალიტ. ღვიძლ-** ფუძე აღნაგობის მიხედვით შეჰყავს **თაფლ-, ძაღლ-, ცეცხლ-** სახე-ლურ ფუძეთა რიგში, სადაც აფიქსისეული **-ლ** თანხმოვნის წინ რედუცირებული ჩანს უმახვილო ხმოვანი (თაფ-ალ, ძაღ-ალ...) სათანადო ზანურ ვარიანტებთან შედარების საფუძ-ველზე (არნ. ჩიქობავა). „ქართ. **ღვიძლ-** ფუძის სვანურ და ზანურ ვარიანტებში შემონახული ხმოვნური სუფიქსაცია სვან. **-ე (<*-ელ/** ყვიჟ-ელ) და მისი კანონზომიერი ფონეტი-კური შესატყვისი - ზანური **-ა (<*ალ/** ღვინჯ-ალ) საშუალებას იძლევა, რომ ქართულისავე **ღვიძლ-** ფუძეში აღვადგინოთ **ლ** სუფიქსისეული თანხმოვნის წინ **-ე** ხმოვანი - სვანური სუფიქსისეული **ე** ხმოვნისა და ზანური სუფიქსისეული **ა** ხმოვნის კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი“ (როგავა, 1979:169-172).

გ. როგავს აზრს იზიარებს და მისეულ რეკონსტრუქციას მიყვება მ. ჩუხუა: „ს. ქართვ. **ღუიძელ** ზან. (მეგრ.) **ღვინჯა,** სვან. **ყუიჟე** - სემანტიკურადაც ყველაზე ადეკვატურია, ანუ მეგრულის ვითარების ასახვა ეტიმონის სემანტიკურ განმარტებაში არსებითია“ (ჩუხუა, 2017:574).

ვფიქრობთ, მეგრულ და სვანურ სუფიქსისეულ ხმოვანთა შეპირისპირება გარკვეულ კითხვებს ბადებს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მეგრულში **-ა** დაბოლოებიანი (ღვინჯ-ა) ფორმის გვერდით გვხვდება **-ე** (ღვინჯ-ე) დაბო-ლოებიანი ფუძეც.

გარდა ამისა, **ღვიძლი** მეგრულში განსხვავებული ფუძით აღინიშნება - **ჩხონჩხ-ი**, რომელსაც არაფერი აქვს საერთო **ღვინჯა** ფორმასთან. გ. როგავასეული ახსნა სემანტიკური ტრანსფორმაციისა **ღვიძლსა** და **ღვინჯას** შორის კი დამატებით არგუმენტაციას და მსგავს შემთხვევათა არსებობას მოითხოვს.

შუკა

„ერთ პატარა შუკას მიყვება არზაყან ანაზდეულად“ (გამსახურდია, 1990:108).

„ღიღინით შემოჰყვა სოფლის შუკას“ (ქიაჩელი, 1985:7).

„შუკაში ჭყვიოდა გარეთ დარჩენილი უღლიანი ღორი“ (წულეისკირი, 1977:157).

ქეგლ-ში **შუკა**-ს ორი განმარტება აქვს: 1. ძვ. ვიწრო ქუჩა; 2. კუთხ. (გურ. იმერ.) იგივეა რაც ორღობე (ქეგლი).

როგორც ვხედავთ, სიტყვის არქაულობასა და კუთხურობას ერთდროულად ესმევა ხაზი. თუმცა გათვალისწინებული არაა მისი მეგრული გავრცელებულობაც.

მეგრულ ლექსიკონებში წარმოდგენილი სიტყვა განმარტებულია როგორც შუკა, ორღობე. ამასთან პ. ჭარაია დასძენს შუაგზას (ჭარაია, 1997). მეგრულ მეტყველებაში ამ ერთეულს შუაგზის გაგება არ აქვს, ის გულისხმობს ვიწრო ქუჩას, ორღობეს.

შუკა გურულ, იმერულ და მეგრულთან ერთად ა. ღლონტის ლექსიკონის მიხედვით ლეჩხუმურშიც დასტურდება (ღლონტი, 1984).

ვფიქრობთ, თუ სიტყვის კუთხურობაზე გავამახვილებთ ყურადღებას, მეგრული და ლეჩხუმური კვალიფიკაციაც უნდა მოხდეს.

„პირველ წამს საშინელმა დაგუგუნებამ მის ყურთასმენას ხუდონთან ინგურის კედელზე მიჩიხული ჯებირის დანგრევის ხმა მოაგონა“ (ქიაჩელი, 1985:289).

საინტერესოა მწერლის მიერ წარმოდგენილი **მი-ჩიხ-ულ-ი** („მიჯარული, მიმწყდარი), მიმღეობური ფორმა, რომელიც ფარდია მეგრული **მე-ჩიხ-ილ-ი** („მიჯარული, მიმწყდარი“) ფორმისა. ძირეულ ფორმას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს განმარტებით ლექსიკონში, მათ შორის: **ჩიხი**[1] – 1. გზა (ქუჩა), რომელიც ერთი მხრიდან ჩაკეტილია. 2. კუთხ. (გურ.) შემოღობილი საბალახო პირუტყვისათვის. ზმნური ფორმა **ჩაჩიხავს** - ჩიხში მოამწყვდეს; **ჩაჩიხული** - კუთხ. (გურ.) ჩიხში (კუთხეში) მოქცეული, გზაშეკრული (ქეგლი).

ს.ს. ორბელიანის ლექსიკონში დასტურდება **ჩიხა** ფორმა „თვალად სახიჩარი, გაუწყობარი“ (ორბელიანი, 1991-1993).

მეგრულში **ჩიხი** იმავე მნიშვნელობის მატარებელია, რაც სალიტერატურო ენაში. მაგრამ მეგრულ ზმნურ ფორმაში შეინიშნება სემანტიკური ცვლილება, **ჩიხუა** (ფჩიხე) - ჩიხვა, ჩაჩიხვა, ჩამწყვდევა, წყლის გავაკება (გაკავება უნდა იყოს - კ.გ.) (ჭარაია, 1997); უფრო კონკრეტულ აღწერას გვაძლევს ო. ქაჯაია: **ჩიხუა** მდინარეზე ჯებირის აღმართვა წყლის დაგუბების მიზნით, _ ჩახერგვა. 2. ხარბად (მადიანად) ჭამა ბევრისა (ქაჯაია, 2001-2002). ამასთან ერთად, ჩიხუა-ს აქვს გატენვის მნიშვნელობაც.

აღსანიშნავია, რომ **ჩიხ-** ძირისგან ნაწარმოები ზმნური ფორმა **ჩიხ-ავ-ს**, რომელიც **ჩა-ჩიხ-ავ-ს** ფორმაში ვლინდება, ხელოვნურია და ვფიქრობთ, მეგრულის **ჩიხ-უ-ა, ჩიხ-უნ-ს** (ხერგავს, აგუბებს, ტენის) წარმოების კვალია. მეგრულში აქტიურად გამოიყენება აგრეთვე, **მიკა-ჩიხ-ან-ს** („ღანდას მიკაჩიხანს“ ღობეს ახერგავს), **მე-ჩიხ-ილ-ი** (ერთმანეთზე

მიხერგილი), **გო-ჩიხ-ილ-ი/ჩიხ-ილ-ი** (ჩახერგილი, დაგუბებული), **ნა-ჩიხ-ა** (დანახერგი, დანაგუბი) ერთეულები; ჩაფსკვნილი, ლოყებსავსეს დასახასიათებლად ამავე ძირისგანაა ნაწარმოები **ჩიხ-ვ-ალ-ი.**

ჩიხი ზემო იმერულში გამოიყენება „ფარეხი, საჩიხე, ჩეხი, საჩეხე, ქართა“ მნიშვნელობით (ღლონტი, 1984).

ჩოჩე

„ფაცხაში რძით სავსე ნიგები იდგა, კედელზე საყველე ჩოჩე“ (გამსახურდია, 1961:966).

კ. გამსახურდია თანდართულ ლექსიკონში სიტყვის მეგრულობაზე მიანიშნებს და განმარტავს, როგორც ყველის შესანახს.

ამ მნიშვნელობით, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, დასტურდება რამდენიმე ფორმა: **ჩოჩო** - 1. დაკიდებული კარადა, - ჩეჩო. 2. კუთხ. (იმერ. ლეჩხ.) ახალამოყვანილი ყველის შესანახი ჭურჭელი (წნული ან ხისა, ტკეჩით ძირგამოწნული). **ჩეჩო** - 1. ძვ. ჩამოსაკიდებელი შიგ შესადგმელი საჭმელთა (საბა). 2. კუთხ. (ქვ. იმერ.) მოწნული ჭურჭელი ახლად ამოყვანილი ყველის საშრობად (შდრ. ჩოჩობა) (ქეგლი).

სამზარეულო ჭურჭლის აღმნიშვნელად **ჩოჩ-** ძირისგან - **ობ, -ობ-ა** სუფიქსებით ნაწარმოები ფორმები ცალ-ცალკე ერთეულებადაა შესული, რომლებიც მეზობელ დიალექტებში დასტურდება: **ჩოჩობა** - კუთხ. (გურ.) კალათივით მოწნული ჭურჭელი, რომელზედაც აწყობენ სახელდახელო სანოვაგეს; კიდებენ სამზარეულო სახლის სხვენში. **ჩოჩობი** - კუთხ. (ზ. იმერ.) „ღომის ჩალის ჭილობი“ (ქეგლი).

საინტერესოა დანიშნულების მაწარმოებლიანი ერთადერთი ფორმა ი. ყიფშიძის ლექსიკონში - **ო-ჩეჩე** „ხის ჭურჭელი, რომელშიც დებენ ახალამოყვანილ ყველს შრატისგან

დასაწურად“, რომელსაც იმოწმებს თ. სახოკიას ნაშრომიდან „მგზავრის შენიშვნები“ (მოამბე, 1897, №1, II:14). აქედან ჩანს ე გახმოვანების ძირეული ფორმა **ჩეჩ-**.

სხვა მეგრულ ლექსიკონებში ვხვდებით როგორც **ჩეჩ-**, ასევე **ჩოჩ-** ძირებს-**ო, -ე**, დაბოლოებით: **ჩოჩო** – იგივეა, რაც ჩეჩო – ახალამოყვანილი ყველის დასაწურად ჩასადები ჭურჭელი (ყალიბი). ის შეიძლება იყოს მოწნული ან ფიცრისაგან გაკეთებული ოთხკუთხა კოლოფი ნასვრეტით (ქაჯაია, 2001-2002), ყველის მზეზე საშრობი (ქობალია, 2010). ა. ქობალია **ჩოჩე**-ს (საყველე, ყველის შესანახი, ყველის საშრობი) განმარტებისას, იქვე მიუთითებს **ოჩვეჩვე//ოჩოჩე**-ზე, რომელთა მნიშვნელობა ისევ და ისევ ახალი, ჭყინტი ყველის დასამწიფებელ, საწრეტ ჩელტს ან ყალიბს უკავშირდება, რომელიც იწვნება ან ითლება ხისგან, მაგრამ ამ უკანასკნელს ძირი უსათუოდ მოწნული აქვს, რომ შრატი გამოდინდეს (ქობალია, 2010). დასახელებულ ორივე ლექსიკონში დასტურდება **ჩეჩო** ყველის საშრობი, საწრეტი, დასამწიფებელი ჭურჭელი (ქობალია, 2010).

როგორც ვხედავთ, ფორმები - **ჩოჩო, ჩოჩე, ჩეჩო,** ო-**ჩეჩ**-ე - წარმოდგენილი მასალის მიხედვით ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ, მაგრამ ამოსავალი ძირეული ფორმის დასადგენად საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

წალიკონი/ჭალიკონი

„პურის ყანებს მოოქროვილ ქოჩორს უვარცხნის შავი ზღვიდან მოვარდნილი ჭალიკონი“ (გამსახურდია, 1990:99).

„წალიკონს მოაქვს გამოყრუებული ეკლესიის ეზოში მეყანეების შორეული ო, დო ია...“ (გამსახურდია, 1992:106).

„ზესნახეს სულში რა ჭალიკონიც ტრიალებდა... ღამის სტუმართა თვალი ამას ვერასოდეს დაინახავდა“ (წულეისკირი, 1987:286).

როგორც ვხედავთ, მწერალი კ. გამსახურდია ორივე ფორმას იყენებს. ქეგლ-ის მონაცემებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ **წალიკონი** და **ჭალიკონი** პარალელური ფორმებია, რომელთაგან პირველი იმერეთში გამოიყენება, მეორე კი, სამხრეთ-დასავლეთის ძლიერი ქარის აღმნიშვნელია გურია-სამეგრელოში (ქეგლი).

სულხან-საბასეული განმარტებით ჭალიკონი ქარია ერთი სასტიკი ZA. ქარი არს ესე ზღვათა აღმაშფოთებელი და სასტიკი CD (ორბელიანი, 1991-1993).

მეგრულ ლექსიკონებშიც ორივე ფორმა დასტურდება **წალიკონი, ჭალიკონი** „ქარიშხალი, ქარბორბალა“ (ქაჯაია, 2001).

წაქა

„სამ-ოთხ დღეში უშველებელი ძაღლი დადგება!.. წაქა მისწრებაა!..“ (ქიაჩელი, 1985:429).

„ტატუს ხელში ახალი ამოყვანილი ყველი ეკავა და წაქას ნელ-ნელა ადენდა, ოჩეჩეში გაწურული უნდა ჩაედო“ (წულეისკირი, 1977:321).

ქეგლ-ში **წაქ-ი/წაქა**-ს მნიშვნელობები სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი ქვემო და ზემო იმერულის მიხედვით: 1. კუთხ. (ქვ. იმერ.) იგივეა, რაც შრატი. 2. კუთხ. (ზ. იმერ.) იგივეა, რაც წურუქა (ქეგლი).

წაქა-ს საბასეული განმარტება ზუსტად ასახავს მის მეგრულ მნიშვნელობასაც - „განაწურთ წვენი მაწვნისა და მისთანათა, რაიც გაიწურების ZA. მაწვნისა და დოს განაწური წვენი C. ძველის ყველის წვენი D“ (ორბელიანი, 1991-1993).

მეგრულ ლექსიკონებში მისი განმარტება ძირითადად შრატია, ყველის ნაწური (ყიფშიძე, 1914; ქაჯაია, 2001-2002). ჰ. ჭარაია განსამარტავად ნადუღსაც ურთავს (ჭარაია, 1997), თუმცა მეგრულში გამიჯნულია ნადუღი და წაქა. სამურზაყანოს მეტყველებაში დასტურდება ლექსიკური ერთეული

წრუქი. შესაძლებელია წაქა და წრუქი გარკვეულ რეგიონებში სინონიმები იყოს მაგრამ, ზოგადად მეგრულ მეტყველებაში დიფერენცირებულია წაქა, როგორც ყველის ამოღების შემდეგ დარჩენილი სითხე (ნებისმიერი სახის რძის პროდუქტის განაწურის შემდეგ მორჩენილი სითხე) და წრუქი - ნადუღის მოხდის მერე დარჩენილი.

გარდა მეგრულისა, ქართველურ დიალექტებში ხმოვან-მონაცვლეობით დასტურდება: წაქი - (გურ., იმერ.) შრატი, სველი. წაქა - (რაჭ., ქართლ.) წათხი. წუქი - (გურ.) სველიდან (შრატიდან) ნადუღის მოხდის შემდეგ დარჩენილი სითხე (ღლონტი,1984).

ჭაჭა

„სამარულე ცხენს ორი კვირა წყალში ვაყენებდითო, რათა ცხენს მუცლის ქონი ჭაჭებში გაუვიდესო“ (გამსახურდია, 1990:139).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჭაჭა თირკმელის აღმნიშვნელად, მხოლოდ გურულ-იმერულისთვის არის მიკუთვნებული. არადა მეგრულში, ცოცხალ მეტყველებაში დღესაც აქტიურად გამოიყენება ეს ერთეული.

გვხვდება მეგრულ დიალექტურ ლექსიკონებში (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997). ვფიქრობთ, ქეგლ-ში კვალიფიკაციას აუცილებლად უნდა დაემატოს მეგრულიც.

აქვე დავძენთ, რომ ჭაჭა მეგრულში სხვა მნიშვნელობითაც დასტურდება: ღვინოს გადაწურვის შემდეგ დარჩენილ მასას ჭაჭას ეძახიან, ხოლო მისგან გამოხდილ არაყს „ჭაჭის არაყს“. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ეტიმოლოგიურად სხვა ძირთან. ქეგლ-ში ეს მონაცემიც გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც ომონიმური ფორმა.

ჭეჭეთობა

„სატურიას სერზე არაერთხელ უნახავთ ხვარამზე ჭეჭეთობა ღამეს მგელს რომ მიაჭენებდა ტაბაკონასკენ“ (გამსახურდია, 1992:118).

ეს ლექსიკური ერთეული „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ გვხვდება ორი სახით: **ჭეჭეთობა** და **ჭაჭვეთობა**, ეს უკანასკნელი კი გურულ სიტყვადაა მიჩნეული: ცრუმორწ. კუთხ. (გურ.) კუდიანების შეკრება დადეგობას (ქეგლი).

საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ დადასტურებული **ჭიაკოკოლა** – ჩალის ცეცხლი დიდი (ორბელიანი, 1991-1993).

მეგრულ ლექსიკონებში **ჭეჭეთობის** ტრადიცია უკავშირდება წარმართობის პერიოდის რიტუალს, რომელიც წმ. ელიასა და მარიამობის დღესასწაულების წინა ღამეს ტარდება ავი სულების განსადევნად, კუდიანების ღამე (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997). აქამდე მოღწეული წესჩვეულების მიხედვით, სამეგრელოში **ჭეჭეთობა**, იგივე **ჭიაკოკონობა** იმართებოდა მარიამობის (28 აგვისტო) წინა საღამოს (ლექსიკონებში აღნიშნულია ძვ. სტილით, 15 აგვისტო). ტრადიცია გულისხმობდა კოცონის დანთებას და თმაზე მიწებებული ცვილის სანთლით ცეცხლზე გადახტომას ეშმაკის განდევნის მიზნით. აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით ძალიან იშვიათია ამ რიტუალის ჩატარება, მხოლოდ აქა-იქ სოფლებში თუა შემორჩენილი.

ა. ქობალია **ჭეჭეთობის** განმარტებისას აზუსტებს, რომ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს **ჭრელოობას** (სახელი განსაზღვრულია ტრადიციით, რომლის თანახმად ხალხი იფერადებდა სახეს და იმოსებოდა ჭრელა-ჭრელა ტანსაცმლით) (ქობალია, 2010). ამ მოსაზრებას ამყარებს მეგრულ მეტყველებაში ცალკე ერთეულად დადასტურებული **ჭერჭე**, რომელიც ჭრელს, ფერადს აღნიშნავს: **ჭეჭეთობა<ჭერჭეთობა** „ჭერჭეთ ყოფნა, ჭრელად ყოფნა“.

გურულში დასტურდება ა გახმოვანებით - **ჭაჭვეთობა** კუდიანთა დღეობა, თავმოყრა დადეგს. ამასთან **ჭაჭვეთი** აღნიშნავს კუდიანების ადგილსამყოფელს (ღლონტი, 1984).

ვინაიდან, ქეგლ-ში ცალკე ერთეულებად ვხვდებით **ჭეჭეთობას** და **ჭაჭვეთობას** და ამ უკანასკნელთან მითითება გურულზეა, პირველ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს მეგრული გავრცელებულობა.

დღეს სამეგრელოში **ჭეჭეთობის** სინონიმადაა გაგებული **ჭიაკოკონა//ჭიაკოკონობა,** რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში აღდგომის მარხვაში, ვნების კვირეულის ოთხშაბათს აღინიშნებოდა. ალ. ჭინჭარაული მას კომპოზიტად მიიჩნევს: **ჭია+კოკონა** (<**წია+კოკოლა**). **წია** კომპონენტის ეტიმოლოგიისთვის იმოწმებს დიალექტებში ფიქსირებულ **წია/წიწია** (მესხ.), **წოწო** (ფშ.-ხევს.), **ცია** (ქართლ.) ფორმებს ბავშვის ენაზე, რომელიც „ცეცხლს“ აღნიშნავს. იქვე იმოწმებს არნ. ჩიქობავას მოხსენებას **ცეცხლისა** და **წითელი** სიტყვის ძირთა ისტორიულ იდენტურობაზე, რომლის მიხედვითაც წითელი=ცეცხლისფერი, ალისფერი.

კოკონ- (მეორე **კ**-ს გააფრიკატებით >**კოცონ-**) ფუძისთვის ამოსავალ ფორმად კი რედუპლიცირებული **კოკოლ-ა** (<კოლ-კოლა) მიაჩნია „კონუსის მსგავსი თავწვეტიანი გროვა, ზვინი“.

ამდენად, ასკვნის, რომ **„წია-კოკოლა** (=„ცეცხლკოკოლა“) აღარ არის შეუძლებელი და უაზრო კომპოზიტი, იგი ზუსტად გამოხატავს საგანს („ცეცხლის კოკოლა“, „ცეცხლწაკიდებული კოკოლა“, „კოცონი“)“.

წიაკოკოლას ჭიაკოკონად გადაკეთებას ჭია-მაია, ჭია-ყელა და მისთანათა ანალოგიით ხსნის, თუმცა იქვე დასძენს, რომ **წ** და **ჭ** ბგერათა შენაცვლება ქართულში უანალოგიოდაც ხდება (ჭინჭარაული, 1981:61-68).

ჭოლოკი

„შარა გააკეთეს ხალხსა და ეკლესიას შორის და ეკლესიის სიგრძე ჭოლოკი დასდეს ამ შარაზე“ (გამსახურდია, 1990:525).

„მისკენ ხმელი ტანის, მაღალი მეზღვაური წამოვიდა მხრებაწურული, ჭოლოკივით მოაქნევდა გრძელ მკლავებს“ (ქიაჩელი, 1985:344).

ჭოლოკი-ს საბასეული განმარტებაა „აღმა სასროლი ჯოხი; ნიგოზთ სასროლი ჯოხი“ (ორბელიანი, 1991-1993).

ქეგლ-ში **ჭოლოკი** „სასროლი მოკლე კეტი“, სალიტერატურო ფორმადაა მიჩნეული; ორბოძალი ჭოკი, რომლითაც ნავს (ტივს) მართავენ, ფსკერზე დასაბჯენი საჭე - გურულად (ქეგლი).

ჭოლოკი ზუსტად ამ ფორმით გვხვდება ა. ქობალიას მეგრულ ლექსიკონში: ჭოლოკი იხ. ჭოლოკა; გრძელი და მოკაუჭებული ჭოკი; ორბოძალა ჭოკი, რომლითაც ნავს, ტივს მართავენ; საჭის საბჯენი ნავის შიდა ფსკერზე; პალო, რომელზედაც იდება ორთაყვირი; ისინდის სათამაშო ჯოხი; მცირე ყურე, ნავმისადგომი, სადაც ნავებს მიწაში ჩასობილ დიდ პალოებზე აბამენ; გრძელ თოკზე ან ჭოკზე დაკიდებული ანკესების წყება, ჩოლოქი (სათევზაო მოწყობილობა), ნავით შეაქვთ ზღვის სიღრმეში და იქ უსათუოდ ჩაერჭობა ტანში, აბორგებული თევზი კიდევ უფრო ეხვევა ჩოლოქში და მეთევზეც იოლად იჭერს. ძირითადად უგებენ ზუთხს (ქობალია, 2010).

სემანტიკიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, სიტყვის ძირი უნდა უკავშირდებოდეს მცენარეს, ხეს. ფორმობრივად, შეიძლება ვივარაუდოთ რომ **ჭოლოკი** ფორმაში არის ან ორმაგი სუფიქსაცია - **ჭ-ოლ-ოკ-**, ან გამოიყოფა **ჭოლ-** ძირი. -ოკ ორივე შემთხვევაში არის კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსი (ჯორბენაძე..., 1988:349).

ამ უკანასკნელი ძირისგან ნაწარმოები ფორმებია: **ჭოლ-ი** „ჭილი, იგივეა რაც რჭოლი“; **ჭოლარ-ი** „მეჭოლოე, ჭოლოკით მოთევზავე; ტანმაღალი“; **ჭოლ-ო** „ჭოკი, წვრილი სარი“; შესიტყვება **ჭოლო ტყა** „ახალი, წვრილი, სასარე ტყე“ (ქობალია, 2010).

შდრ. **ჭოლოკი** (ქართ., გურ.) მოკლე ჯოხი; საჭე; გრძელი ჯოხი, საბერტყი კაკლი-სა. **ჭოკი** (გურ., იმერ.) გრძელი და წვრილი ჭოლოკი, ლატანი, კაკლის საბერტყი. გრძელი ჯოხი (ღლონტი, 1984).

მეგრულ მეტყველებაში ამ მხრივ გამიჯნულია გრძელი და მოკლე ჯოხის აღმნიშვნელად **ჭოლოკი** და **ჭოკა**. **ჭოლოკი** „შედარებით მოკლე ჯოხი“ და **ჭოკა** „გრძელი ჯოხი“, რომელიც სასროლად არ გამოდგება ჭოლოკისაგან განსხვავებით.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სალიტერატურო ენის ფორმად მიჩნეული მეგრული ფორმები

ამ ჯგუფში განვიხილავთ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც ქეგლ-ში სალიტერატურო ენის ფორმადაა მიჩნეული, ანუ კვალიფიკაციის გარეშეა შესული და არ არის აღნიშნული, რომ მეგრულ-ლაზურის კუთვნილებაა (არ გამოვრიცხავთ, რომ სიტყვა შეიძლება სხვა კუთხეშიც იხმარებოდეს):

ბაყვი

„ისე ჩასჭიდებოდა ფაფარს და ისე მოეჭირა ბაყვები ცხენის ტანზე, რომ ზედ დაზრდილივით გრძნობდა თავს...“ (ქიაჩელი, 1996:308).

ბაყვ-ბოყვ- ფუძეთა მიმართებისათვის იხ. გვ. 144.

ბოგირი

„პატარა თხრილი გადაეღობათ, ბოგირი აეყარათ რატომღაც...“ (გამსახურდია, 1990:221).

სამეცნიერო ლიტერატურაში, სამართლიანად, მეგრ. **ბოგ-ირის** შემცველ ფორმებადაა მიჩნეული **ბოგ-ა** და **ბოგ-ირ-ი.**

სულხან-საბას განმარტებით: **ბოგა** - „მცირე ჯიდი“, **ბოგირი** - ბოგას უდიდე, მცირე ჯიდი“ (ორბელიანი, 1991). **ბოგირი** - ხის პატარა ხიდი; **ბოგა** - პატარა ხიდი (ქეგლი).

კ. დანელია **ბოგირი** ერთეულს მეგრული წარმომავლობისად მიიჩნევს, რომელიც **-ირ** სუფიქსიანი **ბოგა** ძირისაა: „ნასახელარი ზმნა **ბოგუა**-ს („მოფიცვრა, მობოგვა“) ვნებითი გვარის წარსული დროის **-ირ** სუფიქსიანი მიმღეობაა და ეტიმოლოგიურად ნიშნავს მოფიცრულს (ხიდს), მოხიდულს, მობაგულს“ (დანელია, 1991:617).

კ. დანელია **სალიტ. ბაგა**-ს ფონეტიკურად კანონზომიერ შესატყვისად თვლის მეგრ. **ბოგა**-ს, რომელსაც ორი ახლო მდგომი მნიშვნელობა აქვს: 1. საქონლისათვის განკუთვნილი მოფიცრული სადგომი, 2. პატარა მოფიცრული ხიდი. მკვლევარი თვლის, რომ **ბოგა** დასავლურ კილოებში (გურ., იმერ., აჭარ.) შესვლის შემდეგ მოხვდა განმარტებით ლექსიკონთა რიგებში (საბას, ჩუბინაშვილებისა და ბოლოს ქეგლ-შიც) (დანელია, 1991:617).

აღსანიშნავია, რომ ქეგლ-ში **ბოგა** და **ბოგირი** ერთეულთა განმარტებისას არაა მითითება მის კუთხურობაზე.

ბონდი

„ღელეზე გველებისაგან დაწნული ბონდი იყო“ (გამსახურდია, 1961:943).

ბონდი სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით არის გაბმული ჯიდი ZAB, რომლის აღწერა ხიდის ბუდეში ასეთია: „უსურვაზით დაწნულს გაბმულს - ბონდი [ჰქვიან] Za

(ორბელიანი, 1991-1993). ამავე განმარტებითაა შესული ბონდი ქეგლ-ში - „მდინარეზე გაბმული ბაგირის ხიდი“.

პროფ. ე. დადიანი ამ ერთეულს მეგრული გახმოვანებისად მიიჩნევს და **ბონდ-<ბანდ-** (ს.ქართვ. ა: მეგრ.-ჭან. ო) ფორმათა შორის იმგვარ მიმართებას წარმოადგენს, როგორიც **ბაგა>ბოგა, ბაგირი>ბოგირი, ბარკალ>ბორკილ...** სიტყვებს შორისაა (დადიანი, 2009 ა:69).

თუმცა აღსანიშნავია, რომ მეგრულ მეტყველებაში **ბონდ-** ძირიან ფორმებთან **ბონდუა** („მოქსელვა, დაწვნა“), **ბონდი** („საცალფეხო ხიდი“) ერთად, გამოიყენება ა გახმოვანების ფუძეც: **ბანდი** „წვრილი თასმა ან თოკი, რომელსაც სახლართაოდ იყენებენ“, **ბანდ-უ-ა** „ბლანდვა, ხლართვა“, **ბანდ-უნ-ს** „ბლანდავს“. დიდად ვერ დაშორდება ამ ძირს **ბანდ-ალ-ი** „ბარბაცით სიარული, რომლის დროსაც ფეხები ეხლართება მოსიარულეს“, **ბანდ-ალ-უ-ა** „არეული საუბარი“, **ბანდ-ილ-ი/ეკო-ბანდ-ილ-ი** „დაბლანდული, ახლართული“. როგორც ვხედავთ, ესეც ის შემთხვევაა, სადაც ა და ო მონაცვლეობა თვითონ მეგრულ მეტყველებაში დასტურდება.

ბორკილი

„[გაიოზ გადალენდია]... ჩაფრის ტანსაცმელში უფრო დაბორკილად გრძნობდა თავს, ვიდრე თავისუფლად“ (ქიაჩელი, 1996:333).

ბორკილი - 1. ჯაჭვით შეერთებული რკინის რგოლები, რომელთაც ხელებზე ან ფეხებზე ადებდნენ შეპყრობილ მძიმე დამნაშავეებს. 2. თოკი, ჯაჭვი და მისთ., რითაც ცხენს ფეხებს უკრავენ, რომ ძოვის დროს არ გაიქცეს (ქეგლი).

საბას ლექსიკონში საანალიზო ძირისაგან ნაწარმოები ფორმებია: **ბორკილი (149, 8 ფსალმ.)** - ფერჯთ შესაკრავი ZA. ფერჯის შესაკრავი B. **ბორკილილი** - თავ-ბორკილიანი ჯაჭვი(ა) ესეცა (+ ყელს შესაყარი Z) ZA. თავ-ბორკილიანი ჯაჭვი B. **განბორკება** კეთრის სნეულება (სენი B) ZAB;

განბორკილებული კეთროვნებიანი Cq. სნეული რამ არი E. **შებორკილება** (+14, 3 მათე ZA) ბორკილის შეყრა ZAB (ორბელიანი, 1991).

ეტიმოლოგიურად ძირეული მეგრ. **ბორკ-** („ფეხი“) უკავშირდება **სალიტ. ბარკ-** (ბარკ-ალ-ი) ძირს. მეცნიერთა მიერ აღნიშნულია, რომ **ბორკილი „შესულია ძველ ქართულშივე“** და ზმნურ ფუძეებშიც მონაწილეობს. ამის არგუმენტად იხმობენ საბას მიერ მოყვანილ საილუსტრაციო მასალას, სადაც დამოწმება ფსალმუნებიდანაა (დანელია, 1991:617; შეროზია, 2015:194).

ბარკ-:ბორკ- „კანონზომიერ შესატყვისობაზე“ მიუთითებენ ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც, რომლის მიხედვით **„ბორკ-ილ** ფუძე მეგრულიდან ან ლაზურიდან ნასესხობადაა მიჩნეული უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში. ქართულში ამ ფუძის ნასესხობას მოწმობს ის, რომ **ბორკ-** ზმნა, რომლის ვნებითი გვარის მიმღეობაა **ბორკილ-ი,** ძველ ქართულში არ ჩანს. სამაგიეროდ, დასტურდება **ბორკილ-** ფუძისაგან ნაწარმოები პირიანი ფორმები: ჰეროდე მაშინ შეიპყრა იოჰანე და შებორკილა, მ. 14,13 (ხანმ.;ჰაემ.) და მისთ. გვაქვს აქედან წარმოქმნილი მიმღეობაც: შევედინ შენ წინაშე სულთქუმაჲ შებორკილებულთაჲ, სიმდიდრითა მკლავისა შენისაჲთა შეეწიე შვილთა მოკლულთასა, ფსალმ. 78,11გ; და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში **ბორკილ-** სიტყვის სინონიმია **საკრველ-**: არა ჯერ-ხიყოა განჴსნად საკრველთა მისთა დღესა შაბათსა? ლ. 13,17 (ხანმ.) და ა. შ. საკრველ-მიმღეობა უკავშირდება **კარ-/კრ-** ზმნურ ძირს. ბორკვა ზმნა გვხვდება გურულში და ზანიზმს წარმოადგენს“ (ფენრიხ, 2000:96-97). აქვე აღნიშნულია, რომ ლაზურში შესატყვისი ფუძე არ ჩანს, მაგრამ ა. თანდილავას ლაზურ ლექსიკონში ვხვდებით **ბორკელა** ერთეულს „გრძელი უფორმო ფეხის მქონე ადამიანი (ცხოველი)“ (თანდილავა, 2013).

მეგრულში ფიქსირებულ **ბარკ-** ძირისაგან ნაწარმოებ ფორმებზე პროფ. რ. შეროზია შენიშნავს, რომ „მეგრულ მეტყველებაში დადასტურებული **ბარკალაია** (გვარი), **გი-ბარკ-ალ-უ** (დაბორძიკობს), **გი-ფარკ-ალ-უ** (ფეხზე ძლივს დგას, დაქანაობს) ფორმებიც **ბარკ-ალ(//ფარკ-ალ)** ფუძისგან შეიძლება იყოს ნაწარმოები და ის „უკუნასესხობად“ ვერ კვალიფიცირდება“ (შეროზია, 2010:174).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში აქტიურად გამოიყენება **ბორკ-** ძირისგან ნაწარმოები ზმნაც და სახელური ფორმებიც: **ბორკ-ავ-ს, ბორკილაყრილი, ბორკილაწყვეტილი, ბორკილგაყრილი, ბორკილდადებული, ბორკილიანი, ბორკილშეყრილი** (ქეგლ-ში შესული ფორმები)...

მეგრულში **ბორკ-ი** („ფეხი“) ფუძეს უკავშირდება **ბორკუა** (დაბორკვა), **ბორკილი** (დაბორკილი), **ობორკალი** (ბორკილი) **ჟირ-ბორკამი** (ორფეხა) (ყიფშიძე, 1914); ჰ. ჭარაია ბორკთან განიხილავს ა გახმოვანების **ბარკანუა** (ებაბრკანა) - აბარკლება (ავიბარკლებ) ფორმას (ჭარაია, 1997). **ბარკანუა** აკაპიწებას გულისხმობს.

როგორც პროფ. რ. შეროზია აღნიშნავს, **„ის სიტყვაფორმები, რომლებიც ერთგვარია მეგრულ-ლაზურ მეტყველებასა და უძველეს ძეგლებში (და რომლებიც აღარ ჩანან მომდევნო ხანის სამწერლო ენაში), ნათლად მიუთითებენ მეგრულ-ლაზურის (საერთოდ, დასავლურ-ქართველურის) წვლილზე ქართველური სალიტერატურო ენის ფორმირებაში“** (შეროზია, 2015:196).

ბორკილი ღრმად აქვს შეთვისებული სალიტერატურო ენას, როგორც **ჯარგვალი** და სხვა, მაგრამ ფორმობრივად აშკარაა მათი მეგრული წარმომავლობა. ამდენად, ვფიქრობთ, მათი კვალიფიცირება ნათელს გახდის მეგრული მეტყველების როლს სამწიგნობრო ენის ჩამოყალიბებაში.

„ბაიასფერი სახე ფერგადასულ ბუძგურა წვერულვაშებს დაებარდნა“ (ქიაჩელი, 1985:368).

აღსანიშნავია, რომ ქართველურ სივრცეში **ბუძგ-** წარმოადგენს **ბაძგ-** ძირის ხმოვანმონაცვლე ვარიანტს. ქეგლ-ში დასტურდება ორივე ვარიანტის ძირეული და ნაწარმოები ფორმები: **ბუძგ-ი** - 1. წაბლის ეკლიანი ბუდე (შდრ. ბაძგი); 2. ბუძგი - პატარა ზღარბი (საბა). **ბუძგურ-ი** - „ეკლით დაბარდული“ (საბა); **ბუძგურა** - ბუძგის მსგავსი. **ბაძგი** - მარადმწვანე ბუჩქი; ფოთოლი კიდე ეკლიანი აქვს, ნაყოფი - კურკიანი; **ბაძგარი** - 1. ძვ. ეკლიანი ბარდნარი (საბა); 2. იგივეა, რაც ბაძგი.

ბაძგ-/ბუძგ- ფუძეთა მიმართებისათვის სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული:

არნ. ჩიქობავა ერთმანეთს უკავშირებს **ჭან. ბუძგ:** უ-ბუძგ-უ-ნ დაბუჟება (მაგ., ფეხისა), **მეგრ. ბუძგ-ა** ეკლები წაბლის ნაყოფზე და **სალიტ. ბუძგ-ი** „პატარა ძღარბი“ (საბა) ფუძეებს (ჩიქობავა, 1938:255).

ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ლექსიკონში **მეგრ. ბუძგ-** („ეკლები წაბლის ქერქზე“) **სალიტ. ბარძგ-/ბაძგ-** („ეკლიანი მცენარე“) ძირის კანონზომიერ შესატყვისადაა წარმოდგენილი (ბუძგ-<*ბურძგ-<ბორძგ-). მკვლევართა აზრით, გურული **ბურძგ-/ბუძგ-** მეგრულიდან ნასესხობადაა მიჩნეული. ლექსიკონში ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგენილია ***ბურძგ-** არქეტიპიც: ქართულ **ბურძგ-** (აბურძგნა თმისა) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული და ლაზური **ბუძგ-** (გააბურძგნა თმისა). მეგრულის ზოგ ფორმაში მომხდარია **უ>ი** პროცესი (ბუძგ->ბიძგ-) (ფენრიხი..., 2000:97, 125).

პროფ. მ. ჩუხუას „ქართველურ ენა-კილოთა შედარებით ლექსიკონში“ განხილული აქვს **ბაძგარ-** „შქერის მსგავსი ხე“, რომლის შესატყვისად წარმოდგენილია მეგრ. **ფენჯგირე** „ცოცხა“, სვან. **ბოჯგერ-/ბოჯგ-** „ქუჩი“. მკვლევარი ს. ქართვ.

დონეზე ასევე აღადგენს *ბუ(რ)მგლ- („ბუსუსი, ღინღლი“) ძირს >ქართ. **ბურმგლი**: ზან. **ბუმგურ**: სვან. **ფუსულ//ფგსგგლ** (<ბუმგულ-) (ჩუხუა, 2003:71, 243).

პროფ. ე. დადიანისა და მ. ქაცარავას თვალსაზრისით, **სალიტ. ბაძგარ,** მეგრ. **ფენჯგირე,** სვან. **ბოჯგერ//ბოჯგ** ფუძეთა დაკავშირება შესაძლებელია როგორც ფორმობრივად, ისე სემანტიკურად. წარმოდგენილი ქართველური ვარიანტები სხვადასხვა მცენარეს აღნიშნავს, მაგრამ მათ საერთო ნიშან-თვისება ახასიათებთ, კერძოდ, გრძელი წვრილი ღეროები, ფოთლები. შესაბამისად, ჩხვლეტის სემანტიკის შემცველია (დადიანი..., 2005:119).

ბუძგ- ძირი ვერ ჩაითვლება მეგრულ-ლაზურის კუთვნილებად, ვინაიდან მისი გამოყენების არე უფრო ფართოა. ის დასტურდება იმერულში, გურულში, აჭარულში, რაჭულში, ხევსურულში, თუშურში. ამდენად, სამართლიანადაა შენიშნული, რომ „საერთოქართველურშივე უნდა არსებულიყო **ბაძგ-/ბუძგ-** ვარიანტები, რომლებსაც ქართველურ კილოებში გაუჩნდა ბგერწერითი (ფონეტიკური) სახესხვაობანი (**ბაძგ-/ბაჯგ-/ბაწკ-/პაწკ-**... **ბუძგ-/ბუჯგ-/ბოჯგ-/ბუჩქ-/ბუწკ-/პოწკ-**), რომლებიც ინაწილებენ სხვადასხვა სემანტიკურ ნიუანსებს“ (დადიანი..., 2005:119).

პროფ. რ. შეროზია **ა** და **უ** ხმოვნიან ფუძეებში ასახელებს მეგრულ ფორმებს: **ბაძგარამი** (ეკლიანი მცენარის ყვავილებით მოსვრილი), **ბაწკარია** (ბაძგარიას გამკვეთრებული ვარიანტი); **ბუძგური** (ბუსუსი, ბურძგლი), **გობურძგონილი** (გაბურძგნული). ამ რიგში ასახელებს **ბურძგლა** (გვარი) და **ღუბაძგარი** (ძუნწი, წუწურაქი) (**ღვაბაძგარი>ღობაძგარი> ღუბაძ-გარი „პირეკლიანი“**) ფორმებს. სტატიაში დასმულია საკითხი **გა-მ-ბურძგლ-ა** ზმნის ზანურ **ბაძგ, ბუძგ, ბურძგ** ძირებთან მიმართებისა. ნავარაუდევია, რომ **ბურძგლ** (<ბურძგ-ალ) გურული მეტყველების მეშვეობით დამკვიდრდა ქართველურ ლექსიკურ ფონდში (შეროზია, 2010:176).

„თავშალის ყურები არ აუკეცია, ისე რეცხავდა გეჯას შიშველი ხელებით“ (გამსახურდია, 1990:456).

გეჯა – მთლიანი მორის ამოთხრით (ამოჭრით) დამზადებული ჭურჭელი ცხოველების სასმელი წყლის ჩასასხმელად, სარეცხის გასარეცხად და სხვ; შუაზე გაპობილი და გულამოღებული მორი, ერთმანეთზე დადებული ფუტკრის სკად – ბუკი; არყის გამოსახდელი მოწყობილობის ნაწილი – ჭურჭელი, რომელშიც წყალს ასხამენ, რათა მასში გამავალი ორთქლის გამომყვანი მილი გაცივდეს (ქეგლი).

საბა: **გეჯა** – დიდი გობი ხისა (ორბელიანი, 1991-1993).

მეგრულ ლექსიკონებში ხისგან დამზადებული ჭურჭლის, გობის მნიშვნელობით დასტურდება **გეჩა**: მჟღერი **ჯ** ქცეულია ყრუ ფშვინვიერ **ჩ** თანხმოვნად, თუმცა გამჟღერებულ ვარიანტსაც ვხვდებით ა. ქობალიას მეგრულ ლექსიკონში:

გეჩა – ფაცერი, გეჯა, ხის დიდი გობი; თევზსაჭერი (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997, ქაჯაია, 2001-2002); **გეჯა** ხის დიდი გობი, რომელიც კეთდება კუნძის განივი განაპობის მოხვეწით; თევზის წნული (იხ. გეჩა). გეჩა – ხის დიდი გობი; თევზის საჭერი მოწყობილობა... (ქობალია, 2010);

გეჯა დასტურდება სხვა ქართველურ დიალექტებშიც: მოხ., ქიზიყ., ლეჩხ., მთიულ. - 1. ხის ჭურჭელი, რომელშიაც ათავსებენ ძაღლის საჭმელს; 2. გულგამოღებული მორი წყლისა და სალაფავის ჩასასხმელად პირუტყვისათვის; 3. ბუკი, შუაზე გაპობილი მორის ორსავე ნახევარს გულს ამოუღებენ და ერთმანეთზე დადებულს ფუტკარს უდებენ სკად; 4. ბორბლის რკინის ნაწილი დოლაბთან შემაერთებელი; ზარფუშის მილის საცივარი (ღლონტი, 1984).

ვფიქრობთ, **გეჯ-/გეჩ-** ძირი, მჟღერი თუ ყრუ ვარიანტით, მეგრული გახმოვანებისაა (გეჩა - იხ. შეროზია, 2007:392).

გიდელი

„თავზე გიდელივით ჩამოცმული ყაბალახით, მომაღლო თხელტანიანი კაცი კართან აიტუზა“ (ქიაჩელი, 1985:31).

გიდელი - მოგრძო პირგანიერი და ძირწაწვეტილი, უყურო გოდორი (იყენებდნენ მაღლარზე მოკრეფილი ყურძნისა თუ ხიდან დაკრეფილი ხილის ჩამოსაშვებად, ძირს ჩამოსატანად) (ქეგლი). საბას განმარტებით **გიდელი** - სკივრი დაწნული (ორბელიანი, 1991-1993).

მეგრულ ლექსიკონებში ვხვდებით: **გიდელი, გჳდელი** - ყურძნის და სხვა ხილის საკრეფი კალათა (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997); **გიდე-ი** (გი/გდელ/რს) - გიდელი; ყურძნის საკრეფი მოგრძო, თავფართო და ბოლო ვიწრო გოდორი (ქაჯაია, 2001-2002).

საინტერესოა ლაზურში (ვიწურ-არქაბულსა და ათინურში) დადასტურებული **გუდელი** ფორმა („ყურძნის საკრეფი კალათი“) (თანდილავა, 2013), რაზეც კ. დანელია შენიშნავს: „გიდელი ფუძის კოლხურად გამოცხადება ჭირს შესაპირისპირებელი ქართული ფუძის უქონლობის გამო, მაგრამ თუ დაშვება შესაძლებელია, მაშინ უფრო ძველი ფორმა ლაზურის ათინურსა და ვიწურ-არქაბულ კილოკავებში უნდა იყოს დაცული **გუდელი-ს** სახით, ხოლო ხოფურის **გიდელი,** რომელსაც მეგრულიც იმეორებს, **უ**-ს **ი**-დ შენაცვლების საფუძველზე უნდა იყოს მიღებული“ (დანელია, 1991:624). მკვლევარი **გუდ-ელ-ი** ფუძეს უკავშირებს **გუდ-ა**-ს, რომელიც ძვ. ქართულში ჩანთის მნიშვნელობით იხმარებოდა - **გუდა** „ვაშკარანი“, პარკი (აბულაძე, 1973). სიტყვის ეტიმოლოგიაზე აღნიშნავს: „გუდა შესაძლოა ქართულ-ზანური საერთო ფუძე იყოს, რომლისგან **-ელ** სუფიქსით **გუდ-ელ** იქნა ნაწარმოები (სვანურში **გუდრა** „ტყავის ჩანთა“ ნასესხებია ქართული ან უფრო ზანურიდან). ნაკლებ სავარაუდოა **გუდა-ს** კოლხურად, ქართ. ***გა-და-ს** (*გოდა>გუდა) შესატყვისად მიჩნევა, თუმცა არც ესაა გამოსარიცხი, თუკი ის დამოკიდებული იქნებოდა

„ნაწლავის“ მნიშვნელობის ინდოევროპულ guda-ზე (ძვ. ინდ. guda ძვ. მაკედონიური)“ (დანელია, 1991:624).

საანალიზო ერთეული - **გიდელი** - დაცულია სხვა დასავლურ კილოებშიც (გურ., იმერ., აჭარ., ლეჩხ., რაჭ.) „თავფართო და ბოლო ვიწრო კონუსისებური კალათის მნიშვნელობით, რომელსაც ყურძნისა და ხილის საკრეფადაც იყენებენ“. აღმოსავლურ კილოებში (ქართლ., კახ., ქიზიყ.) გვხვდება **გიდელა**-ს სახით „ზურგზე ასაკიდებელი კალათი; პურეულის წბერის, ნამჯის კალათი, მრგვალი, უყურო“ (ღლონტი, 1984).

როგორც ჩანს, ერთეული ლექსიკონებში (საბასთან, ქეგლი) დასავლური კილოებიდან უნდა იყოს შეტანილი. ამოსავალ ფორმად კი, როგორც კ. დანელია მიუთითებს, მეგრულ-ლაზური შეიძლება მივიჩნიოთ: **გიდ-ელ/გუდ-ელ**.

თარჩია

„გავმართე თარჩია ალბანოს თემშარაზე“ (გამსახურდია, 1961:789).

კ. გამსახურდიას განმარტებით **თარჩია** მეგრული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს „დოღს; ცხენის ჭენებას, ჯირითს“.

თარჩია – ძველებური ქართული ცხენოსნური სპორტის სახეობა – ერთ-ერთ მონაწილეს პირით უჭირავს ფერადი ბაღდადი და მიაჭენებს ცხენს, მას მისდევენ სხვა ცხენოსნები წასართმევად. ვინც წაართმევს, ახლა მას გამოუდგებიან წასართმევად. გამარჯვებულია ის, ვინც ბაღდადს ფინიშთან მიიტანს (ქეგლი).

მეგრულ ლექსიკონებში **თარჩია** ცხენოსნობის სახეობაა, სადაც თარჯს (ბაირაღს) იტაცებენ ცხენით (ქაჯაია, 2001-2002). **თარჯი** გურულ-იმერულ ფორმადაა მიჩნეული ქეგლ-ში, რომელიც საზღვარს უკავშირდება, მეგრულში კი **თარჯი//თანჯი** ბაირაღია. შესიტყვება **თარჩიაშ ღალა** თარ-

ჯის, ბაირაღის ტარებაა; ჯირითი, მეწინავეობა, პირველობა, გამარჯვება (ქობალია, 2010).

თარჯი - 1. კუთხ. (იმერ.) სასაზღვრო ნიშანი, - სამანი. 2. კუთხ. (გურ., იმერ.) ნაჭდევი ხეზე საზღვრის ნიშნად 3. ზღუდე, გალავანი ქალაქისა.4. სპორ. სარბენ ბილიკზე დადგმული სპეციალური პატარა ღობე, რომელსაც უნდა გადაახტეს მორბენალი (ქეგლი).

ვფიქრობთ, **თარჩია თარჯი** სიტყვათა დაკავშირება პრობლემატურია და დამატებით კვლევას საჭიროებს.

თოლიგე

„გახუ, თოლიგე...“ (გამსახურდია, 1992:193).

„შენკი, თოლიგე, ახლა ვახშამი გვაჭამე...“ (ქიაჩელი, 1996:234).

თოლიგე - საალერსო სიტყვა - თვალისჩინო! ჩემო თვალის სინათლევ! ასე მიმართავდა ცოლი ქმარს ან ქმარი ცოლს - სამეგრელოში (ქეგლი). სიტყვის ფორმობრივ-სემანტიკური ანალიზის მიხედვით, აუცილებელიცაა ქეგლ-ში კვალიფიკაციის წესის სრული დაცვა და მეგრულ წარმომავლობაზე მითითება.

ი. ყიფშიძის განმარტების მიხედვით **თოლიგე** [თოლი+გე, როგორც ღორონთი-გე] ტაბუირების ერთ-ერთი სახეა, სამარცხვინოდ ითვლებოდა ცოლ-ქმარს ერთმანეთისთვის სახელით მიემართათ, ამიტომ მეტსახელად საალერსო სიტყვების ხმარებას მიმართავდნენ (ყიფშიძე, 1914).

თოლიგე თოლი-სგან (თვალი) ნაწარმოები მეგრული საალერსო-საფიცარი მიმართვაა, ჩემო თვალის ჩინო. სუფიქსი -გე ფიცილის ნაწილაკია, რომელიც დაერთვის გარკვეულ სიტყვებს, როგორიცაა: **შური** (სული), **ღორონთი** (ღმერთი)...

კაზილა

„ნაჭის თავთან შესაბოლად და გასახმობად გარდიგარდმო დაჰკიდა კაზილა“ (წულეისკირი, 1977:182).

„სიტყვის კონაში“ შესულია **კაზალა** ფორმა „ნაჭერი ყველი ZAB“. ასევეა შესული ის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში.

ფორმობრივ-სემანტიკურად იგივეა, რაც მეგრული **კაზილა/კაზლა** „ყველის ერთ-ერთი სახეობა“ - **сыр невареный** (ყიფშიძე, 1914). გადაუზელელი ყველი; დამარილებული ყველი (ქაჯაია, 2001-2002).

პროფ. ე. დადიანი ამოსავალ ფორმად მიიჩნევს მეგრ. **კაზ(ი)ლა**-ს „დამარილებული ყველის“ მნიშვნელობით: „სვანურში **კაზალ** სიტყვის მნიშვნელობა დაკონკრეტებულია: „დამარილებულ დაჭრილ ყველს აღნიშნავს“, სიტყვის კონაში კი **კაზალ** „დაჭრილი ყველია“. **კაზილი კაზუა** ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობა უნდა იყოს. **კაზმა** ძველ ქართულში მომზადებას, შემზადებას აღნიშნავდა. მეგრული **კაზუა კაზმის** შესატყვისს წარმოადგენს“ (დადიანი, 2009 ა:71).

კაკაჩი

„მკერდიც და თავიც შემოდგომის კაკაჩი ღამის ნიავის-თვის მიეპყრო, რომელიც სიცხეს უნელებდა“ (ქიაჩელი, 1985:541).

„ჭინკანაჯდომი ულაყი ჭიხვინებს კაკაჩია თუთარჩელაში!...“ (წულეისკირი, 1977:188).

მეგრული გახმოვანების ერთეული დასტურდება საბას ლექსიკონში: **კაკაჩი** „ღამე მთოვარით ნათელი“, რომელიც ასეა შესული „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“. ნ. ჩუბინაშვილი კი განმარტავს, როგორც „კაშკაშს მთოვარისა“ (ჩუბინაშვილი, 1961).

მეგრულში დღესაც ცოცხალია და აქტიურად გამოიყენება ფორმა **კაკაჩია სერი** - „მთვარის ნათებით გაჩახჩახებული (კაშკაშა) ღამე“. ფუძე დაკავშირებულია სალიტერატურო

კაშკაშ- ფორმასთან: „**კაშ-კაშ-ი>*კაჩ-კაჩ-ი>კა-კაჩ-ი** (შ-ს ჩ-დ გააფრიკატება ჩვეულებრივია მეგრულ-ჭანურისთვის)... **კაკაჩ-** ძირი დაჩნდება **-ია** მაწარმოებლიან გვარში **კაკაჩ-ია. კაკაჩ-ი** ან **კაკაჩ-ა** პირის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც ეტიმოლოგიურად ნათელას ტიპისაა (დანელია, 1991:618).

კაკაჩ- ფუძე დაცულია ინგილოურსა და მესხურშიც (ღლონტი, 1984).

კარდალი

„შეეშინდა ჭანურ კარდალში ჩარჩენილი ღომი შავმა ძაღლმა არ ამომიჭამოს და მშიერი არ დავრჩეო“ (გამსახურდია, 1990:81).

„ამ კარვის წინ თანაბარი სიდიდის სამ ქვას შუა მუდამ ცეცხლი ენთო გაუქრობლად და ქვებზე პატარა კარდალა იყო შედგმული“ (ქიაჩელი, 1985:280).

„კარდალები და ვედროები ააჩხაკუნა“ (წულეისკირი, 1977:30).

მეგრულ-ლაზური გახმოვანების ამ ერთეულზე ქეგლ-ში განმარტებისას მითითება არაა მის კუთხურობაზე: **კარდალა** - იგივეა, რაც კარდალი. **კარდალი** - მომცრო ქვაბი.

არნ. ჩიქობავა მეგრულ-ჭანურსა და ქართულში აღადგენს საერთო **კარდ-** ძირს, რომელსაც ჭანურში **ალ- (კარდ-ალ-ა)** სუფიქსი აფორმებს, მეგრულში კი **-ილ (კარდ-ილ-ა)** ცვლის (ჩიქობავა, 1938:176).

მეგრულ და ლაზურ ლექსიკონებში ფიქსირებულია **კარდილა-** კარდია, котелъ (კარდალა, კარდალი) (ყიფშიძე, 1914); პატარა ქვაბი (ჭარაია, 1997); **კარდალა** - ქვაბი, კარდალი (თანდილავა, 2013).

კარდალა-ი იხმარება გურულსა და აჭარულშიც „სპილენძის ქვაბი; თუჯის ქვაბი; დიდი ქვაბი სპილენძისა“ (ღლონტი, 1984).

ნ. გურგენიძე, იმის გათვალისწინებით, რომ **კარდალი** გურულშიც გამოიყენება და მეგრულ-ლაზურშიც დასტურდება, სიტყვას მაინც თურქული წარმოშობისად მიიჩნევს (გურგენიძე, 2016:56).

გურულში გამოყენებულობაზე და ქართველურში სიტყვის ბუნებრივობაზე არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „**კარდალა//კარდალეი** ჭანურს იმეორებს: ნასესხები ჩანს. მაგრამ ქართულს მეტყველებას ეს სახელი რომ არ ეუცხოება, ჩანს საბას ჩვენებიდან: „**კარდალა** (39, 15 ესაია) მომცრო ქვაბი ZA“ (ჩიქობავა, 1938:176).

კუჩხიბედინერი

„რაკი ჭერი ვიშოვეთ, შუქიც იქნება, მაგიდაც იქნება, სკამიც და კუჩხიბედინერიც“ (წულეისკირი, 1987:209).

ქეგლ-ში შესულია **კუჩხაბედნიერი** - „ფეხბედნიერი“ მეგრული საქორწინო სიმღერა (მღერიან, როცა პატარძალი შემოჰყავთ სიძიანთას ეზოში) (ქეგლი). ამ ფორმის მიხედვით კომპოზიტის პირველი ელემენტი **კუჩხა** „ფეხობას, მეკვლეობას“ აღნიშნავს. ზედმიწევნითი განმარტებით **კუჩხაბედნიერი** არის „**ფეხობა (ბედობა) ბედნიერი, ბედნიერი ბედობა, მეკვლეობა.**

კუჩხა სამეგრელოში ბედობის დღეს აღინიშნება, მეკვლეობის ტრადიციის მიხედვით. მართალია, დიდად ვერ შორდება ეს მნიშვნელობები ერთმანეთს, მაგრამ მეგრულ მეტყველებაში გამოყენებული **კუჩხიბედინერი** „ფეხბედნიერი“ კარგი ფეხით შესვლას უკავშირდება (არა მარტო ბედობის დღეს).

ამას ადასტურებს ისიც, რომ მეგრული საქორწი-ლო სიმღერის ტექსტში გამოყენებულია „**კუჩხიბედინერი**“ და არა „**კუჩხაბედინერი**“.

ლაზურში ფეხბედნიერს აღნიშნავს **კუჩხებედონი** (თანდილავა, 2013). ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს ქეგლ-ის განმარტება.

ლანდი

„ხარის სისხლისფერ ჩოხაში მორთული ლანდი დაადგა თავზე“ (გამსახურდია, 1990:86).

„შიშისა თუ იჭვის ლანდიც კი ახლოს არ უნდა გაკარებოდა სარდაფს“ (ქიაჩელი, 1985:153).

დამოწმებული კონტექსის მიხედვით ლანდის სემანტიკა ქეგლ-ში შემდეგნაირადაა ახსნილი: **ლანდი**[1] ცალი მხრიდან განათებული საგნის მუქი გამოსახულება მეორე მხარეს, - ჩრდილი, აჩრდილი (ქეგლი).

საბა განმარტავს შემდეგ ფორმებს: **ლანდი** „მოლანდების ჩენა ZAB“, **მელანდება** „მელანდება თვალში Cb“, **მოლანდება** „თვალთა იჩქითად ეჩვენოს რა(ი)მე, უარსებო და არა რა ZAB; თვალში ანაზდად ჩვენება არა რა მყოფისა E“ (საბა).

მეგრულ მეტყველებაშიც დასახელებული მნიშვნელობით დასტურდება **ლანდი** – აჩრდილი, მოჩვენება, მოლანდება; (ჭარაია, 1997). ლაზურში **ლანდე//ლანდი** – აჩრდილი; **ლანდაფა** – მოლანდება (თანდილავა, 2013).

ა. ღლონტის ლექსიკონის მიხედვით, აღნიშნული სემანტიკით **ლანდი** გამოიყენება ლეჩხუმურში, ჩრდილი, რომელზე გადავლა ადგილობრივი ხალხური წარმოდგენით აკრძალულია; გურულში, იმერულში, აჭარულსა და ლეჩხუმურში ერთი ამოხვევა ბაფია აბრეშუმისა; ქსოვის ერთეული. ერთი ლანდი 40 ბაფს შეიცავს (ღლონტი, 1984). ეს უკანასკნელი მნიშვნელობა მეგრულ-ლაზურისა და სალიტერატურო ენისათვის უცხო არ არის.

როგორც ვხედავთ, ლექსემის საბასეული მნიშვნელობა, აქტიურად აქვს შენარჩუნებული მეგრულ-ლაზურს.

ლარტყა

„სინათლის ანარეკლი ლარტყებსაც მოსდებოდა. მათზე ჩამოკიდებულ გიშერივით შავსა და მკვრივ ლოლუებზე ათამაშებულიყო“ (ქიაჩელი, 1985:525).

„მაღლა ჭერში ჯარგვალის გაჭვარტლულ კაკუტებსა და ლარტყებს შესცქეროდა“ (წულეისკირი, 1977:12).

ბგერადობით მეგრული იერის ერთეული დასტურდება საბას ლექსიკონში **ლარტყა** - ბრტყელი ლატანი; ლატანი ბრტყლად გათლილი (ორბელიანი, 1991-1993) და ქეგლ-ში **ლარტყა** - ოთხკუთხა და ბრტყელი ძელი სხვადასხვა დანიშნულებისა (ქეგლი).

მეგრულ მეტყველებაში **ლარტყა** არის სახურავის ძელი, რომელზედაც მაგრდება ყავარი და კრამიტი (ყიფშიძე, 1914; ქაჯაია, 2001-2002). **ლა-** (<სალიტ. **სა-** ფარდი) პრეფიქსით წარმოებაზე მიუთითებს ვ. თოფურია, როცა **რ-ტყ-** ძირს აკავშირებს სალიტერატუროს **მო-რტყ-მა** და **სა-რტყ-ელ**-თან (თოფურია, 1979:93).

ლარტყა გურულშიც გამოიყენება „თხელი და ვიწრო ფიცარი, ხმარობენ სახლის სახურავის გასამართავად; მასზე კრამიტს ალაგებენ“ (ღლონტი, 1984).

მართვე

„არწივს ფრენაში გაჯიბრებია ახლად აღნავებული მართვე“ (გამსახურდია, 1990:22).

მეგრულ ლექსიკონებში **მართვე** განიმარტება, როგორც **ბარტყი** (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997). საბას ლექსიკონისა და ქეგლ-ის მიხედვით **მართვე** ფრინველთა და მწერთა ნაშიერია (ქეგლი), **მართჳ** ზოგად ყოველთა ფრინველთა მართვი ეწოდება, მწერით ვიდრე ირაოთ და ორბამდე (ორბელიანი, 1991-1993). სულხან-საბა ბუდეში კონკრეტულად ასახელებს

ყველა ფრინველის მართვეს, ბარტყის სახელებს, მაგ. ყორნის მართვე ბაჭალა, ხოხობისა და კაკაბის **ლაპი,** მტრედის **ჯუნდი,** ქათმის **წიწილი** და ა. შ.

ფუტკრის ნაყარის მნიშვნელობით დასტურდება **მართვე** მთიულურსა და გურულში „ფუტკრის ნაყარი; **იმართვებს,** ფუტკარი იყრის, მართვეს გამოუშვებს ფუტკარი; მართვეს გამოსვლა ნაყარი ფუტკრის გამრავლება; სკამ მართვე გამუუშვა ფუტკარმა იყარა (ღლონტი, 1984).

ქეგლ-ის მიხედვით, **მართვე** სალიტერატურო ენის სიტყვადაა მიჩნეული.

მარულა

„ზუგდიდის მთელი მოსახლეობა მარულას სამზადისით იყო დაინტერესებული“ (გამსახურდია, 1990:135).

მარულა ცხენების შეჯიბრებაა ჭენებაში დიდ მანძილზე (ქეგლი). პ. ჭარაიას მიხედვით **მარულე//მარულა**- დოღია, რომე-ლიც **მეგრ. რულა** - სირბილს, ჭენებას უკავშირდება; **მარულე ცხენი** - მრბენი ცხენი, მჭენებელი ცხენი. ავტორი საფუძვ-ლიანად მიუთითებს, რომ სიტყვა **მარულა** მეგრულისაგან წარმომდგარი უნდა იყოსო (ჭარაია, 1997).

კ. დანელიას თვალსაზრისით, მეგრულ **რულასაგან** ნაწარმოებ **მა-რულ-ე** (მორბენალი) მიმღეობურ ფორმას ეყრდნობა საწყისური **მა-რულ-ა** (მორბენალობა) (დანელია, 1991:625).

მარულე და **მარულა** დამოუკიდებელი ფორმებია დამოუკიდებელი მაწარმოებლებით, რომლებიც, ვფიქრობთ, ცალ-ცალკე მიიღებიან **რულ-** ძირისგან.

ამ შემთხვევაშიც სიტყვის მეგრული გახმოვანება და ფორმობრივ-სემანტიკური მხარე ნათელია.

მარქაფა

„...ბედაურს მოაქროლებს თარაში, რამდენიმე მარქაფა ცხენი მიჰყავს არზაყანთან“(გამსახურდია, 1990:95).

„თოფი ყავარჯნად მოემარჯვებინა და ყაბალახითა და ხალათით შეხვეული მარცხენა ფეხი მარქაფა ცხენივით განზე წამოეყოლებინა“ (ქიაჩელი, 1985:51).

საბასეული განმარტებაა - **მარქაფა** „(ოთხფ.) ჯინიბი; მეორე ცხენი აკაზმული“ (ორბელიანი, 1991-1993).

ლექსიკური ერთეული **მარქაფა** „სათადარიგო, შემცვლელი“ (ქეგლი), ფორმობრივ-სემანტიკურად იგივეა, რაც მეგრული **მარქაფა** „მეორე ცხენი, რომელიც კაცი რომ არ ზის და ისე მიყავს ცხენოსანს“ (ჭარაია, 1997), ანუ მხედრის მიერ სადავით წამოყვანილი სათადარიგო ცხენი (ქობალია, 2010).

სიტყვის ძირად შეიძლება გამოიყოს **რქ-**, რომლის ეტიმოლოგია დასადგენია.

სხვა დიალექტებში განსხვავებული სემანტიკით გვხვდება: **მარქაფა**[1] **(ქართლ.)** შოლტი ტყავი; **მარქაფა**[2] **(ქართლ.)** ტივის ხეები, რომლებიც მოფონებულად აქვთ ტივებს მობმული გვერდებზე; **მარქაფა**[3] **(ქართლ., კახ.)** ნ. საგდულა. საგდულა (გურ.) წისქვილის წყლის გადასაგდები ფიცარი (ღლონტი, 1984).

აღსანიშნავია, რომ დღეს სპორტში აქტიურად გამოიყენება **მარქაფა**, როგორც სათადარიგო მოთამაშე.

მარჩხა

მარჩხა - მეგრ. არაღრმა (გამსახურდია, 1961:962).

სიტყვის მეგრულ წარმომავლობაზე მიუთითებს მწერალიც. ქეგლსა და მეგრულ ლექსიკონებშიც ძირითადად დასახელებული მნიშვნელობით დასტურდება: **მარჩხი** – 1. ჭროღა, ჭრელი (თვალები); 2. მარჩხი წყალი თხელი წყალი (ქეგლი). **მარჩხა** – თხელი, არაღრმა წყალი; ლექსიკონებში

სამართლიანადაა შედარებული **მარჩხ-** და **მეჩხერ-** („იშვიათი“) ფუძეები (ჭარაია, 1997).

კ. დანელია **მარჩხას** წარმოშობით „კოლხურად“ მიიჩნევს **მა-** (უდრის **სალიტ. მე-**ს) თავსართითა და ძირეული **რჩხ-**ით. ამ უკანასკნელის შესატყვისად კი **სალიტ. რეცხ-** ძირს მიიჩნევს. მკვლევრის აზრით, ეტიმოლოგიურად **მარჩხი** უნდა აღნიშნავდეს **მრეცხავს**. ე.ი. მდინარის თხელ წყალს, რომელიც ქვებს, ლოდებს ხმაურით დაუვლის, თითქოს რეცხდეს (შდრ. მა-რჩხ-ალ-ი „მრეცხელი“) (დანელია, 1991:626).

განსხვავებით ამ მოსაზრებისა, ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ს. ქართ. ფუძედ აღდგენილია ***ჩხერ: „ქართ. ჩხერ-/ჩხარ-** მე-ჩხერ-ი; მე-ჩხარ-ი **მეგრ. რჩხ-ა** მა-რჩხა „მეჩხერი“; მარჩხა წყარი „თხელი; არაღრმა წყალი“. **მე-ჩხერ-** ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **მა-რჩხა** (<***მა-ჩხარ- რ-ს** მეტათეზისის გზით). მეგრულში **ჩქ** კომპლექსი არ ჩამოყალიბდა ძირეული **ხ** თანხმოვნის დისიმილაციური ზეგავლენის გამო. ლაზურში შესატყვისი ძირი არ ჩანს. არ დასტურდება ძველ ქართულში. სულხან-საბას ლექსიკონში გვხვდება: მეჩხარი იშვიათი. **მე-ჩხერ-/მე-ჩხარ-** იმ ტიპის წარმოქმნილი ფუძე უნდა იყოს, როგორიცაა: **მე-ტეხ-, მე-დეგ-, მე-რყევ-, მე-თრევ-** და სხვ. გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღადგინა ***მერჩხე-** და ***მე-რჩხ-ე** არქეტიპი“ (ფენრიხ..., 2000:570).

ამ უკანასკნელ ანალიზში, არაა გათვალისწინებული მეგრულ მეტყველებაში ორივე ვარიანტის აქტიური გამოყენება **მა-რჩხ-ა** (წყალთან მიმართებით, თხელი) და **მე-ჩხერ-ი** (იშვიათი, მაგ. მეჩხერი ლაიტი „იშვიათად, აქა-იქ ამოსული სიმინდი“), სადაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფონეტიკური პროცესი სემანტიკის განსხვავებულობას უკავშირდება.

მდადე

„მაყრები და მდადეები განაგრძობდნენ ღრეობას“ (გამსახურდია, 1961:785).

კ. გამსახურდიას განმარტებით **მდადე** მეგრული სიტყვაა, „დობილი, მეჯვარე ქალი“.

მდადი ფორმა შესულია სულხან-საბასა და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: დიაცი, სძლის მაყარი (ორბელიანი, 1991); ძვ. ეთნ. პატარძლის მაყარი ქალი (ქეგლი).

მეგრულ ლექსიკონებში ვხვდებით **მ** თავსართის გარეშეც **დადე** – დადა – დადე, მდადე (ჭარაია, 1997). **მდადე** დასტურდება ლაზურში „ხელისმომკიდე, მეჯვარე; **მდადობა** – მეჯვარეობა (თანდილავა, 2013). ამავე ძირს დაუკავშირდება ლაზური **დად-ი** („დეიდა, მამიდა, ბიცოლა“) (ეტიმ. **და+დიდი**), რომლის მეორეული მნიშვნელობაც იგივეა, რაც **მდადე/დადესი** (ეტიმოლოგიისათვის იხ. ჩიქობავა, 1938:48).

დასახელებული მნიშვნელობით სხვა დიალექტებში დასტურდება **მდადე (კახ.)** პატარძლის დობილი; **მდადი (რაჭ., ლეჩხ., გუდამაყრ.)** პატარძლის მაყარი ქალი (ღლონტი, 1984).

მერეხი

„ღამით მოვიდა ისეთი მერეხი, ცა ფერხად ჩამოდიოდა“ (გამსახურდია, 1992:123).

მერეხი ქეგლ-ში იმავე მნიშვნელობით დასტურდება, როგორც მეგრულ ლექსიკონებში „თავსხმა, დელგმა“ (ქეგლი); **მერეხი** 1. დელგმა, თავსხმა, კოკისპირული წვიმა; წვიმა და თქეში ქარბუქთან ერთად. 2. გადატ. დიდი ტანის ადამიანი, ძლიერი (ქაჯაია, 2001-2002);

მერეხი მეგრულში დასტურდება კომპოზიტურ ფორმაშიც - **ერეხ-მერეხი.** ამასთანავე, სიტყვის მეგრულ წარმომავლობას ამყარებს აქტიური ზმნური ფორმა **მერეხ-ან-ს** „კოკისპირულად წვიმს“.

მრუმე

„მრუმე ღამე დასწოლოდა თვალშეუვლებ ტრამალს“ (გამსახურდია, 1992:226).

მრუმე ქეგლ-ში სულხან-საბასეული განმარტებითაა შეტანილი - „ძვ. ესე არს ბნელად საჩინარი, გინა შავი ბინდის მსგავსი“ (ქეგლი).

მეგრული გახმოვანების ეს ფორმა დასტურდება „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში: „დადიანი ვარდან, გუზან, რომელი **თვალ-მრუმე** ოდენ ყვეს“ (ქართლის ცხოვრება, 1996:359). ამ კონტექსტის მიხედვით, **თვალ-მრუმე** სიტყვის მნიშვნელობა, იგივეა რაც მეგრულ მეტყველებაში - **„დააბრმავეს, ანუ თვალები დათხარეს“.**

მეგრულ ლექსიკონებში დასტურდება **მ-** თავსართის გარეშე **რუმე** „ბნელი“ და მისგან ნაწარმოები სიტყვები: **ო-რუმ-ე** „ბნელი ადგილი“, **რუმ-უ-ა/აკო-რუმ-უ-ა** „ბნელება, დაბნელება“, **სი-რუმ-ა** „სიბნელე“, ზმნური ფორმები: **ო-რუმ-უ-ან-ს** „ზედმიწ. აბნელებს“, **თოლს ქაწგმო-რუმ-უ** „თვალთ დამიბნელდა“, **და-რუმ-უ** „დააბნელა, ჩამოაბნელა“, (ყიფშიძე, 1914; ჭარაია,1997; ქობალია, 2010);

შდრ. რუმვა (იმერ.) ხშვა, გმანვა; დარუმვა დახშვა, ჭუჭრუტანების დაგმანვა, რომ სინათლე არ შემოვიდეს (ღლონტი,1984).

ოჩოკოჩი

„იგი მართლაც ოჩოკოჩს მიაგავდა ენგურის ჭალებში მოხეტიალეს“ (გამსახურდია, 1990:26).

„შესდგა ანდრო, შეათვალიერა უცნობი, რომელიც ოჩოკოჩად მოეჩვენა ამ ღამეში“ (ქიაჩელი, 1985:29).

„ჭინკა და ოჩოკოჩი ადამიანს ტყეში გზას უბნევს“ (წულეისკირი, 1977:12).

სამწიგნობრო ენაში აქტიურად გამოიყენება ეს სიტყვა-ფორმა.

იმდენად ნათელია სიტყვის მეგრული წარმომავლობა, რომ შეუძლებელია ყურადღების მიღმა დარჩენოდა ქეგლ-ის სარედაქციო კოლეგიის რომელიმე წევრს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამაზე მითითება არაა განმარტებისას: **ოჩოკოჩი** - ცრუმორწ. ძველი ხალხური თქმულებით – მავნე არსება, ტყის კაცი (ქეგლი).

ი. ყიფშიძე მას განიხილავს **კოჩი-ს** ბუდეში **ოჩო-კოჩი** (ყიფშიძე, 1914), სხვა ლექსიკონებში კი ცალკე ერთეულად გვხვდება: „ტყისკაცი, ვაც-კაცი; ანუ ის ზღაპრული არსება და ღვთაება, რომლის სხეულის ერთი ნაწილი თხისაა, მეორე კი ადამიანისას მიაგავს. **ოჩო-კოჩი** (თხა კაცი) ამბობენ ისეთ კაცზე, რომელსაც ტანი ხშირი თმით აქვს დაფარული, ბანჯგვლიანია, აქვს დიდი ულვაშები (ქაჯაია, 2001-2002); ნადირთ ღვთაება, ტყისკაცი, ტყიური, რომელსაც ვაცის ჩლიქები და რქები აქვს, ხშირი ბანჯგვლები და მკერდზე საჩეჩელივით ამოჩრილი ძვალი, რომელზედაც წამოიხევს ხოლმე მსხვერპლს (ქობალია, 2010).

შდრ. ოჩკოჩე(ლეჩხ.) ტყისკაცი, ოჩოკოჩი (ღლონტი, 1984).

საანალიზო ერთეული კომპოზიტური წარმოებისაა - **ოჩო+კოჩი** „ვაცი+კაცი“.

თითოეული ელემენტის ეტიმოლოგიაზე მეცნიერები შენიშნავენ:

პროფ. მ. ჩუხუას „ქართველურ ენა-კილოთა შედარებით ლექსიკონში“ მეგრ. **ოჩო-ს** შესატყვისობა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: „ს.-ქართვ. *ჳაცა „გრძელი ხის ჯობი, ბოძი“ > >ქართ. **ვაცა-** : ზან. **ოჩო-**.

ქართ. ვაცა- დაკავშირებულია იმერულ **ვაცა-ჲ** „მთავარი ბოძი, რომელზედაც დადგმულია სახლის თავი“ და გურულ „სახლის სახურავის მწვერვალი და მთავარი ბოძი“ მნიშვნელობებთან. ზანური **ოჩო-ს** სემანტიკა კი - „გრძელი

ჯოხები, რომლებსაც ფეხების დასადგმელი კაუჭები აქვს“ - ოჩო-ფეხები.

ქართული ვაცა- ფუძის შესატყვისი ზანური ეკვივალენტი **ოჩო-** უნდა ჩანდეს კომპოზიტური აგებულების სიტყვაში ოჩო-ფეხები. ამის საფუძველს იძლევა ბგერათშესატყვისობის ჩვენება ქართველურ ენებში, რასაც მხარს უჭერს სიტყვის შინაარსობრივი მხარეც“ (ჩუხუა, 2000-2003:99).

ვფიქრობთ, სემანტიკური კავშირის გათვალისწინებით, ლოგიკური იქნება მეგრულში დადასტურებული **ოჩი** - ყოჩი, მამალი თხა (ლაზური - **ბოჩი** (თანდილავა, 2013)) დაუკავშირდეს სალიტერატურო **ვაც-ი** ფუძეს. ის მნიშვნელობები კი, რომელიც წარმოდგენილია იმერულიდან და გურულიდან შეიძლება მეორეულად ჩავთვალოთ.

მაშასადამე, მეგრ. **ოჩი**: სალიტ. **ვაცი** სემანტიკურად იდენტური ერთეულებია და **ოჩოკოჩ-ში** ნაგულისხმევი მნიშვნელობაც მას უკავშირდება - ვაცკაცი, ტყიური კაცი.

განსახილველი კომპოზიტის მეორე კომპონენტისთვის აღდგენილია *კაც₁- არქეტიპი: ქართულ **კაც-** (<*კაც₁-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **კოჩ-**, ლაზური **კოჩ-** და სვანური **ჭაშ-** (*ც₁>ჩ>შ და კ>ჭ პროცესები) (ფენრიხ..., 2000:265).

ოჩოკოჩი ფორმობრივ-სემანტიკურად მეგრული წარმოშობის ერთეულია, რომელიც დამკვიდრდა სალიტერატურო ენაში იმავე მნიშვნელობით, როგორც მეგრულშია. **ჯარგვალის, ბორკილის** მსგავსად ამ შემთხვევაშიც საკამათო არ უნდა იყოს მეგრულად კვალიფიცირების საკითხი.

პეტელი

„შემოესმა ხათუნას დაჭერილი თხის გულსაკლავი პეტელი“ (გამსახურდია, 1990:457).

„ბიჭა ბატკანი ხან ხელში აყვანილი მიჰყავდა, ხანაც პეტელ-პეტელით უკან მისდევდა“ (წულეისკირი, 1977:183).

პეტელი „თხისა და ცხვრის ხმიანობა, - კიკინი, ბღავილი“ (ქეგლი), მეგრული გახმოვანების სიტყვაა, რომელიც რვატომეულში აღნიშნული არაა.

ხმაბაძვითი ერთეული **პეტელი** მეგრულში კიკინს, თხის ძახილს, ხმიანობას აღნიშნავს (ჭარაია, 1997). დასტურდება ზმნური ფორმა **პეტელ-ან-ს** - თხა (შხური) პეტელანს/ც „თხა კიკინებს“ (ყიფშიძე, 1914). **პეტელი** იხმარება გურულში - „თხის კიკინი“ (ღლონტი, 1984).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციაში ამჯერად შესულია **გაიპეტელებს** ფორმა „პეტელის ხმას გამოსცემს; პეტელით გაივლის“. რვატომეულში ეს ფორმა არ დასტურდება, ნათელია ლექსიკონის შევსებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ კვალიფიცირება არ ხდება. სავარაუდოა, სათანადო ტომში შევა მეგრული **პეტელანს** ზმნის შესაბამისი სალიტერატურო ზმნური ფორმა.

ჟვერი

„სხვა პირობებში ჩვენ საგანგებოდ ვაგროვებთ ჟვერს“ (გამსახურდია, 1961:34).

„ნაყოფის სიმრავლით ძირს დაზნექილ ტოტებს კარგა მოზრდილ ხეს ჟვერით აკრავდა“ (ქიაჩელი, 1985:373).

„ნაწვიმარზე, ჟვერსა და შქერში სულ მთლად დასვეელებულიყო“(წულეისკირი, 1977:322).

ქეგლ-ში საწყის მნიშვნელობად საბასეული განმარტებაა მოხმობილი: **ჟვერი** - 1. ფოთლიანი რტო (საბა). - შტო, რომელსაც ფოთლები შერჩენილი აქვს. 2. კუთხ. (იმერ.) ჭოკი, ხალა. 3. კუთხ. (ლეჩხ.) „ბრგე, დიდი, ახოვანი“ (ქეგლი).

ჟვერი - ბურდუ, სქლად ამოსული მაღალი უვარგისი ბალახი (ჭარაია, 1997); ნამიან, სველ ბალახზეა გამახვილებული ყურადღება ო. ქაჯაიასა და ა. ქობალიას ლექსიკონებშიც.

შდრ. **ჟვერ-** ძირი დიალექტებშიც ძირითადად დასახელებული მნიშვნელობებით დასტურდება: მაგ.: **ჟვერი** (გურ., ქვ. იმერ.) ცუდი ბალახი ერთად სქლად ამოსული; ფოთლოვანთა ბუჩქნარი; ეკალ-ბარდის ბუჩქნარი; ფოთლიანი რტო. **ჟვერი** – (აჭარ.) - მცენარის ფოთოლი საზოგადოდ. **ჟვერო** - (გურ.) ხის ფოთოლი; ფოთლოვანი მცენარეულის ბუჩქნარი. განსხვავებული სემანტიკისაა **ჟვერი** (ლეჩხ.) ბრგე, დიდი, ახოვანი. **ჟვერება** - (გურ.) გალახვა, დაჟვერვა, ცემა; **ჟვერა** დაარტყა. **ჟვერვა** - (იმერ.) დაქანცვა, დაღლა; რტყმევასაც ნიშნავს (ღლონტი, 1984).

პროფ. მ. ჩუხუა **ჟვერ-** ფუძეს უკავშირებს **ზვარ-** („დიდი ვენახი“) ძირს. მისი თვალსაზრისით, „მათ საერთო წარმომავლობას ფორმალური თვალსაზრისით წინააღმდეგობა არ ახლავს; შდრ. ქართ. ა : ზან. ე (<ო) - ქართ. ძარღვ- : ზან. ჯერღვ-ი<ჯორღვ-ი, ქართ. ტყავ-ი : ზან. ტყებ-ი<*ტყობ-ი. ასევე, ქართ. ზვარ-ი : ზან. ჟვერ-ი < *ჟვორ-ი. მნიშვნელობის მხრივაც სიახლოვეზე მიუთითებს: ქართულში დადასტურებული დიდი (ბევრი) ვენახის სემანტიკის გამოძახილად მივიჩნევთ მეგრულში გავრცელებულ მრავალი მცენარის (ერთად ამოსულის) გაგებას. სხვა დასავლურ დიალექტებში (გურ., იმერ., აჭარ.) ფიქსირებული **ჟვერ-** ფუძე ზანური წარმომავლობისად მიგვაჩნია, რაზეც ფორმალურ-სემანტიკური იდენტურობა მიანიშნებს. ს.-ქართვ. *ზუ-არ- „მრავალი ვაზი (ყურძენი) ერთად; ვენახი (დიდი)“>ქართ. ზვარ-ი: ზან. ჟვერ-ი<*ჟვორ (ჩუხუა, 2000-2003:103).

ლ. კელაურაძე სტატიაში „დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის“, ს. ქართვ. დონეზე აღადგენს **ჟუერ-** ძირს, **სალიტ. ჟვერ-**ის კანონზომიერ შესატყვისად მიიჩნევს მეგრ. ზმნურ **ჟვარ-** ძირს. ამოსავალი

ჟუერ-ძირის მნიშვნელობად „ნედლ რტოს“>წკეპლას და გაწკეპლას მიიჩნევს (კელაურაძე, 2013:13).

სიტყვის ეტიმოლოგიური კვლევისას, როგორც ჩანს, გათვალისწინებული არაა თვით მეგრულში არსებული ე:ა მონაცვლეობის ფაქტები. **ჟვერი** სიტყვის ზმნური ვარიანტი ა გახმოვანებისაა **ჟვარ-უნ-ს** „ასუფთავებს ჟვერისგან“ (შდრ. **ტყები:ტყაბარანს**). ა გახმოვანებისაა **ჟვარ-უ-ა** „გაწმენდა, გასუფთავება უვარგისი ბალახისგან“, **გო-ჟვარ-ილ-ი** „გაწმენდილი უვარგისი ბალახისგან“. ამავე ძირს ემყარება ფორმები: **ჟვარ-ჟვალ-ი** „ჟონვა, ტირილი“, **ი-ჟვარჟვალ-უ** „ჟონავს, ცრემლით ტირის“; ლაზური **ჟვარ- ოჟვარუ** (ვიწ.) დარღვევა, ლეწვა (თანდილავა, 2013).

როკაპი

„შუაში უშველებელ ცეცხლს ტაბაკონას როკაპი უჯდა“ (გამსახურდია, 1961:737).

„ათასი ხელის ჩხირებზე დამყარებულ ასკოკიან საწნახელზე თმაგაშლილი უკბილო როკაპი ვაჟკაცივით გადამჯდარიყო ასკილის შოლტით შეიარაღებული“ (ქიაჩელი, 1985:267).

„ცხენის კუდზე გამოსაბმელი ქალია, როკაპებისა და ტარტაროზების გამოგზავნილია, მაზაკვალია, ეშმაკისა და ჭინკას სულია!“ (წულეისკირი, 1977:246).

როკაპი 1. ცრუმორწ. კუდიანების უფროსი, წარმოუდგენიათ ბებერი დედაკაცის სახით; 2. გადატ. უშნო, ავი და ყბედი დედაბერი (ქეგლი).

მეგრულ ლექსიკონებში დადასტურებულია **როკაპი/ /როპაპი** კუდიანთა, (მზაკვართა) უფროსი, კაპასი დედაკაცი (ჭარაია, 1997); მოხუცი გრძნეული ქალი. დასავლეთ საქართველოში როკაპათ მდედრობითი სქესის კუდიანების უფროსს გულისხმობენ. ქვემო იმერლები და ოდიშელები როკაპის ბინათ ტაბაკელას მთას თვლიან (ცხენისწყლის

მარჯვნით, ხონის პირდაპირ). გადატ. გამხდარი, კაპასი და ავი ქალი; ხნიერი, ბებერი (ქაჯაია, 2001-2002);

შესაძლებელია, ამ ძირს უკავშირდებოდეს მეგრულში დადასტურებული ზმნური ფორმა: **ი-რკაპ-უ** „იკბინება, კაპასობს“, მეტსახელი **რკაპ-ი-ა//რკაპ-ულ-ი-ა** „კაპასი“.

გურულსა და იმერულში **როკაპი** აღნიშნავს კუდიანი ქალების უფროსს; გადატ. კაპასი, ავი, ბოროტი ქალი (ღლონტი, 1984).

აღსანიშნავი ფაქტია, რომ ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ **როკაპი** ის გამონაკლისი ფორმაა, რომელსაც სხვა დიალექტებთან ერთად მეგრული აქვს მიწერილი.

რული

„სამხრეთის ალერსიან სხივზე მეოცნებეს რული შემპაროდა და შეღამებულზე ცვარის სიგრილემ გამომაღვიძა“ (გამსახურდია, 1992:49).

ერთეული დასტურდება ს.ს. ორბელიანის ლექსიკონში და ქეგლ-შიც: **რული** მცირე რამ ძილი (ორბელიანი, 1991-1993); მსუბუქი ძილი, თვლემა (ქეგლი).

მეგრულში გამოიყენება ორი ვარიანტი **რული** და **ლური**. ლექსიკონებში ძირითადი განმარტება გაკეთებულია **ლურ**-ზე „ძილი“ (ჭარაია, 1997; ყიფშიძე, 1914). ზმნის პირიან ფორმებში პირველი სერიის აწმყოს წრეში გამოიყენება **ლურ**-ვარიანტი: **ბ-ლურ-ს** „მძინავს“, **რ-ლურ-ს** „გძინავს“, **ლურ-ს** „ძინავს“ (ბლურდუ, რლურდუ, ლურდუ; ბლურდას, რლურდას, ლურდას), სხვა დანარჩენ შემთხვევაში, მათ შორის კაუზატივის ფორმიან ყველა დროში (თუ მწკრივში) **რულ-** ძირი (მაგ. ქვდა-რულ-ე „დააძინე“), ასევე ნაზმნარ **დო-რულ-აფ-ა** „ძილი, დაძინება“ ფორმაში.

სულხან-საბასთან **რულ-** ძირიანი ფორმები დასტურდება: **რული** (+ 131, 4 ფსალმ. ZA) მცირე რამ ძილი ZAB. **მიერულა** (3, 18 ნაომ) მიეძინა ZAa. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამოსავალი ფორმაა **რულ-**.

ტაბაკი

„სასადილო ოთახში მარმარილოს სუფრის გარშემო მეგრული „ტაბაკების“ მსგავსი სამი დაბალი სკამ-ლოგინი იდგა“ (გამსახურდია, 1961:771).

ქეგლ-ისეული **ტაბაკი**-ს განმარტება უკავშირდება „არაბულ ტაბაკს („თეფში, სინი“) ხის მოზრდილი სინისმაგვარი თეფში, ხმარობენ, ჩვეულებრივ, ხორბლის სარკვევად; იგივეა, რაც ტაბლე (ქეგლი).

პ. ჭარაიას განმარტების მიხედვით, **ტაბაკი** არის „სუფრა, ტაბლა. ღურელს ტაბაკი ქუდუუდგეს: მკვდარს (მიცვალებულს) ტაბლა დაუდგეს. ე. ი. მიცვალებულის მოსახსენებლად ტაბლე გააკეთეს (ჭარაია, 1997); ფიცრის დაბალი მაგიდა ოთხი ფეხით; დაახლოებით 2-3 მეტრი სიგრძისა და ორმოციოდე სმ. სიმაღლის მაგიდა, სახეცვლილი ბედე და ხონჩა, მათგან განსხვავებით, განკუთვნილია ბინადარი ცხოვრებისთვის და ფეხიანია, ზოგჯერ ზედ ამოჭრიან ჩაღრმავებებს შეჭამანდისთვის ან სწორია და ზედ აგებენ ღომს; საწესო სუფრა მიცვალებულისთვის, საკურთხი (ქაჯაია, 2001-2002; ქობალია, 2010). ი. ყიფშიძე ამავე ძირს უკავშირებს ადგილის სახელს ტაბაკოლა, ტაბაკოჲა, ტაბაკელა (<ტაბაკი+გოლა), ტაბაკონა (ყიფშიძე, 1914), თუმცა ვფიქრობთ, ეს საკითხი დამატებით დაკვირვებას მოითხოვს.

მართებული იქნება მეგრულში დადასტურებული ფორმა **ტაბაკი**, დავუკავშიროთ საბას ლექსიკონში ფიქსირებულ **ტაბლა (25,23 გამოსლ.)** ფორმას: „ფიცრის სუფრა ფეჴედი ZA. ტაბლა არს სუფრა და ყოველი ფეჴედი ფიცარი წინ სადგმელი B. სუფრა CD. **მეტაბლე** - ტაბლის მოურნე“ (ორბელიანი, 1991).

შდრ. ტაბაკი დასტურდება სხვა ქართველურ დიალექტებშიც: **ქართლ., ქიზიყ., ფშ., ლეჩხ.** პატარა თაბახი, ხისაგან გამოთლილი სინისებრი ჭურჭელი; მთლიანი ხისგან ჩარხში გამოჭრილი მრგვალი ჭურჭელი, ზედ პურსა და ხმელ საჭმელ საწყობენ; დაბალი სუფრა, გრძელი ფიცარი ოთხ ფეხზე საჭმლის დასადებად და მოსასხდომად (ღლონტი, 1984).

ტანმორჩილი

„დეჟარდინჯეს თან ახლავს თავისი ტანმორჩილი ცოლი“ (გამსახურდია, 1961:640).

„მის პირდაპირ ტანმორჩილი და უბრალოდ ჩაცმული ორკეთელი იდგა“ (ქიაჩელი, 1985:512).

„ორი დიდი ცაცხვის ხე და ტანმორჩილი წაბლები იდგნენ“ (წულეისკირი, 1977:207).

ტანმორჩილი - მორჩილი ტანისა, ტანდაბალი (ქეგლი).

ერთეული კომპოზიტური წარმოებისაა **ტან+მორჩილი.** ჩვენთვის აქ საინტერესოა სიტყვის მეორე კომპონენტი, რომელიც ქეგლ-ში ცალკე ლექსიკურ ერთეულადაა შეტანილი **-მორჩილი** - 1. ვინც ან რაც ემორჩილება (ვისმე ან რასმე), სხვისი ნება-სურვილის უხმოდ, წინააღმდეგობის გაუწევლად ამსრულებელი (ქეგლი).

ამ კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე, **ტანმორჩილი** ფორმა იძლევა საშუალებას მორჩილი ერთეულს დაემატოს ის მნიშვნელობა, რაც მეგრულში დამატებით აქვს და ტანმორჩილი ფორმაშიც იგულისხმება. **მორჩილი** - მოპატარავე, პატარა; მორჩილი (ჭარაია, 1997).

ლ. ქიაჩელი პატარა, დაბალის მნიშვნელობით ცალკე ერთეულად იყენებს მორჩილს წინადადებაში: აფხაზი გლეხი, რომელსაც მთელი აფხაზეთი იცნობდა როგორც ემხას ძიძიშვილს და მის განუყრელ მხლებელს, **მორჩილი** ტანის კაცი იყო, ხმელი, მაგრამ ნაკვთიანი, სწორად სხმული, - მარდი და მოქნილი, როგორც გარეული შავი კატა (ქიაჩელი, 1985:328).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ლექსიკონში აუცილებლად უნდა აღინიშნოს **მორჩილის** ის მნიშვნელობაც, რაც მას საეკლესიო ტერმინოლოგიაში აქვს: **მონასტრის სამონაზვნე ან საბერო წევრი, აღკვეცამდე.**

ფაცხა

„იმ დღეს ხელცარიელი რომ შევბრუნდი ფაცხაში, იონა ლოგინზე პიაღმა იწვა და ხმამაღლა გალობდა“ (გამსახურდია, 1992:172).

ქეგლ-ის განმარტების მიხედვით: **ფაცხა** 1. წნული სახლი (საბა), უჭერო, უიატაკო ქოხი ისლით, ჩალით და მისთ. დახურული. 2. კუთხ. (ზ. იმერ.) წისქვილის ქვაზე დადგმული პატარა კალათა, რომელშიაც ჩადის სიმინდი ხვიმირიდან. 3. კუთხ. (ზ. იმერ.) ორკაპა რკინის საყრდნობი (წისქვილში), რომელზედაც დაცმულია წისქვილის ფეხი. 4. ქათმის საწიწკარა.

მეგრულ ლექსიკონებში **ფაცხა** „წნელის (დაწნული) სახლია“ (ჭარაია, 1997). დასტურდება ლაზურშიც **ფაცხა** „კარავი, ფაცხა, ქოხი, პატარა სახლი“ (თანდილავა, 2013).

ა. ღლონტის ლექსიკონის მიხედვით, ფიქსირდება გურულშიც: **ფაცხა**[1] წნელით მოწნული უჭერ-უიატაკო, ისლით დახურული ქოხი (ღლონტი, 1984).

ვფიქრობთ, სიტყვა მეგრული გახმოვანებისაა. ის ფორმობრივ-სემანტიკურად ვერ დაშორდება **ფეცხი** „ფიჩხი“ სიტყვას. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს **ე:ა** ხმოვანმონაცვლეობის წესი, როგორც **ტყებ-:ტყაბ-, ჭვერ-:ჭვარ-** შემთხვევებში.

შანა

„წმ. კონსტანტინეს შანა მქონია კისერზე შებმული“ (გამსახურდია, 1961:672).

კ. გამსახურდიას განმარტებით **შანა** ავგაროზს ნიშნავს. ამ მნიშვნელობას დიდად ვერ დაშორდება ქეგლ-ის განმარტება - ცრუმორწმ. რაიმე ნივთი (უპირატესად ლითონისა), რომელსაც შეულოცავდნენ და ყელზე (მაჯაზე) აბამდნენ ვითომდა ავი თვალისაგან (ავისულისაგან) დასაცავად (ქეგლი).

საბას მიხედვით **შანა** სანდო ნიშანია (ორბელიანი, 1991).

მეგრულში ამ ლექსემას უფრო კონკრეტული მნიშვნელობაც აქვს - საქმროს მიერ საცოლისადმი მიტანილი ნივთი დასანიშნად. ვხვდებით ზმნურ ფორმას **შანუა** – დაწინდვა, დანიშვნა, დაშანვა (ჭარაია, 1997);

შდრ. ფშ., მოხ. შანა: ყელზე შებმული შენალოცი (ფული ან სხვა რაიმე) (ღლონტი, 1984).

ვფიქრობთ, ქეგლ-ში **შანას** მეგრული კონკრეტული მნიშვნელობაც დაემატოს შესაბამისი კვალიფიკაციით.

შარა

„ნელი ნაბიჯით მიჰყვა წისქვილისაკენ მიმავალ საურმე შარას“ (გამსახურდია, 1961:89).

„სოფელი შარაზე იყო გამოფენილი, ჯურგუს ჭიშკართან იდგნენ“ (წულეისკირი, 1977:18).

შარა-ს ანალიზისთვის იხ. თემშარა გვ. 148.

ჩამური

„ერთი ძველებური საცეხვავი - „ჩამურიც“ უნდოდა შეერჩინა“ (გამსახურდია, 1992:176).

ქეგლ-ის მიხედვით **ჩამური** ერთგვარი საცეხველია, როდინისებურად ამოღრუტნული დიდი ქვა, რომელშიც ყრიან ბრინჯს, ღომს (ზოგჯერ ხორბალს) და ცეხვავენ.

პ. ჭარაიას ლექსიკონში შესულია **ჩამურე, ოჩამურე** - ჩამური, ღომის საცეხველი (ჭარაია, 1997); **ჩამური** იყო ხისა და ქვისაც. გარჩეული ღომის თავთავებს ყრიდნენ ჩამურში და ცეხვავდნენ (ქაჯაია, 2001-2002); ითლებოდა მთლიანი მორისაგან, ზედაპირს ღრმად ამოჭრიდნენ მარცვლისთვის (ქობალია, 2010).

ეს ერთეული მეგრული გახმოვანებისაა, რომელშიც გამოიყოფა **ჩამ-** ძირი: **ჩამ-ურ-ე, ო-ჩამ-ურ-ე**, რომელიც ნაწარმოებია **-ე** სუფიქსითა და დანიშნულების **ო-ე (<სა-ო)**

კონფიქსით. ამავე ძირისაა ლაზურში დადასტურებული **ჩამურ:ოჩამურე//ონჩამუ-რე** საცეხველი მანქანა (თანდილავა, 2013). **ჩამური** გვხვდება **გურულშიც** ღომის საცეხველი (ღლონტი, 1984).

ჩაფულა

„ბალღებს საზამთროდ ჩაფულებს მაინც ვუყიდი-მეთქი“ (ქიაჩელი, 1985:369).

ჩაფულა-ს საბასეული განმარტება „ფერჯის საცმელი“, მოხმობილია ქეგლ-შიც და განმარტებულია როგორც უქუსლო, დაბალყელიანი ფეხსაცმელი, წუღა (ქეგლი). ი. აბულაძის ლექსიკონში განიმარტება როგორც „ქალამანი“ და საილუსტრაციოდ გამოყენებულია ციტატა გ. მთაწმინდელის „იოვანე და ეფვთიმეს ცხოვრებიდან“. განმარტებიდან გამომდინარე, კ. დანელია მიიჩნევენ, რომ სულხან-საბამ სწორედ ამ ლიტერატურული წყაროდან იხელმძღვანელა (დანელია, 1991:621).

პროფ. რ. შეროზია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საბას ლექსიკონში შეაქვს რედუცირებული ფორმა **„ჩაფლა“** და ურედუქციო **„ჩაფულა“**-ც. გ. მთაწმინდელთან პირველი დასტურდება (ჩაფლა), მაგრამ სულხან-საბა განმარტავს მეორეს (ჩაფულა). აქედან გამომდინარე ფიქრობს, რომ „ამ შემთხვევაში იგი აღებულია უშუალოდ მეგრული მეტყველებიდან და ამიტომ მითითებულია მისი ზოგადი მნიშვნელობა - „ფერჯის საცმელი““ (შეროზია, 2015:195).

ი. ყიფშიძესთან ვხვდებით ვარიანტებს **ჩაფულა/ჩაფლა/ჩაფგლა/ჩაფია** (ყიფშიძე, 1914); **ჩაფლა/ჩაფულა** „ქალამანი, წუღა, ჩაფულა“ (ჭარაია, 1997, თანდილავა, 2013).

ჩაფული-ა აჭარულში ფეხსაცმელების აღმნიშვნელია (ღლონტი, 1984).

კ. დანელია განიხილავს **ჩაფულა**-ს კომპოზიტურ წარმოებას: „ჩა/ფულ-ა. პირველი ნაწილი **ჩა** (<*ჩალ//ჩვნ) ფეხის

მნიშვნელობის ძირი ჩანს, რომელიც დაცული უნდა იყოს ფუძეებში: **ჩალ-უა** „ხელის შეშლა“ (ეტიმ. შეფერხება), **ჩან-ჩალ-ი** „ცუდი სიარული“ (ეტიმ. ფეხის თრევით სიარული), **ჩანგალი** „ბარბაცით სიარული“ (ეტიმ. უფეხოსავით სიარული: **ჩან** „ფეხი“, **გა** უქონლობის **უ** პრეფიქსის ფარდი, შდრ. **ტვინ-გა უტვინო**), **ჩორქო** „ქაჩაჩი“ (ეტიმ. ფეხის რქა), ხოლო მეორე ნაწილი **ფულ-ა** შესატყვისია ქართ. **ფალ-ისა:და-ვ-ფალ>*დო-ვ-ფოლ>დო-ვ-ფულ**. ასე რომ **ჩაფულა** ეტიმოლოგიურად არის „ფეხის დაფარვა“ (დანელია, 1991:622).

ჩან- ძირი მეგრულ მეტყველებაში გამოიყენება **ცერას** მნიშვნელობით, ამასთან ის იხმარება წყვილში **ჩანკითი** დიდკითი - „ცერი“ (ჭარაია, 1997); საფიქრებელია, ფეხის თითი (კ.გ.). ამ ეტიმოლოგიას უნდა მიყვებოდეს მეგრულ მეტყველებაში დადასტურებული ფორმები **ო-ჩა-ფლ-ე, ოჩაფლე თირი** „ჩაფლას ზომის (სიმაღლეში) თოვლი; კოჭებამდე ჩასაფლობი თოვლი“.

ვფიქრობთ, ლ. რუხაძე არ ითვალისწინებს წარმოდგენილ მონაცემებს, როცა **ჩაფულას** ქართულში თურქული წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს (იხ. რუხაძე, 2013:96-97).

ჩიქორთული

„ჩიქორთულის აფხაზურით მიუგო...“ (გამსახურდია, 1990:28).

როგორც მოპოველი მასალიდან ჩანს, **ჩიქორთული** - დამახინჯებული; ცუდი, არეული ქართულია (ქაჯაია, 2001); ის გამოიყენება იმერულსა და ქიზიყურშიც (ღლონტი, 1984).

პროფ. მ. ჩუხუა ტ. ფუტკარაძის მონოგრაფიის წინასიტყვაობაში შენიშნავს, რომ „ტერმინი **ჩიქორთული** მეგრულ სინამდვილეში შეიქმნა **სუსტი/ცუდი** ქართულის სინონიმად (შდრ. სიტყვა-მცირობა, მცირე ქართული ვეფხისტყაოსანში: „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა“...); ფაქტია მეგრულის **ჩიჩიე-ქორთული** (გლახა ქართული)->**ჩიქორთული** ჯერ სამეგრელოში მცხოვ-

რებ მეგრელთა ქართულ მეტყველებას მიემართებოდა და მხოლოდ შემდგომ ხდება იგი საკუთრივ ქართულში გაუმართავი (არეულ-დარეული), მწირი ქართული მეტყველების აღმნიშვნელი სინონიმური ტერმინი“ (ფუტკარაძე, 2019:17).

პროფ. რ. შეროზია კი მიიჩნევს, რომ **ჩიქორთული** არეული ქართული არაა. კომპოზიტი **ჩიება+ქორთული** ელემენტებს გულისხმობს. სემანტიკური გადაწევით კი მან ზოგადად გაუგებარი საუბრის მნიშვნელობა შეიძინა [28].

ქეგლ-ში სწორედ ამ მნიშვნელობით დასტურდება: **ჩიქორთული** საუბ. ენის არცოდნის გამო დამახინჯებული (მეტყველება) (ქეგლი). თუმცა იმდენად, რამდენადაც ფორმობრივ-სემანტიკურად სიტყვა მეგრული წარმოშობისაა, კვალიფიკაცია აუცილებელია.

ცინდალი

„აგერ უვარგის ცინდალს რომ ლაფარეში გადააგდებენ, ისე გადმოვარდა შუაღამეს ფანჯრიდან ქოსა გახუ“ (გამსახურდია, 1992:181).

ქეგლ-ის მიხედვით **ცინდალი** იგივეა, რაც კნუტი, მაგრამ მის მეგრულ წარმომავლობაზე მითითება არაა. ამავე ფუძისგან ნაწარმოები **ცინდალა** კი მიჩნეულია კუთხურ, კერძოდ იმერულ ფორმად „ცინდალივით, კნუტივით ადამიანი“. ცალკე ერთეულადაა შესული გურულ, იმერულ, რაჭული ვარიანტი **ცინტალი** (ქეგლი). ეს უკანასკნელი საბასთანაც დასტურდება **ცინტალი** „კატის კნოტი მოდიდო; კატის მართვი“ (ორბელიანი, 1991-1993).

---

[28] მოხსენება წაკითხულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

გურულში, იმერულში და რაჭულში ფიქსირებული **ცინტალი** ფორმა წარმოადგენს მეგრული **ცინდალის დ-ს** ფონეტიკურად დაყრუებულ ვარიანტს **ცინტალი**.

საანალიზო ერთეული მეგრული გახმოვანებისაა და ქეგლ-ში ეს უნდა აღინიშნოს.

ცირა

„ღობის გადაღმა მოჯადოებულივით იდგა ჯურგუს ლამაზი ცირა - თოლისქვამი“ (წულეისკირი, 1977:7).

ქეგლ-ში **ცირა-ს** საუბრულის კვალიფიკაცია აქვს და გასათხოვარ ქალს, ქალიშვილს ნიშნავს (ქეგლი).

ცირა - ქალი (გასათხოვარი), ქალიშვილი, გოგონა (ჭარაია, 1997; ქაჯაია, 2001-2002). მეგრულში და ლაზურში აქტიურად გამოიყენება კომპოზიტი **ცირასქუა** „ქალიშვილი“. **ცირა** საკუთარ სახელადაც გვხვდება.

შდრ. გურ., აჭარ. **ციცა** ქალიშვილი, გოგო.

ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მეგრული **ცირა** („გოგონა“) დაკავშირებულია ქართულ **მცირე, უმცროს** ფუძეებთან. „ქართული **მ-ცირ-ე** ფუძის კანონზომიერი მეგრული შესატყვისი შეიძლება იყოს მეგრული ცირ-ა<*მ-ცირ-ა (ფენრიხ..., 2000:582).

ვფიქრობთ, დამატებით კვლევას მოითხოვს შეპირისპირებულ ერთეულთა სემანტიკური განსხვავებულობა.

ძიქვა

„ბუთიას ძიქვა სძვრებოდა“ (წულეისკირი, 1987:38).

ძიქვა ქეგლ-ში შესულია კვალიფიკაციის გარეშე, „შარვალი“ (ქეგლი).

მეგრულში **ძიქვა** არის „შარვალი“ (ჭარაია, 1997); წელში ანაოჭებული და ტოტებმოვიწროებული შარვალი, რომლის ჩაცმა შეიძლებოდა შებრუნებულადაც, რადგან წინაც და

უკანაც ერთნაირი იყო; არ ჰქონდა ღილები, სარტყელი და წელზე მაგრდებოდა ხვანჯრით (კურთალარით); უპირატესად იქსოვებოდა ხელით, ყაისნაღით, ძირითადად იცვამდნენ მოხუცები და ბალღები (ქობალია, 2010).

შდრ. ზ. აჭარ. **ძიგვა** შარვალი, შეკერილი ოჯახში მოქსოვილი უხეში შალის ნაჭრისაგან (ღლონტი, 1984); ლაზ. ძიკვა - შარვალი (თანდილავა, 2013).

ლაზურში **ძიქვა/ძიკვა** კილოკავური ფორმებია, რომელიც ნიშნავს ფართოუბიან ჩიქურას, შარვალს. მეგრულში **ძიქვას** დამატებით საცვალის მნიშვნელობაც აქვს.

შდრ. ახალქალაქთან (ჯავახეთი) არის „ფალოსის სალოცავი“ უშვილო ქალებისთვის - „ძიქვა“.

წკურვა

„კერიასთან დაბალი ლოგინი გამოჩნდა, რომელზედაც გულზე ხელებგადაჯვარედინებული და თვალებდაწკურული მიცვალებული ქალი ესვენა“ (ქიაჩელი, 1985:353).

„თვალები მოწკურა პანტემ“ (წულეისკირი, 1977:24).

საანალიზო ერთეული მეგრული გახმოვანებისაა, რომლის სახელური და ზმნური ფორმა ორივე დასტურდება ქეგლ-ში: **წკურავს** - (‘და’ წკურა, ‘და’ უწკურავს) გრდმ. 1. ოდნავ ხუჭავს (თვალებს), ჭუტავს. 2. უხმარიათ ჭმუხნის ზმნის მნიშვნელობით. **წკურვა** - სახელი წკურავს ზმნის მოქმედებისა: ჭუტვა (თვალებისა) (ქეგლი).

წკურ- ძირის შემცველი ფორმებია მეგრულ მეტყველებაში **წკურ-უ-ა** (დახუჭვა), **მო-წკურ-უ-ა** (მოხუჭვა) **გე-წკურ-უ-ა** (დახუჭვა, გადატ. დაკარგვა, დაშრეტა (იმედისა)), **თოლ-გე-წკურ-ილ-ი** (თვალდავსებული, მკვდარი), **წკურ-უ-მ-ი-ა, წკურუმია სერი** (ბნელი, უკუნი; უკუნი ღამე)...

წკურვა გამოიყენება იმერულშიც „მოწკურვა, დაწკურვა; დაღვრემა, მოღუშვა, მოქუშვა; მოწკურული - დაღვრემილი, მოქუშული“ (ღლონტი, 1984).

წ>წკ გარდაქმნით პროფ. მ. ჩუხუა წკურ- ძირს წურ- ფუძეს უკავშირებს:

„ქართ. წურ-, ი-წურ-ებ-ა, მი-ი-წურ-ა, მი-წურ-ულ-ი.

ზან. (მეგრ.) წკურ-, გინო-წკურ-უ-ა „გადაწურვა“, გეგნო-წკურ-უ „გადაწურა“, იმენდგგინო-წკურ-ილ-ი=იმედგადა-წურ-ულ-ი.

მეგრულში ფიქსირებული წურ-, ილა-წურ-უ-ა „დახრა, ჩახრა“ ქართულიდან არის შეთვისებული. საკუთრივ ზანური წკურ-, ქართული წურ-ის შესატყვისი - შემორჩენილია ზემო-თაღწერილ სპეციფიკურ გამოთქმებში“ (ჩუხუა, 2000: 366).

ამავე ლექსიკონში მეგრ. წკურ-ი („კანი, ჩენჩო“) ძირი შეპირისპირებულია სალიტ. ჭურ-ი („აბჯარი“) ფუძესთან (ჩუხუა, 2000:387). ვფიქრობთ ეს შემთხვევაც დამატებით კვლევას მოითხოვს.

ჯარგვალი

„...იქვე მდებარე ჯარგვალზე მოიკეცა და შავი თავშალით დაიბურა პირისახე“ (გამსახურდია, 1992:235).

„მატარებელმა ჯერ ნაძვნარში მიმობნეულ რუსულ ყაიდაზე აშენებულ ჯარგვალის სახლებს ჩაუქროლა“ (ქიაჩელი, 1985:218).

„ბავშვის ცხედარი ჯარგვალში, შუა ადგილას ესვენა“ (წულეისკირი, 1977:5).

ქეგლ-ში ლექსემის განმარტებისას აქცენტი არ არის გაკეთებული მის კუთხურობაზე: ჯარგვალი - 1. მრგვალი გაუთლელი ხეებისაგან აშენებული (შენობა), ძელური; 2. ამგვარად აშენებული სახლი. 3. სპეც. ძელისაგან შეკრული სამ ან ოთხკუთხა ჩარჩოს სახის სამაგრი გვირაბში (ქეგლი).

ვხვდებით „ქართულ ლექსიკონშიც“: ჯარგუალი (ჯარგ-ვალი) - ესე არს ძელნი მოჭდობილნი სამ-ოთხ კუთხედ მაღალი, ვიეთნი კიდობანად სახელს დებენ. ლექსიკოგრაფი

შესადარებლად გვაგზავნის იმავე მნიშვნელობის ჯირგუალი* (ნუსხებშია „ჯირგვალი“) ერთეულისკენ (ორბელიანი, 1991).

ერთეული კომპოზიტური წარმოებისაა, რომელიც შედგება მეგრ. **ჯა** (ძელი) + **რგუალი** (მრგუალი) ფუძეებისგან. ამაზე მიუთითებს ი. ყიფშიძე განმარტებისას **ჯა** „ხე“; **ჯა+რგვალი** მრგვალი მორების ნაგებობა, (ყიფშიძე, 1914). ეს მეგრული გახმოვანების სიტყვა, დასტურდება სხვა დასავლურ კილოებშიც (გურ., იმერ., აჭარ.). გვხვდება ლაზურშიც მრგვალი ხის მნიშვნელობით: **ჯაგვალა** - მორი, **ჯაგვალი** - მრგვალი ხე (თანდილავა, 2013).

მიუხედავად იმისა, რომ **ჯარგვალი** ქართველურ სივრცეში უმეტესად თავისუფალი გამოყენებისაა, ვფიქრობთ, ქეგლში მისი მეგრ. კვალიფიცირება უნდა მოხდეს.

ზოგადად, მსგავს შემთხვევებში, **როცა სიტყვა გახმოვანებით ან ფორმობრივ-სემანტიკურად მეგრულ-ლაზური, ან სვანური წარმომავლობისაა, აუცილებლად უნდა მოხდეს კვალიფიცირება.**

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ განსხვავებული სემანტიკით დადასტურებული მეგრული ფორმები

თური

„ჯურგუს თურებს თავს დიდი უბედურება დაატყდათ“ (წულეისკირი, 1977:5).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **თური** შესულია საბასეული განმარტებით „ქორის საჯდომი ZABC“ (ორბელიანი, 1991). მეგრულში მას სხვა მნიშვნელობა აქვს.

თური განიმარტება როგორც მოგვარე; სისხლით ნათესავი; ტომის, მოდგმის წარმომადგენელი. გვარი იყოფა თურებად (მოიცავს 5-6 თაობას) (ქაჯაია, 2001-2002).

მეგრულ-ლაზურში **თური** გამოიყენება ზოგადი მნიშვნელობითაც, როგორც მონათესავეთა ფართო ჯგუფის, შთამომავლის, მოდგმის აღმნიშვნელი. მაგ. ენა მითინს ვაშუ, ვართ ჩქიმ თურს დო ვართ შხვაშ თურს „ეს არავის არ ახსოვს, არც ჩემს მოგვარეს (მოდგმას) და არც სხვის მოგვარეს (ახლობელს)“ (ქაჯაია, 2001-2002).

თურს უკავშირდება ამ მეტყველებაში გამოყენებული ფორმა **უთური** „უჯიშო, უთვისტომო“.

თავი, თავთავი ფუძის შესატყვისად განიხილება მეგრ. **თი**: „ქართ. **თავ-** ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული და ლაზური **თი** (<საერთოზანური **თოუ**) და სვანური **შდაუ/შდა**. მეგრული **თუ-დო** და ლაზური **თუ-დე** („ქვემოთ“) ზმნიზედები კანონზომიერად უნდა შეესატყვისებოდნენ ქართულ **თავდა** (თავდაღმა) ზმნიზედას“ (ფენრიხი..., 2000:226).

პროფ. ე. დადიანი კი **თური**-ს **თი**-საგან მომდინარეობაზე მიუთითებს, რომელიც სახლს, ოჯახს, სახლ-კარს ნიშნავს; **-ურ** სუფიქსის დართვით ნაწარმოები ფორმა აღნიშნავს სახლეულს, ოჯახის განაყოფს (დადიანი, 2007:246).

კაკუტი

„გამურულ კაკუტებზე მჭვარტლის ლოლუები ეკიდა“ (გამსახურდია, 1961:92).

„მაღლა ჭერში ჯარგვალის გაჭვარტლულ კაკუტებსა და ლარტყებს შესცქეროდა“ (წულეისკირი, 1977:12).

ქეგლ-ის განმარტებების მიხედვით: **კაკუტი** 1. კუთხ. (იმერ.) სიმინდის საფშვენი ხელკავი. ღომის საცეხვი - მსხვილი, მოხრილთავიანი. 2. კუთხ. (ლეჩხ.) მარწუხი.

მეგრულში მას დამატებითი მნიშვნელობაც აქვს **კაკუტი** „ლარბაყინი (სახლის სახურავის ხეა), რომელსაც ეყრდნობა სახლის სახურავი (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997).

ვფიქრობთ, ამ მნიშვნელობის დამატება სალექსიკონო ერთეულზე, გაამდიდრებს სამწიგნობრო ენის ფონდს.

ლამი/ლამე

„ადგა მიწიდან სილამე და ოსეოფა“ (გამსახურდია, 1992:107).

ეს ერთ-ერთი ის შემთხვევაა, როცა მასალის ანალიზისას მეგრული მონაცემის გათვალისწინებაა საჭირო. ქეგლ-ის მიხედვით: **ლამი** - 1. მდინარის, ტბის ან ზღვის წყლის დანალექი სილა. 2. კუთხ. (ქიზიყ.) უქვო, უკენჭო შავი მიწა, ადვილად დასამუშავებელი. 3. ძვ. ნამი, სინოტივე. **ლამიანი** - 1. ლამით დაფარული, - დალამული (ადგილი). 2. ნოტიო (ქეგლი).

ლამე მეგრულში ოდნავ სველს, ბოლომდე გაუმშრალებელს, დანამულს აღნიშნავს (ყიფშიძე, 1914). **ლამინი** ხევსურულში წყალში დამხრჩვალის ეპითეტია (ჭინჭარაული, 2005).

პროფ. რ. შეროზია, **ლამ-** ძირის ანალიზისას ემყარება ვეფხისტყაოსანში ფიქსირებულ ფორმებს: „მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს, მინდორთა **მოსალამენი**“ (223,4); „თვალთაგან ცრემლნი **დალამნეს**“ (952, 2); „მო-ვით-გითხრა ცრემლთა **ლამით?**“ (1116, 4); „მათ ცრემლი **დაილამიან**“ (1623,4), სადაც **ლამ** ძირი სისველესთან (ცრემლის დენასთან) არის დაკავშირებული ისევე, როგორც მეგრულში (შეროზია, 2012:278).

ამ კვლევიდან ჩანს, რომ რუსთველისდროინდელ სამწერლო ენაში **ლამ-** ძირისთვის მისი დღევანდელი მეგრული მნიშვნელობა უცხო არ იყო.

სხაპი

„როცა ცხენები სხაპის თამაშზე მიაგდეს, აქ ასთამურმა აიღო პირველობა“ (გამსახურდია, 1990:85).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით **სხაპი** კუთხური, კერძოდ კი გურული სიტყვაა და იგივეა, რაც მახე (ქეგლი). ო. ქაჯაიას მეგრულ ლექსიკონშიც განმარტებულია, როგორც ჩიტის დასაჭერი მახე; ხაფანგი, კაკანათი და შედარებულია გურულ სხაპთან, ფრინველების საჭერ ძუის მახესთან (ქაჯაია, 2001-2002).

სხაპი ლეჩხუმურშიც დასტურდება განსხვავებული მნიშვნელობით - დაკლული საქონლის კისრის ნაწილი (ღლონტი, 1984).

მსგავსი სემანტიკის სიტყვა ამ ძირით ხევსურულ მეტყველებაში დასტურდება **სხაპნი** - „მათრახით, წნელით და მისთ. ცემის ხმა. იქავ შეჯდება ლურჯასა, სხაპნ იქნან მათრახისანი“ (ჭინჭარაული, 2005).

პროფ. რ. შეროზია, ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულ **მონასხპანი** („სასწრაფოდ გამოშურებულნი, ცხენთა ნავარდით წამოსულნი“) ფორმას[29] მეგრულში დადასტურებულ **სხაპ** ძირს უკავშირებს, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობის მოსაზრებას ამყარებს ხევსურულში დადასტურებული **სხაპნი** ფორმის არსებობით - „სწრაფად მისვლა, მიხტომაა“ (შეროზია, 2012:278; ზ. სარჯველაძე: **სხაპ** ძირი დაკავშირებულია ფშაურ **გამოვსხვეპ** ფორმასთან).

ვფიქრობთ, ქეგლ-ში **სხაპი** ერთეულს უნდა დაემატოს ერთ-ერთი მეგრული მნიშვნელობა „ნახტომი, ილეთი, ფიგურა ჯირითისა“ (ქობალია, 2010), ან „ცხენის სწრაფი გაჭენება“.

---

[29] „იგი ვარსკვლავთა ურიცხვნი მოკრბეს ინდოთა სპანია, შორით და ახლოთ ყველაი მართ ჩემკე მონასხპანია“. („ვეფხისტყაოსანი“, 408.3)

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ დაუდასტურებელი მეგრული ფორმები

ამ ქვეთავში წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულებიდან შერჩევით შეიძლება გამდიდრდეს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“:

ანანავება

„ქალს ბავშვი მკერდზე მიეკრა და ანანავებდა“ (წულეისკირი, 1977:222).

მეგრულში **ნანა** („დედა“) სიტყვა არაერთი საალერსო ფუძის საწარმოებლად გამოიყენება: **ნანა-სქუა** „დედა-შვილი (შდრ. ბაბა-სქუა „მამა-შვილი“), **ნანა-დედა** „დედა-დედა“, **ნანა-გე** „დედა გენაცვალოს“... მეგრულში **ნანა** ჰქვია დედის სიმღერასაც, სწორედ აქედან არის ნაწარმოები **ა-ნანა-ვ-ებ-ა**, რომელიც „დედის სიმღერით დაძინებას“ გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ ქეგლ-ის ახალ რედაქციაში ზმნური ფორმა **ანანავებს** ახსნილია, როგორც „ნელა არწევს, არხევს“. მასთან არაა კუთხურ წარმომავლობაზე მითითება. ვფიქრობთ, დამატებით განმარტება სჭირდება დარწევას რატომ გულისხმობს ანანავება, ამას კი მეგრული მნიშვნელობის გამოყენება მოჰფენს ნათელს.

ბუწკანტია

„ჯიბის ბუწკანტია ტუჩზე მიედო და გატაცებით უკრავდა“ (წულეისკირი, 1987:480).

მწერლისეული განმარტებით **ბუწკანტია** არის გარმონი. ა. ქობალიას ლექსიკონშიც დასტურდება ბუწკანტი იმავე მნიშვნელობით (ქობალია, 2010).

საანალიზო ერთეულში შეიძლება გამოიყოფა **ბუწკ**-ძირი, მაწარმოებელი რთული სუფიქსი კი მის ფორმაზე მიუთი-

თებს, როგორც პატარა, ჯიბის საკრავზე. მაგრამ, ვფიქრობთ, მეტად სავარაუდოა წკანტ- ძირის გამოყოფა - ბუ-წკანტ-ია. მეგრულში წკანტ-ი, წკანტ-აფ-ი არის მცირე ხმაურობა; ალ. ქობალიას განმარტებით „ჩქამის გაღება, წკარუნი; წკანტ ვარკუ - ჩქამი არ გამოეპარება, გამჭრიახი გონება და მახვილი სმენა აქვს“ (ქობალია, 2010). ამავე ძირის მატარებელია წკანტ-ილ-ი ფუძე „მცირე ხარვეზის გარეშე გაკეთებული საქმე; დახვეწილი, სუფთა“. ამ შემთხვევაში საკვლევია თავკიდური ბუ-ს საკითხი.

განუა

„ხბოს რძე მოაგანინა“ (წულეისკირი, 1977:33).

მეგრულ მეტყველებაში განუა არის ხბოსთვის ძუძუს მოწოვა ძროხის მოწველამდე (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997). ა გახმოვანების ზმნური ფორმა მო-გან-უ-ა („გენვა“), გან-უნ-ს („გენავს“) უკავშირდება ხბოს შესატყვისს მეგრულში გენ-ი/გინ-ს (ყიფშიძე, 1914).

ეტიმოლოგიის დადგენისას შენიშნულია, რომ იმერულში ხმარებული გენვა ზანიზმია, მეგრული მო-გან-უ იმავე გენ-თან არის დაკავშირებული (ჩიქობავა, 1938:98).

ს. ჟღენტი მეგრ. განუა ფორმასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ „გურულშიც ამ ზმნის ფუძეა გამოყენებული იმავე მნიშვნელობის გადმოსაცემად, მხოლოდ ქართულისათვის დამახასიათებელი შესატყვისი გახმოვანებით: მო-გენება; ჭან. გენი ნიშნავს ხბოს“ (ჟღენტი, 1940:225)

ამის შემდეგ გამოითქვა მოსაზრება, რომ მეგრ. გან- ზმნური ძირი კანონზომიერად შეესატყვისება სალიტ. გენ- ზმნურ ძირს. გენ-ი (ხბო) კი უმლაუტის გზით მიღებულია გან- ფორმისაგან. გურულსა და იმერულში შემორჩენილი გენ- ძირი საერთოქართველურისათვის იყო დამახასიათებელი (ფენრიხი..., 2000:136).

ამასთან დაკავშირებით პროფ. რ. შეროზია აღნიშნავს, „იმერულ-გურულის **გენ-ვ-ა** ნასახელარი ზმნური ძირია. შესაბამისად, მეგრულ-ლაზური და იმერულ-გურული **გენ-ი** (ასევე, მეგრული **გინი<გენი**) სახელური ძირია. თუ დავუშვებთ, რომ მეგრულ-ლაზური **გენ-** ზმნური **გან-** ძირიდან არის მიღებული, მაშინ უნდა ვივარაუდოთ სახელური **გენ** ძირიდან ზმნური **გან-უ-ა** ფორმის მიღება და შემდეგ მისგან ისევ სახელური (გენ) ფუძის წარმოქმნა (?!)“ (შეროზია, 2013 ა:359).

როგორც ვხედავთ, მეგრულში ზმნური ფორმის გამოსაყოფად ხმოვანმონაცვლეობის წესი მოქმედებს და ამისთვის გამოყენებულია **ა:ე/ი** მონაცვლეობა: **გენი (გინი) გან-უ-ა“**.

ქეგლ-ის ახალ რედაქციაში შესულია **გენვა** იმერული კვალიფიკაციით „ხბოს მიერ ძუძუს წოვა“ (ქეგლი). ზმნის პირიანი ფორმის **განუნს** ექვივალენტი (სავარაუდოდ „**გენავს**“) არ არის შესული. ამასთან, მაშინ როცა იმერულ-გურულში „ზანიზმადაა“ კვალიფიცირებული საანალიზო ერთეული, განმარტებით ლექსიკონში, მით უფრო უნდა იყოს წარმოდგენილი სიტყვა-ფორმის წარმოშობა.

გოლუაფირო

„შენი მიმინო გათვალული უნდა იყოს, გოლუაფირო, ისე მობუზულა“ (გამსახურდია, 1992:108) .

„ჩემი ანგელოზი ბიჭი, გოლუაფირო!“ (წულეისკირი, 1977:6).

გოლუაფირო იგივეა, რაც **გოლვაფირი** - შემოვლებული; საალერსო შორისდებული გენაცვალე (უნდა იყოს შემოგევლე) (ქაჯაია, 2001-2002); შემოგევლე (ლოცვის ფორმულა) (ქობალია, 2010).

დამორჩილი

„თანაბრად დასდევდა როგორც ძროხებს, ისე ხარებს და „დამორჩილის“ მოზვრებს“ (გამსახურდია, 1961:911).

დამორჩილი მეგრულად შემოდგომას ნიშნავს. ი. ყიფშიძე **დამორჩილს** უკავშირებს **და-მორჩვა** „ფოთლების ტოტების გაცლას“ (ყიფშიძე, 1914).

კომპოზიტურ სიტყვაში გ. როგავა პირველ კომპონენტად **დღა-ს** აღადგენს (ღ-ს დაკარგვის შემთხვევები): **დღა+მორჩილი>დამორჩილი** - სიტყვასიტყვით დღემოკლე (როგავა, 1965:189).

ი. ყიფშიძისეული სემანტიკური დაკვირვება შემოდგომისთვის დამახასიათებელი მოვლენისადმი დამაფიქრებელია, მაგრამ ვფიქრობთ, გ. როგავას თვალსაზრისი **დღა+მორჩილი>დამორჩილი** მეტად გასათვალისწინებელია.

მორჩილი ლექსემის ანალიზისათვის იხ. **ტანმორჩილი** გვ. 201.

დიხაგუძუბა

„პატარ-პატარა დიხაგუძუბები - გორაკები რომაა, ეს ჩვენი წინაპრების სამარხებია“(წულეისკირი, 1977:47).

დიხაგუძუბა - ვაკის გორმახი, თეფა; მიწაყრილი; ბორცვი; გორის სოფელი, გორასამხარი (ქობალია, 2010).

დიხაგუძუბა კომპოზიტური წარმოების ერთეულია - **დიხა+გუძუბა.**

დიხა „მიწა, თიხა, ადგილი“ გვხვდება სხვა კომპოზიტურ წყვილშიც: **დიხაჭუბერი** - თიხა წითელი (საგოზავი მიწა) (ჭარაია, 1997). **უჩადიხა**„შავი მიწა“, **დიხაზურგა** „გორაკი, მიწაზვინული“, **დიხანწალუა** „მიწისძვრა“...

დიხა ლაზურშიც არის „ხმელეთი, ნიადაგი, მიწა“ (თანდილავა, 2013).

ეტიმოლოგიურად **მეგრ. დიხა : სალიტ. თიხა-** ფუძეთა შეპირიპირებისას გ. კლიმოვის მიერ „ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისას“ აღდგენილია ***თიჴა** არქეტიპი; ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის მიერ კი „საერთოზანურ“ არქეტიპად - ***დიჴ-** (ფენრიხ..., 2000:175). პროფ. რ. შეროზიას თვალსაზრისით, **თიჴა:დიხა** შეფარდებაში ამოსავალი ვითარება (ნაწილობრივ მაინც) მეგრულ-ლაზურ მეტყველებებს აქვს დაცული, ამიტომ სამართლიანია ***დიჴა** არქეტიპის აღდგენა“ (შეროზია, 2010:174).

კომპოზიტის მეორე ელემენტი **გუმუბა** აღნიშნავს ამაღლებულ ადგილს, პატარა გორაკს (ქაჯაია, 2001-2002).

ნათელია **დიხაგუმუბა** ლექსემის მეგრული წარმომავლობა და ვფიქრობთ, სამწიგნობრო ენის გასამდიდრებლად თუ გამოვიყენებთ, ქეგლში მისი ასახვა შესაბამისი კვალიფიკაციით უნდა მოხდეს (შდრ. ქეგლის ახალ რედაქციაში შესულია მსგავსი წარმოების **დიხაშხო** ერთეული, რომელსაც არ აქვს მეგრული კვალიფიკაცია).

ვაშინერს

„ვაშინერს... როგორ აგიხსნა, უხსენებელი, უთქმელი, პატონსქუა“ (გამსახურდია, 1992:109).

შინ-ერ- ფუძისაგან იწარმოება დადებითი და უარყოფითი გაგების ორი ზმნური ფორმა: **შინ-ერ-ს** და **ვა-შინ-ერ-ს (ვა<ვარი:უარი).**

მეგრულ ლექსიკონებში დასტურდება ორივე ფორმა: **შინერუა** (მიშინერს) - მერგება, ჯერ არს ჩემთვის, შემესაბამების. **ვაშინერს** - არა ჯერ არს, არ შემესაბამების, არ ივარგებს (ჭარაია, 1997); **შინერს** ღვთისგან დასაშვები, ღვთის ნება/ღირსად ყოფა; შესაფერისობა; ათე ძღაბი ვამიშინერს ოსურო – ეს გოგო არ მეგების (მერგება) ცოლად (ქაჯაია, 2001-2002); **ვაშინერს** არ ეგების! არსახსენებელია! ცოდვაა! ტაბუ!

რწმენაზე დამყარებული შიშის გამო რაიმე საგნის, სიტყვის ან საქმის აკრძალვა, ბრძნობა (ქობალია, 2010).

საფიქრებელია, **შინ-ერ-** უკავშირდებოდეს მეგრულ მეტყველებაში გამოყენებულ **შინ-უ-ა** („ხსენება, გახსენება") ფუძეს. მისგან ნაწარმოებია **გო-შინ-ა** „გახსენება, მოგონება", **ვა-გ-მო-შინ-ა** „არ გამახსენო", **ვა-შინ-უ-ა** „არ ახსენო". მაგ. სამეგრელოში გველის ხსენებაზე იტყვიან **„ვაშინერს"** მისი სახელის თქმაო, სალიტერატურო ენაზე კი მას **„უხსენებელს"** უწოდებენ.

დღეს მეტყველებისას ხშირად იყენებენ **ვაშინერს** ფორმას, ამდენად მისი ადგილი განმარტებით ლექსიკონში უნდა განისაზღვროს შესაბამისი კვალიფიკაციით.

ზესნახე

„ბუმბურია შეყვარებულია. ზესნახე უყვარს... ძილშიც სულ თავისი მზეთუნახავი ესიზმრება. ზესნახე ხომ მზეთუნახავს ნიშნავს" (წულეისკირი, 1987:12).

მწერალი **ზესნახე** ფორმას საკუთარ სახელად იყენებს ნაწარმოებში. აღსანიშნავია, რომ თვითონ ავტორიც ამახვილებს ყურადღებას მის მნიშვნელობაზე და განმარტავს, რომ **ზესნახე** მზეთუნახავს ნიშნავს.

მეორე საკუთარი სახელიც, რომელიც ფიქსირდება დამოწმებულ ტექსტში, მომდინარეობს მეგრული ფორმიდან. თავად ნ. წულეისკირიც განმარტავს ტექსტში, რომ „მაგარივით აშლილი და მუდამ გაბურძგნილი ქოჩრის გამო სოფელმა შეარქვა ბუმბურია" (წულეისკირი, 1987:11) (ძირის ანალიზისათვის იხ. **ბუმბურა**, გვ. 178).

სხვა ნაწარმოებში ნ. წულეისკირი იყენებს **ზისუნახე** ფორმასაც, ამ შემთხვევაში არა საკუთარ სახელად: „ზისუნახე, მე მეკითხება გუგუ ექიმი?" (წულეისკირი, 1977:250)

მეგრულ მეტყველებაში გამოიყენება **ზისინახე//ზისნახე// ზისუნახე//ზგსგნახე** („მზისუნახავი, მზეთუნახავი (ქალი)")

ფორმები (ჭარაია, 1997; ქაჯაია, 2001). ცხადია ლექსემის კომპოზიტური წარმოება, რომელიც შედგება **ზის+უნახე< <მზის+უნახავი** ფუძეებისაგან, რომელიც გულისხმობს სალიტერატურო „მზეთუნახავი“ ფორმის ვარიანტს.

თანაფა

„ღმერთებისათვის ღამის თენება წელიწადში ერთხელ იმართებოდა, მაგრამ ეს იყო დიდი ზეიმი - თანაფა“ (წულეისკირი, 1977:179).

ნ. წულეისკირი გადმოგვცემს საანალიზო მასალის შინაარსს: „როგორც ჩანს, ეს დიდი წარმართული დღესასწაული ქრისტიანობამ გამოიყენა. მართალია, დღესასწაულს ძველი შინაარსი გამოაცალა, მაგრამ სახელი ძველი შერჩა. დღეს თანაფა აღდგომაა“ (წულეისკირი, 1977:179).

ი. ყიფშიძემ **თან-** ძირს დაუკავშირა **თანაფა, გო-თანაფა, გო-თანა** („თენება“) **თან-აფ-ა, ო-თან-აფ-ე** („აღდგომა, სააღდგომო“) ფორმები (ყიფშიძე, 1914). ლაზურ ლექსიკონში იმავე მნიშვნელობით გვხვდება **თანაფა** „თენება; აღდგომა“ (თანდილავა, 2013).

ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში სალიტ. **თენ-** : მეგრ. **თან-** ძირებთან ერთად შეპირისპირებულია სვან. **თენ-/თნ-** ლი-თნ-ე „დაბადება, გაჩენა“. მნიშვნელობათა სხვაობაზე შენიშნულია, რომ „ქართული და სვანური ფუძეების მნიშვნელობათა სხვაობა ანგარიშგასაწევია, თუმცა გადაულახავი დაბრკოლება ვერ იქნება მათი დაკავშირებისათვის (ფენრიხ..., 2000:233).

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ სვანურში აღდგომის აღსანიშნავად გვაქვს იგივე **თანაფ** ფორმა, აღდგომის კვირისად - **თანფიერ** (თოფურია..., 2000).

პროფ. რ. შეროზიას მოსაზრებით, **თანაფა** „წარმოქმნილია იმ დროსთან მიმართებით, როცა ნახეს ქრისტეს აღდგომა. უნდა ვიფიქროთ, რომ **თანაფა** ფორმამ ეკლესიური

მნიშვნელობა შეიძინა მანამდე, სანამ ქართველურ ეკლესიაში ტერმინი **აღდგომა** დამკვიდრდებოდა (სავარაუდოა, რომ ტერმინი **ქირსეც** ასევე უსწრებს **შობა** ფორმას)“ (შეროზია, 2013 ბ:405).

თვალუა

„თვალუას“ უძახიან ოდიშის მხარესა და აფხაზეთში ამგვარ დატირებას. „თვალუა“, ალბათ, იმიტომ ჰქვია, ტრანსში გადასული მოტირალი ცხადლივ რომ ესიტყვება მზეგადასულთ“ (გამსახურდია, 1990:581).

„ტატუს... რაც გუგუ მოესწრო, აღარ უგლოვია, იშვიათად წამოიწყებდა მოთქმას, იშვიათად გააბამდა ძველებურ თვალუას“ (წულეისკირი, 1977:315).

მეგრულში მოთქმით ტირილის, გოდების აღმნიშვნელია **თვალუა.** ი. ყიფშიძე **თვალ** - ძირის ორგვარ მნიშვნელობაზე მიუთითებს 1. თვლა; 2. გოდება. საანალიზო ერთეული მოცემულ კონტექსტში მეორე სემანტიკას გულისხმობს. მისგან ნაწარმოები სიტყვებია: **თვალ-უნ-ს** (მოთქმით ტირის), **გე-თვალ-უ-ა** (მოთქმით დატირება), **ო-თვალ-არ-ი** (დასატირებელი), **ნა-თვალ-ა** (მოთქმით ნატირალი).

თვალუა „მოთქმით ტირილი“ გულისხმობს გარდაცვლილის ღირსებების ჩამოთვლას (ქობალია, 2010). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ **თვალუა** („თვლა“) ძირი დიდად ვერ დაშორდება მნიშვნელობის მხრივ მოთქმით ტირილ **თვალუა**-ს.

მეგრ. **თვალუა** ფორმობრივ-სემანტიკურად იგივეა, რაც **დათვლა/დათვალვა,** რომელიც სალიტერატურო ენასა და კილოებში რამდენიმე მნიშვნელობით დასტურდება: თვლა, აღრიცხვა, დათვალიერება, შეწყნარება, მოყოლა, მოთქმა, ხმით დატირება... ამათგან ამოსავალი პირველი მნიშვნელობა (თვლა) უნდა იყოს, დანარჩენი მისგან განვითარებული ჩანს. მეგრულის მსგავსი სემანტიკა (ხმით დატირება, მოთქმა)

დასტურდება ხევსურულში (ჭინჭარაული, 2005) და იმერხეულში (დადიანი, 2009 ბ:19).

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი **სალიტ. თვალ-**: ზან. **თოლ-** :სვან. **თერ- // თეჳრ-** „თვალი, დათვალიერება“ ძირთა შესაძლო კავშირზე **სალიტ. თვალ-** : სვან. **შდილ-//შელდ-//შოლდ-//შგლდ-** „დათვლა“ ფუძეებთან (ჩუხუა, 2000-2003:320).

თუთარჩელა

„კოლხური თუთარჩელა ადამიანს სევდას ჰგვრის, თითქოს მთვარეს ცრემლები სცვივა“ (წულეისკირი, 1977:176).

საინტერესოა ნ. წულეისკირის დამოკიდებულება ამ ერთეულის გამოყენებაზე საერთოქართველურში, რომელიც ნათლად წარმოადგენს ენის გამდიდრდების ნიმუშს: „თუთარჩელა მთვარიანი ღამეა. ერთი სიტყვით, თუთარჩელათი თქმულია ის, რაც ორი სიტყვით „მთვარიანი ღამით“ უნდა გამოითქვას. თავისთავად სიტყვაც ლამაზია. მოუსმინეთ მის ჟღერას... **ნამდვილი ქართულია, თითქოს დიდი ქართული ენის ლექსიკიდანაა აღებული. ხალხის მიერ საქართველოს ერთ შორეულ კუთხეში შექმნილ სიტყვას კუთხურობის იერიც კი არ გადაჰკრავს, რუსთაველის თქმულსა ჰგავს. „თუთარჩელას“ სიმშვენიერე და სიდიადე უმალ იგრძნო დედაქართულმა და თავის წიაღში დაამკვიდრა“** (წულეისკირი, 1987:488).

ლექსიკური ერთეული **თუთა+რჩე** ფუძეებისაგან შემდგარი კომპოზიტია.

თუთარჩელა - მთვარიანი ღამე; თეთრი მთვარე (ღრუბელი არაა და მთვარე ანათებს) (ქაჯაია, 2001-2002).

საანალიზო ერთეულში **თუთა** - მთვარეს აღნიშნავს (ჭარაია, 1997). ამ შინაარსის შესიტყვებებია **თუთაში სინთე** მთვარის სინათლე, **თუთაშხა** - ორშაბათი (თუთაშ+დღა „მთვარის დღე“), **თუთაგოფშა** სავსე მთვარე, **თუთამართუ/**

/მართუთუთა მომქცევი მთვარე... ლაზური (ათინ.) თუთა//მთუთა მთვარეა (თანდილავა, 2013).

კვლევისას მასალათა შეპირისპირების შედეგად აღდგენილია *დუთე- არქეტიპი, რომლისგანაც კანონზო-მიერად გამოიყვანება ქართული თთუე- „თვე“ (<*თუთე-<*დუთე-) მეგრული თუთა- „მთვარე“ (<*დუთე-) ლაზური თუთა „მთვარე“ (<*დუთა-; მთუთა- ფორმაში მ ანლაუტში განვითარებულია) და სვანური დოშდ- „მთვარე“. სვანურში ამ ძირს შემონახული აქვს მხოლოდ უძველესი მნიშვნელობა (ფენრიხ..., 2000:177-178).

კომპოზიტის მეორე ელემენტი ჩე/რჩე გულისხმობს თეთრს, ნათელს.

საინტერესოა ამ ძირთან დაკავშირებული ჩელაია ფორმა მეგრულში, რომელიც შავგვრემანის ანტონიმად თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ და დავამკვიდროთ სალიტერატურო ენაში.

ამდენად, ვფიქრობთ, თუთარჩელა, როგორც მთვარიანი ღამის აღმნიშნველი ლექსიკური ერთეული და ჩელაია - „ძალიან თეთრი გოგო, ბიჭი“, უნდა შევიდეს „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

კველა

„კერას გარშემო მოკლეფეხიანი „კველად“ წოდებული სკამები ეწყო“ (ქიაჩელი, 1996:232).

„ციღუ კველას დასწვდა“ (წულეისკირი, 1977:155).

კველა დაბალი, პატარა სკამი; ჯორკო; ხისგან გათლილი დაბალი საჯდომი ერთი კაცისა (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997). ლაზურში (ათინ.) გამოიყენება კული - სკამი, მერხი (თანდილავა, 2013).

მეგრული წარმომავლობისადაა მიჩნეული იმერულში კველა - პატარა სკამი, ჯორკო. ლეჩხუმურში პატარა კუნძის მნიშვნელობით გამოიყენება კვილო (ღლონტი, 1984).

პროფ. მ. ჩუხუა აღადგენს ს.-ქართვ. *კუნილ- არქეტიპს:

„სვან. კუნილ ზს., ქს. „კუნძი“, „ხის დაბალი სკამი, ჯორკო“. ქართ. (ლეჩხ.) კვილ-ო „პატარა კუნძი“.

ზან. (მეგრ.) კველ-ა „პატარა დაბალი სკამი“, ჭან. კულ-ი „სკამი“.

სვანურში გამოვლენილი მნიშვნელობები ცხადად აჩვენებს სემანტიკური ევოლუციის მიმართულებას: კუნძი>||ხის დაბალი სკამი“.

იმერული კველ-ა „პატარა სკამი, ჯორკო“ იმეორებს მეგრულ კველ-ა-ს, რაც მისი ზანური წარმომავლობით აიხსნება. ამ უკანასკნელში შეიმჩნევა ი>ე გადაბგერება, რაც სპორადულად სხვაგანაც გამოჩნდება - ქართ. წვიმ-ა:ზან. (მეგრ.) ჭვემ-ა<ჭვიმ-ა...

ს.-ქართვ. *კუნილ- „კუნძი; ხის დაბალი სკამი" > ქართ. კვილ-ო : ზან. კველ-ა<*კვილ-ა,კულ-ი<*კვილ-ი : სვან. კუნილ (ჩუხუა, 2000-2003:134-135).

ვფიქრობთ, საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

ლაკადა

„იგი მოჰკლა ჩვენმა ახალმა მოურავმა, უბრალო ლაკადელმა აზნაურმა, ჩემი სიყვარულისთვის“ (ქიაჩელი, 1985:277).

„ლაკადიდან პარტყუს დისშვილი ჩამოვიდა“ (წულეისკირი, 1977:335).

ი. ყიფშიძე გეოგრაფიული სახელების გარდა ლა- თავსართს გამოყოფს ლა-კადა ტიპის სახელებშიც (ლა-პარტყია „ბრტყელი“, ლა-გვიმორია „გვიმრა“...); ლა-კადა ერთულს განმარტავს, როგორც დაღმართს, სოფ. ჯუმთან (ყიფშიძე, 1914) პ. ჭარაია აღნიშნავს, რომ ი. ყიფშიძეს სიტყვა ლაკადა სრულად არა აქვს განმარტებული და აღწერს: „კლდოვან-მთიანი ადგილი, სადაც მოსახლეობა და საქონლის ყოლა შეიძლება, მთა. ლაკადურიკათა, ლაკადარეფი (ბარელი, ბარელი კაცების მოწინააღმდეგე ცნებას გამოხატავენ) - მთიული, მთიელები (ჭარაია, 1997).

სიტყვის ეტიმოლოგიაზე პროფ. მ. ჩუხუა შენიშნავს:

„სვან. **კად-Არ** ზს., ლნტ., კად-არ ლშხ. „ხმელეთი“.

ქართ. (ქართლ., გურ., იმერ.) **კედ-არ-ო** „ქვეყანა, მხარე“, ლეჩხ. კედ-ერ-ო „მხარე, ნაპირი“,კიდ-ე „ნაპირი“,კიდ-ე-გან-ი.

ზან. (მეგრ.) **კად-**, ლა-კად-ა „მთის განაპირა მხარე“, კად-არ-ი (ტოპ.) კად-ა.

სვანურისთვის ისტორიულად ***კედ-არ** ტიპის ფუძე ივარაუდება, საიდანაც სუფიქსისეული **ა**-ს ზეგავლენით **ე>Ა>ა** უკუმიმართულების გადაბგერება განხორციელდა.

კედ- გახმოვანების უწინარესობაზე მიუთითებს ზანური **კად-** ძირიც (შდრ. ქართ. **ე**:ზან. **ა**), ამიტომ ქართული **კიდ-ე** დისიმილაციური ვარიანტი ჩანს ***კედ-ე** ისტორიული სახეობისა: ქართ. ***კედ-ე**:ზან. **კად-ა** > იმერ. **კად-ა** „კედელი (საცეხველისა)“.

საკითხი ისმის ზემოთაღწერილ ფუძეთა მიმართების შესახებ: ს.-ქართვ. ***კედ-** „ნაპირი, კიდე, მხარე“>ქართ. **კედ-**, კედ-არ-ი, **კიდ-ე**<კედ-ე:ზან. **კად-**, კად-ა:სვან. **კად-Არ||კად-Არ<** ***კედ-არ“** (ჩუხუა, 2000-2003:116).

ლაკადა-ს (მთიანი მხარე) ზუსტი შესატყვისი სალიტერატურო ენაში არ ეძებნება; ამდენად, მისი ადგილი განსაზღვრული უნდა იყოს ქეგლ-ში.

მაფშალია

„სადღაც, სულ ახლოს, გალობდა მაფშალია“ (წულეისკირი, 1977:220).

პრეფიქს-სუფიქსური წარმოების ერთეულში გამოიყოფა **ფშალ-** ძირი, რომელიც უკავშირდება მცენარე სვიას. ლექსიკონში **სვიას** მეგრულ შესატყვისად დასტურდება **მაფშალია, ფშალე** (მაყაშვილი, 1991).

ი. ყიფშიძე **ფშალი** „ზვუია“ (სვია) ერთეულთან ასახელებს ფორმებს: **მა-ბ/ფშალია, მე-ფშალია, მა-შაია მა-ვშაია** „ბულ-

ბული“; მა-ფშალური „ბულბულისებური“, მა-ფშალურო „ბულბულივით“ (ყიფშიძე, 1914). მა-ფშალ-ი-ა „ფშალოს ჩიტს“ გულისხმობს.

საინტერესოა, ლაზურ ლექსიკონში შესული მაფშალე „მესვიე; იადონი“ (თანდილავა, 2013).

პროფ. ტ. ფუტკარაძე მაფშალიას ძირს უკავშირებს არა სვიას, არამედ ფშა-ს „წყალს“: „მა-ფშ-ალ-ი-ა; მა-ალ- სიტყვამაწარმოებელი კონფიქსი; -ია კნინობით-ალესობითი სუფიქსი. ზანური ფშ- მომდინარეობს საერთოქართველური ფს- (ფსა „წყალი“, რომელიც შემორჩენილია სიტყვაფორმებში: ფსუმა (ფსმა), სუფსა (სურების ფსა „სურების წყალი). ფს-/ფშ- საერთო იბერიულ-კავკასიური ძირია“ (ფუტკარაძე, 2020:144).

სპარსული ბულბული და ბერძნული იადონი ერთეულების შესატყვისი ქართველურ მეტყველებაში არის მაფშალია, რომელიც დღესაც გამოიყენება მეგრულში (ამაზე მიუთითებს არნ. ჩიქობავაც; იხ. ჩიქობავა, 1966:30-31). მართალია, სპარსულ ბულბულ ფორმას ძლიერ აქვს ფეხი მოკიდებული, მაგრამ ამ ბოლო ხანს მაფშალია გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს და ხშირად გამოიყენება თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაშიც; ამდენად, ვფიქრობთ, ქეგლ-ში მას კუთვნილი ადგილი უნდა მიეჩინოს.

მახა, მახარია

„ვაშინერს, მახა ვაშინერს“ (გამსახურდია, 1992:109).

„ღმერთმა მომასწრო, მახარია, შენი ნახელავი“ (გამსახურდია, 1961:906).

ი. ყიფშიძე ხარ- ძირისაგან ნაწარმოებად წარმოგვიდგენს ფორმებს მახარია, მახა (<მა-ხარ-ებ-ელ-ი) (ყიფშიძე, 1914). საალერსო მიმართვები გულისხმობს ჩემო სიხარულო, გამხარებელოს (ქაჯაია, 2001-2002).

მახორობა

„შვილები ჰყავს ერთმანეთზე უკეთესები, სავსე მახორობაა, სავსე“ (წულეისკირი, 1987:355).

კონტექსტში გამოყენებული ლექსემა უკავშირდება მეგრულ **ხორუა** „სახლობა“ ერთეულს; **დო-ხორ-უ-ა** დასახლება (ჭარაია, 1997).

ოხორი („სახლი“) ჯგუფში ი. ყიფშიძე განიხილავს შემდეგ ფორმებს: **დო-ხორ-ე** „სასახლე“, **ხორ-უ-ა** „სახლობა“, **ვ-ო-ხორ-ან-ქ** „ვსახლობ“, **ვ-ო-ხორ-უ-ან-ქ** „ვასახ-ლებ“, **მა-ხორ-უუ** (<მო-ოხორუუ)//**მა-ხორ-ო** „მოსახლე“, **ნო-ხორ-ი** „ნასახლარი“, **მა-ხორ-ობ-ა** „მოსახლობა“, **გინო-ხორ-უ-ა** „გადასახლება“ (ყიფშიძე, 1914).

აღსანიშნავია, ქართველურ მეტყველებებში **დასახლება** დაოჯახებასაც ნიშნავს.

მენცარი

„[ეროსი] მენცარი, მისანი, არც ბრძენი და არცა ჭკვიანი, არც ლამაზი და არცა მახინჯი“ (გამსახურდია, 1961:925).

„უბელო მგელზე იჯდა მენცარი და კუდიანების ფერხულს მართავდა“ (ქიაჩელი, 1985:267).

მენცარი მეგრულ მეტყველებაში მეცნიერს, ყველაფრის მცოდნე, გულთმისანს ნიშნავს (ჭარაია, 1997; ქობალია, 2010). ამ მნიშვნელობითაა **მეცარი** იმერულში (ღლონტი, 1984).

მეგრულ კილოში გამოყენებული **მენცარი** ფუძე სულხან-საბას ლექსიკონში **მეცარი** ფორმით გვხვდება, რომელიც განმარტებულია როგორც „ტყუ(ვ)ილი ბებლის მცნობელი ZAB. საკუთრივ **ბებლი** კი - გრძნების მოქმედი (+გლეხურად Z) ZAB. კუთური, კუდიანი Cab. კუდიანი (ორბელიანი, 1991-1993). საინტერესოა კ. გამსახურდიას განმარტება - **მენცარი** „იდუმალთმეტყველი“.

პროფ. რ. შეროზია საბასეულ **მეცარი** ფორმას მეგრული წარმოშობისად მიიჩნევს, ვფიქრობთ, სწორედ **მენცარი** ფუძესთან მიმართებით (შეროზია, 2007:392).

რა თქმა უნდა, ფუძე ვერ დაშორდება სალიტერატუროს **მეცნიერს** („მეცნიერის ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი, რისამე მცოდნე“ (ქეგლი)), რომელიც საბასთან **მეცნავი** „მეცნიერი“, **მეცნიერი** „მცნობელი, ცნობილი“ ფორმებით გვხვდება (ორბელიანი, 1991-1993).

მერეკელა

„ზაფხულის თბილი ღამე იყო, მერეკელა თუთარჩელა“ (წულეისკირი, 1987:488).

სალექსიკონო განმარტებებია: **მერეკელა** მთვარიანი, ნათელი, კაშკაშა (ღამე); **მერეკელა სერი** ნათელი ღამე, როცა მთვარე კაშკაშებს (ქაჯაია, 2001-2002; ქობალია, 2010).

გარდა ამისა, ნ. წულეისკირი ნათლად წარმოადგენს მერეკელას წარმომავლობას და მნიშვნელობას: „მერეკელა“ ნამდვილად ჟღერს მეგრულ-გურულ-იმერულად, ეგებ არ იგუოს მთავარქართულმა... მერეკელა უნდა იყოს ნათელი, კაშკაშა ღამე, - ასე განმარტავენ ამ სიტყვას დღეს სამეგრელოში - როცა თუთარჩელა „ძლიერდება“, ე.ი. თანდათან ემატება სხივი, შუქი, „სინთე“ და ნაშუაღამევს გადადის კაშკაშში. „მერეკელა“ ლაკადელი მწყემსების სიტყვაა... **ყური მიუგდეთ სიტყვას... არეკვლა, ანარეკლი ფუძეში დევს, ჩანს, ძველისძველი სიტყვაა, ფუძე ენისეულია, საერთო ქართულია“** (წულეისკირი, 1987:489,490).

მოხუჯაფა

„მეორესთან წადი, მეორემაც ვერ მოგიხუჯავა?“ (წულეისკირი, 1977:47).

საილუსტრაციო წინადადებაში გამოყენებულ ფორმაში **მოგიხუჯავა** ძირეულ ფუძეს წარმოადგენს მეგრული **ხუჯ-** „მხარი“. **მო-გ-ი-ხუჯ-ავ-ა** სალიტერატურო წესების დაცვით გაფორმებული ფუძეა, თუმცა მეგრული გახმოვანება ძირეულ ფორმაში შენარჩუნებულია.

არნ. ჩიქობავა **მეგრ.-ლაზ. ხ-უჯ-//მ-ხ-უჯ** და **ქართ. მ-ხ-არ-** (შვ. ქართ. ჴ) გამოყოფს საერთო **ხ-** ძირს: „მეგრულ-ლაზურში დართული **-უჯ<ოჯ** სუფიქსი შეესაბამება ქართ. **-არ-**ს. თავკიდური **მ-** ფონეტიკურად განვითარებულია ქართულშიც და ჭანურშიც. ძირითადი მნიშვნელობა ამ ძირს სამსავე შესადარებელ ერთეულში ერთი და იგივე აქვს“ (ჩიქობავა, 1938:74).

ტ. გუდავა **სალიტ. ა** : მეგრ. **უ** შესატყვისობისთვის ზანურში აღადგენს თავდაპირველ ***მხოჯ-** ძირს, რომელიც ზუსტი შესატყვია **სალიტ. მხარი** ფორმისა (თავკიდური **მ** იწვევს **ო>უ**-ს, თვითონ კი იკარგება): **სალიტ. *მჯარ:> ზან. *მხოჯ->მხუჯ->ხუჯ-**. ენათმეცნიერი ამ ფუძისთვის საინტერესო პარალელად წარმოგვიდგენს **სალიტ. ხარი (შვ. ქართ. ჴარი):ზან. ხოჯი** შესატყვისობას, სადაც **ო>უ** პროცესი არ მიმდინარეობს, ამის მიზეზად კი, **ო**-ს ფონეტიკურ პირობებს ასახელებს: „ანლაუტში ამ ფუძეს **მ** არა აქვს და არც ჰქონია“ (გუდავა, 1960:121).

მოგვიანებით ჩატარებული ეტიმოლოგიური ანალიზიც დაეყრდნო ტ. გუდავას თვალსაზრისს: აღდგა საერთოქართველური ***მჯარ** არქეტიპი, რომელსაც „კანონზომიერად შეესატყვისებოდა“ მეგრ. **ხუჯ-** და ლაზ. **მხუჯ-**. მეგრულისა და ლაზურისათვის კი აღდგა საერთოზანური ***მჯოჯ-** არქეტიპი; (**ო>უ მ**-ს ზეგავლენით; მეგრულის ანლაუტში **მ** თანხმოვნის წინ დაკარგულია) (ფენრიხი..., 2000:347).

დამატებითი მნიშვნელობის შემცველი ფორმები, რომელიც სამწიგნობრო ენაში მხარისაგან ნაწარმოებ ერთეულში (მაგ. ემხრობა, ანუ ეთანხმება) იგულისხმება, მეგრულში მრავლად დასტურდება: **მე-უ-ხუჯ-უ** („მიემხრო“, „შეეწყო“), **მო-უ-ხუჯ-უ** („მარჯვე ექნა, მხარი მიეცა, აწყობს“), **უ-ხუჯ-უ-ან-ს** („ეწყობა, მხარს აძლევს“), **მო-ხუჯ-ურ-ი** („მარჯვე, მოხერხებული“), **უ-ხუჯ-ურ-ი** („არამარჯვე, მოუხერხებელი“), **მო-ხუჯ-ა//მო-ხუჯ-აფ-ა** (მარჯვეობა, მხრის მიცემა, შეგუება“).

მორდუ

„უმადურება იქნებოდა ამ ადგილას ჩემი მორდუ არ მომეგონებია“ (გამსახურდია, 1961:658).

კ. გამსახურდია ისე განმარტავს ამ ერთეულს, როგორც მეგრულ ლექსიკონებშია „გამზრდელი, მამამძუძე (ძიძის ქმარი)“ (ჭარაია, 1997). ლაზურში ამავე ძირიდანაა ნაწარმოები **ომორდუ** - გაზრდა, რომელიც **მორდუ**-სთან („მოზრდა“) ერთად გამოიყენება (თანდილავა, 2013).

მო-რდ-უ-ს რდ- ძირისგან ნაწარმოები ფორმებია მეგრულში **მო-რდ-ი-ა** „ნათლია“, **მა-რდ-უ-ალ-ი** „გამზრდელი“, **ნა-რდ-ი** „გაზრდილი“ (ყიფშიძე, 1914); **ო-მო-რდ-უ-ალ-ეფ-ი** „მოზარდები, გასაზრდელები“.

მორდუ სიტყვა-ფორმის გამოყენება ძალიან ხშირია თანამედროვე სამწიგნობრო ენაში, აქედან გამომდინარე, მეგრული გახმოვანების ეს ერთეული სათანადო კვალიფიკაციით უნდა შევიდეს განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაში.

მურუჟი

„ობოლი ცრემლებით შეგებებოდნენ ყვავილები მურუჟიან განთიადს“ (გამსახურდია, 1961:783).

მეგრულ ლექსიკონში **მურუჟი**-ს განმარტებაა „ოდნავი სინათლე, ბინდბუნდი; შორეული აჩრდილი, ლანდი“ (ქაჯაია, 2001-2002). ლაზურში **მურეჯი** - „ღრუბლიანი“ (თანდილავა, 2013). ფუძეში გამოყენებული მეგრ. **რუჟ-**: ლაზ. **რეჯ-** ძირი დაუკავშირდება სალიტერატუროს **რიჟ-რაჟი** ფუძეს „გარიჟრაჟი, ალიონი. გათენების დასაწყისი, ანუ როცა ოდნავი სინათლეა“.

ნიგა

„მოუქნია მაშინ დედაბერმა სავსე ნიგა მზეს უსირცხვილოს და ზედ შეასხა ტფილი რძე“ (გამსახურდია, 1990:727).

მეგრულ მეტყველებაში **ნიგა/ნგგა** გამოიყენება რძის ჩასაწველავი ჭურჭლის აღმნიშვნელად (ჭარაია, 1997); ხის პატარა ტუჩიანი, ყურიანი ვედროსებრი ჭურჭელი მაწვნისა და რძისათვის (ქაჯაია, 2001-2002; ქობალია, 2010).

ნიგა/ე,-ი გამოიყენება გურულშიც „თუჯის თუნგი“ (ღლონტი, 1984).

ნოთე

„მთელი ღამეები ნოთეზე დავყავდი“ (გამსახურდია, 1961:668).

„ანინას არ უნახავს ნოთე, აინტერესებს...“ (წულეისკირი, 1977:212).

კ. გამსახურდიას განმარტებით ნოთე „ლამპრობაა“. ლექსიკონებში ვხვდებით, **ნოთე** – კვარი (ანუ იმის მსგავსი რამე სასინათლოდ) (ჭარაია, 1997); ნაძვის კვარი, ჯოხზე წამოცმული ნავთით გაჟღენთილი ლაქაშის ქოჩორი, ჩირაღდანი (საზოგ.); ღამეული თევზაობა ნოთეთი კვარით, როცა თევზი სინათლისკენ მოიწევს (**ნოთუა**) (ქაჯაია, 2001;

ქობალია, 2010). კვარს, შუქს ნიშნავს **ნოთე** ლაზურშიც (თანდილავა, 2013). **ნოთე-ს** ვერ დაშორდება **გოთე** („ნათელი ადგილი“) ფორმა.

ოკარიე

„აგერ-იგერ მწყემსი ქარდავების ოდა-სახლები, ფაცხა-ოკარიები, ისლით დახურული ჯარგვლები და სამკუთხა სასიმინდეები იდგა“ (წულეისკირი, 1987:263).

ოკარიე იგივეა, რაც ოქოთომე, საქათმე (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997); ოთხბოძზე შედგმული ოთხკუთხა მოწნული საქათმე, - ზევიდან ისლით (ყავრით) იყო გადახურული (ქაჯაია, 2001). ლაზურ კილოში გამოიყენება **ოქოთუმალე** - საქათმე (თანდილავა, 2013).

წარმოების მხრივ ორივე შემთხვევაში გამოიყოფა **ო-ე** (სალიტ.**სა-ე**)დანიშნულების კონფიქსი **ო-კარ-ი-ე, ო-ქოთომ-ე** („საქათმე“) (შდრ. **გურ. სა-კარ-ი-ა/ე** საქათმე). ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნათელია **ქათამ-:ქოთომ-** ძირთა კავშირი. **ო-კარ-ი-ე** შემთხვევაში კი, სავარუდოდ, ძირეული **კარ-** უნდა უკავშირდებოდეს სალიტ. **კარ-ავ-ს.** ამ ძირს ვერ უნდა დაშორდეს მეგრულ მეტყველებაში გამოყენებული ერთეული **კარ-ა-ი-ა,** რომელიც აღნიშნავს ხუხულას, ბავშვების მიერ გაკეთებულ სახლაკს (ხუხულის აგება სიმინდის ნაგულისაგან) (ჭარაია, 1997; ქობალია, 2010).

პატოჲნსქუა

„როგორ აგიხსნა? უხსენებლი, უთქმელი, პატოჲნსქუა“ (გამსახურდია, 1992:109).

პატონი შეტანილი აქვს სულხან-საბას - ბატონი ZABCD (ორბელიანი, 1991-1993).

მეგრულ მეტყველებაში მიმართვის ფორმაა **პატონი** „ბატონო“: **პატონი/პატჷნი** - ბატონი, **მეპატჷნე** - მებატონე,

ნაპატჷნი - ნაბატონევი (ჭარაია, 1997); **პატონი** ბატონო (მიმართვა)(ალ. ქობალია). ის დამოუკიდებლადაც გვხვდება: „გახუ, პატონი...“. ჩვენი ზრდილობა ასეა, პატონი“ (გამსახურდია, 1992:112).

პატონ+სქუა კომპოზიტიც მიმართვის ფორმაა: **პატოჲნსქუა** ბატონიშვილი; უფლისწული (ქაჯაია, 2001).

ვ. თოფურია კომპოზიტის შედგენილობაზე შენიშნავს: „უკავშირო ფუძეგანსხვავებულ კომპოზიტში მსაზღვრელია არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში, რომლის სუფიქსი -იშ მთლიანად მოკვეცილია: **პატონსქუა<პატონიშ+სქუა** „ბატონიშვილი“. არის ბრუნვის ნიშნის -შ ელემენტის დაკარგვის მაგალითებიც: **ჯიმასქუა<ჯიმაშსქუა** „ძმისშვილი“, **ზღვაპიჯი<ზღვაშპიჯი** „ზღვისპირი““ (თოფურია, 1979:120-124).

სისატურა

„ტირილით რომ კიდევ ერთხელ იჯერა გული, სისატურა წამოიწყო“ (წულეისკირი, 1977:16).

მეგრული სიმღერა **„სისატურა“** ნ. წულეისკირს გამოყენებული აქვს ნაწარმოების სახელწოდებადაც, ტექსტში კი მოქმედება ვითარდება ამ სიმღერის ფონზე.

ა. ქობალიას ლექსიკონში **სისატურა** ახსნილია, როგორც „პატარა ტურა, ტურიკო; საკუთრივ ტურა, იგივეა რაც ჭიჭე ტურა (იხმარება ტურისებრთა ოჯახში შემავალი ფოცხვრის, მგლისა და სხვათაგან, საკუთრივ ტურის გამოსარჩევად. შდრ. **დიდ ტურა** მგელი, **ფორცხოლ ტურა** ფოცხვერი)“ (ქობალია, 2010). ამ განმარტების მიხედვით, **სისა** პატარას ნიშნავს, არადა მეგრულში **სისა** არის შეძახილი გასაგდებად: **სისა, ტურა!** სიმღერის რეფრენი „**სისა, სისა**“ სწორედ ამას გულისხმობს და არა პატარას.

სქანსანთელო

„ნუ სტირი, სქანსანთელო, შენ შემოგავლეთ თავზე ჯორა...“ (გამსახურდია, 1961:667).

მიმართვის ფორმა, კომპოზიტი **სქან+სანთელო** ზედმიწევნით ნიშნავს „შენს სანთლად“ და გულისხმობს სანთლად შემოგევლე! შენ გენაცვალე (ქაჯაია, 2001; ქობალია, 2010).

ტყაშმაფა

„მონადირე... იფიქრებდა ტყაშმაფაო და ახლოს ვერ მიბედავდა“ (წულეისკირი, 1977:16).

კომპოზიტური წარმოების **ტყაშმაფა** შედგება **ტყაშ+მაფა** ელემენტებისაგან: მეგრ. **ტყა** : სალიტ. **ტყე-**, მეგრ. **მაფა**: სალიტ. **მეფე** (-შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ელემენტი მეგრულში).

ტყაშმაფა არის ტყის მეფე, ავი სული, რომელიც თითქოს მეფობს ტყეში; წარმართული ღვთაება, ნადირთა გამგებელი, ნადირთა პატრონი. (ქაჯაია, 2001-2002).

ფუჩხოლია

„ტატუმ ბავშვს ჩამოსდია ხოპიო თეფშით, ქუჯისთვის ფუჩხოლია მოჰქონდა“ (წულეისკირი, 1977:217).

მეგრული გახმოვანების სიტყვა **ფუჩხოლია** უკავშირდება **ფუჩხა-ს** „ფუნჩხა, პურის ან ღომის ნაფშვენი, ფხვნილი ნამცეცი“ (ჭარაია, 1997). **ფუჩხოლია** მეგრულში ბავშვის საჭმელია, რძეში ჩაფშვნილი პური, მჭადი ან ღომი (ქაჯაია, 2001-2002). ამასთან **ფუჩხოლია** ითქმის პიტნით შემზადებულ ჭყინტ ყველზე (ქობალია, 2010).

მეგრულში ამავე ძირისაა ფორმები **ფუჩხოლუა** „ფშვნა“, **ფუჩხოლუნს** „ფშვნის, ამსხვრევს“, **ფუჩხოლირი** „დაფშვნილი“.

შდრ. ფუნჩხა (გურ.) ფინჩხა, ნამცეცი, ნაფცქვენი; დეიფუნცხა დაიმსხვრა, ნამცეცებად იქცა. **ფუნჩხული** (გურ. იმერ.) 1. არამკვრივი, ფხვიერი, ფინჩხებად ქცეული; 2. მოხარშული ღომის მარცვალი, ნიგვზითა და ზეთით შეზავებული (ღლონტი, 1984).

პროფ. ქ. ლომთათიძე მეგრ. **ფუჩხა-ს** და მის ფონეტიკურ ვარიანტებს გურულ-იმერულში **ფინჩხა/ფუნჩხა-ს** აფხაზურიდან ნასესხობად მიიჩნევს, რომლის არგუმენტად მოიხმობს აფხაზურში არსებითი სახელების ნამყო მიმღეობის შინაარსის ფუძეების საწარმოებლად **-ხა** მორფემის გამოყენებას (მაგ. ა-ფწ'ახა „მონაწყვეტი" (ა-ფწ'არა „მოწყვეტა"), ა-ხწ'ახა, ა-ხწ'ახჷ „მონაჭერი", „მონაკვეთი" (ა-ხწ'არა „მოკვეთა")). ამავე წარმოებისას განაკუთვნებს **ა-ფჩ•ხა** „ნატეხი, ნამსხვრევი" სიტყვას და მის ვარიანტებს ა-ფჩ•ჷხა, ა-ფჷჩ•ხა, რომლებიც ა-ფჩ•რა („ტეხა") ზმნის ფუძიდანაა ნაწარმოები **-ხა** მორფემის მეშვეობით.

პროფ. ქ. ლომთათიძისათვის საგულისხმოა, რომ აფხაზური სიტყვისაგან (ა-ფჩ•ჷხა/ა-ფჷჩ•ხა) მომდინარე **ფუჩხა/ფინჩხა-ს** გავრცელების არეალი დასავლურქართული ენობრივი წრით განისაზღვრება. ქართველურში ადაპტირებული **ფუჩხა/ფიჩხა-ს** („საჭმლის ნამცეცს") უკუსესხების შემთხვევად მიიჩნევს აფხაზურში ფჷჩხა-ს, საერთოდ „ნამცეცის" სემანტიკით (ლომთათიძე, 1989:49-51).

ქეგლ-ში დადასტურებული **ფუნჩხა,** როგორც კვალიფიკაციიდანაც ჩანს, გურულის გზით უნდა შესულიყო ლექსიკონში: **ფუნჩხა** (გურ.) იგივეა, რაც ფინჩხა; **ფინჩხა** კუთხ. (გურ. იმერ.) ნამცეცი, ნაფშვენი, ნაფხვენი (ქეგლი).

ქილორი

„მე იმ მუხნარს შემოვუვლი, ეგებ ქილორს სადმე წავაწყდე" (გამსახურდია, 1992:184).

ქილორი//ქჷლორი „ხოხობი" დასტურდება მეგრულ ლექსიკონებში (ყიფშიძე, 1914; ჭარაია, 1997).

ყურყა

„ერთხელ დათვის ყურყაც მოუშლია, ბიჭებს კინაღამ მოუკლავთ“ (წულეისკირი, 1987:139).

მეგრული გახმოვანების ერთეული **ყურყა** ამ ფორმით ლექსიკონებში არ დასტურდება. ო. ქაჯაიასა და ა. ქობალიას ლექსიკონებში შეტანილი აქვთ **მაყურყი** („მარყუჟი“ (ქაჯაია, 2001-2002)) და **მაყურყა** („მარყუჟი; ქამანდი, ლასო (პირუტყვის დასაჭერი მარყუჟიანი თოკი) საძირავი, საყვინთი მოწყობილობა“ (ქობალია, 2010)) ფორმები. ნ. წულეისკირი გვთავაზობს **ყურყას** მისეულ განმარტებას: „ყულაფისებურად გამონასკვული მსხვილი ბაგირი, დათვისთვის დაგებული მახრჩობელა ხაფანგი ტყეში“. როგორც ვხედავთ, **ყურყა// მაყურყა** პარალელური ფორმებია.

ვფიქრობთ, საინტერესო ერთეულია, რომელიც გამოადგება სალიტერატურო ენას შესაბამის შემთხვევაში.

შურიგე

„მე სულ ერთი ციდა ვყოფილვარ აქედან რომ გამოვუყვანივართ, შურიგე“ (გამსახურდია, 1990:235)

„-რას მეტყვი, შურიგე?“ (წულეისკირი, 1977:307).

შურიგე საალერსო-საფიცარი მიმართვაა: სულს გაფიცებ; სული თუ გწამს; სულის ჩინო; ირო ორდა, მახარია, თოლიგე დო შურიგე „სულ იყავი, მახარია, თოლიგე და შურიგე“ (ქაჯაია, 2001). წარმოების მიხედვით მისდევს **თოლიგე** ერთეულს. ძირეული ფორმაა **შური** „სული“.

ამდენად, ქეგლ-ში თოლიგე-ს მსგავსად მისაღებია **შურიგე** სიტყვის შეტანაც.

„-რისთვის გინდა ქერძაფი, ძღაბი?“ (წულეისკირი, 1987:358)

ნაწამოებში პერსონაჟის მეტყველებისას, მიმართვის ფორმადაა გამოყენებული **ძღაბი** „გოგო“ (ყიფშიძე, 1914).

ფორმობრივ-სემატიკურად მეგრული ერთეული **ძღაბი** ქეგლ-ის რვატომეულში შესულია, როგორც იმერულ-გურული ფორმა „გოგო“ (ქეგლი).

სამეცნიერო გამოკვლევებში გამოთქმულია მოსაზრება **ძღაბ-** ძირის **ზღარბ/ძღარბ** ფუძესთან მიმართებისა. სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონში **ზღარბს** ასე განმარტავს: **ზღარბი** ნ. **გძღარბი** (+ 34, 11 ესაია ZAa) ბუძგი ეწოდების პატარა **ძღარბსა**, ხოლო **გძღარბი** დიდ ძღარბსა, რომელსა ეკალი აქვს ვიდრე მტკავლამდე და მეტი, და ზღვის ძღარბსა **ექინი** ეწოდების (+13, 22 ესაია ZAa)ZA. (ოთხფ.) ეკლიანი ოთხფერჯი Cb (ორბელიანი, 1991-1993). დამოწმებისას ლექსიკოგრაფი მიუთითებს, რომ წყაროში (ესაია) **„გრძღაბი“** დასტურდება. ი. აბულაძე ლექსიკონში სწორედ ამ უკანასკნელით იწყებს ფორმათა დაფიქსირებას ილუსტრაციითურთ: **გრძღაბ-ი, გძღაბ-ი** ზღარბი (აბულაძე, 1973).

პროფ. ქ. ლომთათიძე **ძღაბ-** და **ზღარბ-** (**ძღარბ**) ფუძეთა დაკავშირებისას შენიშნავს, რომ ასახსნელი რჩება ის ამოსავალი სემანტიური კვანძი, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს ესოდენ განსხვავებულ სფეროთა წარმომადგენლებს (ლომთათიძე, 2002:53).

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი ერთეული **ძღაბი** (<*ძღარბი) განსხვავებული სემანტიკით („გოგო“) იხმარება მეგრულში.

ლექსემის ანალიზისას ი. არონია მიუთითებს, რომ **ძღაბი** (<ძღარბი) სიტყვამ შორეულ წარსულში (შესაძლებელია იმავე **ზღარბი** მნიშვნელობით) ფონეტიკურ ცვლილებებთან ერთად შეიძინა ახალი სემანტიკა, გოგოს მნიშვნელობა, რამაც ხელი შეუწყო მისი პირვანდელი მნიშვნელობის დაკარგვას, და, ამდენად, სიტყვაც მონოსემიური გახდა. ავტორი **ძღაბის**

გადატანითად ხმარებას უკავშირებს ფიზიკურ, გარეგნულ მხარეს; კერძოდ, არასასურველი ფიზიკური გარეგნობის მქონე გოგოს მიმართ. დღეს ეს სიტყვა ამ უარყოფითი ელფერისგან მეტნაკლებად დაცლილია, მაგრამ არც მთლად განთავისუფლებული, რომლის ნათელი მაგალითია ის, რომ თუ უცხო პირი გოგოს მიმართავს **ძღაბი** ფორმით, ეს უპატივცემლობა იქნება, მაშინ, როცა მისაღებია პარალელურად ხმარებული მისი სინონიმური წყვილი **ცირა**. ი. არონია ხაზს უსვამს ასაკობრივ დიფერენცირებასაც, როცა ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმები: **ჯღაბი//ჯაბი//ჯაბუ** იხმარება პატარა ასაკის გოგოს მიმართ მოფერებით. სტატიის ავტორი აანალიზებს კომპოზიტს **ძღაბგქცრცამი**, სადაც პირველ კომპონენტს შენარჩუნებული აქვს თავისი პირვანდელი მნიშვნელობა: სიტყვასიტყვით **ძღაბ** „ზღარბი“ + **ქურცამი** „ქაცვიანი“, „ეკლიანი“ (არონია, 2007:15-16).

წყურგილე

„მუხის ძირას კამკამა წყურგილე დიოდა“ (წულეისკირი, 1977:13).

ლექსიკონებში შესულია **წყურგილი/წყურგილე** „წყარო“ (ყიფშიძე, 1914; ქაჯაია, 2001-2002). ერთეული კომპოზიტური წარმოებისაა: **წყურგილი<წყუ+რგილი:წყუ** (წყარო) + **რგილი** (გრილი, ცივი).

ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მეგრ. **წყუ-** დაკავშირებულია სალიტ. **წყალ-** ფუძესთან:

„ქართ. წყალ- წყალ-ი : მეგრ. წყუ- წყუ „ჭა“; წყუ-რგილ-ი „წყარო“; ჩხორო-წყუ.

ქართულ **წყალ-** ფორმას კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **წყუ-** (<*წყუუ<*წყოუ-<*წყაუ-;). ხომ არ არის კავშირში ამავე მასალასთან სვანური ლგ-ლ-წყე „სველი“? (ფენრიხ..., 2000:657). ერთია, **წყუ** მეგრულში კონკრეტულად წყაროს აღნიშნავს, და არა **ჭას** (ჭარაია, 1997); **ჭის** აღმნიშვნელად მეტყველება იყენებს **ინჭა** ფორმას.

ჭყონდიდი

„ტყეში ყველაზე დიდ მუხას - ჭყონდიდს ამოარჩევდნენ, ხის ძირას თავს მოიყრიდნენ...“ (წულეისკირი, 1977:178).

კომპოზიტური წარმოების ერთეული **ჭყონ+დიდი** გულისხმობს სალიტერატურო **მუხა+დიდი** ელემენტთა ნაერთს. პირველი წევრი ლაზურში დასტურდება **ჭკონი//მჭკონი** ფორმით, რომელზეც არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „**ჭკონი** ესაა ჭანური ნორმებით გადმოცემული **ჭყონი**, მეგრულში რომა გვაქვს. თავკიდური **მ** ფონეტიკური დანართია. ათინურში **ჭკ->ჭ-** საერთო წესების თანახმად: **ჭკონი>ჭონი... ონ** სუფიქსი ჩანს“. ენათმეცნიერის აზრით, „ქართულსა და სვანურში ეს ძირი არ ჩანს, მაგრამ იქვე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქართულში **წყან-** უნდა გვქონოდა; შეიძლება აქედან იყოს წყნეთი; **წყან-ეთ-ი>წყნ-ეთ-ი** - ე. ი. მუხნარი“ (ჩიქობავა, 1938:139).

წყნეთის გარდა **წყან-** ძირი ივარაუდება ტოპონიმებში **წყან-არ-ა** ორონიმი აცანის (ლანჩხუთის რ-ნი) მახლობლად, **წყან-ი-შურ-ი** ტყე სხალთასთან (აჭარა) (ფენრიხ..., 2000:676).

მოგვიანებით, პროფ. მ. ჩუხუამ აღადგინა **ს.ქართვ. *წყონ-** „მუხა“> **ქართ. წყნ-ეთ-ი, წყნ-ორ-ი** (ტოპ.) : **ზან. ჭყონ->ჭკონ-//მ-ჭკონ-ი:სვან. ჭყორ-<*ჭყონ.** მისი აზრით, სვანურში **ჭყორ-** შესატყვისის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს რაჭულ დიალექტში ფიქსირებული **ლა-ჭყორ** „მუხის სარები“ სიტყვა. რომელიც, თუ გავიზიარებთ მის სვანურ წარმომავლობას, მრავლობითი რიცხვის ფორმაა **ჭყორ** „მუხა“ სახელისა, რაზეც ქართულის შინაარსიც მიუთითებს (სარები) : სვან. **ჭყორ** „მუხა“ - **ლა-ჭყორ-ა** „მუხები, სამუხე, მუხისა“ > ქართ. (რაჭ.) **ლა-ჭყორ-** „მუხის სარები“ (ჩუხუა, 2000-2003:390).

ხვამა/გითოხვამა/ოხვამე

„[გერგებეს] სულ ზეპირად შეესწავლა ძველი ქართული სააქიმო წიგნები, შელოცვები, სხვადასხვა მაგიური რიტუალები, გითოხვამა...“ (წულეისკირი, 1977:202).

„სოფლის ბოლოს, მთაზე, ძველისძველი წმინდა გიორგის ოხვამე - სალოცავი იდგა“ (წულეისკირი, 1977:20).

ხვამა მეგრულ მეტყველებაში ლოცვას ნიშნავს (ყიფშიძე, 1914). მისგანაა ნაწარმოები ფორმები: **ხვამ-ან-ს** („ლოცავს“), **ი-ხვამ-ან-ს** („ილოცავს“, „შეილოცავს თავისთვის“), **მა-ხვამ-ალ-ი** („მლოცავი, შემლოცველი“), **ნა-ხვამ-ა,** („ნალოცი“), **ხვამ-ილ-ი** („დალოცვილი“), **ნა-ხვამ-ეფ-ი** („შენალოცი“), **ო-ხვამ-ე** („სალოცავი“), **ო-ხვამ-ერ-ი//ო-ხვამ-ურ-ი** („სალოცავი, სადღეგრძელო“), **ხვამ-უ-ა** („დალოცვა“), **გითო-ხვამ-ა//გითო-ხვამ-უ-ა** („გამოლოცვა“, ძველი ხალხური რწმენით, გვამში ავი სულის ჩაჭრის შემდეგ საჭიროა მისი **გითოხვამა** „გამოლოცვა“).

ხვამა ლაზურ კილოშიც ლოცვას ნიშნავს (თანდილავა,2013).

ნ. წულეისკირი ნაწარმოებში „დავით აღმაშენებლის ქვა“, ნათლად აღწერს მეგრულში უცხო სიტყვის შემოჭრის მცდელობას: **„ბერძნული სიტყვა „ეკლესია“ მეგრულმა ვერ იგუა. თქვსმეტი საუკუნე ებრძოდა „ეკლესია“ „ოხვამეს“, მაგრამ ვერაფერი დააკლო. ხალხმა მაინც ძველი სიტყვა, წარმართული „ოხვამე“ ამჯობინა „ეკლესიას“** (წულეისკირი, 1977:20).

მეგრული **ოხვამე** იმ ჯგუფის სიტყვებში შეიძლება განვიხილოთ, რომლებსაც პროფ. რ. შეროზია ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე (პირველი მოციქულების შემოსვლის დროისათვის) წარმოქმნილად მიიჩნევს, მათ შორის **თანაფა, ქირსე, პიჩვანი** (იხ. შეროზია, 2014:313).

ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასალაში გამოყოფილია ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შესულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულში ერთი მხრივ, როგორც იმერულ-გურული ფორმა, მეორე მხრივ როგორც სალიტერატუროდ მიჩნეული, უკვალიფიკაციო ლექსიკა და, ასევე, ის ლექსიკა რომელიც ვერ მოხვდა ლექსიკონში.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქცია უნდა გამდიდრდეს მეგრულ-ლაზური (ასევე სვანური) ლექსიკური ერთეულებით და მიეთითოს წარმომავლობა.

სალექსიკონო ერთეული უნდა შევიდეს იმ ფორმით, რასაც ითვალისწინებს არნ. ჩიქობავას მიერ შემუშავებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპები“. სახელური ფორმების შეტანა წინააღმდეგობას ვერ ქმნის; რაც შეეხება ზმნურ ფორმებს, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ისინი მასდარის სახით მაინც უნდა შევიდეს, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ ფორმებს მეგრულ მეტყ-ველებაში სრული პარადიგმა აქვთ. ვგულისხმობთ ზმნის მესამე პირის ფორმებს, რომლებიც სალექსიკონო ერთეულად უნდა მივიჩნიოთ: ისინი, ფორმობრივად მეგრულისთვის დამახასიათებელი ფუძის მაწარმოებლებით ვერ შევა ლექსიკონში და ვერ დამკვიდრდება სამწიგნობრო ენაში: მაგ. **ქურქულ-ან-ს** (ამ ზმნას ლ. ქიაჩელი იყენებს ქურქულ-ობ ფორმით, ნ. წულეისკირი კი ქურქულ-ებ ფორმით), **კარკაც-ან-ს** (ლ. ქიაჩელმა კარკაც-ებ გამოიყენა), **გან-უნ-ს** (ქეგლ-ში იმერ. გენვაა შესული, სავარაუდოდ **გენ-ავ-ს** იგულისხმება პირიანი ფორმა), **წკურ-უნ-ს** (ნ. წულეისკირი იყენებს **მოწკურა** ფორმას), **ფელეკ-ან-ს** ზმნური ფორმებისთვის რომელი სუფიქსი უნდა იქნეს გამოყენებული სალიტერატურო ენაში? ვფიქრობთ, დიალექტური ერთეულები ლექსიკონში უნდა შევიდეს იმ ფორმით, რომელიც **ნორმატიულია სალიტერატურო ენისთვის**. ეს საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს, ამდენად, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ზმნური ფორმები მასდარის სახით შევიდეს „ქართველური (ქართული) ენის განმარტებით ლექსიკონში“.

ძირითადი დასკვნები

1. მეგრული ლექსიკა ოდითგანვე იყო მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო ენის საბაზო ლექსიკა.
